

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ინგლისური ფილოლოგია

თამარ ნაჭყებია

ენის სტრატიგიკაციული და სიტუაციური ვარიანტულობის  
ტრანსპოზიცია ინგლისურიდან ქართულ თარგმანში

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის  
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის  
დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფ. მ. რუსიეშვილი



თბილისი 2012

## სარჩევი

### შესავალი

5

#### თავი I:

1. პრაგმატიკული მთარგმნელი	8
1. 2 თარგმანის სამი ფუნქცია	11
1. 3 თარგმანის პერფომატიკული ფუნქცია	13
1.4 ინტერპერსონალური ფუნქცია: ზრდილობიანობა, თანამშრომლობა და ინტერესი	15
1. 5. ლოკატიური ფუნქცია პრაგმატიკულ თარგმანში	17
1.6. ენის სტრატიგიკაციული და სიტუაციური გარიანტულობა	21

#### თავი II:

კ სტეინბეგი “ამბავი თაგვთა და კაცთა”	26
2.1.1 გმირთა არანორმატიული მეტყველება	27
2.1.2 სლენგი ანუ ჟარგონიზმი	30
2.1.3 ფრაზით გამოხატული ჟარგონიზმები	34
2.1.4 უხეში ლექსიკა	37
2.1.5 ენის სიტუაციური ვარიანტულობის გამოხატვა თარგმანში	40
2.2. ჯ.ლონდონი “მარტინ იდენი”	47
2.2.1 მდაბიური მეტყველების მარკერები	47

2.2.2 ქარგონიზმები	50
2.2.3 ენის სიტუაციური ვარიანტულობა	56
<b>2.3 ჯ. სელინჯერი “თამაში ჭვავის ყანაში”</b>	<b>59</b>
2.3.1 სიტყვა-ქარგონიზმები	60
2.3.2 ფრაზით გამოხატული ქარგონიზმები	67
23.3. სკრაბეზული მომენტების გადმოტანის სპეციფიკა თარგმანში	73
2.3.4 სალანდდავი სიტყვები	76
2.3.5 მდაბიური მეტყველება	80
2.3.6 სიტუაციური ვარიანტულობა	82
<b>თავი III</b>	
3.1 აუდიო-ვიზუალური თარგმანი	87
3.2 ენათაშორისი აუდიო-ვიზუალური თარგმანი	87
3.3 თავდაპირველი ისტორია	88
3.4 წარწერებიდან სუბტიტრებამდე	90
3.5. დუბლირების ისტორია	91
3.6. სუბტიტრები თუ გახმოვანება ?	92
3.7 განსხვავება ლიტერატურულ და აუდიო-ვიზუალურ	
თარგმანს შორის	93
3.8 დუბლირება	94
3.9 პარალინგვისტიკა	96
3.10 პ. შოუს « პიგმალიონი » და ჯ. სუპორის	

« ჩემი მშვენიერი ლედი »	102
3.10.1 კავშირი მეტყველებასა და კლასობრივ წარმომავლობას შორის	104
3. 10.2 არასალიტერატურო ლექსიკა	107
3.10.3 უხეში ლექსიკა პროფესორ პიგინსის მეტყველებაში	110
3.10.1.(ა) კავშირი მეტყველებასა და კლასობრივ წარმომავლობას შორის	113
3.10.2 (ა)არასალიტერატურო ლექსიკა პროფესორ პიგინსის მეტყველებაში	115
3.10.3 (ა) უხეში ლექსიკა პროფესორ პიგინსის მეტყველებაში	116
3.11. ცენზურა აუდიო-ვიზუალურ თარგმანში	118
3.12 კ. პენსონის 8 მილი	120
3.12.1 შავი ინგლისურისთვის დამახასიათებელი ნიშნები	121
3.12.2 სლენგი და უწმაწური სიტყვების გამოყენება	123
3.12.3 ენის სიტუაციური ვარიანტულობა-მიმართვის ფორმები	129
3.13 მულტფილმის თარგმანი	134
3.13.1 ზეპრა	137
3.13.2 ლომი-ალიკა	142
3.13.3 ბეჭედოთი-გლორია	144
3.13.4 ჟირაფი-ჟორა	145
3.13.5 პინგვინები	147

3.14 სუბტიტრები	152
3.15 სუბტიტრებით თარგმნილი ფილმები	
ედ ვუდი და გეინის სამყარო	154
3.15.1 ედ ვუდი	155
3.15.2. 1 გეინის სამყარო ჟარგონიზმები	160
3.15.2. 2 ტრანსლიტერაციის მაგალითები	167
3.15. 2. 3 ენის სიტუაციური ვარიანტულობა	170
დასკვნა	172
გამოყენებული ლიტერატურა	178
დანართი	186

## შესავალი

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, აუდიო-ვიზუალურ თარგმანს ქოველთვის უფრო ნაკლები ყურადღება ექცეოდა ვიდრე ლიტერატურულ თარგმანს. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ ფ. კარამიტროვგლუს, წიგნში « Towards a methodoligy for the investigation of norms in audio-visual translation » მოჰყავს მინშინტონის აზრი სუბტიტრების შესახებ: «თვით ტერმინი სუბტიტრი ძველი ლიტერატურული ტერმინია ლიტერატურული ნაშრომის დამატებითი, დაქვემდებარებული სათაურის აღსანიშნავად», ასევე აივერსონის სიტყვები, რომ “სულ რამდენიმე წლის წინ აუდიო-ვიზუალური მთარგმნელები არ მიიღეს შვედი მწერლების გაერთიანების მთარგმნელთა სექციაში, ვინაიდან მათ არ ჰქონდათ დაწერილი ის თრი წიგნი, რომელიც აუცილებელ პირობას წამოადგენდა ამ პროფესიულ გაერთიანებაში გასაწევრიანებლად.” (23, 10.)

თანამედროვე ეპოქაში, რომელიც მულტიმედიური გამოცდილების დიდი ხარისხით ხასიათდება, ბუნებრივია, მაყურებელი მოითხოვს უახლესი ტექსტების მყისიერ კულტურათაშორის გაზიარებასა და გაცნობას. აქედან გამომდინარე, ბოლო ხანებში აუდიო-ვიზუალური თარგმანის მეცნიერებლი კვლევისადმი ინტერესი საკმაოდ გაიზარდა, რასაც ადასტურებს ამ საკითხის შესახებ გამოცემული კვლევების რაოდენობა და მრავალფეროვნება.

შესაბამისად, ჩვენი საკვლევი თემის აქტუალურობას განსაზღვრავს აუდიო-ვიზუალური თარგმანის მეცნიერებლი კვლევისადმი მზარდი ინტერესი.

ნაშრომის მიზანი არის იმის დადგენა, თუ რა მსგავსება ან განსხვავებაა მხატვრულ და აუდიო-ვიზუალურ თარგმანს შორის, როგორ ხდება როგორც მხატვრულ ნაწარმოებების პერსონაჟთა, ასევე ფილმების გმირებს მეტყველებაში განთვალისწინებული ენის სტრატიგიკაციული და სიტუაციური მარკერების ტრანსპოზიცია ქართულ თარგმანში, რა სახის პრაგმატიკულ-ფუნქციონალურ მოდიფიკაციას მიმართავს მთარგმნელი, რა ფაქტორები განაპირობებენ მის არჩევანს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში და რამდენად არის შენარჩუნებული წყარო ტექსტის კომუნიკაციური ეფექტი. რადგანაც ნაშრომში განვიხილავთ სხვადასხვა დროსა

თუ ეპოქაში შესრულებულ მხატვული ნაწარმოებების თარგმანებს, ასევე საინტერესოდ მიგვაჩნია ვიკილიოთ, თუ რა ტენდენციები გამოიკვეთება ერთი და იგივე ნაწარმოების განსხვავებულ სოციო-პოლიტიკურ ვითარებაში თარგმნის დროს.

### **ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდგომში:**

1. შესწავლილია თუ როგორ ხდება ნაწარმოებების გმირთა მეტყველებაში გაბნეული ენის სტრატიფიკაციულ და სიტუაციური ვარიანტულობების მარკერების გადმოტანა ინგლისურიდან და ქართულ თარგმანში.
2. ასევე მოცემულია შერჩეული ფილმების კინოსცენარების საწყის ენაზე და ქართულ ენაზე თარგმნილი აუდიო-ვიზუალური პროდუქტის შეპირისპირებითი ანალიზი.
3. განხილულია მხატვრული და აუდიო-ვიზუალური თარგმანის თვისობრივი და რაოდენობრივი განსხვავება და მსგავსება და მათი პრაგმატიკული დატვირთვა.
4. წარმოდგენილია ქართულ ენაზე აუდიო-ვიზუალური თარგმანის სპეციფიკა.
5. მოცემულია ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური ვარიანტულობის ტრანსპოზიციისას გამოყენებული მთარგმნელობითი ხერხები და ეპოქის გავლენის თავისებურებები თარგმანზე.

**საკვლევ მასალად გამოყენებულია შემდეგი მხატვრული ნაწარმოებების თარგმანების ჩვენთვის საინტერესო მომენტები:** ბ. შოუს “პიგმალიონი”, ჯ. სტეინბეკის “ამბავი თაგვთა და კაცთა”, ჯ. ლონდონის “მარტინ იდენი” და ჯ. სელინჯერის “თამაში ჭვავის ყანაში”. მასალის არჩევა განაპირობა მისმა რელევანტურობამ; თითოეულ მათგანში გმირთა მეტყველება ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერებით არის დატვირთული და, ამგვარად, შესანიშნავ მასალას წარმოადგენს კვლევისათვის. კვლევის შემდგომი ეტაპია ფილმებზე დაკვირვება და იმის გამოვლენა, თუ რა სპეციფიკას გვთავაზობს

ეს მედია საშუალება. როგორც ცნობილია, ლინგვისტური სემიოტიკა მოიცავს არა მხოლოდ ტექსტებს არამედ ვიზუალურ, აუდიო ეფექტებსაც, რომელიც ერთად არის თავმოყრილი ფილმში. შესაბამისად, ვიკილეგო ამ უკანასკნელის როლსაც აუდიო-ვიზუალური თარგმანის დროს.

ნაშრომში განხილულია შემდეგი დუბლირებული ფილმები: ჯ.სუკორის “ჩემი მშვენიერი ლედი”, ე.პარნელის და ტ. მაკგრასის მულტფილმი “მადაგასკარი”, კ ჰენსონის ჰიპ-ჰოპ დრამა “8 მილი”; სუბტიტრებით შესრულებული შემდეგი ფილმები: თ.ბარტონის “ედი ვუდი” და პ.სფერის “ვეინის სამყარო” რომელიც “შაბათის შოუს” მიერ პაროდირებულ ტელეგადაცემას ეფუძნება.

პვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს ქმნის თარგმანის პრაგმატიკული თეორია მთელი თავისი აპარატით, მეთოდებითა და სტრატეგიებით.

**დისერტაციის სტრუქტურა:** ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავისაგან (თავი I-“პრაგმატიკული მთარგმნელი”, თავი II-“ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური გარიანტულობის მარკერების ტრანსპოზიცია მხატვრულ თარგმანში”, თავი III-“აუდიო-ვიზუალური თარგმანი”) და დასკვნისაგან. ნაშრომს დაერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა და სქემა, რომელიც ასახავს ეპოქის გავლენას ტრანსპოზიციული საშუალებების შერჩევისას მხატვრულ თარგმანში. გარდა ამისა, დანართი შეიცავს ორ ცხრილს, რომელზეც ასახულია, თუ რა სიხშირით გამოიყენება თითოეული მთარგმნელობითი საშუალება ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური გარიანტულობის ტრანსპოზიციისას ინგლისურიდან ქართულ როგორც მხატვრულ, ისე აუდიო-ვიზუალურ თარგმანში. სადისერტაციო ნაშრომი შეიცავს კომპიუტერული ტექსტის 190 გვერდს (გამოყენებული ლიტერატურის და დანართის ჩათვლით).

# თავი I

## 1. პრაგმატიკული მთარგმნელი

წინამდებარე ნაშრომში თარგმანს განვიხილავთ როგორც კომუნიკაციის სპეციალურ სახეობას, ენათაშორისი კომუნიკაციის აქტს და მისი ეპიზოდულების უპირველეს პირობად მივიჩნევთ ორიგინალის ტექსტისა და პრაგმატიკული ინტენციის შენარჩუნებას მეორადი კომუნიკაციის ტექსტში, რაც თავის მხრივ, მთარგმნელისაგან სხვადასხვა პრაგმატიკულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციების ცოდნასა და განხორციელებას მოითხოვს.

საინტერესოა, თუ რას გულისხმობს “პრაგმატიკული მთარგმნელი.”

თარგმანი, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა 1950-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა, თუმცა მთარგმნელები თარგმნის პროცესის შესახებ რამდენიმე ათასწლეულია წერენ. ჩვენს ცივილიზაციას აქვს თარგმნის საკითხებზე რამდენიმე თეორიული ნაწარმოები, რომელთაგან მ. მორინი განსაკუთრებული აღნიშვნის დირსად თვლის ლეონარდო ბრუნის *De interpretatione recta* (“წლის ინტერპრეტაციის უფლება”, რომელიც დაახლოებით 1420 წელს შეიქმნა), ა. ფრაიდლერ ტაიტლერის *Essey on the principle's of translation* (ესსე თარგმნის პრინციპების შესახებ) (1790) და ფ. შლაიმახერის *Über die verchiedenen Methoden die übersetzen.* (“თარგმანის სხვადასხვა მეთოდები” -1813). მიუხედავად ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობისა, მორინი მაინც აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილი ავტორები ძალიან ზოგადად მიმოიხილავდნენ თარგმანის ბუნებას, თარგმნის მეთოდებს და კარგი მთარგმნელისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. მოგვიანებით, 1950-60 წლებში კი ინფორმაციის თეორიის სფეროში მომუშავე მეცნიერებმა და ლინგვისტებმა მიზანმიმართულად დაიწყეს თარგმანის ფენომენის უფრო სისტემატიზირებული აღწერა. ისინი ცდილობდნენ მთარგმნელის საქმიანობიდან ყოველგვარი შემთხვევითობა გამოერიცხათ. მაშინ ახალი, სამანქანო თარგმანის ინტერესებიდან გამომდინარე, ლინგვისტები და კომპიუტერთან დაკავშირებული მეცნიერები ცდილობდნენ ცალსახად

განესაზღვრათ შემდეგი ტერმინები “ინგარიანტულობა” (ოეტინგერი), “ფორმალური შესატყვისობა” (კეთფორდი) ან “ეკვივალენტურობა ” (ნაიდა.) თანდათანობით ეს მეცნიერები მივიღნებ იმ დასკვნამდე, რომ თარგმანის პრობლემისთვის ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტა არ არსებობდა და ერთმანეთთან ახლოს მდგომი ენებიც კი მეტისმეტად ცვლადნი და ძნელად ხელშესავლებნი იყვნენ საბოლოო და სრული სისტემატიზირებისათვის.

1970 წელს გადატრიალება მოხდა თარგმანის შესწავლაში, რამაც თარგმანის თეორია და მეცნიერება “ თარგმანის სწავლებად” აქცია. ეს ტერმინი ჯ. ჰოლმსმა შემოიტანა. ჰოლმსის კვალდაკვალ, თარგმანით დაინტერესებულმა მეცნიერებმა დაიწყეს თარგმანის განიხილვა არა ნორმატიული ტერმინების მიხედვით, როგორც ამას ადრე ლინგვისტური სკოლა აკეთებდა, არამედ აღწერილობით ჭრილში და ეხლა უკვე თარგმნილ ტექსტებს განიხლავდნენ არა როგორც მიმღებ ტექსტებს (წყაროსთან მიმართებით), არამედ როგორც დამოუკიდებელ ნაწარმოებებს. (19,188: 70) ამ ახალი მიდგომის მომხრე მეცნიერები ეჭვეჭვეშ აყენებდნენ ისეთ ტერმინებს როგორიცაა “ სიზუსტე” და “ეკვივალენტურობა” ვინაიდან მიაჩნდათ, რომ ისინი არ იყვნენ მუდმივი და უნივერსალური, არამედ, მხოლოდ ისტორიულად განპირობებული. ამ პერიოდში თარგმანს აღიქვამდნენ როგორც გარკვეულ, ძალაუფლებრივ მანიპულაციას და არა უბრალოდ ერთი ტექსტის მეორეთი ჩანაცვლებას.

“თარგმანი, რა თქმა უნდა, საწყისი ტექსტის გადაწერაა. ყველანაირი გადაწერა, მიუხედავად მიზნისა, ასახავს გარკვეულ იდეოლოგიასა და პოეტიკას, და ამრიგად წარმართავს მოცემულ საზოგადოებაში ლიტერატურის კონკრეტული გზით ფუნქციონირებას. თარგმანი მანიპულაციაა ძალაუფლების სამსახურში და მისი პოზიტიურ ასპექტს შეუძლია ხელი შეუწყოს ლიტერატურის და საზოგადოების განვითარებას”. ( 7, წინასიტყვაობა)

ამ ახალმა ხედვამ ბიძგი მისცა უამრავი შრომის შექმნას აღწერილობით თარგმანში. ჰოლმის რევოლუციურ ნაშრომში აღწერილობითი თარგმანი, თარგმანის მხოლოდ ერთ განშტოებას წარმოადგენდა. მან პირველად განასხვავა ერთმანეთისაგან

“სუფთა” და “გამოყენებითი” თარგმანი. “სუფთა თარგმანი” შემდეგ დაიყო “აღწერილობით” და “თეორიულ” თარგმანად; აქვე აღიარეს, რომ გამოყენებითი იდეალური იქნებოდა ენის შემსწავლელთათვის, მასწავლებელთათვის და ყველაზე მეტად, მთარგმნელებისა და თარგმანის მასწავლებელთათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლმსთან თარგმანის თეორია მჭიდროდაა დაკავშირებული აღწერილობით თარგმანთან და მ. მორინი აღნიშნავს, რომ ბოლო ორი დეკადის განმავლობაში ყველაზე გავლენიანი თარგმანის თეორიები სწორედ აღწერილობითი იყო და არა “ქმედითი, ოპერატიული” და ეს შემთხვევითი არ არის; მეორე მხრივ, ავტორი მიიჩნევს, რომ ისეთი პრაქტიკული ქმედებისათვის, როგორიც თარგმანია, პრაქტიკაზე დაფუძნებული თეორიის არ არსებობა უხერხულია. ცნობილია, რომ აღწერილობითმა თარგმანმა ეჭვეჭვეშ დააყენა ისეთი ცნებები, როგორიცაა “სიზუსტე” და “ეკვივალენტურობა”, ხოლო თავად სანაცვლოდ ადეკვატური შემცვლელიც არ შემოუთავაზებია; როგორც კირსტენ მალკმაერი სამართლიანად აღნიშნავს (10, 63.), რომ ეკვივალენტურობაზე უარის თქმა თითქმის შეუძლებელია, რადგან წყარო ტექსტსა და მიღებულ პროდუქტს შორის გარკვეული კავშირი უნდა არსებობდეს, რომ ერთი მეორის თარგმანად მივიჩნიოთ და რომ განვასხვავოთ კარგად და არასწორად ნათარგმნი ტექსტი ერთმანეთისაგან. ამ მიზეზთა გამო მოხდა ისევ თარგმნის ლინგვისტურ თეორიასთან დაბრუნება, მაგრამ 1950-60 წლების ლინგვისტებისაგან განსხვავებით, ახალი ლინგვისტური თეორია უკვე ოპერატიულად დია და კონტექსტურია. (30, 33)

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ლინგვისტური თარგმანის თეორია პრაგმატიკული უნდა ყოფილიყო. პრაგმატიკის ყველა განმარტება კი ლინგვისტურ დაკვირვებებში კონტექსტის ჩართვას ითვალისწინებს. რა თქმა უნდა, თარგმანის ზოგადი თეორია მხოლოდ პრაგმატიკული ვერ იქნება. ეს არის თარგმნის პროცესის უმაღლესი საფეხური, რომელიც თავის თავში ფონეტიკას, სემანტიკას და სინტაქსაც მოიცავს.

ცხადია, პირველი გადაწყვეტილება, რომელსაც მთარგმნელი იღებს თარგმნის დაწყებისას, პრაგმატიკულია-იგი იღებს რამდენიმე გადაწყვეტილებას: მაგალითად,

მთარგმნელმა უნდა დააზუსტოს, რომელ უანრს ეკუთვნის წყარო ტექსტი, და გადაწყვიტოს, თარგმანიც იმავე უანრს უნდა ეკუთვნოდეს თუ არა), ასევე, მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, საჭიროების შემთხვევაში, მაგალითად, როგორ უნდა ითარგმნოს კონკრეტულ დიალექტზე დაწერილი ტექსტი, როგორ უნდა შეარჩიოს რეგისტრი, კოოპერაციის პრინციპთან მიმართება (ავტორი/მთხოვნელი/გმირი/არღვევს/ იკვლევს გრაისის მაქსიმებს თუ არა?), ლინგვისტური თავაზიანობის ფაქტორები (როგორია ურთიერთობა ავტორს/ნაგულისხმევ ავტორს /მთხოვნელს და მკითხველს/სავარაუდო მკითხველს შორის და რამდენად შესაძლებელია ყოველივე ამის თარგმანში გადმოცემა); გაითვალისწინოს კულტურული შესაბამისობა (როგორ უნდა შეესაბამებოდეს წყარო ტექსტი ან მისი რომელიმე კულტურულ-სპეციფიკური ნაწილი მიმდებ კულტურას?). ცხადია, ჩამოთვლილი პრობლემების გადაჭრის შემდეგ სხვა ლინგვისტური დონეები განიხილება: სემანტიკური, სინტაქსური და ფონეტიკური.

## 1. 2 თარგმანის სამი ფუნქცია

ლინგვისტიკაზე ორიენტირებულმა თარგმანის მეცნიერებამ გერმანიაში მძლავრად მოიკიდა ფეხი, ოდონდ, როგორც უკვე აღინიშნა, მოხდა მასთან ასოცირებული ეპივალენტურობის ახლებურად გააზრება. (32,14)

1960-70 წლებში გერმანელი მეცნიერები ცდილობდნენ თარგმანში გამოყენებული მეთოდები იმ ფუნქციებთან დაეკავშირებინათ, რაც შეიძლებოდა წყარო და თარგმნილ ტექსტებს ჰქონოდათ. ლინგვისტური მიდგომის ამ მიმართულებას ფუნქციონური ლინგვისტიკა ეწოდება. ამავე დროს ცდილობდნენ (პ. რაისი, პ. კოლერი პ. ნიუმარკი) ტექსტის ძირითადი ტიპების განსაზღვრას მათი უფრო გავრცელებული ფუნქციების მიხედვით. (30, 34)

პ. რაისმა გამოყო ტექსტის შემდეგი ტიპები: 1. “ინფორმატიული”- ფაქტების მექანიკური გადმოცემა ანუ “შინაარსზე კონცენტრირებული”, 2. “ექსპრესიული”- კრეატიული კომუნიკაცია, შინაარსის მხატვრულად გადმოცემა ანუ “ფორმაზე კონცენტრირებული” და 3. “ოპერატიული”- ტექსტი აღიქმება როგორც სტიმული მოქმედებისთვის /რეაქციისთვის, ანუ “ეფექტზე კონცენტრირებული. მოგვიანებით

ამ კლასიფიკაციას მეოთხე ტექსტის ტიპიც დაემატა- აუდიომედიალური-ფილმები, ზეპირი რეკლამები და ა. შ. რაისი სამართლიანად თვლის, რომ სხვადასხვა ტიპის ტექსტი განსხვავებულ მთარგმნელობით ხერხებს ითხოვდა. (38,176-179)

ტექსტის ამ მარტივი დაყოფისა და ტიპოლოგიის სპექტრი შემდგომში უფრო მრავალფეროვანი გახდა და უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ რაისიც განასხვავებდა ტექსტის ტიპებსა და ვარიანტებს (მაგ: რომანი, პოემა და ა. შ). ჰანს ვერმიერის “სკოპოს” თეორია, (“სკოპოს” ბერძნულად მიზანს ნიშნავს) ყურადღებას ამახვილებდა თარგმანის მიზანზე და იმ ფუნქციაზე, რომელსაც თარგმნილი ტექსტი ასრულებდა მიმღებ კულტურაში და რაც, შესაძლოა, განსხვავებული ყოფილიყო იმ ფუნქციისაგან, რომელიც საწყის ტექსტს თავის კულტურაში ჰქონდა. ვერნერ კოლერი კი ძირითად და დამატებით ფუნქციებს შორის (გამოყო ეკვივალენტურობის 5 ტიპი და რადგან ყველა მათგანის ერთდროულად მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, თარგმნისას მთარგმნელი თვითონ ირჩევს რა ტიპის ეკვივალენტურობის მიღწევა სურს საწყისი ტექსტის დომინანტური ფუნქციიდან გამომდინარე). (25, 129)

ჩამოთვლილი ფუნქციონალური თეორიები წარმოადგენდა ცდას, ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ენა და სამყარო, ტექსტი და კონტექსტი. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოოდ ყველა მკვლევრისათვის, რომელიც ამ მიმართულებით იკვლევდა ტექსტს, ფუნქცია და უანრი კონცეპტუალურად იდენტურ ტერმინებს წარმოადგენდნენ. მ. მორინი მიიჩნევს, რომ ტექსტის ძირითადი ფუნქცია ამით მაინც არ განისაზღვრება და თარგმანის პრაგმატიკულმა თეორიამ ის უფრო ფართოდ და სისტემატიზირებულად უნდა განიხილოს. ტექსტის პრაგმატიკა უნდა მოიცავდეს პასუხებს შემდეგ კითხვებზე: სად და როდის, ხალხთან ურთიერთობის ტიპს, რას აკეთებს ან რის გაკეთებას ცდილობს ტექსტი, ანუ რა არის მისი ინტენცია, მიზანი.

ზემოთნახსენები სამწევრა დაყოფით კი სამი მეტატექსტური კატეგორია გამოიყოფა, ანუ, სამი ფუნქცია: ”ლოკაციური”, ”ინტერპერსონალური” და ”პერფორმატიული”. (30, 35). განვიხილავთ თითოეულს ცალცალკე.

### 1.3 ტექსტის პერფომატიული ფუნქცია

1955 წელს ჯ. და ოსტინმა აღნიშნა, რომ თითოეულ მეტყველების აქტს აქვს ლოკუ-ციური შინაარსი, გააჩნია ილოგუციური ძალა და პერლოგუციური ეფექტი- ხების-მიერ ნათქვამი მიზნად ისახავს რაიმე კონკრეტულ მიზანს და ხშირად მას აღწევს კიდევ. არ არის აუცილებელი განზრახული მიზანი და მიღწეული შედეგი ერთმანეთს ემთხვეოდეს. შესაბამისიად, თანამედროვე სამეტყველო აქტების თეორიაში აქტის ანალიზი გულისხმობს გამონათქვამისადმი სამწევრა მიღგომას, რომლის მიხედვითაც წინადადების წარმოთქმისას მთქმელი ვერბალურ ქმედებას ახორციელებს, რასაც ლოკუციური აქტი ეწოდება, მის კომუნიკაციურ დირექტულებას-ილოგუციური ძალა, ხოლო იმას, თუ რა ეფექტს მოახდენს ის მსმენელზე- პერლოგუციური ეფექტი. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის დაკვირვება, ძირითადად, ზეპირი მეტყველებითა და წინადადებით შემოიფარგლებოდა, თუმცა პერფორმატიული აქტის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო პირობების ანალიზი აჩვენებდა, რომ რაღაც კავშირი არსებობდა ცალკეულ წინადადებას, უშუალო კონტექსტსა და სიტუაციურ კონტექსტს შორის. (30, 36)

რაც შევხება ტექსტის მიზნობრივ, პერფორმატიულ დირექტულებას, ის მრავალნაირად იქნა განმარტებული ტექსტის ლინგვისტებისა და პრაგმატიკოსების მიერ. ტექსტის ლინგვისტები საუბრობდნენ მის “მიზნობრივ” განზომილებაზე, რომლის თვისებასაც შეადგენს მიაღწიოს მკითხველს და მოახდინოს მასზე ზეგავლენა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც ტექსტი გამოქვეყნდება, ანუ შესრულდება “ტექსტის აქტი”, მას გააჩნია ილოგუციური ძალა და ახორციელებს კონკრეტულ პერლოგუციურ ფუნქციას. (17,73)

პრაგმატიკული თეორია, რა თქმა უნდა, “ტექსტის აქტების” გარეშე ვერ იარსებებს, რადგან მთარგმნელები და თეორეტიკოსები უნდა დაუკვირდნენ ტექსტის მისაღწევ და რეალურ შედეგებს, რათა თავიდან შექმნას ან გაანალიზონ უკვე შექმნილი ტექსტი. თუ მთარგმნელის მიზანია შექმნას თარგმანში ის, “რასაც ორიგინალი აკეთებს და აღწევს წყარო ენაში”, მაშინ მან უნდა თარგმნოს “ტექსტის აქტი” და არა უბრალოდ ტექსტი. აქ აუცილებელია ილოგუციური ძალა და პერლოგუციური

ეფექტის გარჩევა. ადსანიშნავია, რომ მთარგმნელისათვის ტექსტში არსებული და გამოხატული ილოკუციური ძალა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პერლოკუციური ეფექტი. წარსულში ბევრი მთარგმნელი და ენათმეცნიერი საუბრობდა “ეფექტის ეკვივალენტურობაზე, “წყარო ტექსტის მსგავსი ეფექტის მიღწევაზე თარგმანში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია რეალური ეფექტის წინასწარ განსაზღვრა, წყარო ტექსტის გაანალიზება შეიძლება “პოტენციური საზომით” რომელსაც ის შეიცავს, ანუ მისი ილოკუციური ძალით. (30,37)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრაგმატიკულ დონეზე ტექსტის ანალიზი ეყრდნობა მთარგმნელის მიერ უფრო დაბალ დონეზე განხორციელებულ არჩევანს, თუმცა თარგმანში წყარო ტექსტის ზუსტი პრაგმატიკული ასლის შექმნა შეუძლებელია, ვინაიდან კონტექსტიც ისევე განსხვავდება, როგორც ფონემები, მორფემები და სინტაქსური კონსტრუქციები- სხვადასხვა ენის სისტემებში კოდირებული პრაგმატიკული ძალები არასდროს არის თანაბარი, სრულად ეკვივალენტური, თუმცა მონათესავე ენებში დიდი მსგავსების მიღწევა მაინც შესაძლებელია.

აქედან გამომდინარე, პრაგმატიკული განუსაზღვრელობა თან სდევს ყოველგვარ თარგმანს. ზოგჯერ მთარგმნელი ცდილობს “შეუმჩნეველი დარჩეს”, რათა წყარო ენასთან რაც შეიძლება მიახლოვებული თარგმანი წარმოადგინოს. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, თარგმანი მაინც საწყისი ტექსტის ერთგვარ “გადაწერას” წარმოადგენს და მაშინაც კი, როდესაც მთარგმნელი არ ცდილობს თავისი იდეოლოგია მოახვიოს თავს მიმდებ ტექსტს, ეს უკანასკნელი მის ნაშრომში მაინც ჩანს. მოცემული საზოგადოება და სინამდვილე კარნახობს მას, თუ რა გააკეთოს და ეს, გარკვეულწილად, განაპირობებს მის არჩევანს. ამიტომაც პერფორმატიკული ფუნქცია, თუმცა თავდაპირველ კლასიფიკაციაში პირველ ადგილის არ დგას, ლოგიკურად მაინც წინ უსწრებს ინტერპერსონალურ და ლოკუციურ ფუნქციებს თარგმანის თეორიაშიც და მის პრაქტიკაშიც. რაც ნიშნავს, რომ მთარგმნელმა ჯერ უნდა გაიაზროს საწყისი ტექსტი და შემდეგ სწორედ ეს გააზრება (და მისი ხარისხი) განაპირობებს მის საბოლოო არჩევანს თარგმანის პროცესში.

## 1. 4 ინტერპერსონალური ფუნქცია: თავაზიანობა, კოოპერაცია და ინტერესი

ტექსტი სამყაროზე გავლენას მკითხველის საშუალებით ახდენს. ბიტექსტის, (ტერმინი მ. მორინიმ პ. ჰარისის განმარტებიდან აიღო, რომლის მიხედვითაც “ბი-ტექსტი” ორი ტექსტი კი არ არის, არამედ ერთი ორგანზომილებიანი, ორწევრა ერთეულია, რომლის თითოეულ განზომილებასაც ენა და ენობრივი ერთეული წარმოადგენს. მორინი ამ ტერმინს იყენებს ორმაგი ერთეულის აღსანიშნავად, რომელიც აერთიანებს წყარო და მიმდებ ტექსტებს, ასევე გამოხატავს მათ შორის ურთიერთობასაც და აღნიშნავს, რომ ხანდახან შესაძლებელია წყარო ან მიმდები ტექსტის ცალ-ცალკე აღნიშნავს. (ჩვენც ამ მნიშვნელობით ვიყენებთ მას). თარგმნის მიზნით ტექსტის პრაგმატიკული აღწერისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ რა მიმართებაშია იგი წყარო და მიმდები ენის მკითხველთან.

1970 წლებიდან, პრაგმატიკიდან განვითარებული კომუნიკაციის ყველა თეორია მიზნად ისახავდა განევრცო ლინგვისტიკის “კოდის მოდელი,” რომლის მიხედვითაც მესიჯი კოდირებულია და გამგზავნელის მიერ კონკრეტული არხით გვზავნება მსმენელს თუ მკითხველს. თუმცა ეს მოდელი აღწერს ლინგვისტური მესიჯის გაგზავნის არსეს, იგი არ ხსნის, თუ როგორ ახერხებს დეკოდერი კონტექსტური ინფორმაციის, რომელიც ხშირად არაზუსტია, მესიჯის გასაშიფრად გამოყენებას. გრაისმა პირველმა გააფართოვა კოდის მოდელი, რადგანაც შენიშნა, რომ ყველა მოსაუბრე ინტუიციურად გრძნობს, აღიარებს და ეყრდნობა “კოოპერაციის პრინციპს”, რომლის შემადგენელ მაქსიმებსაც (რაოდენობა, ხარისხი, რელევანტურობა ანუ მიმართება და მანერა) იგი ეყრდნობა, იყენებს თუ არაფრად აგდებს.

რა თქმა უნდა, ინფორმაცია, მესიჯი, რასაც ტექსტი გადასცემს მკითხველს, პირველ რიგში, სემანტიკურია, მაგრამ ის, თუ როგორ გადასცემს იგი მასბალანსი გამოხატულ და ნაგულისხმევ ინფორმაციას შორის, ურთიერთობა, მიმართება ტექსტსა და მკითხველს შორის, აუცილებლად პრაგმატიკული იქნება.

დიალოგი ტექსტსა და მკითხველს შორის სხვადასხვანაირად იგება, მყარდება და განსხვავდება თანამშრომლობის (კოოპერაციის) სტილითა და ლინგვისტური

თავაზიანობის ხარისხით: კულტურის, ჟანრის, ინდივიდუალური პიროვნების მიხედვით. ტექსტი მკითხველს მიმართავს პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით. მაგალითად, რეკლამა პირდაპირ მიმართავს მკითხველს და ცდილობს მის გადმობირებას, სამეცნიერო ნაშრომი შედარებით იმპერსონალურია, თუმცა არ გამორიცხავს ტექსტსა და მკითხველს შორის ურთიერთქმედებას, ხოლო მხატვრულ ნაწარმოებში, რამდენიმე გამოგონილი ფიგურა (მაგ: ავტორი, მთხოვობელი, პოეტური პერსონაჟი და მონათხოვობი) შეაღებულ მდგომარეობას იკავებს ტექსტს, მის ავტორსა და მკითხველს შორის.

ტექსტსა და მკითხველს შორის ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევებით არ შემოიფარგლება, როდესაც მკითხველს უშუალოდ, ექსპლიციტურად ახსენებენ ან მიმართავენ. მკითხველი ყველა ტიპის ტექსტშია და იგულისხმება, რადგანაც ყველა ტექსტის მიზანია კონტაქტი დაამყაროს მკითხველთან. ურთიერთობის ხარისხს კი იმის მიხედვით განარჩევენ, თუ როგორ ამბობს ტექსტი სათქმელს, როგორია თანააფრდობა ექსპლიციტურ და იმპლიციტურ ინფორმაციას შორის, როგორ განირჩევა მთავარი აზრი მეორეხარისხოვანი დეტალებისაგან და, ზოგადად, როგორი თანმიმდევრობით არის ინფორმაცია წარმოდგენილი. მაგალითად, სამეცნიერო სტატიაში აბსტრაქტი აჯამებს მთავარ არგუმენტებს ან პიპოთეზებს, მაშინ როცა დეტაქტიურ მოთხოვობაში უმნიშვნელოვანესი დეტალები კვანძის გახსნამდე დაფარულია. უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობა და თავაზიანობა სხვადასხვანაირად მოქმედებს მკითხველზე და არც ერთი მკითხველი ერთნაირად ჩართული არ იქნება ტექსტში: როცა ტექსტი აშკარად ექსპლიციტურია, ჩართულობაც მეტია, მაგრამ, მეორე მხრივ, ვიდაც შეიძლება გააღიზიანოს მეტისმეტმა სიხცადემ და “ზედაპირულობამ”. თეორიულად ითვლება, რომ სიცხადეს დადებითი შეფასება უნდა ჰქონდეს ვიდრე იმპლიციტურ ინფორმაციას, თუმცა ყველა ადამიანის მიერ ეს ერთნაირად არ აღიქმება. (30, 42)

თანამშრომლობის, თავაზიანობისა და ინტერესის ამ შესაფარზე მოქმედებს პრაგმატიკული მთარგმნელი და, ამდენად, მას სჭირდება იმ ნორმების კარგი ცოდნა, რაც თანამშრომლობასა და თავაზიანობას არეგულირებს სხვადასხვა კულტურაში. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სრულყოფილი “ინტერპერსონალური”

ეკვივალენტურობის მიღწევა შეუძლებელია, თუ კულტურები ერთმანეთს არ ჰგვანან როგორც ექსპლიციტურად ისე იმპლიციტურად, რადგანაც ენათაშორისი განსხვავებების გარდა, თარგმანი კომუნიკაციისას თანამშრომლობისა და თავაზიანობის საკუთარ ნორმებსაც ამჟღავნებს.

ენათმეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მთარგმნელები ზოგადად ცდილობენ გაამარტივონ, მეტი სიცხადე შეიტანონ და უფრო ექსპლიციტური გახადონ წყარო ტექსტი. (42.1995) სავარაუდოდ, ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ მთარგმნელები მაინც აღიქმებიან როგორც წყარო ტექსტის ინფორმაციის მომწოდებლები და, სშირად წყარო ტექსტში არსებული უცნაური გამოთქმები მთარგმნელს მიეწერება და არა წყარო ტექსტის ავტორს, ვინაიდან თარგმანი სანდოდ რომ ჩაითვალოს და მიანიჭონ ორიგინალის ასლის ‘ტიტული’, ის თავისუფლად უნდა იკითხებოდეს. (42. 1995) თუ ზოგიერთ შემთხვევაში გამარტივება მისაღებია, სხვა შემთხვევებში ის ტექსტის დამახინჯების ტოლფასი შეიძლება იყოს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თარგმანებში მეტად და უკეთესადაა თანამშრომლობისა და თავაზიანობის პრინციპი დაცული, ვიდრე წყარო ტექსტებში.

## 1. 5 ლოკატიური ფუნცია პრაგმატიკულ თარგმანში

ტექსტი ჩვეულებრივ დროსა და სივრცეში არსებობს. თარგმანის დროს, როდესაც ბი-ტექსტი იქმნება, მისი ლოკატიური ფუნქცია უცვლელი ვერ დარჩება, რადგან ამ დროს, გადადის რა განსხვავებულ დროით, სივრცით და ტექსტუალურ პლანში, თარგმანის ტექსტი იძენს, აცოცხლებს და ქმნის ახალ კონტექსტებს, რომლებიც მის ახლებურად ქმედებას და განსხვავებული კომუნიკაციის უნარს განაპირობებენ. მაგალითად “ბევრულფის” თარგმნისას რომელიმე ენაზე, საწყისი და თარგმნილ ტექსტს შორის დროის განსხვავების იგნორირება ხდება. თარგმნისას მთარგმნელმა უნდა გადაწყვიტოს, რა სურს: “ისტორიული” თუ “თანამედროვე” სტილის თარგმანი. იგივე შეიძლება ითქვას მხატვრული და რეალური სივრცის შესახებაც.

რაც შეეხება აუდიო-ვიზუალურ თარგმანს, ამ ტიპის თარგმანზე საუბრის დროს მორინი მიიჩნევს, რომ კომედიური ფილმების ან მულტფილმების თარგმნისას,

განსაკუთრებით თუ გახმოვანებაზეა საუბარი, სადაც ისეთი ტიპის “მოშინაურების”, “ახლობლობის” უფექტის შექმნაა საჭირო, რომელსაც მაყურებელი უმალ, დაყოვნების გარეშე აღიქვამს, პროდუქტის პერფომატიული ფუნქციის-იუმორის-შესანარჩუნებლად მთარგმნელს სხვადასხვა მოდიფიკაციების განხორციელება უხდება, მათ შორის ტექსტის ლოკაციური ფუნქციისაც. მაგალითად, თუ საწყის ტექსტში ენის ვარიანტულობის სხვადასხვა ასპექტები გამოიყენება, მიმდებ ტექსტშიც შესაბამისი სახესხვაობები უნდა გამოიყენებოდეს, მსგავსი უფექტის მისაღწევად. მაგალითად, თუ საწყის ტექსტში მითითება რაღაც კულტურულად სპეციფიკურ ელემენტების ხდება, შესაბამისად, მიმდებ ტექსტში ეს ალუზია აღეკვატური და ეკვივალენტური ერთეულით იქნება ჩანაცვლებული. (ამ მოვლენას, უფრო დაწვრილებით თემის მესამე ნაწილში შევეხებით-თ. 6). აქვე მ. მორინი იმასაც აღნიშნავს, რომ ასეთი მოდიფიკაციების განხორციელებისას ტექსტის ინტერპერსონალური ფუნქცია აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან ამან შეიძლება უკუაფექტი გამოიწვიოს და ტექსტის პერფომატიული ფუნქციაც შეცვალოს, რაც მაყურებელსა თუ მკითხველს დააბნევს და არასასურველ შეეგამდე მიგვიყვანს. მაგალითად, ზოგიერთი მაყურებლისთვის შეიძლება სულერთი იყოს, რომ იტალიურად დუბლირებულ ფილმში ორი აფრიკელი ნეაპოლიტანური აქცენტით საუბრობს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე ვერ იქნება და ამიტომ მიმღები აუდიტორიის რეაქციის გათვალისწინება აუცილებელია ლოკაციური მოდიფიკაციების განხორციელებისას. მეტი სიზუსტისთვის კი მიზან-შეწონილი იქნება მაყურებელთა გამოკითხვების სტატიკური მონაცემების გამოყენება. (31,4)

უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, თარგმანის პრაგმატიკა მრავალასპექტოვანია და მასში თავს იყრის როგორც ენობრივი, ისე გარეენობრივი ფაქტორები. პირველს უკავშირდება მთარგმნელის ის ენობრივი ძიებანი, რომლებშიც საწყისი შეტყობინების ძირითადი მნიშვნელობა უნდა იყოს განფენილი და მისი ფუნქციური დომინანტები წარმოჩნილი. ყოველივე ეს კი მიმღები ენის ისეთ ერთეულთა აქტივიზაციას მოითხოვს, რომლებიც, ერთის მხრივ, შესაბამისობაში იქნება წყარო-ტექსტით დაპროგრამირებულ ფუნქციურ დომინანტებთან და, მეორე მხრივ, მიმღები ენის

რეცეპტორულ შესაძლებლობებთან. რთულია რეკლამის თარგმანი. მაგალითად, კოკა-კოლას სახელი თავდაპირველად ჩინურად უდერდა როგორც “Kekoukela” რაც ნიშნავს “უბიჩე ცვილის გომბეშოს” ან “ცვილით გატენილ დედალ ცხენს”. რასაც თავისთავად დადგებითი და საერთოდ პროდუქტთან შესაფერისი ასოციაცია ვერ ექნებოდა. ამიტომ კოკა-კოლამ 40.4000 იეროგლიფი გამოიკვლია, რომ ფონეტიკური ეკვივალენტისთვის მიეგნო, ეს იყო “Kokou kole”- “ბედნიერება პირში”.

ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ რ. კიბლინგის ზღაპრების ქართულ ენაზე თარგმანი, სადაც ფორმალურ ნიშანთა წინაპლანზე წამოწევა ორიგინალის ფუნქციონალური დომინანტებით არის განპირობებული. ქვემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ერთმანეთში გარითმული ზღვის ბინადართა სახელები, თარგმანის ტექსტში დენოტაციური მნიშვნელობით სრულიად არ ემთხვევა ორიგინალის წყვილებს.

“In the sea once upon a time, O, my Best beloved, there was a Whale and he ate fishes. He ate the starfish and the garfish, and the carb and the dab, and the plaice and the daice, and the skate and his mate, and the mackereel and the pickereel, and really trully twirly-whirly eel. All the fishes he could find in all seas he ate with his mouth-so” ! (64, 11-30)

“იყო და არა იყო რა, ჩემო საყვარელო, იყო ერთი ვეშაპი, რომელიც ზღვაში ცხოვ-რობდა და ზღვის ბინადრებით იტკბარუნებდა პირს. ყოველ ციხმარე დღეს მიირთ-მევდა ქამბალებსა და ზღვის ვარსკვლავებს, კიბოებსა და კიბორჩხალებს, ქორფა ქარიყლაპიებს, ქაშაყებს და ქაფშიებს, სკაროსებს და სკუმბრიებს, დიდ მედუზებს სუსხიებს, მფრინავ თევზებს პრანჭიებს და გველთევზებს კლაკნიებს. მოკლედ, ყოველ სულიერს, რომელსაც კი გადააწყდებოდა, უმალვე სტომაქში გადაუძახებდა ხოლმე, ყლუპ, აი ასე! (54, 25).

მთარგმნელის პრაგმატიკულმა მიზანმიმართებამ, მოქნახა თრიგინალის ფუნქციონა-ლური ანალოგები, თარგმანის ენაში არაერთი ცვლილება გამოიწვია: შეწყვილე-ბული თანაბარმარცვლიანი სიტყვებით შექმნილი რიტმის ეფექტი კომპენსირებულია ამ სიტყვებზე თანაბარმარცვლიანი მსაზღვრელების დამატებით (პრანჭიებს, კლაკ-ნიებს, სუსხიებს). ალიტერაციით გაწყობილი ელემენტებიც მუსიკალურობას მატე-

ბენ ნაწყვეტს (ქაშაყებს, ქაფშიებს, ქორფა ქარიყლაპიებს). საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თარგმანის პრაგმატიკა ის სისტემაა, რომელიც არეგულირებს ერთი ენის კოდებში გამოხატული შეტყობინების მეორე ენაზე კოდიფიცირების პროცესს, ამყარებს წონასწორობას საწყისი შეტყობინებისა და მეორადი შეტყობინების კომუნიკაციურ ეფექტს შორის და წარმართავს ტექსტის შინაგანი მოდიფიკაციის პროცესებს მისი მიმღები ენის სისტემისა და მიმღები კულტურის ფაქტორების მკაცრი გათვალისწინებით. (4, 30)

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ თარგმანის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ეკვივალენტურობა ძირითადი მოთხოვნაა განურჩევლად თარგმანის ჟანრობრივი სახეობისა და შესრულების ფორმისა.

რაც შეეხება მხატვრულ თარგმანს, უნდა აღინიშნოს, რომ ის სხვა სახის თარგმანისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ პრაგმატიკულ მიზანს ფორმალურ-ესთეტიკური ეკვივალენტურობის მიღწევა წარმოადგენს. ეს მიზანი ხშირად ექსპრესიული ერთეულების გამოყენებით მიღწევა. მხატვრულ თარგმანში, ერთის მხრივ, საინტერესოა ავტორის სამწერლო სტილი, რაც ენობრივი ნიშნებისადმი სუბიექტურ დამოკიდებულებაშიც ვლინდება და ასევე პერსონაჟთა მეტყველება, განფენილი დიალოგებსა და მონოლოგებში. განსაკუთრებით საინტერესოა ის შემთხვევები, სადაც ავტორს თხრობა პერსონაჟისთვის აქვს მინდობილი. მაგალითად; ჯ. სელინჯერის 1951 წელს გამოქვეყნებული რომანი “თამაში ჭვავის ყანაში”, როგორც ცნობილია, გახლავთ 16 წლის ყმაწვილის, ჰოლდენის, პირველ პირში რეტროსპექტული თხრობა. მთავარი გმირის მეტყველება ერთდროულად ტიპიურიც არის, შეიცავს 50 წლების ახალგაზრდების “სლენგს”, და უნიკალურიც, რადგანაც მისი ინდივიდუალური სტილისთვის მოკლე, წყვეტილი წინადაღებებია დამახასიათებელი. შეიძლება ითქვას, რომ რომანის ზოგადი ტონი ძალზე სასაუბრო რეგისტრს შეიძლება მივაკუთვნოთ. სწორედ ამ თავისებურების გამო განვიხილავთ ამ რომანს ნაშრომის მეორე ნაწილში.

## 1. 6. ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური გარიანტულობა

როგორც ვიცით, ენის უპირველესი დანიშნულება ადამიანებს შორის კომუნიკაციის დამყარებაა, ანუ სოციალური ფუნქცია და ამიტომ თარგმანიც, როგორც ენათშორისი და კულტურათაშორისი კომუნიკაციის აქტი, მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციოლინგვისტიკასთან.

ენის სოციალური გარიანტულობის თარგმანში ტრანსპოზიციით წარმოდგენა გვექმნება უცხოენოვანი საზოგადოების სოციალურ წყობაზე, მათი ცხოვრების წესზე, განსხვავებულ სოციალურ სიტუაციებში და ადამიანთა ურთიერთობებში სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკაზე და სხვა მრავალ ფაქტორზე. სხვადასხვა სოციოლინგვისტური ასპექტებიდან კი თარგმანისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენისა და პიროვნების სოციოლოგიის კავშირის ისეთი გამოვლინებები, რომელთაც თარგმანობრივი ტრადიციულად “უთარგმნელ ელემენტთა” სტატუსი აქვთ მინიჭებული. 6. საყვარელიძე, “თარგმანის თეორიის საკითხებში”, რომელიც ზოგადად იკვლევს თარგმანის სხვადასხვა საკითხებს, ნაწილობრივ ამ საკითხსაც ეხება. (4, 180) წინამდებარე შრომაშიც სწორედ ამ საკითხის განვიხილავთ, კერძოდ, ამ მიმართებით, გვაინტერესებს მხატვრულ ნაწარმოებების პერსონაჟთა და ასევე ფილმების გმირებს მეტყველებაში განვითარებილი ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური მარკერების ტრანსპოზიციის პარამეტრები და თავისებურებები ქართულ თარგმანში. ე.წ უთარგმნელთა კატეგორიას კი მიეკუთვნება ენის სუბსტანდარტული ფორმები, რომლებიც უპირისპირდებიან პრესტიულ სალიტერატურო ენის ფორმებს. ენის სუბსტანდარტული ფორმებია: სოციალური ჟარგონი, პროფესიონალიზმები, დიალექტიზმები, მდაბიური მეტყველება და ყოველივე ის, რაც შეიძლება ენის ნორმათა დარღვევად ჩაითვალოს. თუმცადა ს. ვლახოვი და ს. ფლორინი თვლიან, რომ ამ სპეციფიურ ენობრივ ფორმებს, რომლებიც სალიტერატურო ენის ნორმებს არ ემორჩილებიან, მაინც ახასიათებთ გარკვეული კანონზომიერება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მათი ტიპიზაცია და თუკი მათ მაინც განვიხილავთ სალიტერატურო ენის ნორმათა თვალსაზრისით, მაშინ უფრო მართებული იქნებოდა გველაპარაკა არა ნორმათა დარღვევაზე, არამედ ნორმიდან გადახრაზე.

ნორმებიდან გადახრის შემთხვევებში კი ეს ავტორები გამოჰყოფენ ამ ფენომენის ორ ძირითად სახეობას; პირველ კატეგორიას მიეკუთვნებიან კოლექტიური ხასიათის გადახრები ანუ არასალიტერატურო მეტყველების ისეთი გამოვლინებები, რომლებიც მრავალრიცხვანი კოლექტივისთვისაა დამახასიათებელი მაგ: უარგონიზმები, არგო და ა.შ. გარდა ამისა, აქ გვხდება მეორე ენის მოხმარების ისეთი არანორმატიული შემთხვევები, რომლებიც ასევე მრავალრიცხვანი ინდივიდუებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ისინი არ არიან გაერთიანებული არც საერთო საქმიანობით და არც ინტერესებით. კერძოდ, მხედველობაში გვაჩვის უცხოელთა მეტყველება და ბავშვთა მეტყველება. სოციოლინგვისტიკის ცნებებისა და ტერმინების გათვალისწინებით კი ყველა ის ენობრივი ფორმა, რომელშიც დასტურდება სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრა, ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის სოციო-ლინგვისტურ კატეგორიაში უნდა გავაერთიანოთ. ენის სუბსტანდარტულ ფორმებში ცალკე ჯგუფად გამოიყოფა ლოკალურ-დიალექტური ვარიანტულობა (დიალექტები), რომლებიც ასევე უთარგმნელ ელემენტებად უნდა მივიჩნიოთ. (4, 183) მნიშვნელოვანია აგრეთვე არამშობლიური ენის ნორმებს ცუდად დაუფლებული უცხოელისა და ბავშვის მეტყველება, რომელთაც საკუთარი ენობრივი ლოგიკა და ნორმები და ანალოგიზაცია ახასიათებთ, თარგმანის ეკვივალენტობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე სიტუაციური ვარიანტულობის ანალოგიზაციასაც, რომელშიც ვგულისხმობთ ისეთ ენობრივი მოვლენებს, რომლებიც ურთიერთობაში უშუალოდ კომუნიკანტთა სოციალურ როლებთან და სოციალური სიტუაციის ცვლასთან არის დაკავშირებული. ვინაიდან ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერები ხშირად თავს იჩენს მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟთა მეტყველებაში, ხოლო გმირთა სამეტყველო პორტრეტები კი, ხშირ შემთხვევაში, ტექსტის ერთ-ერთი ძირითად ფორმალურ მახასიათებელს წარმოადგენს, მხატვრულ თარგმანში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რამდენად მოახერხებს მთარგმნელი იმ ფორმალურ ნიშანთა განმეორებას, რომლებიც ქმნიან სტილს, და რომლებშიც ჩანს ავტორის მხატვრული აზროვნება, მისი დამოკიდებულება ენობრივ ნიშნებთან თარგმანის ტექსტში. მხატვრული თარგმანის ერთ-ერთი დანიშნულებაა მკითხველზე ესთეტიურ-ემოციური ზემოქმედების

მოხდენა, ამიტომ ამ ფორმალური მახასიათებლების გაუფერულება თარგმანში კომუნიკაციური უფექტის გაუფასურების ტოლფასია.

სანამ კონკრეტულად მასალის პელეგაზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით გვინდა შევჩერდეთ თარგმანის მეთოდებსა და ხერხებზე. ნიუმარკი მათ შემდეგნაირად განასხვავებს, “თარგმანის მეთოდები მთლიან ტექსტს მოიცავს, ხოლო ხერხი კი წინადადებას ან ენის უფრო მცირე ერთეულებს.” (33,81). ავტორი გამოყოფს თარგმანის 8 მეთოდსა და 15 ხერხს. მისი კლასიფიკაციით თარგმანის მეთოდებია:

1. სიტყვა-სიტყვითი თარგმანი.
2. პირდაპირი თარგმანი.
3. ზუსტი თარგმანი
4. სემანტიკური
5. ადაპტაცია
6. თავისუფალი თარგმანი
7. იდიომატური თარგმანი
8. კომუნიკაციური თარგმანი.

რაც შეეხება თარგმანის ხერხებს, ისინი შემდეგნაირად იყოფა:

1. გადაცემა, გადატანა-აქ შედის ტრანსლიტერაცია, რაც საწყისი ენიდან მიმღებ ენაში სიტყვის პირდაპირ გადატანას გულისხმობს.
2. ნატურალიზაცია-ის საწყისი ენის სიტყვის, ჯერ ფონოლოგიურ და შემდეგ მორფოლოგიურ ადაპტაციას გულისხმობს მიმღებ ენასთან.
3. კულტურული ეპივალენტი- წყარო ენის კულტურული სიტყვის მიმღები ენის კულტურული ერთეულით შეცვლას გულისხმობს.
4. ფუნქციური ეპივალენტი-კულტურულად ნეიტრალური სიტყვის გამოყენებას მოითხოვს.
5. ადწერილობითი ეპივალენტი- გულისხმობს წყარო ენის სიტყვის მიმღებ ენაში რამდენიმე სიტყვით დესკრიპციულ განმარტებას.
6. კომპონენტური ანალიზი-წყარო ენის სიტყვას მიმღები ენის სიტყვას ადარებს, მაგრამ მისი ზუსტი ეპივალენტი არ არის და ჯერ მნიშვნელობებში მსგავსების, ხოლო შემდეგ განსხვავებების დემონსტრირებას ახდენს.

7. **სინონიმია-** წყარო ენის სიტყვის უკელაზე ახლოს მდგომი ეპიფალენტი მიმღებ ენაში.
  8. **გამჭოლი თარგმანი-გავრცელებული** კოლოკაციების პირდაპირი თარგმანი-კალკირება.
  9. **გადაადგილება-** მიმღები ენის გრამატიკულ ფორმებსა და კატეგორიებში ცვლილება. მაგალითად, საწყისი ენის ზმნა მიმღებ ენაში შეიძლება არსებითი სახელით გადმოვიდეს.
  10. **მოდულაცია-როდესაც** საწყისი ტექსტის შეტყობინება მიმღები ენის სტრუქტურის გათვალისწინებით არის გადმოცემული.
  11. **ცნობილი თარგმანი-როდესაც** მთარგმნელი რომელიმე ტერმინის თარგმნისას ოფიციალურად აღიარებულ მნიშვნელობას იყენება.
  12. **კომპენსაცია-როდესაც** წინადადების რადაც ნაწილის მნიშვნელობის დაკარგვა, ტექტის სხვა მონაკვეთში გადმოიცემა.
  13. **პერიფრაზი-სიტყვის** მნიშვნელობა ახსნილია, აღწერილობით თარგმანზე უფრო დაწვრილებითია.
  14. **კუპლეტები-როდესაც** მთარგმნელი ორ სხვადასხვა ხერხს ერთდროულად იყენებს.
  15. **შენიშვნები-თარგმანისას** დამატებითი ინფორმაციის მიწოდება.
- ნ. საყვარელიძეს თარგმანის მეთოდები და ხერხები თუმცა არ აქვს გამოყოფილი, თავის წიგნში “თარგმანის თეორიული საფუძვლები” სხვადასხვა მასალის განხილვისას თარგმანის ხერხებს ნიუმარკისგან რამდენადმე განსხვავებული ტერმინებით განიხილავს და წინამდებარე ნაშრომში, ჩვენც მის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ. მაგალითად, ნეიტრალური თარგმანი-ფუნქციური ეპიფალენტის ნაცვლად, ეფექტის გადაადგილება კომპენსაციის ნაცვლად.
- როგორც უკვე აღვნიშნეთ, თარგმანს განვიხილავთ როგორც კომუნიკაციის სპეციფიკურ სახეობას-ენათაშორისი კომუნიკაციის აქტს და ამიტომ მისი ეპიფალენტურობის უპირველეს პირობად მივიჩნევთ ორიგინალის ტექსტის კომუნიკაციური ინტენციისა და კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნებას მეორადი კომუნიკაციის ტექსტში, რაც თავის მხრივ, მთარგმნელისაგან მოითხოვს სხვადასხვა პრაგმატიკულ-ფუნქციონალური მოდიფიკაციების განხორციელებას და

აგრეთვე, მეორადი ადრესატის ფაქტორის, მისი გარეენობრივი გამოცდილების მკაცრ გათვალისწინებასაც.

წინამდებარე ნაშრომში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიმოვინილავთ მხატვრულ ნაწარმოებებსა და ასევე ფილმების ინგლისურიდან ქართული თარგმანის შეძლებისდაგვარად ორივე სახეობას: დუბლირებასა და სუბტიტრებს, სადაც პერსონაჟთა მეტყველება დატვირთულია ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერებით და გამოვიკვლევთ, თუ როგორ ხდება მათი ტრანსპოზიცია ქართულ თარგმანში, რა სახის პრაგმატიკულ-ფუნქციონალურ მოდიფიკაციებს მიმართავს მთარგმნელი, რა ფაქტორები განაპირობებენ მის არჩევანს და რამდენად არის შენარჩუნებული კომუნიკაციური ეფექტი, რითი პერსონაჟს ან განსხვავდება ერთმანეთისგან მხატვრული და ფილმების თარგმანი, მათი სპეციფიკა და თარგმანის თანამედროვე ტენდენციები.

## თავი II

### 2.1 ჯონ სტეინბეკი “ამბავი თაგვთა და კაცთა”

ამ თავში განვიხილავთ მხატრულ ნაწარმოებებს. განსახილველად ავირჩიეთ შოუს “პიგმალიონი”, ჯ. სტეინბეკის “ამბავი თაგვთა და კაცთა”, ჯ. ლონდონის “მარტინ იდენი” და ჯ. სელინჯერის “თამაში ჭვავის ყანაში”. არჩევანი განპირობებულია იმით, რომ თითოეულ ამათგანში გმირთა მეტყველება ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერებით არის დატვირთული და შესანიშნავ მასალას წარმოადგენს კვლევისათვის. ასევე თითოეული თარგმანი სხვადასხვა დროს არის შესრულებული და საშუალებას იძლევა დავაკვირდეთ ეპოქის გავლენას ტრანსპოზიციის საშუალებების შერჩევაზე, რაც თავის მხრივ, წარმოდგენას გვიქმნის ამ თვალსაზრისით გასწევებებისა და მსგავსებების, ასევე, უწინდელი და თანამედროვე ტენდენციების გამოსაყოფად. კვლევის ზოგადი მიზანია იმის გარკვევა, თუ როგორ ხდება ენის იმ სტრატიფიკაციული და სიტუაციური მარკერების გადმოტანა თარგმანში, რომლებიც პერსონაჟთა მეტყველებაშია განფენილი, და იმის შესწავლაც, თუ რა სახის პრაგმატიკულ-ფუნქციონალურ მოდიფიკაციებს მიმართავს მთარგმნელი, რა ფაქტორები განაპირობებენ მის არჩევანს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში და რამდენად არის შენარჩუნებული კომუნიკაციური ეფექტი ამგვარი ტრანსპოზიციის დროს.

ჯ. სტეინბეკის ნოველის სათაური (“ამბავი თაგვთა და კაცთა”) აღებულია შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის ლექსიდან და ზუსტად განსაზღვრავს მთელს ნაწარმოებს.

~The best schemes o'mice and men  
Gang aft agley (often go wrong)  
And leave us nought but grief and pain  
For promised joy!

ლექსი აღწერს მთხოვბელის სინაცულის იმის გამო, რომ მინდვრის მოხვნის დროს თაგვის სახლი დაინგრა. ლექსის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ

კერცერთი გეგმა ვერ იქნება უშეცდომო და ვერავინ ვერ იქნება თავის მომავალში სრულიად დარწმუნებული.

ეს ნაწარმოები პირველად 1937 წელს გამოქვეყნდა და იმთავითვე დიდი წარმატება ხვდა წილად. ყველა ააღელვა ორი მარტოსული მეგობრის ტრაგიკულმა ხვედრმა, რომლებიც ისტრაფოდნენ თავიანთი ოცნებისკენ, რომელიც ასე უბრალო და მაინც მიუღწეველი ადმოჩნდა. ჯორჯ მილტონი და ლენი სმოლი მიგრანტი მუშები არიან, რომლებიც ამერიკის დასავლეთ საზღვრისკენ დაეხეტებიან სამუშაოს, საკვების და დამის გასათევი ადგილის ძებნაში. ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არიან, რომელთაც საკუთარი ადგილი იპოვონ ამ ქვეყანაში, ეძებენ უბრალო ადამიანურ ბედნიერებას და ოცნებობენ პატარა სახლსა და რამოდენმიერ აკრ მიწაზე, მაგრამ მათ ოცნებას ახდენა არ უწერია. ამ ნოველაში სტეინბეკი გვაჩვენებს, თუ რა მნელია ჩვეულებრივი, პატარა ადამიანისთვის ოცნებაც კი. ავტორის მძლავრი რეალისტურ წერის მანერა წიგნის სტრუქტურაზეც ახდენს გავლენას, რომელიც, თუმცა თავისი აგებულებით ნოველაა, მაგრამ დაწერილია “პიესა-ნოველებას” სტილში. აქ უამრავი დიალოგია და სწორედ დიალოგების, გმირთა მეტყველების საშუალებით იქმნება მათი მხატვრული სახე. ვინაიდან ჯორჯი და ლენი უბრალო მუშები არიან, მათი მეტყველება უხვად შეიცავს მათი სოციალური წრისთვის დამახასიათებელ არასალიტერატურო, მდაბიური მეტყველების მარკერებს: არანორმატიულ გრამატიკულ ფორმებს, გაუმართავ სიტყვათა წყობას, სიტყვათა დამახინჯებულ წარმოთქმას და სხვა. გვაინტერესებდა გვენახა, თუ როგორ ხდება მათი ტრანსპოზაცია ქართულ თარგმანში, რომელიც პ. გეგმჭკორის მიერ არის შესრულებული.

### 2.1.1. გმირთა არანორმატიული მეტყველების მაგალითები:

a) ~I ain't sure it's good water~ he said. Look kinda scummy.

~You never oughta drink water when it ain't running, Lennie~, he said hopelessly. (66,3)

~- კაი წყალი არ უნდა იყოს“, - თქვა მან. “ისეთი ქაფი აქვს მოგდებული, დამყაყებულს ჰგავს“.

“იცოდე წყალი გამდინარე თუ არაა, არ დალიო ლენი, - ამოიოხრა მან. (60,4)

b) ~I wasn't doin' nothing bad~ with it, George.

Jus' strokin' it.~ (66, 9)

მე არ მომიკლავს, გეფიცები!

რად მინდა და თითებს ვუცაცუნებდი, ვეფერებოდი, რომ მოვდიოდით - უთხრა ლენიმ. (60,8)

~It's on'y a mouse. George~ ~Gi'me that mouse!~ (66, 9)

- თაგვია, ჯორჯ. სხვა არაფერი.

- ახლავე მომეცი! - დაუყვირა ჯორჯმა. (60,6)

An' she stopped givin' 'em to ya. (66,10)

მერე შპვე აღარ გარევდა თაგვებს, ხელში მაკვდებოდა და იმიტო. (60,9)

c) ~You wouldn't have nothing to do with it.~ (66,11)

მახსოვს დედა კლარამ რეზინის თაგვი რომ მაჩუქა, შენ კი არ მოინდომე. (60,9)

~I don't need no nice food with ketchup. (66,13)

- რამეს ვიპოვიდი, ჯორჯ, მაინცდამიანც საწებლიანი შემწვარ-მოხრაკული ხომ არ უნდა ჭამო. (60,10)

~They ain't got nothing to Look ahead to. (66,15)

საზრუნავი და საფიქრელი გამოლევიათ და იმიტომ. (60,1)

მოყვანილ მაგალითებში გაუნათლებელი კაცისთვის მეტყველებისთვის დამახასიათებელი მარკერები იჩენს თავს, როგორც წარმოთქმის, ასევე გრამატიკის დონეზე. კერძოდ,

1. არარეგულარული გრამატიკული ფორმებია:

ა) ზმა-შემასმენელისა და ქვემდებარის რიცხვში შეუთანხმებლობა (I ain't sure, it ain't running).

ბ) ორმაგი უარყოფა ერთ წინადადებაში (It wasn't no good to pet)

გ) გამონათქვამის ლოგიკით გაუმართებელი მრავალკავშირიანობა. (მაერთებელი კავშირის an( and) მრავალგზის გამეორება წინადადებათა გასაყარზე იქ, სადაც აზრი ამას არ მოითხოვს-An' you ain't to be trusted with no live mice.)

2. სიტყვათა წარმოთქმის დამახინჯება ბოლოკიდური ან თავკიდური თანხმოვნების გაქრობით, გვხვდება აგრეთვე თანხმოვანის ამოვარდნა სიტყვის შუიდანაც: ასე-

თია, მაგალითად, შემდეგ სიტყვათა რედუცირებული ფორმები: just (jus'); and (an') didn't (dn'n't) because ('cause); only (on'y), suppose (S'pose), him ('im)

### 3. ნაწარმოებში ვხვდებით აგრეთვე სიტყვათა არანორმატიულ შეთანხმებებსაც: Hell of a nice fella

უნდა აღინიშნოს, რომ არასალიტერატურო მეტყველების თარგმანში გადმოტანისას შეპირისპირებულ ენათა, კონკრეტულ შემთხვევაში კი ქართული და ინგლისური ენების, სტრუქტურული არაერთგვაროვნება საშუალებას არ აძლევს მთარგმნელს, რომ თარგმანის ტექსტში ყოველი ცდომილი ფორმა მეორე ენის იმავე დონის ეკვივალენტურ ერთეულებში ასახოს.

როდესაც არანორმატიული ენობრივი ფორმების ზუსტი კალკირების შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ის, რაც ინგლისურ ტექსტში ენობრივი ნორმებიდან გადახრაზე მიგვანიშნებს და რაც ინგლისური ენის სტრატიგიკაციული ვარიანტულობის მარკერად მიგვაჩნია, შესაძლოა სრულიად არ ავლენდეს იმავე ეფექტს თარგმანის ენაში, ისევ და ისევ ენათა არაერთგვაროვნების გამო, ზოგჯერ ენის პერიფერიულ შრეებშიც კი. მაგალითად არასალიტერატურო ენის ერთ-ერთ მარკერად ინგლისურ ენაში ორმაგი უარყოფის ერთ წინადადებაში რეალიზაცია ითვლება. ~I want's get in no trouble, George~. ორმაგი უარყოფა სალიტერატურო ინგლისურ ენაში უარყოფით მნიშვნელობას ანეიტრალებს და საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იძენს. ქართულ ენაში კი ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადება მტკიცებით მნიშვნელობას არასოდეს შეიძენდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილ მაგალითშიც და ასევე სხვა მაგალითებშიც, რომელიც სტეინბეკის ამ ნოველის თითქმის ყველა პერსონაჟის მეტყველებაშია გაბნეული, ორმაგი უარყოფა მხოლოდ ემოციურ სიმძაფრეს სძენს გამონათქვამს და, ამავე დროს, უარყოფის მნიშვნელობა არ იკარგება. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, აქ ემოციურობა ორმაგი უარყოფით ვერ გადმოიცემა და კონკრეტული წინადადებების შეპირისპირებისას შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ემოციურობის ეფექტი გაფერმკრთალებულია. მეორე მხრივ ქართულ თარგმანში ეს ეფექტი სხვა

ერთეულების გამოყენების საშუალებით მიიღწევა. მაგალითად: უარყოფითი “რეპუბლიკის” მქონე სიტყვების აქტივაციით.

## 2.1.2 სლენგი ანუ ჟარგონი

ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის ერთ-ერთ სახეს სლენგის გამოყენება წარმოადგენს. როგორც კარგადაა ცნობილი, ამ ტერმინის წარმოშობა ბუნდოვანია. ბეჭვდითი სახით ის პირველად 1800 წელს გამოჩნდა და ლონდონის კრიმინალური წრეების მეტყველებას აღნიშნავდა (50). ასევე ცნობილია, რომ ეს ტერმინი აერთიანებს პროფესიონალურ ჟარგონიზმებს, ასევე ჟარგონს (არგო) და საზოგადოების დაკლასირებულ ელემენტთა მეტყველებას. მათ შეეიცერი სპეციალურ სლენგს მიაკუთვნებს და გამოჰყოფს “საერთო სლენგისგან,” რომელშიც აერთიანებს საერთო გამოყენებაში მყოფ ხალხურ მეტყველებას. (45, 165-167). სლენგისთვის დამახასიათებელია ის, რომ ამგვარად მარკირებული ერთეულები მკგეორად უპირისპირდებიან სტანდარტულ ენობრივ ერთეულებს. რადგანაც სლენგი ფორმალურ მეტყველებასთან ოპოზიციაში იქმნება, ბუნებრივია, ჯერ უნდა არსებობდეს რადაც ნორმები, რომ შემდეგ შესაძლებელი იყოს მათი დარღვევა. სლენგი, ჩვეულებრივ, იქმნება კონკრეტულ სოციალურ წრეებში, იგი ერთმანეთისგან გამოჰყოფს ამ ჯგუფის წევრებს და სხვებს, ერთიანობისა და “მიკუთვნების” განცდას ქმნის და ერთმანეთისაგან ჰყოფს ძირითად და კერძო ჯგუფის კულტურას. თინერჯერთა ენის მსგავსად ის ფამილარულია, დასცინის პირობითობასა და კონსპირაციას და უზრუნველყოფს გარკვეულ სტატუსს. საბოლოო ჯამში, ეს არის ენობრივი სტანდარტის საპირისპირო პოპულარული ლექსიკა, რომელიც ცინიზმის, იუმორის და უპატივცემულობის ტონით არის შეფერილი.

სლენგი, გარკვეულწილად, მეტაფორაა და მისი სახეობრიობა დაფუძნებულია მოულოდნელობაზე, ენამახვილობაზე, კონვენციურ ენობრივ ფორმათა თავშესაჭევ და გომებამახვილურ დამახინჯებაზე.

ჯ. ლაიტერის, ამერიკული სლენგის ლექსიკონის თანაავტორის აზრით, გარკვეული კავშირიც კი არსებობს წერით მეტყველებაში სლენგის გამოყენებასა და “უნიკალურ“ ამერიკული სტილის შექმნას შორის. (43, 1)

დაკვირვება ცხადყოფს, რომ XIX საუკუნიდან მწერლებმა დაიწყეს პერსონაჟების შექმნა, რომელთაც მკვეთრად გამოხატული ამერიკული თვისებები ახასიათებდათ და ლაპარაკობდნენ როგორც ტიპიური ამერიკელები; როგორც, მაგალითად მარკ ტვენის პეპლბერი ფინი, რომელიც არაფორმალურ, სასაუბრო ენაზე მეტყველებს.

ამ რომანის გამოქვეყნებიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ ერნესტ პემინგუეიმ დაწერა, რომ მთელი ამერიკული ლიტერატურა ერთი წიგნიდან, მარკ ტვენის “პეპლბერი ფინიდან“ იღებს სათავეს. (43,1) აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სლენგი ძირითადად ინგლისური-ამერიკული ტერმინია, რუსი და ქართველი ლინგვისტები კი “უარგონს“ ანიჭებენ უპირატესობას. ვინაიდან ეს ტერმინები სინონიმებია, წინამდებარე ნაშრომში ორივე ტერმინს გამოვიყენებთ.

სტეინბეკის ამ ნოველაშიც პერსონაჟები ხალხურ ენაზე მეტყველებენ და მათი მეტყველებაც სლენგით არის გაჯერებული. ეხლა ვნახოთ, თუ როგორ ხორციელდება ამ ენობრივი ერთეულების გადმოტანა ქართულ თარგმანში:

1. ~OK. Someday - we're gonna get the jack together and we're gonna have a little a little house and a couple of acres an' a cow and some pigs and~- (66,15)

- კარგი ეგრე იყოს. ერთ მშვენიერ დღეს მაყუთს დავაგროვებთ და პატარა სახლსაც ვიყიდით თავის ეზოიანად - ერთი ორი აკრი მიწა ხომ მაინც იქნება; ძროხაც გვეყოლება, ღორებიც და... (60,12)

~jack~ სლენგზე ფულს ნიშნავს და მთარგმნელსაც შესაბამისი უარგონული სიტყვა აქვს გამოყენებული- “მაყუთი“.

2. George said coldly, ~You donna give we that mouse or do I have to sock you~? (66, 9)

მომეცი თაგვი, სანამ არ დამიუეუხიხარ. (60,8)

3. Don't you even take a look at that~ (66, 35)

თავი გაანებე მაგ ძუკნას იცოდე. (60, 24)

სამივე შემთხვევაში უარგონიზმის პირდაპირი თარგმანი გვაქვს.

4. ~So you wasn't gonna say a word. You was gonna leave your big flapper shut and leave me do talkin'. Damn near lost us He job. (66,26)

- ეს არის კრინტს არ დავძრავო? ეს არის ამ დასაწვავ პირს დავმუშავ და არ ვილაქლაქებო? მე არ უნდა მელაპარაკა შენ მაგივრად? კინალამ სამუშაო არ დავგარგო, კაცო! (60, 17)

flapper - უარგონზე პირს ნიშნავს; სასაუბრო ტონის მინიჭების მიზნით მთარგმნელი ამატებს განსაზღვრებას “დასაწვავი”, რომელიც კარგად გამოხატავს აგრეთვე ჯორჯის გაღიზიანებასაც. ამავე მიზნით არის გამოყენებული ზმნა “ლაქლაქი”, რომელიც ნიშნავს უთავბოლო გაუთავებელ ლაპარაკს, ყბედობას.

5. ~Well. you keep away from her, 'Cause She's a rat-trap it I ever seen one. You let Curley take the rap. He let himself in for it. (66,36)

- ერთი სიტყვით მაგ ქალს მოერიდე, იმიტომ რომ ეგ ისეთი ვინმეა, დაღუპავს კაცს, თუკი რამე გამეგება. გაუშვი, ხუჭუჭამ იხეთქოს თავი, რამდენიც უნდა, ახია მაგაზე! (60,24)

a rat-trap - ნიშნავს გამოუგალ სიტუაციას. ქართულ თარგმანში ამ სიტყვის განმარტებითი გარიანტია გამოცემული, რაც, ამ შემთხვევაში, სავსებით გამართლებულია, ვინაიდან თუ ვერ ხერხდება ენაში შესატყვისი ქართული ერთეულის მოძებნა, განმარტებითი გარიანტით ჩანაცვლება სავსებით მისაღები მეოთხია.

6. I like Stories by Peter Rand. I think he is a whing-dinng. (66,11)

ძალიან მომწონს პიტერ რენტის მოთხოვნები. ჩემი აზრით, ხოშიანად უბერავს. (60,32).

whing-ding - (მოძვ.) სალაპარაკო ენაში ნიშნავს შესანიშნავ ადამიანს, მას ვისაც შეუძლია სხვისი აღფრთოვანება. ქართულ თარგმანში მთარგმნელს უარგონული ფრაზა აქვს გამოყენებული “ხოშიანად უბერავს” - ძალიან კარგად წერს. გვიქრობთ, ამ შემთხვევაში აზრობრივი ინვარანტიც შენარჩუნებულია და კონოტაციური მნიშვნელობაც.

7. George looked down at his feet. ~Bus driver gives us a bum-steer, he said. ~We hadda walk the miles, Says we was here when we wasn't. We couldn't get no rides in the morning.~ (66,23)

ჯორჯმა თავი ჩადუნა და ფეხებს დააშტერდა.

- შოფერმა გაგვიფუჭა საქმე, ფეხით მოგვიწია სიარული. შორს ჩამოგვსვა, გვითხრა აქვე ხართო: აქვე კი არა, კაი ათი მილი გამოვიარეთ. დილით კი ვერა-ფერს გამოვყევით. (60,16).

bum-steer - ყალბ ინფორმაცის ან არასწორი მიმართულების მიცემას ნიშნავს. ქართულ თარგმანში ეს აზრი, თავისუფალი შესიტყვებით არის ჩანაცვლებული, რო-თაც აზრობრივი ინგარიანტი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია, თუმცა კონოტაციური შეფერილობა განეიტრალებულია.

8. ~Balony! What you think you're sellin' me? Curley started som'in' he didn't finish. Caught in a machine - baloney! Why, he ain't nobody the good ol' one-two since he got his han' bust. Who bust him? (66, 86)

- რას მიედ-მოედებით? ჩემი მოტყუება ასე ადვილი ხომ არ გგონიათ? განა არ ვიცი თვითონ ატეხდა აყალ-მაყალს და თვითონვე გაება მახეში ალბათ. თქვენ კი - მანქანაში მოყვაო. სისულელეა! რაც ის ხელი დაემტვრა, მაგისი “ერთი-ორს გავუ-ქანებ“ აღარ გამიგია. მაინც ასე ვინ გაალამაზა, არ მეტყვით? (60 ,54)

Balony - სისულელეს ნიშნავს და ერთ შემთხვევაში პირდაპირი თარგმანი გვხვდება, ხოლო მეორეჯერ გარდაუვალი ზმნა- “მიდებ-მოდება”, რომელიც უთავბოლო, აბდაუბდა ლაპარაკს ნიშნავს და ერთგვარ ირონიულ კონოტაციას შეიცავს. მოცე-მულ შემთხვევაში ორივე გარიანტი მისაღებია.

რაც შეეხება სიტყვა “Bust“, სასაუბრო ენაზე ის “რაიმეს გატეხვას” ნიშნავს, ქართულ თარგმანში კი, ერთ შემთხვევაში, პირდაპირ თარგმანს გხვდებით, “ხელი დაემტვრა“, ხოლო მეორე ადგილას კი მთარგმნელს გამოყენებული აქვს ზმნა “გაალამაზა“, ამ შემთხვევაში კი აზრობრივი ინგარიანტიც შენარჩუნებულია და კონოტაციური შეფერილობაც.

9. ~Jesus Christ! I bet we could swing her~. (66,68)

- დმტერთო, ნეტავი ამ ფასად კი დაგვითმონ, - თქვა სუნთქვაშეკრულმა ჯორჯმა. (60,42)

სიტყვის “ Swing” ერთ-ერთი მისი მნიშვნელობა ნიშნავს საქმის მოგვარება, მოკვა-რასჭირება. ქართულ თარგმანში კი თავისუფალ ინტერპრეტაციას ვხვდებით და,

კოვლით, რომ აზრობრივი სიზუსტე თდნავ დარღვეულია. ინგლისური ერთეული გულისხმობს, რომ ჯორჯმა და ლენიმ უნდა “შეახვიონ“ (ჟარგონული გამოთქმა, რომ ვიხმაროთ) სახლის პატრონები და ამგვარად დაითანხმონ. აქვე, ორიგინალში გვხვდება ზმნა “bet”- ნიძლავს ვდებ; ჯორჯი დარწმუნებულია, რომ ამას შესძლებენ. ქართულ თარგმანში კი სახლის პატრონთან ნება იკვეთება, მთავარია, მათ მოისურვონ გარკვეულ ფასად დათმობა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს უმნიშვნელო განსხვავებაა და, ძირითადად, სემანტიკური იდენტობა წყარო ტექსტსა და თარგმანს შორის დარღვეული არ არის.

### 2.1.3. ფრაზით გამოხატული ჟარგონიზმები:

ხშირად ჟარგონიზმები არა მხოლოდ ერთი ენობრივი ერთეულით, არამედ ფრაზით არის წარმოდგენილი, რომლის შემადგენლობაშიც შეიძლება შედიოდეს ნეიტრალური სიტყვა ან სიტყვათშეთანხმება (to be in a hot water). რაც შეეხება ფრაზის თარგმანს, იგი ამ დროს, როგორც წესი, ან შესაბამისი სიტყვათშეთანხმებით იცვლება, ან, თუკი მიმღებ ენაზე არ მოიძებნება მოცემული სიტყვათშეთანხმების ეკვივალენტური ან ანალოგიური სიტყვათშეთანხმება შეპირისპირებულ ენათა გასხვავებულობის გამო, ვხვდებით ფრაზის განმარტებითი ვარიანტით ჩანაცვლებასაც.

ნოველაში “ამბავი თაგვთა და კაცთა“ მრავალ ფრაზით გამოხატულ ჟარგონიზმს ვხვდებით და ვნახოთ, თუ როგორ ხდება მათი გადმოტანა ქართულ თარგმანში:

1. Tomorra we're gonna go to work. I seen thrashin' machines on the way down. That means we'll be bickin grain bags bustin' gut. (66,8)

ხვალ დილას სამუშაოდ წავალთ, წედან დავინახე, სალეწ მანქანებს რომ მიაქანებდნენ ქვემოთკენ. ხვალ ალბათ ხორბალს ჩაგვაყრევინებენ ტომრებში, მოგვიწევს წელის მოწყვეტა და ეგაა. (60,7)

ამ მაგალითში გამოყენებული ფრაზა “busting gut“ ქართულ თარგმანში შესაბამისი ფრაზით არის ჩანაცვლებული (წელის მოწყვეტა)

2. George still stared morosely at the fire. ~When I think of the swell time I could have without you, I go nuts. I never get no peace~. (66, 13)

- რომ გავიფიქრებ რა ხოშიანად გავატარებდი დროს უშენოდ, ლამისაა გადავირო. შენი გადამკიდე მოსვენება აღარ მაქვს! (60 ,10)

ამ შემთხვევაშიც ფრაზა to go nuts, რომელიც გაგიჟებას, გადარევას ნიშნავს ქართულ თარგმანში შესაბამისი სემანტიკის ფრაზით არის ჩანაცვლებული.

3. ~You crazy son-of-a bitch. You keep me in hot - water all the time~. (66 ,12)

უკვე ცოფებს ყრიდა ჯორჯი. - ეჭ, შე შობელძაღლო, შენა სულ ჯოჯოხეთში უნდა მამყოფო, როდემდის? გაგიგონია კაცო? (60,10)

ინგლისური ფრაზა "to be in hot – water" (გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნა) ორიგინალში ზმნა to be - keep-ით არის შეცვლილი ე.ო. იგულისხმება, რომ ვიღაც ამყოფებს მოსაუბრეს ასეთ მდგომარეობაში. ქართულ თარგმანში კი ხატოვან გამოთქმას ვხვდებით “ჯოჯოხეთში უნდა მამყოფო”, რაც სრულად გამოხატავს ორიგინალის დენოტაციურ და კონოტაციურ მნიშვნელობებს.

4. ~Well. that won't do no good it Curley wants to play himself up for a fighter. Just don't have nothing to do with him. Will you remember? (66,33)

- ხუჭუჭამ თუ საჩხუბრად აიწყვიტა, ეგ წუწუნი და თავის მართლება არ გიშველის, უბრალოდ გაეცალე, საერთო არაფერი იქონიო მასთან. ხომ დაიხსომებ? (60, 22)

“to play oneself up” - ნიშნავს თავის წარმოჩენას, რეკლამირებას, კვეხნას. ქართულ თარგმანში მთარგმნელს გამოყენებული აქვს ზმნა “აიწყვიტა”, რაც გადატანითი მნიშვნელობით “მეტისმეტად თავის გამოდებას” ნიშნავს, რაც ვფიქრობთ, ზუსტად გამოხატავს ორიგინალში გამოთქმულ აზრს და ამავე დროს არც ხატოვნება იკარგება.

5. ~Well - She got the eye~ (66,31)

- რადა, კაცებს თვალებს უპრაწავს“. (60,21)

“got the eye” ნიშნავს, რომ ხუჭუჭას ცოლი სხვა კაცებსაც ეპრანჭება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად “დაპრაწვა“ კუთხურად იგივეა რაც “დააჭყიტა“, რაც სასაუბრო ენაში ნიშნავს რისიმე მოპოვების დიდი სურვილს. ნათელია,

რომ ქართულ თარგმანში გამოყენებულია კომპონენტური შემადგენლობითაც ეკვი-  
ვალენტური ფრაზა.

#### 6. Yeah? Married two weeks and got the eye?

Maybe that's why Curley's pants is full of ants (66,31)

რაო? ორი კვირაც არ გასულა, რაც გათხოვდა და უკვე თვალებს პრაწავს?

მაგიტომაც აწვია მაგის ქმარს კუდი და ეგაა. (60,25)

ინგლისური იდიომი to have ants in your pants ნიშნავს “ძალიან ადელვებულ მდგომა-  
რეობას, როდესაც ერთ ადგილას ვერ ისვენებ”. რაც შეეხება ქართულ თარგმანში  
გამოყენებულ ხატოვან გამოთქმას - “კუდის აწვა”, იგი სასაუბრო რეგისტრში ნიშ-  
ნავს “მდგომარეობას, როდესაც ადამიანი დამნაშავეა და ეშინია, რომ არ გამოამჟ-  
დავნონ”. ეს კი ვფიქრობთ, თავისი მნიშვნელობით განსხვავდება ორიგინალის  
აზრისგან, თუმცა სახეობრიობა შენარჩუნებულია და მკითხველი მაინც აღიქვამს,  
რომ ხუჭუჭა კარგ მდგომარეობაში არ უნდა იყოს. უფრო მეტად შესაფერისი ფრა-  
ზა ქართულ ენაში იქნებოდა “კუჭის აწვა”, მაგრამ ვფიქრობთ, ინგლისურთან მია-  
ხლოვებული ხატის დიალოგიზაციისათვის არჩია მთარგმნელმა “კუდის აწვა”,  
შედეგად, აზრობრივი ინვარიანტი მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია და ემოციური  
ეკვივალენტურობაა წინა პლანზე წამოწეული.

რაც შეეხება მომდევნო მაგალითს, აქ მოხერხდა აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუ-  
ნებაცა და ემოციური ეფექტის სრულად გადმოცემაც.

#### 7. Curley's got yella-jackets in his drawer, but that's all so far. (66,56)

ხუჭუჭა უკანალდამწვარივით დარბის, ჯერჯერობით ეს არის და ეს. (60,56)

“to have yellow-jackets in one's drawers” - ეს გამოთქმა ლექსიკონში არ დასტურდება და  
ავტორის მიერ შექმნილ ფრაზას უნდა წარმოადგენდეს. yella-jackets - ბზიკის სახეო-  
ბაა, drawers - ამ შემთხვევაში საცვალს ნიშნავს და ხუჭუჭას ეს აღწერა, არსებითად  
იგივე გამოხატავს, რასაც ფრაზა ”to have ants in one's pants”.

ქართულ თარგმანში მთარგმნელი აღწერისთვის იყენებს სიტყვას “უკანალდამწ-  
ვარივით”, რითაც აზრობრივი ინვარიანტიც შენარჩუნებულია და ემოციური ეფექ-  
ტიც, ვინაიდან ადვილი წარმოსადგენია, რა ცუდ მდგომარეობაში იქნება ასეთი  
ადამიანი.

თარგმნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრაზეოლოგიზმში ექსპლიცირებული აზრის ადეკვატური ამოკითხვა და მისი ხატოვანების ხარისხის შენარჩუნება, ამ თრ პირობაზეა დამოკიდებული თარგმნითი ვარიანტის აზრობრივი ეპვიგალენტურობა და ემოციურ-ესთეტიკური ზემოქმედების ტოლფასოვნება. ცხადია, პირველი დაკავშირებულია მთარგმნელის რეცეპტორულ ანუ აღქმის უნართან და მეორე მის ინტერპრეტაციულ შესაძლებლობასთან.

## 2.1.4. უხეში ლექსიკა

ეხლა შევეხოთ იმ საკითხს, თუ რატომ იყენებენ ადამიანები უწმაწურ სიტყვებს საუბრისას. ცნობილია, რომ როგორც მეტყველება და დადებითი ემოციები მიიჩნევა საერთო ადამიანური თვისებებად, ასევეა ლანბლვაც (უწმაწური სიტყვების გამოყენება). თ. ჯეიმ ვრცლად გამოიკვლია უხამსი ენა და საკუთრივ სალანბლავი ლექსიკის გარდა, ამ ჯგუფში შეიტანა სლენგი, ეთნიკურ-რასობრივ გამონათქვა-მები, კულგარიზმები, ტაბუირებულ მეტყველება, ვერბალურ აგრესია, უხამსობა, ღვთისგმობა. მის წიგნში წამოყენებული თეორიის მიზანია “აღუდგინოს ენას ემოციურობა და დაარღვიოს ის უემოციო (სტანდარტული) ენის თეორიები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ვრცელდებოდა. (22,11)

ლანბლვა-გინება შეიძლება იყოს არაგანზრახული და განზრახული. პირველ ჯგუფში შედის ავტომატური პასუხი დიდ გაღიზიანებაზე, მაგალითად: ტკივილზე, გაკვირვებაზე, სიხარულსა და თუ სხვა ემოციაზე. მეორეში კი წინასწარ გათვლილი და განზრახული შეურაცხყოფა. მაგალითად (Sh\*t, F\*\*k, Damn, Hell) შეიძლება ემოციურ მდგომარეობაზე მიუთითებდეს კერძოდ, გაკვირვებაზე, გაღიზიანებაზე, გაბრაზებასა სიხარულზე. წინასწარგანზრახული- შეთხული ტიპის უხამსი სიტყვების გამოყენება კი, წინასწარ გათვლილი ვერბალური აგრესიის გამოხატულებაა.

ჯეის აზრით, ადამიანი იმიტომ კი არ ილანბლება, რომ მისი გონებრივი ლექსიკონი დარიბია, არამედ იმიტომ, რომ ფსიქოლოგიური და სოციო-კულტურული ძალები აიძულებენ მას ასე მოიქცეს. (22,259)

სტეინბეგის ამ ნოველაშიც მრავლად გვხვდება იმის მაგალითები, თუ როგორ მიმართავენ გმირები სხვადასხვა სახის ვერბალურ აგრესიას ემოციურ დონეზე. საინტერესოა მათი ტრანსპოზიციაც თარგმანში:

1. God Damn near four miles, that's what it was. (66, 5)

ეშმაკმა დალახვროს, კაი ოთხი მილი კი გამოვიარეთ (60,5).

ამ სიტყვებით გამოხატულია ჯორჯის გადიზიანება ავტობუსის მძღოლის მიმართ, რომელმაც თავი არ შეიწუხა ჯორჯის და ლენის დანიშნულების ადგილზე მიყვანით და ოთხი მილით ადრე ჩამოყარა ისინი ავტობუსიდან.

2. Jesus Christ, you're a crazy bastard. (66, 4)

რა დმერთი გაგიწყრა, შე ლენჩო, შენა. (60 ,5)

ეს წამოძახილი ინგლისურ ენაში გამოიყენება გადიზიანების, წყნის, გაკვირვების გამოსახატავად. ქართული შესატყვისი “რა დმერთი გაგიწყრა” ასევე ზუსტად გამოხატავს ამ ემოციებს.

ნოველაში ძალიან ხშირად ვხვდებით სიტყვა hell და damn, სხვადასხვა კონტაქტში.

1. ~The hell with the rabbits~ (66,5)

ჯანდაბას შენი კურდღლები. (60,5).

2. ~You can jus' as well go to hell~, - said George (66,18)

ჯანდაბაში და დოზანაში წასულხარ! - თქვა ჯორჯმა. (60,3)

ბუნებრივია, ორივე ქართული ვარიანტი ინგლისურ ენაში გამოყენებული ერთეულების ანალოგიურია და მსგავსი ემოციური ტონალობით გამოირჩევა.

3. Yeah nice fella too. Got a crooked back where a horse kicked him. The boss gives him hell whin he's mad. But the stable bucke don't give a damn about that. He reads a lot. Got books in his room.~ (66,22)

- ჰო, ზანგი, კარგი ბიჭია. ერთხელ ცხენმა წიხლი კრა და იმის მერე დაკუზიანდა. ბოსი თუ გაავებულია, მაგაზე იყრის ჯავრს ხოლმე. იმ შენ ზანგს კი ფეხებზე ჰკიდია უველავერი. სულ კითხულობს და კითხულობს წიგნებს. ოთახი სულ წიგნებით აქვს გატენილი. (60,15)

“to give smb hell” - ნიშნავს სალაპარაკო ენაზე - ჩხუბს, ყვირილს. ქართულ თარგმანში გვხვდება “ჯავრის ამოყრა“ რაც საკუთარი ჯავრის სიბრაზის გასაქარვებლად სხვისთვის რამის დაშავებას ნიშნავს და ზედმიწევნით გადმოგვცემს ორიგინალის მნიშვნელობასაც და ემოციურ შეფერილობასაც. ეს ინგლისური ერთეული შესაბამისი აზრობრივი შესიტყვებით არის გადმოსული ქართულ თარგმანში.

4. ~After that the guys went into Soledad and raised hell (66,22)

მერე ბიჭები სოლედადში წავიდნენ და თურმე აუკლიათ იქაურობა. (60,15)  
“to raise hell” - სალაპარაკო რეგისტრის ინგლისურში ხმაურის ატეხვას ნიშნავს და ქართულ თარგმანში ზმნით არის გადმოსული “აკლება“, რაც ასევე ხმაურის ატეხვას, აურ-ზაურის ატეხვას ნიშნავს და ემოციურადაც ადეპვატური შეფერილობით გამოირჩევა.

შემდეგ წინადადებაში კი hell უბრალოდ შეცვლილია სიტყვით “მაგარი“, რომელიც გამონათქვამს უფრო ემფატიკურს ხდის.

He's dumb as hell, but he ain't crazy. (66,43)

მაგარი ბოთეა, ბევრი არაფერი მოეკითხება, თორემ ისე გივი არ არის. (60,28).  
ქვემოთ მოყვანილ პარაგრაფში ორიგინალის ტექსტის ემოციური ეფექტის მისაღწევად თარგმანში ვხვდებით უარყოფითი კონტაციის მქონე სიტყვების აქტივზაციას:

~God a'migfthy, it I was alone I could live so easy. I could go get a job an' work, an' no trouble.  
No mess at all, and when the end of the month come I could take by fifty bucks and go into town  
and get whatever I want. I could eat any place I want, hotel or any place, and oder any damn thing. I  
could think of, An' I could do all that every damn month - Get a gallon of whisky or set in a pool  
room and play cards or shoot pool. (66,12)

“დმერთ ეს რას გადავეკიდე! მარტო რომ ვყოფილიყავი ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყევდა. წავიდოდი, ვიშოვიდი სამუშაოს, საქმეც გამოჩნდებოდა და ვიქნებოდი ჩემთვის არხეინად; ამდენ შვითს და დავიდარაბასაც ავცდებოდი. ავიღებდი თვის ბოლოს ორმოცდაათ დოლარს, წავიდოდი ქალაქში და, რაც მომეპრიანებოდა, იმას ვიყიდიდი. პო, მართლა, დამეს საროსეკიპოში გავატარებდი! სადაც ხოში მექნებოდა, იქ ვისადილებდი გინდ სასტუმროში, გინდ სხვაგან სადმე; რაც მომეხასიათებოდა იმას მოვითხოვდი. დიახაც, ყოველთვი გამოწერილივით მექნებოდა ეგ სიამოვნება.

მერე კიდევ ერთ გალონ ვისკის ავიღებდი, ან საბილიარდოში გავუხვევდი. კარტი მინდა, ბილიარდი მინდა ვითამაშებდი და ვითამაშებდი, მაშ!“ (60, 9)

“damn thing და damn month” - ქართულ თარგმანში გადმოტანილია სასაუბრო ფრაზებით – “რაც მომეხასიათებოდა და ყოველთვე გამოწერილივით მექნებოდა”. ტონალობაც შენარჩუნებულია: მათში ჯორჯის გაბრაზება, გადიზიანება და სასოწარკვეთილება იგრძნობა.

ადსანიშნავია, რომ სწორედ ეს ემოციები სჭარბობს ნოველაში და ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გმირთა მეტყველებაშიც აისახება.

### **2.1.5. ენის სიტუაციური ვარიანტულობის გამოხატვა თარგმანში**

რაც შეეხება თარგმანის სოციოლინგვისტური ასპექტების ისეთ პრობლემას, როგორიცაა ენა და პიროვნების სოციოლოგია იგი უშუალო კაგშირშია ენის სოციალური ვარიანტულობის გამოვლინების შემთხვევებთან. თარგმანში მათი გადმოტანისას მთავარია აისახოს ის სამეტყველო რეფლექსები, რომელშიც იკვეთება ადამიანთა პირადი ურთიერთობების ხასიათი, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია მათი ასაკობრივი სხვაობით, გენეალოგიური დისტანციით, ურთიერთობისას მათი სოციალური როლებით (უფროსი - ქვეშეგრდომი, ექიმი - პაციენტი, უცნობი - მეგობარი . და სხვა), ერთმანეთის მიმართ ფსიქოლოგიური განწყობის ტიპით, სამეტყველო სიტუაციის პირობებით (ოფიციალურ-ფამილარული) და სხვ. ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადამიანს უამრავი სხვადასხვა სოციალური როლის შესრულება უწევს, რაც მის მიერ სხვადასხვა კონკრეტული შემთხვევისთვის ენობრივ საშუალებათა შერჩევაზეც აისახება. (4,205-206)

შედარებით უფრო რთულია სასაუბრო ენაში გავრცელებული ფამილარულ-მოფერუბითი ან პირიქით, უხეში მიმართვის ფორმებისთვის ფუნქციონალურ ანალოგთა შერჩევა. ასეთი ფორმების ანალოგიზაციისას მთავარია ის ობერტონი არ განეიტრალდეს, რომელიც მათ ორიგინალში ახასიათებთ.

ნოველაში “ამბავი თაგვთა და კაცოა“ უამრავ ასეთ ფორმას გხვდებით.

1. “Yor never had none. You crazy bastard O got both of ' em heve, Think Iid let you carry gow own card? (66,4)

- ვაი, შე გამოჩერჩებებულო შენა, ორივე მე მქონდა. შენ ხომ არ ჩაგაბარებდი. რა კაი იქნებოდა, ამისთანა რეგვენისათვის მიმებარებინა. (60,5)

crazy - სულელსაც ნიშნავს, ხოლო bastard - ინგლისურ სლენგზე, გარდა პირდაპირი მნიშვნელობისა, იმ მამაკაცის მიმართაც გამოიყენება, რომლის მიმართაც სიბრა-ლულს ვგრძნობთ. როგორც ვიცით ლენი გონებასუსტია და ჯორჯი მის მიმართ სწორედ ასეთ გრძნობებს განიცდის. ქართულ თარგმანში გამოყენებული სიტყვები “გამოჩერჩებებული” და “რეგვენი” ასევე შეიცავს ორიგინალის ობერტონებს.

2. ~You crazy fool. Don't you think I could see your feet was wet where you went across the river to get it~. (66,8)

- ვაი შენს პატრონს, შე უტვინო, შენა. მდინარეზე რომ გახვედი მაგის გულისო-ვის და ფეხები დაისველე, ვერ მივხვდებოდი, თუ რა? (60,8)

აქ სიტყვას ‘უტვინო’ წინ უსწრებს მთარგმნელის მიერ დამატებული შორისდებუ-ლი, რომელიც შეცოდებას, სიბრალულს გამოხატავს.

3. The boss said suddenly. ~Listen, Small~ (66,24)

- მომისმინე, ნამცეცავ, - მიუბრუნდა უცებ ბოსი (60,16)

Small – ტექსტში ერთგვარ კალამბურად გვევლინება. Small ლენის გვარია, რომე-ლიც სინამდვილეში გოლიათური აღნაგობის არის და, შესაბამისად, ამ მიმართვას ერთგვარი ირონიული ელფერიც დაჰკრავს. ამიტომ ქართული შესატყვისი “ნამცე-ცა”, რომელიც “ძალიან პატარას” ნიშნავს, ზრდასრული კაცის მისამართით ნათქ-ვამი ასევე ირონიულია და ამიტომ კარგად გადმოსცემს ორიგინალის ტონალობას.

4. This guy Curley sounds like a son-of-a bitch to me. (66,30)

- ეგ თქვენი ხუჭუჭა თუ რა ქვია მაგას, კაი სახალანა უნდა იყოს. (60,30)

Son-of-a-bitch - სალანდდავი ტერმინია და იმ ადამიანის მიმართ გამოიყენება, რომე-ლიც მიგაჩნია, რომ ძალიან ცუდია. “სალახანა” - არაბულ-სპარსული წარმოშობის ლანდღვითი სიტყვაა და ზნედაცემულ, გათახსირებულ ადამიანს აღნიშნავს, გვიქრობ, ამ სიტყვის სემანტიკური მნიშვნელობა სავსებით შეესაბამება ორიგინალს.

5. I gotta pair ot punks at my team that don't know a barley bag from a blue ball. (66, 38)

- ...ერთი-ორი ასეთი დლაპი მყავს ჯგუფში - ქერის ტომარას გასაბერი ბუშტისა-გან ძლივს არჩევენ. (60,25)

“Punk” - სასაუბრო ენაში ახალგაზრდა კაცს ან ბიჭს ნიშნავს, რომელიც უზრდე-ლად იქცევა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი მაინც უფრო ასაკი და გამოუცნობ-ლობა იგულისხმება და ქართული “დლაპიც” ალბათ ამის მიხედვით არის შერჩეუ-ლი.

6. You bindle - bums think you're so damn good. (66,86)

ასე ძალიან თუ გინდათ, დამალეთ, რა მენაღვლება, ძალიან კი მოგაქვთ თავი, თქვე უნიფერებო! (60,54)

“Bindle-bim” - მათხოვარსაც ნიშნავს, „უსახლკაროს, და ქართული “უნიფერები“ - რომელიც ასევე “უქონელს“ აღნიშნავს და უხეში, სალანდლავი მიმართვაა კარგად შეესაბამება მას.

7. -Seen the new kid yet? he asked.

-What kid? George asked.

-Why, Curley's new wife.~ (66,56 )

- ახალი ჩიტი თუ ნახე?

- რა ჩიტი?

- რა ჩიტი და ხუჭუჭას ახალი ცოლი. (60,56)

“Kid” - მიმართვის ფორმა უფრო ახალგაზრდა ადამიანის მიმართ იხმარება, ვინაი-დან ასე წიგნში ხუჭუჭას ცოლს მოიხსენიებენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხოლო ზოგადად მთელს ნოველაში მის მიმართ აგდებულ-აგრესიული დამოკიდებულება შეიმჩნევა. მთარგმნელს შეურჩევია სიტყვა “ჩიტი,” რომელიც სწორედ ასეთი დამო-კიდებულების გამომხატველია.

ვხვდებით ქალის მიმართ გამოყენებულ უკიდურესად შეურაცხმყოფელ გამოთქმებ-საც.

8. ~Listen to me, you crazy bastard~, he said fiercely. ~Don't you even take a look at that bitch. (66,36)

- მისმინე შე ჭკუათხელო ნაბიჭვარო, შენა! - მკაცრად დაუყვირა ლენის. თავი გაანებე მაგ ძუგნას იცოდე. (60,24).

9. George looked around at lennie. ~Jesus, what a tramp,~ he said. (66, 35)

ჯორჯმა ლენის შეხედა.

- ღმერთო, ეს რა კახპა ვინმე ყოფილა! - წამოიძახა მან (60,23)

10. You aint got sense enough in that chicken head to even see that we ain't stiffs. (66,87)

თუმცა თქვენისთანა ქათმისტვინას მეტი რა მოეგითხება: ჩვენ არც ისეთი უნიფორმები და „უსაქმურები გახლავარო“. (60,54).

11. ~That bitch didn't ought to of said that to you~. (66,90)

- იმ ბოზანკალას მაინც არ უნდა გაებედა შენთან ასე ლაპარაკი, - უთხრა ჩამიჩამ. (60,57)

12. ~You done it, didn't you? I s'pose you're glad. Everbody knowed you'd mess things up. You wasn't no good. You ain't no good now, you lousy tart~. (66,105)

- შე წყეულო, შე ბოზო მაიმუნო, შენა - თქვა გაბოროტებულმა. - ეს გინდოდა, ხომ? ხარ ახლა კმაყოფილი? ყველამ იცოდა, რა უბედურების მომტანიც იყავი. რა ხეირი იყო შენგან? ან ახლა კი რა ხეირია? შე მართლა კახპა, შენა... (60,65)

Lousy tart - სამი შესატყვისი გვხვდება ქართულ თარგმანში, რომელთაგანაც სამივე შეურაცხმუფელია და ასევე მთქმელის აგრესიასაც უსვამს ხაზს.

13. ~What you got there, sonny boy?~ (66,94)

- აქ რას აკეთებ, გენაცვალე? – ჰკიოთხა ქალმა. (60,59)

“Sonny” - მიმართვის ფორმა გამოიყენება ახალგაზრდა მამაკაცის ან ბიჭის მიმართ. ამ შემთხვევაში მოფერებითი ელფერი დაჲკრავს და ამიტომ ქართულ თარგმანში მთარგმნელს ის სიტყვა “გენაცვალეთი” ჩაუნაცვლებია, რაც ქართულისთვის უფრო მისაღები მიმართვის ფორმაა.

მიმართვის ფორმების ანალოგიზაციისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ კონტექსტს, რადგან ერთი და იგივე ფორმა შეიძლება სხვადასხვაგვარ ობერტონებსაც შეიცავდეს, მაგალითად, ამ ნოველაში არის მიმართვის ფორმა ~Old man~, რომელიც ქართულ თარგმანში სხვადასხვაგვარად არის გადმოსული.

1. ~Seen my old man~ - he asked (Curley) (66,27)

- ჩემი ბებრუცანა არ გინახავთ? - იკითხა მან. (60,19)

ამ შემთხვევაში ხუჭუჭა საკუთარ მამას კითხულობს. მას საკუთარი თავი დიდ ვინძედ მიაჩნია და მამის მიმართ კი აგდებული დამოკიდებულება აქვს, ამიტომაც მთარგმნელს სიტყვა “ბებრუცანა“ შეურჩევია, რომელშიც ნათლად იგრძნობა ირონიულ-აგდებითი დამოკიდებულება.

2. ~I remember when I was a little kid on old man's Chicken ranch. (66,80)

- მახსოვს, პატარაობისას, მამაჩემთან ერთად ვცხოვრობდი რანჩოში, მამას ქათ-მები ჰყავდა. (60,51).

აქ კი დაბეჭავებული კუზიანი ზანგი იხსენებს თავის ბედნიერ ბავშვობას და მამას, როგორც სანუკვარ მოგონებას და Old man - ქართულად “მამაჩემი“ ჩაენაცვლა.

იგივე ითქმის Old lady - შემთხვევაშიც.

1. ~The one that his old lady used to make hot cakes for the kids?~ Lennie asked. (66,61)

- დედამისი ბავშვებისთვის ნამცხვრებს რომ აცხობდა, ისა? - ჰქითხა ლენიმ. (60,39)

ამ შემთხვევაში მოწიწებული დამოკიდებულება იგრძნობა ქალისაღმი, რომელიც ბავშვებს ნამცხვრებს უცხობდა და თარგმანშიც “Old lady”- გადმოსულია როგორც “დედა”.

2. ~Lookin' for his old lady. I seen his going round and round outside~. (66,59)

- თავის ტურფას ეძებს, გარეთ ვნახე როგორ დაწრიალებდა ბარაკის გარშემო. ხუჭუჭა თავის ცოლს ეძებს, რომელიც ახალგაზრდა და ლამაზი ქალია. მის გამო, მთარგმნელს “old lady“ ჩაუნაცვლებია “ტურფათი”..

მომდევნო კონტექსტში “Old lady” ეხება ძაღლს.

3. ~I wonder the old lady don't move 'em some place else~. (66,76)

საოცარია მაინც, ამდენი ხანი სხვაგან როგორ არ გადაიყვანა ძაღლმა ლეკვები. (60,48)

ცხადია, თარგმანი განხორციელებულია იმისდა მიხედვით, თუ როგორ ტონალობას გვთავაზობს კონტექსტი.

ამ ნოველაში ვხვდებით აგრეთვე შეურაცმხელე რასისტულ მიმართვებსაც.

1. ~Where the hell is that God damn nigger?~ (66,32)

ნეტა სად ჯანდაბაში წავიდა ეს წყეული ზანგი! (60,21)

ცნობილია, რომ ~Nigger~ - რასისტული ტერმინია, რომელიც დღესაც საშინლად შეურაცხმუფლად აღიქმება აფროამერიკელების მიერ, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ მას თეთრკანიანი ადამიანი იყენებს. ქართულ თარგმანში ეს ეფექტი არ იგრძნობა, ვინაიდან სიტყვა “ზანგი” ქართულში შეურაცხმუფლად არ აღიქმება; ამ სოციუმისთვის ის მხოლოდ კანის ფერს აღნიშნავს. თუმცა მომდევნო მაგალითში, სადაც ქალი შეგნებულად ცდილობს მოსაუბრისათვის შეურაცხყოფის მიყენებას, თარგმანის ტაქტიკა იცვლება.

2. ~Listen nigger~ she said ~You know what I can do to you if you open your tramp?~ (66, 88)

- იცი რას გეტყვი, შავდრუნჩავ! - დაუყვირა მან - კიდევ თუ გაბედე და ხმა ამოიღე, ხომ იცი რისი გაკეთებაც შემიძლია? (60,55)

3. Well, you keep your place then, nigger. I could get you strung up on a tree so easy it ain't even funny. (66,89)

- თუ იცი, შენს ტყავში დაეტიქ, შავგანიანო მაიმუნო! ისე ადგილად შემიძლია შენი თავი ჩამოვაკონწილებინაო, სალაპარაკოდაც არ ღირს. (60,56).

შეიძლება დაგასკვნათ, რომ რადგან ამ ეთნიკურ მიმართვას ქართულ ენაში შეურაცხმუფლელი დატვირთვა არ აქვს, მთარგმნელი თავისუფლად იყენებს სიტყვებს “შავდრუნჩა” და “შავგანიანო მაიმუნო”, რომელიც შავგანიან ადამიანთა გარეგნულ შტრიხებს აგდებულად გამოჰკვეთს, დრუნჩი ცხოველის ცხვირ-პირს ნიშნავს და ამავე ეფექტს ემსახურება “მაიმუნოს” გამოყენებაც.

საინტერესოა ზედმეტსახელების თარგმანის საეციფიკაზე დაკვირვებაც. ასეთი ზედმეტსახელების გამოყენება ხაზს უსვამს მოსაუბრებს შორის ფამილარულ დამოკიდებულებას.

ამ რომანსა და მის თარგმანში რამდენიმე ასეთი შემთხვევა დასტურდება:

Curley - ქართულ თარგმანში გადმოტანილია როგორც “ხუჭუჭა”, Slim - როგორც “ზორბა”; Candy კი - “ჩამიჩა”. უნდა აღინიშნოს ისისც, რომ, თუმცა ამერიკულ ინგლისურში სიტყვა “Candy ~კანფეტს, ტკბილეულს“ ნიშნავს, მაგრამ ვინაიდან ის ადამიანი, ვის მიმართაც ეს ზედმეტსახელია გამოყენებული, ძალიან მოხუცია,

მთარგმნელს ეს სიტყვა “ჩამიჩათი” ჩაუნაცვლებია, რომელიც შემჭკნარ ყურძენს ნიშნავს და, ბუნებრივად, მოხუცისთვის უფრო შესაფერისი ზედმეტი სახელია, ვიდრე “კანფეტი“.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ “ამბავი თაგვთა და კაცთას” ჩემს მიერ განხილულ თარგმანში იგრძნობა ტენდენცია, რაც შეიძლება რეალისტურად ითარგმნოს ნაწარმოები. ამიტომაც არის, რომ მთარგმნელი არ ერიდება უარგონული სიტყვების გამოყენებას. მართალია ორიგინალის გმირთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიუანსის გადმოტანა თარგმანში ვერ ხერხდება ინგლისური და ქართული ენების სტრუქტურული და ლექსიკური სხვაობის გამო, მაგრამ ეს დანაკლისი ენის სტრატიგიკაციული გარიანტულობის სხვა მარკერების სრულყოფილი გადმოტანით არის კომპენსირებული. ენის სიტუაციური გარიანტულობის ტრანსპოზიციისას კი ანალოგები იმის და მიხედვით არის შერჩეული, თუ როგორ ტონალობას გვთავაზობს კონტექსტი. ცალკე მინდა გამოვყო ზედმეტსახელების ტრანსპოზიცია, რომელიც შესანიშნავად არის განხორციელებული თარგმანში, ისე რომ გათვალისწინებულია ორიგინალის ტონალობაც და მიმღები ლინგვოეთნიკური კოლექტივის სამეტყველო რეფლექსიათა ბუნებრიობაც.

ტრანსპოზიციის საშუალებებიდან ვხვდებით: უარგონის უარგონით ტრანსპოზიციას, უარგონის ჩანაცვლებას სასაუბრო ენობრივი ერთეულებით, უარგონის აღწერილობითი ფრაზით გადმოტანას, უარგონის ნეიტრალური სიტყვებით გადმოტანას, უხეში სიტყვების აქტივაციას და სიტყვა-სიტყვით თარგმანს. ყველა ეს საშუალება ეხმარება მთარგმნელს ორიგინალის ეკვივალენტური კომუნიკაციის ეფუქტის მიღწევაში.

## 2.2. ჯ. ლონდონი „მარტინ იდენი“

„მარტინ იდენი“ ჯ. ლონდონის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლება. ეს რომანი ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულიცაა და, შესაბამისად, დიდია მსგავსება მის გმირსა და მწერალს შორის. ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირი გაუთლელი მეზღვაურია, რომელიც მდიდარი ბურჟუაზიული ოჯახის შვილს, რუთს შეიყვარებს და ამ სიყვარულის გამო სურს შეიცვალოს, რათა რუთის საზოგადოებაში დაიმკვიდროს ადგილი, მისი ღირსი გახდეს. ამ ნაწარმოებზე ყურადღების შეჩერება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ იგი კარგად გვიჩვენებს, თუ როგორ ცდილობს და ახერხებს ადამიანი სოციალური სოციალური სტატუსისა და წრის შეცვლას და ამ ყოველივესთან ერთად, როგორ იცვლება მისი მეტყველება. სიუქეტის გამო, ამ ნაწარმოებში დაპირისპირებულია საზოგადოების ორი ფენა: მდიდარ ადამიანთა უზრუნველი სამყარო და უბრალო ხალხი, რომელიც საშინელ პირობებში ცხოვრობს, განსხვავებულია მათი ცხოვრების სტილი და მეტყველებაც, თუმცა აქვთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ეფექტი თარგმანში შენარჩუნებული არ არის. (თარგმანი შესრულებულია ვ. ჭელიძის მიერ)

ნაწარმოებში გვხვდება მთელი რიგი პერსონაჟებისა, რომელთა მეტყველებაც მათი სოციალური წრისთვის დამახასიათებელი და შესაბამისად არასალიტერატურო, მდაბიური მეტყველების მარკერებს შეიცავს: მაგ. მარტინის დის გერტრუდას მეტყველება. ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ მეტყველების ამ რეგისტრის მარკერებს :

### 2.2. 1. მდაბიური მეტყველების მარკერები:

~His eyes was pretty shiny~, she confessed, ~and he didn't have no collar, though he went away with one. But mebbe he didn't have more 'n a couple of glasses. ( 68,60)

- თვალები მართლაც უპრიალებდა, - აღიარა ქალმა, - არც საყელო მოჰყოლია, აქედან საყელოთი წავიდა. მაგრამ არა მგონია ორ ჭიქაზე მეტი დაელიოს. (57, 345)

Ain't it grand, yow writin' those sort of things. ( 68,56)

- რა დიდებულია, ამისთანა რამეებს რომ წერ! (57,405)

ორიგინალში გერტრუდას მეტყველებაში თავს იჩენს არასალიტერატურო ენის მარკერები, როგორც არის ორმაგი უარყოფა, ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა, სიტყვათა წარმოთქმის დამახინჯება, თუმცა როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში ის საერთოდ არ ვლინდება. ვფიქრობთ, ეს უფრო მეტად განპირობებული ვ. ჭელიძის ლიტერატურული კრედოთი, ვიდრე სხვა ფაქტორებით, თუნდაც თარგმანის სირთულით.

ნაწარმოების მთავარი მოქმედი გმირის, მარტინის მეტყველებაც, ვიდრე მისი გარდაქმნა დაიწყებოდეს, უხვად შეიცავს დაბალი წრისთვის დამახასიათებელი, მდაბიური მეტყველების მარკერებს. ამ მხრივ საინტერესოა მარტინისა და რუთის დიალოგი მეშვიდე თავიდან, რომელშიც რუთი ენობრივ შეცდომებს უსწორებს მარტინს.

ორიგინალის ტექსტში ქალი ბეჯითად უხსნის მარტინს შეცდომების არსეს, სიტყვათა წარმოთქმას უსწორებს და ცდილობს განუმარტოს მისი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ლექსიკური და გრამატიკული ფორმების არანორმატიულობის მიზეზები. მაგრამ იმის გამო, რომ ქართული და ინგლისური ენების განსხვავებული სტრუქტურა არ აძლევს მთარგმნელს შესაძლებლობას ყოველი ცდომილი ფორმა მეორე ენის იმავე ერთეულში ასახოს, მთელი ეს “შეცდომების გასწორების“ ეპიზოდი სრულიად კარგავს აზრს. ამიტომაც ორიგინალის ორ გვერდზე განფენილი “გრამატიკის გაკვეთილის“ ტექსტი რუთის ერთადერთ მოკლე რეპლიკაშია შეცუმშული, რომლის შესაბამისი სეგმენტი ორიგინალის ტექსტში არ დასტურდება და მთარგმნელის მიერ არის ჩამატებული:

- ~ერთი სიტყვით, გრამატიკაში სცოდავთ, დროებს ურევთ, მრავლობითსა და მხოლობით რიცხვსაც ვერ ათანხმებთ, უღვლილებაც გეშლებათ. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. გრამატიკა უნდა ისწავლოთ“.. (57,376)

ამ შემთხვევაში ვ. ჭელიძემ ტექსტის კომპრესიის მეთოდი გამოიყენა პრაგმატიკული მიზეზიდან გამომდინარე, ვინაიდან დენოტაციური სიზუსტის დაცვის ცდა მეტისმეტად არაბუნებრივი და ხელოვნური იქნებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ის, რაც ინგლისურ ტექსტში ენობრივი ნორმებიდან გადახვევაზე მიგვანიშნებს, იმავე ეფექტს თარგმანის ენაში, შესაძლოა, არც ავლენდეს. ამის მაგალითია ორმაგი უარყოფის რეალიზაცია ერთ წინადადება-

ში. როგორც რუთი უხსნის მარტინს, ორმაგი უარყოფა სალიტერატურო ენაში საერთოდ აენეიტრალებს უარყოფით მნიშვნელობას და საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იძენს.

It is a rule that two negatives make a positive, never helped nobody~ means that not helping nobody, they, must have helped somebody~. (68,167)

ქართული ენის ნორმათა მიხედვით კი “არავის არ უწევენ დახმარებას“ (ანუ ორმაგი უარყოფა) ვერ შეიძენს მტკიცებითი წინადადების დადგებით მნიშვნელობას. უფრო მეტიც, ქართულ სასაუბრო მეტყველებაში ორმაგი უარყოფა მხოლოდ ამძაფრებს ნათქვამის ექსპრესიულობას.

ბოლოკიდური ან თავკიდური ხმოვნების რედუცირებაც, თარგმანის ენისათვის არაბუნებრივი იქნებოდა, ამიტომ, სავსებით გამართლებულია, რომ მთარგმნელს თავი აერიდებია ასეთი ენობრივი ექსპერიმენტისთვის და ხელოვნურობის თავიდან ასაცილებლად, ამასთანავე ორიგინალის უფექტის თუნდაც ნაწილობრივი ანალოგიზაციისათვის, მთელი რიგი შეცდომებიდან, რომელიც თარგმანის ტექსტში მხოლოდ ის აქვს გადმოტანილი, რაც “დამახინჯებისათვის” უფრო დამყოლი აღმოჩნდა. ეს კი არის კოლოკვიალური რეგისტრის სიტყვების გამოყენება და ისეთი მყარი გრამატიკული შეცდომა, როგორიც არის ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა:

~By the way, Mr - Eden, What is Booze? You used it several times, you know~.

~Oh, Booze~, he laughed, ~It's a slang. It means whiskey and beer - anything that will make you drunk~.

~And another thing~ she laughed back, ~Don't use you when you are impersonal, you is very personal, and your use of it just now was not precisely what you meant. (68,212).

- “ოჲ, მართლა, მისტერ იდენ, ყლაპვა რას ნიშნავს რამდენჯერმე ახსენეთ დღეს ეგ სიტყვა.

- ოჲ, ყლაპვა, - გაეცინა მარტინს, - უბრალო ხალხი ასე იტყვიან ხოლმე... არაუს რომ დალეგენ, ან ლუდს... ან ისეთ რამეს, რაც თქვენ დაგათრობს.

- აი, კიდევ ერთი შეცდომა, გაიცინა ქალმა... რაკი თქვენობით მომმართავთ, ზმნაც მრავლობითში უნდა გეხმარათ, დაგათრობთო უნდა გეთქვათ.“ (57 ,376)

როგორც ვხედავთ, თარგმანში ადეკვატურად აისახა მარტინის მდაბიური მეტყველების მარკერები, თუმცა ეს ეფექტი აქ სხვა ერთეულებზეა გადაადგილებული. კერძოდ, ორიგინალის მიხედვით რუთი მარტინს განუსაზღვრელი პირის ნაცვალსახელის არასწორ ხმარებაზე მიუთითებს, თარგმანში კი ქვემდებარისა და ზმის რიცხვში შეწყობაზეა აქცენტი გაკეთებული. უდავოა, ასეთ ცვლილებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს და ეფექტის გადაადგილების მეთოდი უზრუნველყოფს თარგმანში სათანადო კომუნიკაციურ ეფექტს.

ასევე, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა განხილული მთარგმნელობითი ხერხი ტექსტის ისეთ ადგილებშია გამოყენებული, როდესაც უშუალოდ შეცდომების შესწორება ხდება და ამით ხაზი ესმება არასწორ მეტყველებას. სწორედ ამიტომ ამ ერთეულების უგულვებელყოფა შეუძლებელია. მთელ რიგ სხვა შემთხვევაში კი, როდესაც უბრალო წრიდან გამოსული პერსონაჟები ასევე მეტყველებენ, მათი ასეთი არასალიტერატურო მეტყველება თარგმანში არ აისახება.

## 2.2.2. ჟარგონიზმები

“მარტინ იდენში“ საკმაოდ ხშირად გახვდება ჟარგონიზმების ხმარების შემთხვევები, რომლებიც არა მხოლოდ ერთი სიტყით, ხშირად ფრაზითაც არიან წარმოდგენილნი. ვნახოთ თუ როგორ გადმოდიან ისინი ჭელიძისეულ თარგმანში:

~Yes, I've read 'm, he broke in impulsively, spurr'd on to exhibit and make the most of his little store of booke knowledge, desirous of showing her that he wasn't wholly a stupid clod. ~The Psalm of life~; ~Excelsior~, ~and I guess that's all. (68,313)

- აგერ, თუნდაც ლონგფელო... დაიწყო ქალმა.
- დიახ წამიკითხავს, - სწრაფად შეაწყვეტინა ჭაბუქმა, ხელსაყრელი შემთხვევა არ გაუშვა, რომ თავისი მცირე ლიტერატურული ცოდნა გამოეჩინა, გულით უნდოდა ქალს მთლად ბრიყვად და უვიცად არ ჩვენებოდა. - “სიცოცხლის საგალობელი“, “ქქსცენტრიული“, და... მგონი მეტი არაფერი... (57,326)

Clod სალაპარაკო ინგლისურ ენაზე სულელ ადამიანს ნიშნავს, ასეთივე სემანტიკით ხასიათდება სიტყვა stupid. ამ ორი სიტყვის შეწყვილებით ავტორს, სავარაუდო, ხაზი სურდა გაესვა გმირის მეტისმეტი სისულელისათვის. ჭელიძისეულ თარგმანში

ამის გადმოსაცემად ორი შესატყვისი გვხვდება : 1) ბრიყვი, რაც სულელს ნიშნავს და 2) უვიცი, რომელსაც ხაზს უსვამს გმირის გაუნათლებლობას. ასე რომ, ვფიქრობ, ქართველი მთარგმნელის არჩევანი შესანიშნავად გადმოსცემს შესიტყვა-ბის, stupid clod,- კონტაციურ მნიშვნელობასაც.

~It wasn't nothing at all~ - he said. Any guy 'ud ob it for another. That bunch of hoodlums was lookin' for trouble, 'an, Arthur wasn't botherin', 'em none. They butted in on 'm, 'an then I butted in on them an' poked a jow – That's where some of the skin off my hands went, along with some of the teeth of the gong. I wouldn't 'a missed it for amything. When I see... (68,368).

ეგეც რომ დიდი რამეა! - მიუგო მან, - ვინც არ უნდა მოხვედრილიყო იქა, ამასვე იზამდა. შარზე იყვნენ არამზადები. ართურს ხმაც კი არ გაუცია. მივარდნენ და პირდაპირ თხლიშეს, მეც ხელად ვეცი და ისეთი ვთხლიშე, რომ სულ თავგზა ავუბნიე. ხელები კი გადამეყვლიფა ცოტათი, მაგრამ სამაგიეროდ რამდენიმე ვაჟბატონი უკბილოდ დავტოვე. იქ რომ არ ვყოფილიყავი, უფრო დამწყდებოდა გული, თუ დავინახე რომ... (57 ,334)

ამ ნაწყვეტის თარგმნისას ვხედავთ, რომ დედანის შესაბამისი ეფექტის მისაღწევად კ. ჭელიძე სტილისტური ირიდაციის მეთოდს მიმართავს და საკმაოდ ეფექტურადაც. გამოყენებულია რამდენიმე კოლოკვიალური, უხეში რეგისტრის მქონე სიტყვა, მაგ: “თხლიშეს, ვთხლიშე”, და ეს ყველაფერი მთელს ეპიზოდს შესაბამის ტონალობას უქმნის. ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი ფრაზა: the bunch of hoodlums რომელიც ერთ შემთხვევაში გადმოსულია როგორც “არამზადები”, თუმცა გვევლინება ფრაზის “შარზე იყვნენ” შემადგენელ ნაწილად, რაც ორიგინალის სასაუბრო ტონს კარგად შეესაბამება; ხოლო იმავე მონაკვეთში მეორეჯერ გვხვდება იგივე ფრაზა, ოდონდ ახლა უკვე როგორც “ვაჟბატონები”, რაც მარტინის ამ ყმაწვილების მიმართ აგდებულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.

~An' I bet~ Martin dashed on, ~that he's solemn an' serious as an old owl, an' doesn't care a rap for a good time, for his thirty thousand a year. An' I'll bet he's not particulary joyfull at seein' others have a good time. Ain't I right? (68, 400)

- გადაბერებული ბუსავით ზის ალბათ ახლა დამყაყებული და ცხვირჩამოშვებული, გინდა ჰქონია ის ოცდაათიათასი წლიური შემოსავალი და გინდა არა. სანაძლეოს ჩამოვალ, სხვების მხიარულებაც დიდად არ სიამოვნებს. ხომ ასეა? (57,384)

ამ შემთხვევაში მთარგმნელი კვლავ ეფექტის გადაადგილების მეთოდს მიმართავს. ფრაზა Doesn't care a rap უარგონულ მეტყველებაში გულისხმობს, რომ მოსაუბრეს “საერთოდ არ აინტერესებს“ ან “ფეხებზე ჰქიდია“ რაღაც; ქართულ თარგმანში მისტერ ბატლერის მდგომარეობის გამოსახატავად კი გამოყენებულია ნეიტრალური ფრაზა “გინდა ჰქონია, გინდა არა”. მეორე მხრივ, ამ გამონათქვამს მეტ ექსპრესიულობას სძენს იმ უარყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვების გამოყენება, რომელიც მისტერ ბატლერის დასახასიათებლად თარგმანშია გამოყენებული, ხოლო ორიგინალში კი არ გვხვდება. კერძოდ, “გადაბერებული“, “დამყაყებული“, “ცხვირჩამოშვებული~.

~Why weren't you born with an income?~

I'd rather have good health and imagination~ he answered.

~I can make good on the income, but the other things have to be made for - he almost said ~you~, then amended his sentence to ~have to be made good for one~.

~Don't say. ~make good~, she cried, sweetly petulant. ~It's slang, and it's horrid? (68,400)

- მაგას ის მირჩევნია, ჯანის სიმრთელე და წარმოსახვის უნარი მქონდეს, - მიუგო ჭაბუკმა, - შემოსავალი ისედაც მოვა, რეებს გავაკეთებდი, ოდონდ... კინადამ წამოცდა, ოდონდ შენ ჩემი გახდეო“, ოდონდ ყველაფერი კარგად წარიმართოს.

- თუ ამბობთ, “რეებს გავაკეთებო!“ ხუმრობით აღშფოთდა ქალი, - ეს ხომ უარგონია, საშინელებაა. (57,396)

როგორც ცნობილია, to make good - ნიშნავს სიმდიდრის და წარმატების მოპოვებას. ორიგინალში რუთი თავად აღნიშნავს, რომ ეს გამოთქმა უარგონულია, ჭელიძისეულ თარგმანში მთარგმნელის მირ შერჩეული წინადადება “შემოსავალი ისედაც მოვა“, მართლაც ზუსტად ვერ გამოხატავს ორიგინალის მნიშვნელობას და ამიტომ მთარგმნელი მას აზუსტებს მომდევნო წინადადებით “რეებს გავაკეთებდი“... ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანობაში არცერთი ფრაზა ქართულ ენაში უარგონულ მეტყველებას არ წარმოადგენს.

~Please don't think I'm bragging~ - he began. ~I don't intend it that way at all. But I have a feeling that I am what I may call a natural student. I can study myself I take it kindly, like a duck to water. You see yourself what I did with grammar. And I've learned much of other things - you would never dream how much. And I'm Only getting started. Wait till I get - ~he hesitated and

assured himself of the pronunciation before he said ~momentum.~ I'm getting my first real feels of things now. I'm begining to size up the situation.

~Please don't say ~size up~ - she interrupted.

~To get a line on things~, he hastily amended.

~That doesn't mean anything in correct English~, she objected. He floundered a flush start.

~What I'm driving at is that I'm begining to get the lay of the land.~

Out of pity she forebore, and he went on. (68,405)

მარტინი წუთით ჩაფიქრდა, კარგად აწონ-დაწონა, როგორ ეპასუხა, რომ ზედმები კვეხნა არ გამოსვლოდა.

- კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევთ, - დაიწყო მან, - სულაც არ ვაპირებ კვეხნას. მაგრამ ვგრძნობ, რომ ყველაფერს ადვილად დავძლევ. სხვისი დახმარება სულაც არ დამჭირდება. როგორც იხვს წყალი ისე მიმიწევს სწავლისკენ გული. ხომ ნახეთ, როგორ დავძლიე გრამატიკა, სხვაც ბევრი შევისწავლე... ვერც კი წარმოიდგენო, რამდენი რამე. მაგრამ ეს ჯერ დასაწყისია მხოლოდ. ჯერ დამაცადეთ... - შეყოყმანდა, სწორედ გამოვთქვამ თუ არა ამ სიტყვასო, - იმპულსი შევიძინო.

- თუ ღმერთი გწამო, ნუდარ იტყვით, “იმპულსი შევიძინოთ“ - შეაწყვეტინა ქალ-მა.

- მე ხომ ახლა შევდივარ ამ საქმის გულში...

- ან “საქმის გულში შესვლა“ რას ნიშნავს? - არც ეს მოუწონა ქალმა.

ჭაბუქმა თავს ძალა დაატანა და სცადა უფრო სწორად გამოეთქვა.

- საქმე ისაა, რომ მე ახლადა ვიწყებ ხელ-ფეხის მოკიდებას.

ქალს შეეცოდა და ადარ შეუჩერებია. (57,400)

ზმნა to size up ინგლისურ სალაპარაკო ენაში შეჯამებას ნიშნავს. ქართულ თარგმანში გამოყენებულია გამოთქმა იმპულსი რო შევიძინო, რაც, ჩვენი აზრით, ეფექტურად ვერ გამოხატავს ორიგინალში ცხადად გამოხატულ ლიტერატურული ნორმიდან გადახრას. იგივე შეიძლება ითქვას ფრაზის to get the line on things შესახებ. რუთი ამ ფრაზაზე ამბობს, რომ სწორ ინგლისურში იგი არაფერს ნიშნავსო. ქართულ თარგმანში კი ვხვდებით მთარგმნელის მიერ შეთხულ იდიომს “საქმის გულში შესვლა“, რომელიც, ცხადია, საქმის არსში წვდომას გულისხმობს. მთარგმნელის არჩევანი, თუმცა არცთუ სწორი გამოთქმაა, მისი მნიშვნელობა მაინც სავსებით

გასაგებია და ამიტომ მთარგმნელი დასძენს “არც ეს მოუწონა ქალმა“ და “არა ეს არაფერს ნიშნავს“. ამავე მონაკვეთში ვხვდებით ამერიკულ იდიომატურ ფრაზას to get the lay of land , რომელიც აღნიშნავს თანამედროვე სიტუაციას და მის შესაძლო განვითარებას. ქართულ თარგმანში ეს გადმოტანილია როგორც “ხელ-ფეხის მოკიდება“, რაც, სავარაუდოდ, წამოვიდა გამოთქმიდან “ფეხის მოკიდება” რომელიც “პოზიციის განმტკიცებას, დამკვიდრებას“ ნიშნავს და, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორიგინალის აზრობრივ ინვარიანტს წარმოადგენს, ხოლო სიტყვა “ხელის” დამატებით სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრაც დასტურდება და შესაბამისს ეფუქტსაც ახდენს მკითხველზე.

~I'll lick you tomorrow”, he heard Cheese - face promise and he heard his own voice, piping and trembling with unshed tears, agreeing to be their on the morrow. (68,447)

- ხვალ დაგბეგვაგ! მოესმა მარტინს პირგაბრტყელებულის შეპირება და მერე თავისი კიკინა ხმაც გაიგონა, ყელში მობჯენილი ცრემლებისაგან ათრთოლებული, ისიც შეპირდა - ხვალ აქ დაგხვდებით. (57,444)

როგორც ვიცით, ზმნა to lick სალაპარაკო ენაზე ცემას ნიშნავს და ამიტომ მისი ქართული რეგისტრული შესატყვისი “დაგბეგვაგ“ თარგმანში უდავოდ სწორად არის შერჩეული.

~Aw, come on~ he replied. ~Wot's the good chewin' de ray about it? I'm wit' to de finish~. (68, 450)

- კარგი გამოდი შესძახა მან. რას გაიტლიკე! - ბოლომდე იქნება მაშ როგორ (57,447)

ამ შემთხვევაში ფრაზის to chew the rag, რომელიც “ბეკრ ლაპარაკს“ ნიშნავს. ქართულში გადმოტანილია ზმნით “გაიტლიკე“, რომელიც ზუსტად გამოხატავს ამ ფრაზის მნიშვნელობას, სალაპარაკო ენისთვისაც არის დამახასიათებელი და ერთგვარ გაღიზიანების კონტაციასაც შეიცავს.

~Water - wagon?

This time Martin nodded, and Joe lamented. ~Wish I was~. ~But somehow just can't~, he said in extenuation. After I've ben workin' like hell all week. I just got to booze up. If I didn't cut my throat or burn up the premises. But in glad you're on the wagon. Stay with it ( 68,434)

- წყლის მუშტარი ხარ?

მარტინმა ამღერად თავი დაუქნია და ჯო წუწუნს მოჰყვა.

- ნეტაი შენ! მე გერა და გერ გადავეჩვიკ, - თავის მართლება სცადა, მთელ პვირას რომ ჯოჯოხეთურად იმუშავებ, მერე გადაკვრა მოგინდება ხოლმე. თუ არ დავლიკ, ან ყელს გამოვიჭრი, ან მთელ სამრეცხაოს გადავბუგავ. თუმც შენ რომ არ სვამ, ეს კარგია, გამიხარდა, ნურც დალევ, მაგრად დადექი. (57,452)

ინგლისური სალაპარაკო ენაში ფრაზა be/go the wagon ნიშნავს “არ მოიხმარდე ალ-კოპოლს”. ქართულ თარგმანში ამ ფრაზის პირდაპირი თარგმანი დასტურდება და თან კონოტაციური ეფექტი არ არის შენარჩუნებული, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევანი უნდა გაკეთდეს დენოტაციური და კონოტაციურ მნიშვნელობებს შორის, ალბათ მაინც მართებული იქნება, რომ კონოტაციურ მნიშვნელობას შევალიოთ და დენოტაციური მნიშვნელობა ზუსტად გადმოვცეთ.

შემდეგ მაგალითში ამ ფრაზის სახეცვლით ვარიანტს ვხვდებით to come off the wagon რაც სმის დაწყებას გულისხმობს.

~It's fair hell, I know~, the other went on, ~But I kind of hate to see you come off the wagon, Mart. Well, here's now. (68,457)

- ვიცი, რომ ნამდვილი ჯოჯოხეთია, - განაგრძო ჯომ, მაგრამ მაინც არ მომწონს მარად, აქ ხომ გხედავ. ჯანდაბას, რაც იყოს, იყოს, დავლიოთ. (57,464).

ჯოს გალიზიანება იმის გამო, რომ მარტინმაც დაიწყო სმა, გამოხატულია იმით, რომ იგი აღნიშნავს, არ მომწონს შენც ამ ჯოჯოხეთში რომ გხედავო. ქართულში ინგლისური ფრაზის შესაბამისი თარგმანი არ დასტურდება არც ამ შემთხვევაში და ეფექტი გადატანილია სხვა ერთეულზე. კერძოდ კი ვხვდებით გალიზიანების გამომხატველ სიტყვას “ჯანდაბას” და ასევე “ყოფნა” ზმის არასწორი ფორმითაა გამოყენებული, რაც მოსაუბრის გრძნობებს და მის სოციალურ მდგომარეობას გამოკვეთს.

10. ~What's eatin' you?~ Jimmy was demanding as he helped the young fellow back. ~That's guy's Mart Eden~. His nifty with his mits, lemme tell you, that, an' he'll eat you alive it you monkey with 'm~ (68, 557 თავი)

ჭკუდან შეიშალე?! - ეუბნებოდა ჯიმი და თან ჭაბუქს აკავებდა, - ეს ბიჭი მარტინ იდენია. გირჩევნია ჩამოშორდე, თორემ ხელი თუ გამოიდო ცოცხლად შეჭამს. (57,661)

“nifty” სალაპარაკო ენაზე რაიმეში დახელოვნებულს, გაწაფულს ნიშნავს, ხოლო “mit” ხელს. იგულისხმება, რომ მარტინი კარგად სმარობს მუსტს; შესაბამისად, თარგმანში გამოყენებულია ფრაზა “ხელი თუ გამოიდო” ანუ “ჩხუბი თუ დაიწყო”, ზუსტად არ შესაბამება ორგინალს და სრულდება გამოთქმით “ცოცხლად შეგჭამს”; მეორეს მხრივ, თუმცა ორიგინალის ზუსტი თარგმანი არ გვაქვს, ამ წინადაღებაში მაინც იგულისხმება ორიგინალში გამოთქმული აზრი, რომ მარტინი კარგად ჩხუბობს.

### 2.2..3. სიტუაციური ვარიანტულობის მარკერები

რაც შეეხება მიმართვის ფორმებს, რომლებიც ენის სიტუაციურ ვარიანტულობას მიეკუთვნება, “მარტინ იდენში“ შემდეგ ფორმებს ვხვდებით.

1.. But you've got to quit cussin', Martin, old-boy, you've got to quit cussin'. he said aloud, (68,325)

ოღონდ გინებას თავი უნდა დაანებო, მარტინ! გესმის ვაჟბატონო, გინებას თავი უნდა დაანებო! - ხმამაღლა თქვა მან. (57,352)

ამ ფრაზით- “Old boy” მარტინი თავის თავს მიმართავს და ქართულ თარგმანში ეს ფრაზა “ვაჟბატონოთია” ჩანაცვლებული, რითაც ერთგვარი ირონიული შეფერილობა ენიჭება ნათქვამს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი ზედმიწევნით გადმოსცემს ორიგინალის მნიშვნელობას.

2. I licked you, Cheese-face! It took me eleven years, but I licked you~. (68, 456)  
«Cheese-face »ერთგვარი აღწერილობითი ზედმეტსახელია. მიმართვის ასეთი ფორმა, ძირითადად, თანატოლებს შორის გამოიყენება და მოსაუბრეთა ფამილარობას უსვამს ხაზს.

ქართულ თარგმანში ვხვდებით “პირგაბრტყელებულს”-ს.

- ხომ დაგამარცხე, პირგაბრტყელებულო! - შესძახა მან, თერთმეტ წელს მოვუნდი, მაგრამ მაინც დაგამარცხე! (57,448)

“Cheese-face” სავარაუდოდ, ავტორისეული ოკაზიონალიზმია და მთარგმნელი სწორად ჩაწვდა გადააზრებას.

3. ~You passed 'em to him, you red-head sheakein' in behind the bush there~, Martin went on, as tossed the knuckles into the water~ (68, 434)

შენ გადაეცი ხომ კასტეტი, წიქორიავ, უკან-უკან რომ მიიძურწები - შესძახა მარტინმა და კასტეტი მდინარეში მოიქნია. (57,447)

აქაც აღწერილობითი მეტსახელი გვაქვს Red-head, რომელიც წითურს, რიუას ნიშნავს, ქართულ თარგმანში კი გვხვდება სიტყვა “წიქორია”, რომელიც.. სავარაუდოდ, წითურს უნდა ნიშნავდეს.

4. I wish you was in it, you pig-headed Dutchnan!~ he shouted. (68,458)

ნება შენც ამ პერანგში იყო გახვეული, დორივით თავგასიებულო ჰოლანდიელო!  
- უკიროდა იგი. (57,468)

“Pig - headed ” ინგლისურ ენაში ნიშნავს “ჯიუტ ადამიანს, რომელსაც არ უნდა თავისი შეხედულების შეცვლა და ხალხს ადაზიანებს. გარდა ამისა, რაც შეეხება ეროვნულობის გამომხატველ მიმართვებს, ისინი თითქმის ყოველთვის შეურაცხმელია. იმისათვის, რომ ამ აგდებული დამოკიდებულებისთვის გაესვა ხაზი, ვ-ჭელიძეს ინგლისური pig-headed პირდაპირ უთარგმნია, ვინაიდან ეს უფრო რაც შეურაცხმელი ჟღერადობას იძენს თარგმანში.

6. - Pompous old ass! (68,565)

გაბდენბილი ბებერი ვირი! (57,581)

როგორც ვიცით ზოომორფიზმები, რომლებიც ადამიანების დასახასიათებლად გამოიყენება, მუდამ შეიცავს ემოციურობის ეფექტს, ხან მოფერებითს, ხანაც საწყენსა და დამამცირებელს. ზოომორფიზმებს სინონიმური ერთეულებიც აქვთ ენაში, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ინტენსივობით, ასე-ვე კონტაკითაც. მაგ: pig, donkey რბილი ირონიის გამოხატველია, ხოლო swine, ass უხეში და უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულებისა. ამას გარდა, ამ ერთეულთა ეფექტის გადმოტანისას ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეპირისპირებულ ენებში მათ განსხვავებული ასოციაციები უდევთ საფუძვლად. მაგალითად, ვირთან ქართულში ისეთი თვისებებია დაკავშირებული, როგორც არის სიჯიუტე, გაუთლელობა, უზრდელობა, ხოლო ინგლისურში კი - სიბრიყვე, სიჩერჩეტე. თუმცა კი ზემოთ მოყვანილ მაგალითში პირდაპირი თარგმანს ვხვდებით და ქართულ ენაში

კირთან დაკავშირებულ “სიჯიუტეს” ორიგინალის ენის “სიბრიფვის” ასოციაციაც დასდევს თან.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ჭელიძე, ძირითადად, თავს არიდებს ენის სუბსტანდარტული ფორმების გადმოტანას თარგმანში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა, როდესაც თარგმანი ვერ აცდება ამგვარი ერთეულების გამოყენებას. მაგალითად, თუ იმ ეპიზოდის თარგმნას, როდესაც რუთი გრამატიკის გაკვეთილს უტარებს მარტინს, უსწორებს მას მეტყველებას, მთარგმნელი გვერდს აუვლიდა, მაშინ ნაწარმოების გადმოქართულება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ შემთხვევებში პერსონაჟთა მხატვრული სახეები თარგმანში იქმნება არა სამეტყველო პორტრეტებით, არამედ ავტორისეული აღწერილობითი დახასიათებით. თარგმანშიც ვხედავთ მთავარი გმირის მარტინის მეტყველების გარდაქმნას, ხოლო სხვა გმირების, მაგალითად, მარტინის დის (გერტრუდას), მუშა ქალის, (ლიზას), - რომელსაც მარტინი უყვარს და, ასევე სხვა პერსონაჟთა მეტყველების თავისებურება თარგმანში არ იგრძნობა, რაც შეიძლება იმ ფაქტითაც არის გამოწვეული, რომ ამ გმირთა მხატვრული სახეები ამ ნაწარმოებში მხოლოდ მათი მეტყველების საშუალებით არ იქმნება და ალბათ მთარგმნელმაც საჭიროდ ადარ მიიჩნია მათი თარგმანში გადმოტანა. საერთოდ ჭელიძისათვის დამახასიათებელია სტილისტური ირიდაციის მეთოდის გამოყენება, რაც ნიშნავს რომ მთარგმნელი შიგადაშიგ არასალიტერატურო ლექსიკას გამოიყენებს, რომლის ეფექტიც მთელს ტექსტზე ვრცელდება. მთარგმნელი იყენებს აგრეთვე ტექსტის კომპრესიის მეთოდს, პრაგმატიკული მიზეზიდან გამომდინარე, კინაიდან დენოტაციური სიზუსტის დაცვის ცდა მეტისმეტად არაბუნებრივი და ხელოვნური გამოჩნდებოდა. გარდა ამისა, ვ. ჭელიძე ინგლისური არანორმატიული გრამატიკული ფორმების ტრანსპორტიზაციისას ქართული ზმნის არანორმატიური ფორმების, სახელადი მეტყველების ნაწილების არასათანადო ბრუნვების გამოყენებას და მნელადწარმოსათქმელი ფონემების გვერდით მდგომი ფონემებით ჩანაცვლებას მიმართავს, ანუ დამახინჯებისათვის უფრო დამყოლ ერთეულებს არჩევს, რაც სავსებით სწორი მთარგმნელობითი მიდგომაა. ენის სიტუაციური გარანტულობაც შესანიშნავად არის გათვალისწინებული და ქართულ თარგმანში გამოყენებულ

მიმართვის ფორმებში ასევე შესანიშნავად ჩანს ადამიანთა პირადი ურთიერთობების ხასიათი.

ტრანსპოზიციის საშუალებებიდან ვხვდებით ქარგონის ჩანაცვლებას სასაუბრო ენობრივი ერთეულებითა და ქარგონის ნეიტრალური სიტყვებით გადმოტანას. ვ-ჭელიძისთვის ასევე დამახასიათებელია სკრაბეზული მომენტებისთვის გვერდის ავლა და უარგონის არ გამოყენება. როგორც აღვნიშნეთ, იგი ხშირად მიმართავს ირიდაციის მეთოდსაც.

### 2.3. ჯ. სელინჯერი “თამაში ჭვავის ყანაში”

“თამაში ჭვავის ყანაში” , ჯ. სელინჯერის პირველი რომანი, 1951 წელს გამოქვეყნდა და დღესდღეობით ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთ კლასიკურ ნაწარმოებად არის აღიარებული. ეს არის 16 წლის ყმაწვილის პოლდენის, პირველ პირში რეტროსპექტული თხრობა. ნაწარმოებში მოთხოვობილია პოლდენის ცხოვრების 4 დღე, როდესაც ის სკოლიდან გარიცხვის შემდეგ, პენსილვანიიდან ნიუ-იორკში მიემგზავრება. რომანში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პოლდენის ბუნტს ზრადსრული ადამიანების სამყაროს წინააღმდეგ და აგრეთვე მის მეტყველებას. პოლდენის მეტყველება ერთდროულად ტიპიურიც არის, რადგანაც შეიცავს 50-იანი წლების ახალგაზრდების სლენგს, და უნიკალურიც, რადგანაც მისთვის მოკლე, წყვეტილი წინადაღებებია დამახასიათებელი. საერთოდ რომანის მთელი ტონი ძალიან სასაუბროა. (39,1)

გვაინტერესებს, თუ როგორ გადმოდის ნაწარმოების მთავარი გმირისთვის დამახასიათებელი მეტყველება ქართულ თარგმანში და მიიღწევა თუ არა იგივე კომუნიკაციური ეფექტი, რაც საწყის ტექსტში დასტურდება. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ საშუალება გვაქვს ერთმანეთს შეგადაროთ ერთიდაიგივე რომანის ორი სხვადასხვა დროს განხორციელებული თარგმანი, გასული საუკუნის 60-იან წლებში ვ. ჭელიძის მიერ და 2006 წელს გამომცემლობა “დიოგენეს” მიერ გამოცემული გ. ჭუმბურიძის მიერ შესრულებული თარგმანი. ამის გამო,

შესაძლებლობა გვაძლევა დავაკვირდეთ, თუ როგორ ხდებოდა რთულად სათარგმნელ ელემენტთა გადმოტანა ქართულ თარგმანში რამდენადმე ადრეულ და შედარებით თანამედროვე თარგმანში.

### 2.3.1. ერთი სიტყვით გამოხატული სლენგი

პოლდენი თავის საკუთარ სკოლას შემდეგნაირად მოიხსენიებს :

That isn't too far from this crumby place (65,3)

არცთუ ისე შორსაა ამ ბინძური ადგილიდან. (58,6)

პოლივუდი არც ისე შორსაა რო ამ დამპალი ადგილიდან - და იმ თვეში იქნებ სულაც მომაშოროს აქაურობას (59,3).

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე შემთხვევაში სიტყვა “crumby” რაც ცუდ, საზიზდარ ადამიანს ნიშნავს, საკმაოდ მართებულად და ემოციური შეფერილობის დაუკარგავად არის გადმოტანილი ქართულ თარგმანში, ეკვივალენტური ერთეულების საშუალებით.

უარგონიზმების სიტყვა-სიტყვით თარგმანი იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც იგი საკმარისად ტრანსპარანტულია და თარგმანში მისი დენოტაციური და კონტრაციური მნიშვნელობები არ გაუფასურდება. თარგმანის ენაში ფუნქციონალური ანალოგიების უქონლობის გამო, უარგონიზმების კომპენსაციისათვის ხშირად გამოიყენება ხალხურ სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი უხეში, ზოგ შემთხვევაში სახუმარო კონტაციის შემცველი იდიომები, ფრაზეოლოგიზმები, სიტყვათაფორმები, რაც თარგმანის ტექსტსაც, ნაწილობრივ, სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახრის ეფექტს ანიჭებს.

2. What I liked about her, she didn't give you a lot of horse manure about what a great guy her father was. She probably knew what a phoney slob he was. (65,5)

განსაკუთრებით ის მომეწონა, ტვინს რომ არ გამიხვრებდა - ასეთი დიდი ვინება მამაჩემიო. ალბათ, თვითონვე გრძნობს რა ხეპრე და ქლესა გაჟბატონიც ბრძანდება. (59,7)

უფრო კი ის მომეწონა, ტვინი რომ არ გამიბურდა თავსი პროფესორ მამიკოზე ლაქლაქით. იქნებ სულაც აზრზე იყო, რა ხვითოც ჰყავდა. (58,86)

ორივე თარგმანში იდიომი “give a horse manure” გადმოტანილია, როგორც “ტვინის გახვრება”, “ტვინის გაბურღვა” ეს ხატოვანი გამოთქმები, რომელიც ერთი და იმავეს ჩიჩინის უსიამოვნო პროცესს გამოხატავს, საკმაოდ უხეშია და სავსებით შეეფერება ინგლისური ფრაზის ტონალობას. რაც შეეხება გამოთქმას “phoney slob” - ჭელიძე მას ფაქტობრივად შესატყვისი მნიშვნელობის ლიტერატურული სიტყვებით გადმოსცემს. სიტყვა “ვაჟბატონის” გამოყენება კი ამ გამონათქვამს ირონიულ ემოციურ ელფერს ანიჭებს. იმავე აზრის გადმოსაცემად ჭუმბურიძე სასაუბრო გამონათქვამს იყენებს, “აზრზე არ იყო, რა ხვითოც ჰყავდა”. “ხვითო” - გადატანითი მნიშვნელობით ირონიული შეფერილობისაა და “ვითომ კარგ რაღაცას ნიშნავს”. რაც ვფიქრობ, კარგად გამოხატავს ორიგინალის მნიშვნელობას.

### 3. I didn't want to look like a screwball or something which is really ironic. (65,62)

სასტუმროში რო შევედი, ისევ მოვიხადე, გიუ არავის ვეგონო-მეთქი. (59,63) შესვლისას ჩემი მეწამული სანადირო ქუდი მაინც მოვიძრე თავიდან -ე მანდ შერეკილად არ ჩამოვალონ-მეთქი. (58,88)

ჭელიძესთან screwball – რაც ‘ექსცენტრულს’ ნიშნავს, სიტყვა “გიუიო” არის შეცვლილი და სასაუბრო მეტყველების ელფერს სიტყვის “მეთქის” დამატება აძლევს წინადადებას. ხოლო ჭუმბურიძის თარგმანში დასტურდება სიტყვა “შერეკილი”, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, მაგრამ წინა ვარიანტთან შედარებით ფამილარული ელფერი დაპკრავს.

### 4. She called up Jane's mother and made a big stink about it. (65,78)

ერთხელ ჯეინის დედას დაურეკა და ერთი ამბავი დააწია (59,78)

ერთხელაც დედაჩემს ყელში ამოუგიდა ეს ამბავი, ჯეინის დედას მიეჭრა და ყალიერა აუტეხა. (58,80)

გ. ჭელიძის თარგმანში გამოყენებულია ფრაზა “ერთი ამბავი დააწია”, რომელიც ქართული ენისთვის უფრო ბუნებრივად ჟღერს, ვიდრე ჭუმბურიძესთან გამოყენებული “ყალიერა აუტეხა”. ეს უკანასკნელი აყალ-მაყალის ატეხას ნიშნავს, მაგრამ ამ არქაული ჟღერადობის გამოყენება თანამედროვე ქართულში შეუფერებლად გვეჩვენება.

5. Anyway, before I got to the hotel, I started to go in this dumpy-looking bar, but two guys came out, drink as hell, and wanted to know where the subway was (65,92)

ერთი უბადრუკი ბარი შემხვდა სასტუმროს გზაზე და ვთქვი აქ დავლეგ-მეთქი, მაგრამ შესვლა რომ დავაპირე, იქიდან ორი გალეშილი ვაჟბატონი გამობრძანდა და მეტრო მკითხეს საით არისო. (59,90)

ასეა თუ ისე, სანამ სასტუმრომდე მივაღწევდი, ერთ ბანძ ბარში დავაპირე შესვლა, მაგრამ სწორედ იმ დროს იქიდან ორი ყლინჯი გამოვიდა, გათხლეშილები იყვნენ, და მაინცდამაინც მე დამეტაპნენ - აქ მეტრო სადააო. (58,127)

აღსანიშნავია, რომ ჭელიძე თარგმანში უფრო სპორადულად იყენებს მდაბიური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს, რათა მთელი გამონათქვამის სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელი შეფერილობა მიანიჭოს მთელს მონაკვეთს. ჭუმბურიძე კი, პირიქით, უხვად იყენებს სლენგს და სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ კონსტრუქციებს.

ბარის აღსაწერად ჭელიძე სიტვა “უბადრუკს” იყენებს, ხოლო ჭუმბურიძე უარგონს “ბანძი” რომელიც, ვფიქრობთ, უფრო ექსპრესიულია და უკეთ შეესაბამება ორიგინალის ლექსიკურ ერთეულს.

“გალეშილი” - სალაპარაკო ენაზე ძალიან მთვრალს ნიშნავს და მასთან ერთად “ვაჟბატონის” დაწყვილება მთელს წინადადებას ერთგვარად ირონიულ ელფერს ანიჭებს. ამავე დროს, ჭუმბურიძესთან ვხვდებით სიტვას “ყლინჯი” და “გათხლეშილები”, რომელიც აშკარად უფრო მკვეთრია და ამასთან ირონიაზე მეტად მთხოობელის გაღიზიანებაზე მიუთითებს.

6. I don't need any old-bag. (65,93)

გადაბერებული არ გამომიგზავნო (59,91)

ბებრუხანა არ შემომაპარო. (58,128)

ორივე თარგმანში იგრძნობა ორიგინალისთვის დამახასიათებელი ერთგვარი უდიერი დამოკიდებულება და ირონია.

7. You're a stupid chiseling moron and in about two years you'll be one of those scraggy guys that come up to you on the street and ask for a dime for coffee. You'll have a snot all over your dirty filthy overcoat, and you'll be a snot all over you'll be- (65,105)

ბინძური კრეტინი ხარ! - შევძახე. კრეტინი და გაიძვერა. ორ წელიწადში გაძვალტყავებული მათხოვარი გახდები და ქუჩაში ხელგაშლილი ივლი მოწყალების სათხოვნელად, სულ ამოწვინტლულ-ამოსვრილი იქნები და... (59,103)

“ყლინჯი ხარ“ - ვეუბნები. “ერთი ხისთავა ყლინჯი მათხოვარი მალე საერთოდ ქუჩაში იმათხოვრებ ხურდა ფულს... (58, 45)

ვ. ჭელიძე ჰოლდენის გაბრაზების და გადიზიანების გამოსახატავად, როდესაც ის გამწარებული უყვირის სასტუმროს მელიფტეს, რომელიც მისგან ფულის გამოძალვას ცდილობს, იყენებს სიტყვებს “ბინძური კრეტინი“ რაც ორიგინალში გამოყენებული სიტყვების “stupid chiseling moron“, საკმაოდ ზუსტ შესატყვისს წარმოადგენს. რაც შეეხება ჭუმბურიძეს, მის თარგმანში ეს გამონათქვამი ერთგვარ ტრანსფორმაციას განიცდის, ქართულ თარგმანში ჰოლდენის ეს მონოლოგი უფრო მოკლედ არის გადმოცემული და თითქმის ჯამდება ფრაზით “ერთი ხისთავა ყლინჯი მათხოვარი“ და უნდა აღინიშნოს, რომ სლენგური მეტყველებით ჭუმბურიძისეული თარგმანი უფრო უხვად არის დატვირთული, ვიდრე ორიგინალი.

8. Then all of at sudden, she saw some jerk she knew on the other side of the lobby. (65,128)

უცებ ფოიეს იქითა მხარეს ვიდაც კოხტა-პრუწას მოჰკრა თვალი, ძველ ნაცნობს. (59,125)

მერე კი უცებ ვიდაც ქლიავი მოწვა მოპირდაპირე კუთხეში. (58,177)  
ქართული ენის განმარტებით ლექსიკონის მიხედვით, კოხტა-პრუწა სასაუბრო ენაზე ნიშნავს გადამეტებული კოხტაობისა და პრანჭვა-გრეხის მოყვარულს. შესაძლებელია ჰოლდენის თანმხლები გოგონას, სალის მეგობარი, მართლაც იყო გაპრანჭული, მაგრამ სიტყვის jerk უფრო ზუსტი მნიშვნელობა ჭუმბურიძის თარგმანია მოცემული, სადაც უარგონია გამოყენებული და ასევე ამ კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი უარგონული ზმნა “მოწვა“, რომელიც ორიგინალში ნეიტრალური ზმნით “to see“ არის გადმოცემული. სიტყვა “ქლიავი“ შტერს ნიშნავს და ფრიად დამამცირებელი შინაარსისაა, ასე რომ, იგი ჰოლდენის გადიზიანებასთან ერთად, მის აგლებულ დამოკიდებულებასაც გამოხატავს ამ ბიჭის მიმართ, რომელიც მისი აზრით, ისეთივე ყალბია, როგორც სხვა დანარჩენები.

9. You should've seen the way they said hello. You'd have thought they hadn't seen each other in twenty years. You'd have thought they'd taken baths in the same bathtub or something when they were little kids. Old buddyroos. It was nauseating. (69,128)

უნდა გენახათ როგორ მიესალმნებ ერთმანეთს. ოცი წლის უნახავები გეგონებოდათ. პატარაობისას ერთ აბაზანაში უბანავიათო, იტყოდით. დიდი დოსტები არ აღმოჩნდნენ! გული აგერეოდათ. (59,125)

არა, ერთი თქვენც გენახათ, რა სალამ-ქალამი ატეხეს - კაცი იფიქრებდა ოცი წლის უნახავები იქნებიანო. ტრუსიკის მეგობრები, გულისამრევი იყო დმერთმანი. (58,177)

“Old buddyroo” სლენგის ტერმინოლოგიით ძველ მეგობარს ნიშნავს. ვ. ჭელიძეს გამოყენებული აქვს სიტყვა “დოსტები”, რომელიც სპარსულიდან შემოსული სიტყვაა და სასაუბრო ენაში ასევე ამხანაგს და მეგობარს ნიშნავდა, თუმცა დღეს თითქმის უკვე აღარ აღიქმება მისი მნიშვნელობა მისი არქაულობის გამო. რაც შეხება ჭუმბურიძის მიერ გამოყენებულ გამოთქმას, ვფიქრობთ, ის უფრო იოლად აღსაქმელია, ამჟამადაც მხატვრულ სახედ მიიჩნევა და “ერთად გაზრდილ, სიყრმის მეგობრებს ნიშნავს”.

10. The bartender was a louse, too. (65,143)

ბარის პატრონიც კაი ბინძური ვაჟბატონი ბრძანდებოდა. (59,140)

ბარმენიც კი ერთი მუტრუკი ვინმე გახლდათ. (58,198)

ჰოლდენი ძალიან ხშირად იყენებს სიტყვას “lousy”, რითაც საკუთარ გაღიზიანებას გამოხატავს კონკრეტულ კონტექსტში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მისი რისხვა ბარმენს ატყდება თავს, რომელსაც სწობიზმში სდებს ბრალს..

ვ. ჭელიძე “კაი ბინძურ ვაჟბატონად” მოიხსენიებს ბარის მეპატრონეს. “ბინძური” - ამ შემთხვევაში “საზიზდარის” მნიშვნელობით არის ნახმარი, “ვაჟბატონის” გამოყენებაც ირონიულობას სძენს ნათქვამს და საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს მთავარი გმირის განწყობას. მეორე მხრივ, ჭუმბურიძის განსაზღვრება “მუტრუკი”, ვფიქრობ საკმაოდ არაზუსტი შეფასებაა ვინაიდან პირდაპირი მნიშვნელობით ეს სიტყვა ვირის ნაშიერს, ჩოხორს ნიშნავს, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით კი, ლანძღვისას იტყვიან უზრდელ ახალგაზრდაზე, რაც ვფიქრობთ, განსხვავდება ჰოლდენისეული განსაზღვრებისაგან.

11. He just got a Jaguar. One of those little English jobs that can do around two hundred mile an hour. It cost him damn near four thousand bucks. His got a lot of dough now. (65,4)

სწორედ ამას წინათ იყიდა “იაგუარი”. ერთი მოციცქეული ინგლისური მანქანაა, საათში ორას მილს გადის. ბარე ოთხი ათასი დოლარი დაუჭდა. იცოცხლე ფული ჩეჩქივით აქვს ახლა. უწინ ქესატად გახლდათ. (59,6)

იაგუარით დაგრიალებს ჩვენი დიბი - მაგარი რამეა, მოცუცქეული და საათში 200 კმ მაგისტრის არაფერია. რა მოხდა მერე სულ რაღაც 14.000 თუ ჟვლიპა, მეტი ხო არა. თანაც ახლა ფული ჩეჩქივით აქვს დიბის. (58,4)

ვ. ჭელიძის თარგმანში სიტყვა “dough” ქარგონით არ არის გადმოტანილი, მაგრამ, შემდგომში მთარგმნელი იყენებს ქართული სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელ სიტყვებს, რომლებიც ფულთან არის დაკავშირებული: კერძოდ, “ჩეჩქად აქვს” და “ქესატად გახლდათ”, რითაც სრულყოფილად გადმოგვცემს ორიგინალის შინაარსს, დენოტაციური და კონტაციური მნიშვნელობების განეიტრალების გარეშე.

რაც შეეხება მეორე თარგმანს, რომელიც გია ჭუმბურიძის მიერ არის შესრულებული, აქაც, მიუხედავად იმისა, რომ “dough” უბრალოდ შესატყვისი ფულის ერთეულით არის აღნიშნული, სასაუბრო მეტყველებისთვის ეფექტი დაკარგული არ არის. ისიც იყენებს ფულთან დაკავშირებულ ქართულ უარგონს “ჟვლიპა”, რაც შეიძლება ერთგვარ გაკიცხვათაც მივიჩნიოთ, პოლდენის მხრიდან, ვინაიდან “ჟვლიპა” გარდა იმისა, რომ ფულის გადახდას ნიშნავს, ასევე ფულის უფარათოდ ხარჯვასა და ფლანგვასაც გულისხმობს. ეს კი პოლდენის განწყობას, ვფიქრობთ, ზუსტად გამოხატავს. საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭუმბურიძის თარგმანისათვის უარგონიზმების და სასაუბრო ენის უფრო მეტად გამოყენებაა დამახასიათებელი, ვიდრე ჭელიძის თარგმანისთვის და თვით ორიგინალისთვისაც კი.

12. Pency prep school that's in Agerstoran, Pensilvania. You probably heard of it. You've probably seen ads, anynay. They advertise it about a thousand magazines. Always showing some hot-shot guy on a horse jumping over a fence and underneath the guy on the horse's picture, it always says: ~Since 1889 we have been molding boys into splendid, clear thinking man~. Strictly for the birds~. (65,4)

“პენსი ეგერსტაუნის მოსამზადებელი სკოლა გახლავთ, პენსილვანიის შტატში. ალბათ გაგიგონიათ. რეკლამები მაინც გექნებათ ნახული. ბეჭდავენ და ბეჭდავენ ათასობით ჟურნალში რეკლამებს - შემჯდარა ცხენზე ვიდაც გაჯგიმული ბიჭი და უნდა მესერზე გადაახტუნოს. ბიჭის სურათის ქვეშ კი წარწერაა. “ჩვენი სკოლა 1888 წლიდან აყალიბებს მამაცსა და საღად მოაზროვნე ჭაბუკებს“. ჭმევაც ამას ქვია!” (59,6)

“ეგ ეთჯერსთამენშია, პენსილვანიის შტატში, ეგება გაგიგონიათ კიდეც ბოლო-ბოლო, მაგათ რეკლამას ყოველ მეორე ფერად ჟურნალში ნახავთ, თანაც გაშლილ გვერდზე. ცხენს მომჯდარი ვიდაც დაზმანული პიურნი რო ქვის დობეს ევლება, თითქოსდა ბოლოს თამაშის გარდა მეტი საქმე არ ჰქონდეთ. თანაც რეკლამას მუ-დამ ერთი და იგივე რაღაც აწერია. 1888 წლიდან მოყოლებული, ჩვენს სკოლას მხოლოდ სავსებთი ჩამოყალიბებული, უდრევი ხასიათის, საღად მოაზროვნე ახალ-გაზრდები ამთავრებენ! ბლა-ბლა-ბლა - ცარიელი სიტყვების ბლაყუნი”. (58,5)

ვ. ჭელიძის თარგმანში “hot-shot guy” გადმოტანილია, როგორც “გაჯგიმული ბიჭი”, რაც შეიძლება აღწერილობითაც კი გამოხატავდეს იმას, რასაც hot shot - ნიშნავს, (მნიშვნელოვანი პიროვნება), მაგრამ ინგლისური სიტყვისაგან განსხვავებით, მას, ცოტა არ იყოს, ექსპრესიულობა აკლია. მეორეს მხრივ, ეს ნაკლი სავსებით არის ანაზღაურებული ფრაზით “ჭმევაც ამას ჰქვია“, რომელიც უარგონია და “მოტყუებას“ ნიშნავს. ამ ხერხით არის გადმოტანილი ინგლისური იდიომი ~strictly for the birds~, რაც ნიშნავს უმნიშვნელო ან არპრაქტიკულ რამეს. ჭელიძის მიერ გამოყენებული უარგონული გამოთქმა, ჩვენი აზრით, ზუსტად მოერგო სათქმელს. რაც შეეხება ჭუმბურიძის თარგმანს, აქ იგივე იდიომი გადმოტანილია როგორც “ბლა, ბლა, ბლა, ცარიელი, სიტყვების ბლაყუნი“. “ბლა, ბლა, ბლა”, ინგლისურ გამოთქმას წარმოადგენს, ხოლო ქართული ენისათვის იგი სულაც არ არის ორგანული და ალბათ ამიტომაც აქვს დართული განმარტება – “ცარიელი სიტყვების ბლაყუნი”.

გვიქრობთ, ჭუმბურიძისეულ თარგმანში უფრო ზუსტად არის გადმოცემული სასაუბრო სტილი. გამოყენებულია ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც ქართულ სასაუბრო ენაში გვხვდება და არა საღიტერატუროში. მაგ: ეგ - ჩვენებითი ნაცვალ-სახელის გამოყენება. “hot-shot” გადმოტანილია, როგორც ”ვიდაც დაზმანული პი-

ქონი”, რაც გამოპრანჭულ ადამიანს ნიშნავს, რომელსაც თავზე დიდი წარმოდგენა აქვს.

### 13. It's a swell song. (65,73)

დიდებული სიმღერა კია. (59,73)

მაგარი რამეა - ამათაც კი ვერ მოუხერხეს ბოლომდე გაეფუჭებინათ. (58,101)

ეს ეგზისტენციალური ანუ შეფასებითი წინადაღება ჭელიძის თარგმანში უფრო ნაკლებ ექსპრესიულია, ან უფრო სწორედ, მეტისმეტად ლიტერატურულია, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ 16 წლის მოზარდს წარმოეთქვა. ჭუმბურიძესთან გვაქვს თანამედროვე სასაუბრო ქართულში მეტად გავრცელებული დადებითი შეფასება- “მაგარი რამეა.

### 14. I wasn't sleepy or anything, but I was feeling sort of lousy. (65,92)

არც მემინებოდა და არც არაფერი, მაგრამ ძაღლის გუნებაზე ვიყავი. (59,91)

არც დაღლილი ვიყავი და არც არაფერი, ოღონდ მაგარ გატეხილში ვიყავი და სიცოცხლე ადარ მინდოდა. (58,127).

ვ. ჭელიძე თარგმანში ქართულ ენაში გავრცელებული ხატოვან გამოთქმას იყენებს, რაც ძალიან ცუდ გუნებაზე ყოფნას ნიშნავს. ჭუმბურიძე კი პვლავ ჟარგონს მიმართავს, რაც მეტად ექსპრესიულად და ემფატიკურადაც კი ჰდერს. მეორეს მხრივ, ორიგინალის განწყობას ზუსტად გამოხატავს.

### 2.3.2. ფრაზით გამოხატული ჟარგონიზმები:

ჟარგონიზმები, როგორც ვიცით, ხშირად არა ერთი სიტყვით, არამედ ფრაზით შეიძლება გამოიხატოს. ენაში ფართოდ გავრცელებული ხატოვანი ფრაზეოლოგიზმების მსგავსად, ჟარგონიზმებიც შეიძლება შეგვხვდეს: ა) სრული კომპონენტური შემადგენლობით, ბ) ისეთი სახით, როდესაც არამდგრადი კომპონენტი სხვა ერთეულით არის ჩანაცვლებული და გ) რედუცირებული სახით, როდესაც მხოლოდ მდგრადი კომპონენტია რეალიზებული.

1. Well, you could see he really felt pretty lousy about flunking me. So I shot the bull for a while. (65,14)

“ეტყობა მართლა ძალიან აწუხებდა ჩემი ჩაჭრა. ახლა მე დავიქოქე”. (59,16)

“აი, ხომ ხედავთ, მართლა ეკლად ესობოდა ეგ ჩემი გარიცხვა. ეგონა თავისი წილიც ედო ამ ამბავში, ხოდა მეც ავიქავე ენა”. (58,20)

“to shoot the bull” - ზედმეტ ლაქლაქს, ყბედობას ნიშნავს. ამ წინადადებაში ის სრული სახით არის მოცემული და ქართულ თარგმანში ჭელიძესთან შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ზმნით არის გადმოსული -“დავიქოქე”. ჟარგონზე ეს “დაუსრულებელ ლაპარაკს” ნიშნავს. ჭუმბურიძესთან იგივე კონტექსტის სათარგმნელად ქართული ხატოვანი გამოთქმაა გამოყენებული “ენის აქავება”. ვფიქრობთ, ორივე შემთხვევაში, თარგმანში შენარჩუნებულია ფრაზის დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობა და არც ხატოვანებაა გაფერმკრთალებული.

2. I'm lucky though. I mean I could shoot the old bull to old spencer and think about those ducks at the same time. It's funny. You don't have to think too hard when you talk to a teacher. All of a sudden, though, he interrupted me while I was shooting the bull. (65,115)

“იღბლიანი კაცი ვარ. კარგად გამომივიდა, რაც ენაზე მომადგება ყველაფერს ვეუბნები მოხუც სპენსერს, თან კი იხვებზე ვფიქრობ, სასაცილოა, მასწავლებელს რომ ელაპარაკები, ფიქრით არ უნდა შეიწუხო თავი. ვაყრი სხაპასხუპით სიტყვებს და უცებ შემაწყვეტინა”. (59,17)

“მოკლედ კარგად გამოვმვერი. აქეთ ბებერ სპენსერს ვაბოლებდი, იქით იხვებზე ვფიქრობი. მაზალო რამეა. დიდი ტვინის ჭყლებივა სულაც არ არის საჭირო, როდესაც მასწავლებელს ელაპარაკები. ოდონდ ერთი ცუდი ზნე ჭირთ - უცებ შეგაწყვეტინებენ ხოლმე, - სულ რომ არ მოელი მაშინ”. (58,21).

ამ შემთხვევაში კი ჭელიძის თარგმანში ინგლისური ფრაზეოლოგიზმი თავისუფალი შესიტყვებით არის ჩანაცვლებული. ხოლო ჭუმბურიძესთან კი ჟარგონული ზმნით “ვაბოლებდი”, რაც ნიშნავს ‘ვინმესთვის რაღაცის მოყოლას’, “ისეთი რამის დაჯერებინებას, რაც სიმართლეს არ შეეფერება”. ეს, ვფიქრობთ, კარგად შეესაბამება მოცემულ კონტექსტს, ვინაიდან ორიგინალში თითქოსდა აგდებული დამოკიდებულება გამოსჭვივის მასწავლებლის მიმართ და ფრაზაშიც სიტყვა old არის ჩამატებული, რაც old Spencer-s ერითმება და ხაზს უსმევს ამგვარ დამოკიდებულებას.

3. I told him how I would've done exactly the same thing if I'd been in his place, and how most people didn't appreciate how tough it is being a teacher. That kind of stuff the Old bull. (65,15)

“თქვენს ადგილას რომ ვყოფილიყავი, მეც სწორედ ასე მოვიქცეოდი-მეთქი, ბევრს წარმოდგენაც კი არა აქვს, მასწავლებლობა, რა ძნელი ხელობაა მეთქი, და ამისთანა სისულელები. ერთი სიტყვით, მაგრად დავიქოქე”. (59,17)

“თქვენს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა მეთქი; საზოგადოდ, ხალხი ჯეროვნად ვერც აფასებს პედაგოგის მძიმე შრომას და ა.შ. მოკლედ მოვხსენი გუდას პირი”. (58, 20)

ამ შემთხვევაში ფრაზა რედუცირებული სახით არის წარმოდგენილი და ჭელიძეს-თან ზმნით, ხოლო ჭუმბურიძის თარგმანში ფრაზეოლოგიური ანალოგითაა გადმო-სული.

4. Then the old lady that was around a hundred years old and I shot the breeze for a while (65,202)

ამ ასი წლის დედაბერმა კი საუბარი გამიბა (59, 195)

მერე ერთხანობა მექაქანა. (58, 276)

ჭელიძის თარგმანში ეს იდიომი “shot the breeze” თავისუფალი შესიტყვებით არის გადმოსული, ხოლო ჭუმბურიძესთან კი ზმნით “მექაქანა”, რაც სასაუბრო ენაზე გაუთავებელ, გაბმულ ხმამაღლა ლაპარაკს გულისხმობს. ამასთანავე ჭელიძის თარგმანში ფრაზის დემეტაფორიზაციასაც აქვს ადგილი.

5. They gave me frequent warning to start applying myself - especially around midterms, when by parents come up for a conference with old Thurmer - but I didn't do it. So I got the axe. (65,6)

“მაგრამ ყურშიც არ შემიშვია მათი ჩიჩინი, ადგნენ და გამომაპანდურეს”. (59, 8)

“ფეხებზე დავიკიდე და გულზეც მომეშვა, ოღონდ ეგ იყო, საბოლოოდ მაინც გამომაპანდურეს”. (58,7)

ფრაზას to get the axe ორიგე თარგმანში ჟარგონული სიტყვა ‘გამოპანდურება’ ჩაუ-ნაცვლა. რაც შეეხება წინადადების პირველ ნაწილს, ორივე თარგმანში გამოყენებული გამოთქმები სასაუბროა და არსებითად იდენტური შინაარსით გამოირჩევა. თუმცა ჭუმბურიძესთან გამოყენებული გამოთქმა უფრო უხეშად ჟღერს.

6. I'll be up the creek: if I don't get the goddamn thing in by reason I ask (65,30).

იდიომი “to be up the creek” ნიშნავს ცუდ სიტუაციაში მდგომარეობაში ყოფნას. ჭელიძის თარგმანში ის ჩანაცვლებულია ხატოვანი გამონათქვამით “შავად წამივა საქმე”, ხოლო ჭუმბურიძესთან კი სასაუბრო ფრაზით – “მაგრა მომხვდება”.

“ორშაბათს რომ არ ჩავაბარო შავად წამივა საქმე, და ამიტომაც გთხოვ. პა?”  
(59,31)

“მაგრა მომხვდება, თუ ვერ ჩავაბარებ” (58,43).

ჭელიძესთან სასაუბრო მეტყველების ტონალობა შენარჩუნებულია წინადაღებაზე ‘ჰა’ ნაწილაკის დართვით, რაც ძირითადად, მეტყველებისათვის, არის დამახასიათებელი.

7. C'mon, let's get outta here~, I said. ~You give me a royal pain in the ass, if you want to know the truth~. Boy, did she hit the ceiling, when I said that. (65,135)

‘აშკარა იყო, მასთან სერიოზულ ლაპარაკს აზრი აღარ ჰქონდა. ჩემს თავზე ვბრაზდებოდი, რატომ წამოვიყვანე-მეთქი. პოი, ბიჭო, გაწიწმატდა, მაგრამ რა გაწიწმატდა.’ (59, 131)

“წავიდეთ აქედან“, ვეუბნები. “სიმართლე გითხრა მართლა ყელში ამომიხვედი. დმერთმანი.

აუ, რა დაემართა, ეს რო ვთქვი! ლამის ჭერს აარტყა თავი.” (58,144)

“Pain in the ass’ - სასაუბრო ენაში ძალიან გამაღიზიანებულ პიროვნებას ნიშნავს და ჭელიძის თარგმანში ის სრულიად გამოტოვებულია, ხოლო “ჭუმბურიძესთან კი შედარებით ნაკლებად უხეში ფრაზით არის გადმოტანილი ~ ყელში ამომიხვედი“. ფრაზა ~hit the ceiling, როგორც ცნობილია, ‘ძლიერ გაბრაზებას’ ნიშნავს, ჭელიძის თარგმანში კი ეს შინაარსი ზმნით არის გადმოსული “გაწიწმატდა“, ხოლო ჭუმბურიძესთან კი-სიტყვასიტყვით თარგმანით, თუმცა ამით არც ერთეულის ხატოვანება დაკარგული და ქართული ენისთვისაც ხელოვნურადაც არ გამოიყურება.

8. ~Go home Mac. Like a good guy. Go tome and hit the sack. (65,153)

“შინ წადი მაკ. ნუ გაჯიუტდები, შინ წადი და დაწექი.” (59,150)

“წადი კუტუნია სახლში, გამოიძინე.’ (58,212).

“Hit the sack’ სასაუბრო ენაზე დაძინებას ნიშნავს და ქართულ თარგმანში ვერ მოხერხდა ამ ფრაზის კონოტაციური ეფექტის შენარჩუნება. ორივე მთარგმნელმა დენოტაციურ მნიშვნელობას მიანიჭა უპირატესობა და ეს ფრაზა აღწერით თარგმ-

ნა, რაც ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებულია კინაიდან ხელოვნურ თარგმნით ვარიანტს, რომელსაც ბუნებრიობა აკლია, სჯობის ნეიტრალური თარგმანი.

9. I mean I wondered it just maybe I was wrong about thinking he was making a filthy pass at me? (65,195)

“ვაითუ შარსა ვდებ, იქნებ იმ კაცს სრულიად არ ჰქონია ბინძური ზრახვები-მეთქი”. (59,189)

“იქნება და სულაც არ იყო ისეთი, ეგებ ჩვევა აქვს, სულაც ეგრე უსვამს ხოლმე ხელს თავზე ყველა მძინარეს რო ნახავს.” (58, 267)

“To make a pass at sb’ ნიშნავს სექსუალური ურთიერთობის დაწყების მცდელობას.. ცოტათი სკრაბეზული მომენტია და ჭელიძისეულ თარგმანში გვხვდება შესიტყვება « ბინძური ზრახვები », ხოლო ჭუმბურიძესთან კი სიტუაციაა აღწერილი. და გამოყენებულია სიტყვა “ისეთი”, რომელიც ამ შემთხვევაში ბინძური ზრახვების მქონე ადამიანი იგულისხმება და თანაც ეს ზედსართავი სიტუაციის უხერხელობასაც უსვამს ხაზს.

10. I knew she wouldn't let him get to first base with her but it drove me crazy anyway. (65,81)

“ვიცოდი, რომ ისეთს არაფერს გააძედინებდა, მაგრამ, მაინც ვგიუდებოდი”. (59,81)

“შანსი არ იყო, ჯეინს იმ ნაბიჭვარი სტრედლეიტერისათვის მიეცა, ეგ კი არა ახლოსაც არ მოსულა, მაგრამ თავისთავად ასეთი რამის გაფიქრებაზეც კი მაურიალებდა”. (58, 112).

“Not to get first base - (with sb/sth)” - სასაუბრო ინგლისურში ნიშნავს “ვერ გადალახო პირველი ეტაპი, საწყისი ფაზა ურთიერთობებში”. ჭელიძის თარგმანში ეს ფრაზა თავისუფალი შესიტყვებით არის გადმოცემული. “ისეთს არაფერს გააძედინებდა, ზედსართავის “ისეთი” გამოყენება, რომელიც რაღაც მიუდებელს გულისხმობს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ჰოლდენისთვის მიუდებელს, კარგად გამოხატავს მის განწყობას. ჭუმბურიძესთან კი ეს ფრაზა უარგონული ზმნითა და ფრაზით გადმოდის და საკმაოდ უხეშ ფორმებშია გამოხატული.

11. Mr. Cudahy that was the booze hound’s name - had ever tried to get wise with her. (65,80)

“გზაში ვკითხე, მისტერ კუდაპის - კუდაპი იყო იმ ლოთის გვარი, - შენთვის ცუდი ხომ არაფერი უკადრებია მეთქი”. (59,80)

“გზად ვეკითხები, ის ბატონი კუდაპი - ასეთი გვარი ჰქონდა მის მამინაცვალს - როდესმე თუ ცდილა შენს დათრევას-მეთქი”. (58, 111)

ესეც წინა მაგალითის მსგავსად, “to get wise at sb” ნიშნავს ვინმესთან უპატიოსნოდ მოქცევას. და ჭელიძის თარგმანში ეს იდიომი ფრაზით არის გადმოსული, რომელიც ევფემიზმია და სექსუალური ურთიერთობის მცდელობის აღსანიშნავად არის გამოყენებული. ჭუმბურიძესთან კი პირიქით, უარგონულ გამოთქმას ვხვდებით - “დათრევა”, რაც “რამის ხელში ჩაგდებას, მოპოვებას” ნიშნავს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ძალადობისა თუ უპატიოსნობის ელფერი დაკკრავს. ისევე როგორც ბევრ სხვა ადგილას, აქაც, ჭუმბურიძის თარგმანი უფრო მეტად იტვირთება სლენგით, ვიდრე საწყისი ტექსტი.

ფრაზეოლოგიზმში კარგად ჩანს ენობრივ კოლექტივთა მიერ გარემოს არაერთგვაროვანი ხედვა და მათ მიერ გამოწვეულ ასოციაციათა განსხვავებული ხასიათი. ეს გარემოება კი განსაკუთრებით საგრძნობია ე.წ. კომპარატიულ ფრაზეოლოგიზმებში, მათ დიდი ნაწილი შინაგანი ფორმით ეკვივალენტია მაგ. as firm as rock - კლდესავით მაგარი. მაგრამ ხშირად დასტურდება ასოციაციის განსხვავებული ხასიათიც მაგ: as cool as cucumber- ყინულივით ცივი; as like as two peas - გაჭრილი ვაშლივით, ტყუპისცალივით მსგავსი. უნდა აღინიშნოს, რომ კომპარატიული ფრაზეოლოგიზმის ზუსტი თარგმანი მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა ახალი სახეობრიობა მიმდები ენისთვისაც არ იქნება უცხო და ხელოვნური:

1. ~You are gooddam right they don't,” Horwitz said, and drove off like a bat out of hell. (65,:85)

“ჰოდა, მეც მანდ ვარ! - თქვა ჰორვეცმა და გიჟივით გაქანდა”. (59,85)

“ეგრეა, ეგრე!” - თქვა და ადგილიდან მოხია. (58,117)

ამ შემთხვევაში ფრაზეოლოგიზმის კალკირება ქართული ენისთვის ხელოვნური იქნებოდა და ამიტომ ორივე მთარგმნელთან შესაბამისი მნიშვნელობის მქონე თავისუფალი შესიტყვებაა გამოყენებული, თანაც ჭუმბურიძის თარგმანში უარგონული ზმნაც გამოიყენება.

2. I certainly began to feel like a prize horse's ass, though, sitting there all by myself (65,87)

“დავიშესე ერთ ადგილზე ჯდომით, მომწყინდა, საქმე არაფერი მქონდა - ვიჯექი- გსვამდი და სიგარეტს ვაბოლებდი”. (59,86)

“თუმცა ცოტა ხანში უკვე მე თვითონ ვგრძნობდი თავს რჩეულ იდიოტად, ასე რო ვიჯექი მარტო და უაზროდ”. (58,120)

‘horse's ass’ - სულელს ნიშნავს. ჭელიძესეულ თარგმანში ეს ფრაზეოლოგიზმი არ არის გამოყენებული და მის ნაცვლად პოლდენის გადიზიანება გამოხატულია შემ- დეგი ზმნებითა და ფრაზებით: ‘დავიშესე ერთ ადგილზე ჯდომით, მომწყინდა, საქმე არაფერი მქონდა’.. ცხადია, რომ თუმცა ორიგინალის სახეობრიობა გაფერმკრთალე- ბულია, მაინც ეს უფრო ბუნებრივად და მისაღებად ჩანს, ვიდრე ჭუმბურიძისეული “ვგრძნობდი თავს რჩეულ იდიოტად”, რაც, ვფიქრობ, ოდნავ ხელოვნურად და ყალბად ჟღერს, თუმცა, მეორეს მხრივ, აზრი აბსოლიტურად გასაგებია.

3. Boy, it began to rain like a bastard. (65,213)

“ჰოი, ბიჭო, რა წვიმა დაუშვა! ნამდვილი კოკისპირული”. (59,296)

“მერე კი ცა ფეხად ჩამოვიდა”. (58,288)

სიტყვა “bastard” –გარდა უკანონოდ ნაშობისა, ნიშნავს ისეთ რამესაც, რაც გალიზია- ნებს ან პრობლემას უქმნის ადამიანს. ქართულ თარგმანში ეს ორივეგან ხატოვანი გამოთქმით გადმოვიდა, რომელიც ქართული ენისთვის უფრო დამახასიათებელია.

### 2.3.3.სკრაბეზული მომენტების გადმოტანის სპეციფიკა თარგმანში

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ადრეულ ქართულ თარგმანებში, როგორც წესი, შერ- ბილებული ან გამოტოვებული იყო ორიგინალის სკრაბეზული მომენტები. ეს ბუნებრივიც იყო, რადანაც, ქართული ლიტერატურული ტრადიციების თანახმად, მუდამ უცხო იყო გადაჭარბებული ეროტიკა, შიშველი ხორციელება ან ქალის მი- მართ უპატივცემულო დამოკიდებულება. შესაბამისად, ეს მომენტები არასოდეს ნატურალისტურად არ გადმოცემულან თარგმანში.

დღესდღეობით შედარებით ხშირად დასტურდება საპირისპირო ტენდენციები. ეს ძალიან კარგად ჩანს ჯ. სელინჯერის რომანის, “თამაში ჭვავის ქანაში”, ძველი და ახალი თარგმანების შედარებისას.

1. You never knew if he was nodding a lot because he was thinking and all or just because he didn't know his ass from his eldow. (65,10)

“ვერც გაუგებ, რას აუტყდა ეს თავის კანტური - ჩაფიქრდა, თუ სიბერისაგან გამოვშტერდი და ალარაფერი ესმის. (59,12)

“როგორ წესი და რიგია, თავის ქნევას მოჰყვა - ღრმა სინანულის გამოსახატავად ოდონდ ეგეთი გაშმაგებული თავის კანტური სხვა ვინმეს შესძლებოდეს თავის დღეში არვინ ახავს. ან თუ თავისას ფიქრობდა რაღაცას, ან სულაც სიბერემ უწია და უამი-უამ აზრზეც არ იყო, რას შვრებოდა”. (58,13)

ენაში გავრცელებული ანალოგიური აზრის შემცველი ფრაზეოლოგიზმებიდან, რომლებიც გამოხატავენ ადამიანის უუნარობას ელემენტარულ ჭეშმარიტებაში გაერკვეს (not know cheese from Chalk, not to know B from a broomstick), ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში ნაწარმოების გმირი ყველაზე უხამს ფრაზას ანიჭებს უპირატესობას, რაც ორივე თარგმანში საკმაოდ შერბილებულია.

შემდეგ მაგალითში უკვე განსხვავება იკვეთება ძველსა და ახალ თარგმანს შორის.

2. Anyway, it was December and all, and it was as cold as a witch's teat, especially on the top of that stupid hill (68, 6)

“ერთი სიტყვით, დეკემბერი იდგა, ციოდა - ძაღლი არ გაიგდებოდა კარში”. (59,8)

“ახლა დეკემბერი იყო და იმ დედაიმასქნებულ გორაზე ისე ციოდა, როგორც დედაბრის უბეში”. (58,7)

ორიგინალში უხამსი შედარებაა მოყვანილი, რაც ჭელიძის თარგმანში ქართულ ენაში გავრცელებული ხატოვანი გამოთქმით არის შენაცვლებული “ძაღლი არ გაიგდებოდა კარში”, ანუ ძალიან ციოდა, ხოლო ჭუმბურიძისეულ თარგმანში კი კალკირებული, ორიგინალთან მიახლოებული ფრაზაა გამოყენებული: “ციოდა როგორც დედაბრის უბეში”, რაც ხელოვნურად უღერს, თუმცა ეს არჩევანი, აღბათ მაინც წყარო ტექსტზე ორიენტაციითა და ავტორისეული სტილის დაცვის სურვილით აიხსნება.

4. Anyway I kept standing next to that crazy canon, looking down at the game and freezing my ass off. (68,6)

“ერთი სიტყვით იმ დაფხავებული ზარბაზნის გვერდით ვიდექი, მინდორს გადაჭურებდი და სიცივისაგან უკანალი მეწოდა”. (59,8)

“მოკლედ, ვზიგარ ამ ნაშთის ძველი დიდების თანა, თამაშს თვალს ვადევნებ და თან კაკლები მეთოშება”. (58,8)

5. He was strictly pain in the ass (68,:50)

“ახირებული კაცი იყო, მაგრამ დიდი სიტყვების მარაგი პქონდა”. (6,46)

“სუფთა სირი იყო, მე თუ მკითხავთ, ოდონ წყობილად კი ლაპარაკობდა”. (5,207)

7. Strange, my ass (68,194)

“უცნაური, დიახ!” (59,188)

‘უცნაური, ბებიამაგისამ’ (58,265)

უწმაწური ერთეული (ass) ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება აღნიშნულ ნაწარმოებში, რომელიც მთხრობელი პერსონაჟის გაბმული მონოლოგია, ხან პირდაპირი, ხან გადატანითი მნიშვნელობით (freezing my ass off; snapping his towel at people asses), შორისდებულის სახითაც; სხვადასხვა ემოციის გამოსახატად, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია:

6. Life is a game, boy!

- Yes sir. I know it.

Game, my ass. Some game. If you get on the side where all the hot-shots are, then it's a game~, all right I'll admit that. (68,10)

“ცხოვრება მართლაც თამაშია, ემაწვილო, ისეთი თამაშია, როცა ყველა წესი უნდა დაიცვა.

- ვიცი სერ, მეც ვიცი, განა არ ვიცი!

კაი თამაში კია, თქვენმა მზემ! იმ მხარეს თუ მოხვდი, საცა მაგარი ბიჭები არიან, არა გიშავს რა, მართლაც თამაშია, რა მეთქმის! (59,12)

“ეს კი მართალი უთქვამს, რომ “ცხოვრება მართლაც თამაშია და წესებიც უნდა დაიცვა“.

“ვიცი, როგორ არა“

თამაში კი არა, ის კიდე. გაგკარი ეგეთ თამაშს. თუ არჩევანი შენზეა და მაგრებში მოხვდი - ხო კაია. თუ არადანი გერგო და კაცი არ გყავს მხარში ამომდგომი, მაშინ რადას შვრები? რალა დაგრჩენია? ჩემი ფეხები”. (58, 14)

როგორც ამ თარგმანების შედარებისას იკვეთება, უფრო ადრეულ ეტაპზე შესრულებულ ჭელიძისეულ თარგმანში უფრო ხშირია სკრაბეზული მომენტების შერბი-

ლების მცდელობა, ვიდრე მოგვიანებით შესრულებულ ჭუმბურიძისეულ თარგმანში, რომელიც არ ერიდება ასეთ მომენტებს.

3. The other end of the bar was full of flits (68,144)

“ბარს იქითა მხარეს მოსირისტიანო ხალხი შეგროვილიყო.” (59,140)

“იქით კიდე ნაღდ პიდერებს თავიანთი თავყრილობა ჰქონდათ.” (58,199)

#### 2.3.4. სალანძღვი სიტყვები თარგმანში

რომანის მთავარი მოქმედი გმირის მეტყველება გამოირჩევა უწმაწური და სალანძღვი სიტყვების გადატგირთული ხმარებით. ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირად ეს სიტყვები პოლდენის ემოციურ მდგომარეობას უსვამს ხაზს. ვნახოთ, თუ როგორ ხდება მათი გადმოტანა ქართულ თარგმანში.

1. I was the Goddamn manager of the fencing team. Very big deal. (68,5)

“რაღაც ჯანდაბად მოფარიკავეთა გუნდის კაპიტანი გახლდით. დიდი ვინმე კი ვყოფილვარ.” (59,7)

“ვიღაცამ და რატომდაც გუნდის კაპიტანდ ამირჩია. ბედი არ გინდა”. (58,6)

სიტყვა Goddamn - გადიზიანების გამოსახატავად არის გამოყენებული და ჭელიძისეულ თარგმანში სასაუბრო ენაში გავრცელებული ფრაზით არის გადმოტანილი, რომელიც ასევე უკიდურეს გადიზიანებას გამოხატავს, ხოლო ჭუმბურიძისეულ თარგმანში ვხვდებით განუსაზღვრელ ნაცვალსახელს “ვიღაცა” და “რატომდაც”, რაც გადმოგვცემს გადიზიანებასაც და გაკვირვებასაც.

2. Then we shook hands. And all that crap. It made me feel sad as hell, though. (68,17)

“მერე ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს და ათასი ამნაირი სისულელე ვუთხარით. ძაღლის გუნებაზე დავდექი.” (59,19)

“მერე ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, კაცურად. თუმცა ამაზე ნაღვლიანი გამომშვიდობება ჯერ არავისთან მქონია.” (58,24)

ქართულ თარგმანში ისევ დონეთაშორის ტრანსფორმაციას აქვს ადგილი, ანუ აქ ინგლისური ენის კონკრეტული ერთეული ქართულ ენაში სხვა ერთეულით არის ჩანაცვლებული, რათა მსგავსი ეფექტი მივიღოთ. ჭელიძისეულ თარგმანში იმის გამოსახატავად, რომ პოლდენი საშინელ გუნებაზე დადგა, გვხვდება ხატოვანი გამოთქმა

“ძაღლის გუნებაზე დავდექი“ რაც მეტად ემოციურად გამოხატავს სათქმელს, ხოლო ჭუმბურიძისეულ თარგმანში დასტურდება ფრაზა “ნადვლიანი გამომშვიდობება,” რომელსაც რომანის ემოციურობა ნამდვილად აკლია.

3. God damn it. He was sore as hell. He was really furious. ~You always do everything backwards“. He looked at me .No wonder you're flunking the hell out of here, he said. ~You don't do one damn thing he way you're supposed to. I mean it. Not one damn thing (68,43)

“- ჯანდაბას შენი თავი, - საშინლად გაბრაზდა, გაცოფდა პირდაპირ - სულ ასე-თი უკულმართი ხარ, - ახლადა შემომხედა, - ახია, რომ გამოგაპანდურეს, - განაგრძო მან, - არ შეიძლება კაცი მოგენდოს, არაფერი წესიერი არ გამოგივა ხელიდან. სულ ტყუილია, არაფერი.” (59,44)

- “გიჟი ხარ შე ჩემისა“... მართლა გაბრაზდა, ლამის ჭკუაზე აღარ იყო.

- ახია, სკოლიდან რო გაგრიცხეს. მართალს გუუბნები. ყველაფერს უკულმა აკუთებ, ნორმალურად არაფრის კეთება არ შეგიძლია. გიჟი ხარ ნამდვილი.” (58,61)

ფრაზა “God damn it” საშინელ გაღიზიანებას და გაბრაზებას გამოხატავს. ქართულ თარგმანში ჭელიძისეულ თარგმანში იგი სასაუბრო ფრაზით არის გადმოტანილი, რომელიც იდენტურ ემოციას გამოხატავს, ხოლო ჭუმბურიძე თარგმანში გინების ევფემიზებულ ვარიანტს იყენებს.

4. Canasta, for Chrissake. Do you know what time it is, by chance? (68,48)

“- კანასტა? რა გეკანასტება - ნეტა თუ იცი რა დროა ”(59,49).

- გიჟია ეს ოხერი! კანასტა არა ისა კიდე. რომელი საათია აზრზე თუ ხარ. (58,68)

ჭელიძისეულ თარგმანში კონვერსიას ვხვდებით ემოციის გამოხახავად, “რა გეკანტასტება“, ხოლო ჭუმბურიძესთან კი ფრაზას, გაღიზიანების გამომხატავ შორისდებულითა და ნაწილაკით ‘ისა კიდე’, რომელიც ასევე გაღიზიანებას გამოხატავს.

5. I loved that damn Museum. (68,121)

“გაგიჟებით მიყვარდა ის ოხერი მუზეუმი”. (59,118)

“მაგრა მისწორდეობდა ეს მუზეუმში სიარული და ამბავი.” (58,167)

Damn ამ წინადაღებაში ემფატიკური მნიშვნელობით იხმარება და ამოცანას უფრო მძაფრად გადმოგვცემს. ქართულ თარგმანში მსგავსი ეფექტის მისაღწევად ვ. ჭელი-

ძე ამატებს ზედსართავს “გაგიჟებით”, ხოლო ჭუმბურიძე კი უარგონულ ფრაზას იყენებს ‘მაგრა მისწორდებოდა’, რომელიც, ჩვენი აზრით, ასევე საქმაოდ ექსპრესიულია.

იმ სინტაქსურ კონსტრუქციათა შორის, რომლებიც, ექსპრესიულთან ერთად, ემოციურ კონტაციას შეიცავენ, აღსანიშნავია სტრუქტურული ფორმები, რომელთა არაკონვენციონალურობა მათი კომუნიკაციური უფექტის ცვლაში მდგომარეობს. ასეთია, მაგალითად უარყოფითი ელემენტის გარეშე გამოხატული უარყოფა, ანუ კონსტრუქცია, რომელშიც არ აღინიშნება არც უარყოფითი სიტყვა და არც უარყოფითი ნაწილაკი, მაგრამ აზრი უარყოფილია კონტაქსტის ლოგიკით. ასეთი კონსტრუქციებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი მუდამ ამჟღავნებენ სტრუქტურულ კავშირს წინა წინადადებასთან (~Did he give you money? - The hell he did) სათანადო კონტაცია ქართულში დონეთაშორისი ტრანსფორმაციით გამოიხატება “კი, როგორ არა“, ან უფრო ხალხური, სასაუბრო ფიქსირებული ფრაზებით - “მეტი საქმე არა მაქვს“ და სხვა.

6. Did you give her my regards? I asked him. ~Yeah~.

The hell he did, the bastard. (68,44)

- გადაეცი ჩემი მოკითხვა? -

- ხო!

- გადასცა, როგორ არა, ნაბუშარი“ (59,45)

“მოკითხვა გადაეცი?“

“კი“

შანსი არაა, - ვფიქრობ ჩემთვის - ტყუის. (58,63)

ექსპრესიული კონტაცია მუდამ თან ახლავს ისეთ აზრნაცვალ სინტაქსურ ფორმებსაც, რომლებშიც კითხვითი წინადადების ინვერტირებული წყობით გადმოცემული აზრი არც შეკითხვას შეიცავს, არც პასუხს მოითხოვს. ის მხოლოდ ამაფრებს გამონათქვამის რომელიმე სემანტიკური კომპონენტის მნიშვნელობას:

7. ~He started walking around the room, very slow and all... He always picked up your personal stuff and looked at it. Boy, could he get on your nerves.~ (68,22)

“დინჯად გაიარ-გამოიარა, ვითომც არაფერიო... ასეთი ჩვეულება ჰქონდა, აიღებდა შენს ნივთებს და კარგად დაათვალიერებდა. უჰ, ნერვებს მიშლიდა!“ (59,24)

“მერე ოთახში ბოდიალს მოჰყვა. ზანგად, ვითომ გულისგარეთ აიღებდა რაღაც ნიკოს, დახედავდა, ვითომდა ფიქრებში ძაან-ძაან ღრმად წასული, სულ სხვა ადამიანს დადებდა... მოკლედ, ნერვებზე თამაშობდა.” (58,32)

8. ~Then I left the bar and went out where the telephones were. I kept keeping my hand under my jacket to keep the blood from dripping. Boy, was I drunk. (68,150)

“ბარიდან გამოვედი და ტელეფონის ჯიხურისაკენ გავემართე. ხელი ისევ მუცელზე მიდევს, რომ სისხლმა არ იდინოს. პო, ბიჭო, როგორი მთვრალი ვიყავი”.(59,149)

“ბოლოს ისევ მაშინდელივით ჯეინთან გადავწევიტე დარეკვა და გარეთ გავედი, ტელეფონის ჯიხურს ვეძებდი. კიდე კარგი, მანამდე დანახარჯის გადახდა არ დამვიწყებია. ოღონდ ცალი ხელი სულ მუცელზე მეჭირა, სისხლის შესაჩერებლად. მაგარ კონდიციაში კი ვიყავი, ნამდვილად”. (58,209)

ორიგინალის მსგავსი აფაქტი თარგმანში იქმნება შორისდებულების და გამაძლიერებელი ზმინზედის აქტივიზაციით “როგორი”, “პო, ბიჭო!” და ასევე სასაუბრო გამოთქმით – “მაგარ კონდიციაში კი ვიყავი”.

საერთოდ ამ ნაწარმოებში პოლდენი ძალიან ხშირად იყენებს შორისდებულს “boy”, რაც სასაუბრო ამერიკულ ინგლისურში გამოიყენება სხვადასხვა ემოციის გამოსახატავად: გაკვირვების, სიხარულის, ტკივილის და ა.შ. საინტერესოა თვითონ პოლდენის აზრი ამ მოვლენის მიმართ, რომელსაც იგი თხრობისას გამოთქვამს:

Boy~ I said. I also say boy! quite a lot. Partly because I have a lousy vocabulary and partly because I act quite young for my ages sometimes. (68,11)

“პო, ბიჭო” ვთქვი მე. ამ “პო, ბიჭოსაც”! წარამარა ვისვრი ხოლმე ჯერ ერთი იმიტომ, რომ როგორდაც სიტყვები არ მყოფნის, მეორეც - ზოგჯერ ჩემი ასაკისათვის სავსებით შეუფერებლად ვიქცევი. (59,13)

“ასეა” ვამბობ. ვამბობ და ვამბობ. “ასეა და...” სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც გავიმეორე. არ ვიცი სიტყვების მარაგი არ მყოფნის თუ მართლა ბავშვურად ვიქცევი ხოლმე ხანდახან”. (58,14).

პოლდენი ტიპიური თინეიჯერია, ის უკვე არც ბავშვია, არც ზრდასრული კაცი და მისი მეტყველებაც ამის გამოხატულებაა. როგორც ცნობილია, სლენგის წარმოქმნისთვის ოთხი მიზეზი არსებობს: ახალგაზრდობა, ჩაგვრა, სპორტი და მანკიურება

და ამ ოთხიდან ყველაზე მძლავრ ბიძგს სლენგის შექმნის და გავრცელებისათვის ახალგაზრდობა წარმოადგენს. (თ.დელზელი), რომელთათვისაც სლენგი ერთგვარი ერთიანობის, ერთი და იმავე ჯგუფის წევრობას უსვამს ხაზს და თავიანთი განსხვავებული სლენგური მეტყველებით ახალგაზრდები, თითქოსდა ერთგვარ პროტესტს გამოხატავენ უფროსების მიმართ, რომლებიც მათ ცხოვრებას აკონტროლებენ, ამიტომაც სლენგის გამოყენება ხშირია სკოლის, უნივერსიტეტის ასაკში. ოცი წლის შემდეგ ჩვენ ნელ-ნელა ადარ ვითვისებთ ახალ სლენგს. ზრდასრულ ასაკში სლენგს თითქმის არ ვიყენებთ და იმ დროს, როდესაც სლენგზე ვფიქრობთ, ან ჩვენი შვილების მეტყველებას ვგულისხმობთ, ან ჩვენი ახალგაზრდობის დროინდელ სლენგს.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ჭელიძისეული “ჰო, ბიჭო” რომელიც, ფაქტობრივად, შორისდებულის Boy ანალოგია, დღესდღეობით ოდნავ მაინც მოძველებულად ედერს.

### **2.3.5. მდაბიური მეტყველება**

რაც შეეხბა დაბალი სოციალური წრისთვის დამახასიათებელ არასალიტერატურო მეტყველებას, რომანში აღწერილია მელიფტე ბიჭის, მსუბუქი ყოფაქცევის ქალისა და აგრეთვე ტაქსის მძღოლის ამგვარ მეტყველება.

1. The first thing when I got in the elevator, the elevator guy said to me, “Innarested in having a good time, fella? (68,92)

“ლიფტში ვერც კი შევასწარი შესვლა, რომ მელიფტე ბიჭი მომიბრუნდა და მითხრა: ცოტა გართობა არ გინდათ? თუ გემინებათ „უკვე?“ (59,91)

“ის იქო ლიფტში შევაბიჯე და ის ლიფტიორი ბიჭი მეკითხება, კაი დროსტარება არ გინდა, მმაჭაც? თუ ახლა მეტი არაფერი გინდა”. (58,127)

2. - Ya got a watch on ya? She said (68,196)

“საათი არ გაქვს? - მკითხა მან” (59,94)

“საათი გააქ? - მეგითხება”. (58,132)

3. Chief, you're gonna force me inna roughin'ya up a little bit. (68,103)

“უფროსო მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ უფრო სხვანაირად მოგელაპარაკები”. (59, 101)

“მმაკაც, არ მინდა ძაან ცუდად რომ მოგექცე, შენ კი მაგაზე მაგდებ”. (58,143) სიტყვათა დამახინჯებული წარმოთქმა, ბოლოკიდური ან თავკიდური ხმოვნების რედუცირება ქართულ თარგმანში ანალოგიური საშუალებებით ამ შემთხვევაშიც ვერ გადმოდის ქართული და ინგლისური ენების სისტემური არაერთგვაროვნების გამო. უნდა ითქვას, რომ ვ. ჭელიძე უფრო ხშირად იყენებს სტილისტური ირიდაციის მეთოდს, როდესაც თითო-ოროლა სასურველი სტილისტური ან კონტაციური ეფექტის შემცველი ერთეულების გამორევაც საკმარისია, რომ ტექსტს სასურველი შეფერილობა მისცეს. ჭუმბურიძე კი სხვა ხერხს ირჩევს და სიტყვათა დამახინჯებულ წარმოთქმას იყენებს ქართულშიც, და როდესაც არ ხერხდება საკუთრივ იმ ერთეულის იმგვარი მოდიფიკაციის ეფექტის შექმნა, რაც ინგლისურ ენაშია, ეფექტი სხვა, ამ მხრივ უფრო დამყოლ ერთეულზე გადადის. მაგ.: “კაი“, რო, “ძაან“ “გააქ“ და ასევე იყენებს სლენგსაც“.

თარგმანში ვხვდებით აგრეთვე ინგლისური ენისათვის არანორმალურ ორმაგ უარყოფასაც.

4. Nobody's tryna chisel noboby, he said. Let's have it Chef. (68,103)

“არავინაც არ გაბრიყვებს. ჩამოყაჭე უფროსო.” (59,101)

“არავინ არავის არაფერზე არ აწვება“, მეუბნება, - “შენ ოდონდ ეგ ფული ჩამოყარე“. (58,112)

ამ მაგალითში ორმაგი უარყოფის არანორმატიულობა ვ. ჭელიძესთან, ჩვეულებისამებრ, ეფექტის გადაადგილების მეთოდით არის გამოხატული, აქტუალიზებულია ზმნა “ჩამოყაჭე“, რომელზეც, ფაქტობრივად, გადასულია ეს ეფექტი, ხოლო ჭუმბურიძე, ამ შემთხვევაში, უარგონულ გამოთქმებს და ამასთანავე სამმაგ უარყოფას იყენებს, რომელიც უკვე საპირისპირო შინაარსს გამოხატავს.

### 2.3.6. სიტუაციური გარიანტულობა

ენას შეუძლია გამოხატოს მოლაპარაკისა და ადრესატის სოციალურ-ლინგვისტური ისეთი პარამეტრები, როგორიც არის ასაკი, სტატუსი, განათლება, რეგიონალური წარმომავლობა, რასა, რელიგიური კონფესია და ა.შ. ასევე, ენა გამოხატავს სიტუა-

ციურ ასპექტსაც (ემოციურობას, საუბარში მონაწილეობას და სიტუაციის მიზანს). ვინაიდან ენა ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობების ცენტრალური ინდიკატორია, მისი საშუალებით ასევე ხდება ძალაუფლებისა და სოლიდარობის დემონსტრირება. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სხვადასხვა ფაქტორების გაშუქებისა არის იმის ანალიზი, თუ როგორ მიმართავენ ადამიანები ერთმანეთს.

მიმართვის ორი გამოკვეთილი ტიპი არსებობს: პირველი სადაც ხდება მოსაუბრის მიერ ადრესატის (სიტუაციის) შეფასება და ამავე დროს ცხადდება თვითონ მოსაუბრის სოციალური სტატუსიც. იმისდა მიხედვით, თუ მიმართვის რა ფორმას ირჩევს ის. მიმართვის მეორე ასპექტი ლინგვისტური და სისტემატიკურია, ანუ ის ფორმებია, რომელსაც ენა სთავაზობს თავის მომხმარებელს, მაგალითად: მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენება.

მალიან მნიშვნელოვანია თარგმანშიც აისახოს ის სამეტყველო რეფლექსები, რომელშიც ადამიანთა პირადი ურთიერთობების ხასიათი ჩანს. განსაკუთრებით რთულია ფამილარულ -მოფერებითი ან უხეში ფორმებისათვის ანალოგების შერჩევა და ამ დროს მთავარია არ გაუფასურდეს ის ობერტონი, რომელიც მათ ორიგინალში ახასიათებთ.

## 1. No idea Mac. (68,62)

“აზრზე არა ვარ, მაკ”. (59,63)

“აბა, მე საიდან ძმაო” (58,87)

## 2. ~Go home, Mac, like a good guy. Go home and hit the sack. (69,153)

“შინ წადი მაკ. ნუ გაჯიშტდები, შინ წადი და დაწექი”. (59,150)

“წადი კუტუნია სახლში, გამოძიინე.” (58, 212)

Mac ინგლისურ ენაში მიმართვის ზოგადი სახელია, რომელიც გამოიყენება იმ მამაკაცების მიმართ, რომელთა ნამდვილი სახელიც უცნობია. იგი, ასევე, შეიძლება გამოხატავდეს მამაკაცურ სოლიდარობას, ხშირად იხმარება ტაქსის მძღოლებთან საუბრისას და ასევე საბრძოლო განწყობის გადმოსაცემად. ვ. ჭელიძისეულ თარგმანში ამ მიმართვის კალკს ვხვდებით, რაც ვფიქრობთ, შეცდომაა, ვინაიდან ის სრულიად გაუგებარია ქართველი მკითხველისათვის და ადამიანის სახელად

აღიქმება, ხოლო ჭუმბურიძის თარგმანში ვხვდებით მიმართვის ფორმებს: ძმაკაც, ძმაო, რომელიც გასაგებიც არის ქართველი მკითხველისათვის და ვფიქრობთ ‘Mac’-ის ტონალობასაც ზუსტად გადმოგვცემს. რაც შეეხება მესამე მაგალითს, აქ ჭუმბურიძე უხეშ სიტყვას იყენებს მიმართვის ფორმად, რაც ირონიულ და ერთგვარად აგდებულ დამოკიდებულებასაც გამოხატავს, რომელიც კონტექსტიდან გამოდინარება.

3. I don't know anybody by that name Jack. (68,66)

“მაგისთანას არავის ვიცნობ, ჯეპ”.(59, 66)

‘კაციშვილს არ ვიცნობ მასეთს’. (58,92)

ლექსიკური ერთეულის ‘Jack’ გამოყენება ზუსტად ისეთივე ფუნქციით იხმარება, როგორც “Mac”. გ. ჭელიძის თარგმანში ეს ნიუანსი კვლავ პირდაპირ არის გადმოტანილი, ხოლო ჭუმბურიძის თარგმანში ის სრულიად გამოტოვებულია და ფამილიარობის ეფექტმა ერთეულ “მასეთზე” გადაინაცვლა, რომელიც სალიტერატურო ფორმას, თავისთავად, არ აწრმოადგენს.

4. What're ya tryna do, bud? he said Kid me ? (68,62)

“შენ რა ძმობილო? მაპანცულებ?” (59,62)

“რა გინდა ძმაო? მეკითხება. მაღალავებ?” (58, 87)

“Bud” - ასევე იხმარება იმ მამაკაცების მიმართ, რომელთა სახელიც უცნობია. ქართულ თარგმანში მის ნაცვლად ვხვდებით ფამილარულ მიმართვის ფორმებს “ძმობილო” და “ძმაო”; რომელთაგან “ძმობილო” უფრო ადრეული პერიოდის სლენგს მიეკუთვნება, “ძმაო” კი უფრო ახალია. ის ფაქტი, რომ ყველა თაობისთვის დამახასიათებელია განსხვავებული სლენგი, თარგმანშიც არის ასახული.

5. Are you alone, baby? Old Lillian asked me (68,88)

“მარტოკა ხარ, ბიჭო? - მიკითხა ლილიანმა”. (59,87)

“მარტო ხარ ბიჭო? ლილიანი მეკითხება”. (58,:127)

“Baby” - ამერიკულ სლენგურ მეტყველებაში მოფერებითი ფორმაა და გამოიყენება მეუღლის ან საყვარელი ადამიანის მიმართ, თუმცა შეიძლება შეურაცხმყოფელიც იყოს, თუ ის უცნობი ადამიანის მიმართ იქნა გამოყენებული. ვფიქრობ, ამ მაგა-

ლითში ეს უკანასკნელი მნიშვნელობა დომინირებს და ამით ლილიანი თითქოს ხაზს უსვამს პოლდენის ასაკს.

ქართულ თარგმანში ეს ობერტონი შენარჩუნებულია და გამოხატულია სიტყვით “ბიჭო“, “ბიჭი“

#### 6. Open up, Chief. (68,102)

“ჩამოყაჭე, უფროსო!” (59100)

“გადასახადი, გაქ ძმაკაც”. (58,142)

“Chief” - მიმართვის ერთგვარი ფორმაა და უფროსს, მნიშვნელოვან პიროვნებას გულისხმობს, მოცემულ შემთხვევაში კი მას ერთგვარად ირონიულობის ეფექტი აქვს, ვინაიდან ამგვარად მოზარდ ბიჭს მიმართავენ.

ვ. ჭელიძის თარგმანში პირდაპირი თარგმანი გვაქვს “უფროსი“, რომელიც, ვფიქრობ, იმ დროს, როდესაც თარგმანი შესრულდა, ქართულ მეტყველებაში აქტიურად გამოიყენებოდა, ხოლო შედარებით გვიან შესრულებულ ჭუმბურიძისეულ თარგმანში ვხვდებით მიმართვის ფორმას “ძმაკაც“, რომელიც დღევანდელობისთვის დამახასიათებელი გამოთქმაა. შეიძლება ითქვას, რომ ორივე ფორმაში შენარჩუნებულია ორიგინალისთვის დამახასიათებელი ობერტონები.

როგორც აღვნიშნეთ, ენის სიტუაციური ვარიანტულობის ერთგვარ მარკერს წარმოადგენს აგრეთვე მიმართვის ფორმა, როდესაც საკუთარ სახელზე საზოგადო სახელია დართული. ასეთი დამატებითი კომპონენტი კი შესაძლებელია იყოს: Jack, kid, babe და ა.შ. მათი იმანებტური თვისებაა მოფერებითობა, მაგრამ აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ გარკვეულ სიტუაციაში მათ, შესაძლებელია, დაცინგის, აბუჩად აგდების, დამცირების ობერტონები შეიძინონ.

7. ~No, you wouldn't give them anything Ackley - Kid, you Wouldn't. Don't call me Ackley-kid. I 'm older enough to be your lousy father. (68, 27)

“არაფერიც, შენ არაფერს აჩუქებდი ბალდო არაფერს.

- “ბალდოს ნუ მეძახი. სადაური ბალდი ვარ, ლამის მამად გეგუთვნი“. (59,29)

- “არა, ეგრე არ იზამდი, ეკლი-ბიჭი. შენ რო კიდე ფულიც გქონდა მთლად...

“მორჩი ამ ბიჭის ძახილს! დებილ მამაშენის ტოლა მაინც ვარ!“ (58,39)

ვ. ჭელიძის თარგმანში შედგენილი სიტყვიდან ამოკლებულია საკუთარი სახელი, როგორც თარგმანის ენისთვის უჩვეულო მიმართვის ფორმა, თუმცა ჭუმბურიძი-

სეულ თარგმანში ეს სიტყვა სრული სახით არის გადმოტანილი და ამით ირონიულობის უფექტი კიდევ უფრო გაძლიერებულია. საპასუხო რეპლიკიდანაც ჩანს, რომ მას, ვისაც ასე მიმართეს, მიმართვის ეს ფორმა საწყენად მიიღო თანატოლისაგან.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ ამ ორ თარგმანს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეიმჩნევა, რაც ვფიქრობთ, ეპოქის ზეგავლენით აიხსნება. ვ. ჭელიძისეული თარგმანი, ჭუმბურიძისეულ თარგმანთან შედარებით, უფრო ნაკლებად არის უარგონებით დატვირთული და, ამასთან ერთად, მთარგმნელი ცდილობს გვერდი აუაროს სკრაბეზულ მომენტებს, რაც დამახასიათებელი იყო უფრო ადრინდელი ქართული ლიტერატურული და მთარგმნელობითი ტრადიციებისათვის. როგორც ვიცით, ეპოქა და სოციალური წეობა შეიცვალა, ამან კი განაპირობა ცვლილებები ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში და, მათ შორის, ლიტერატურაშიც. ქართველი მწერლები უკვე აღარ ერიდებიან სკრაბეზული მომენტების და რეალობის მეტ-ნაკლებად ნატურალისტურ ასახვას და მათი გმირები ნაწარმოებშიც იმ ენით ლაპარაკობენ, როგორც ცხოვრებაში. ხშირია სლენგის და უხეში გამოთქმების გამოყენების შემთხვევები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშიც. მაგ: აკა მორჩილაძის, ბასა ჯანიკაშვილის, ლაშა ბუდაძის და სხვათა ნაწარმოებებში ხშირად ვხვდებით ენის სუბსტანდარტული ფორმების გამოყენებას. მაგალითად, ბასა ჯანიკაშვილის “ოცნებებით კაიროში”, სადაც 90-იანი წლების თბილისური ამბავია აღწერილი, რომელიც დატვირთულია სხვადასხვა სახის უარგონული გამოთქმებით და თან უამრავი სკრაბეზული მომეტებიც გვხვდება. მოგვყავს ერთ მაგალითი ამ წიგნიდან, ”მაგრა მომინდა ჩამეცხო იმ შეშინებულ თავში და გონზე მომეუვანა. და ჩამეცხო და მეთქვა, შე ე\*\*ო, ენა რომ ჩაგივარდა და შიშისაგან რამისაა ჩაიფსა, შეხედე ამ ძაღლებს და არ იცი, რო გვაბოლებენ რიჟა ბაზარით?” სწორედ ამ სოციალურმა და ასევე ლიტერატურული ტრადიციების ცვლილებამ განაპირობა ის, რომ ჭუმბურიძისეული თარგმანი ამდენად განსხვავდება ჭელიძისეული თარგმანისაგან, ამ მიმართებით. ჭუმბურიძის თარგმანში სლენგით არის დატვირთული თითქმის ყველა წინადადება, უფრო მეტიც, ის ისეთ ადგილებშიც კი გვხვდება, სადაც ორიგინალში ეს არ შეიმჩნევა.

1. She wasn't listening though. (68,73).

“თქვენც არ მომიკვდეთ, სულ ქინძზე ეპიდა”. (59,101).

2. while I was eating my eggs, these two nuns with suitcases and all - I guessed they were moving to another convent or something and were waiting for a train - came in and sat down next to me at the counter. (68,105)

“სანამ ჩემს ბეჭონსა და ტაფამწვარს ვათოხლავებდი, ჩანთებით დახუნდლულ, ორი მონაზონი შემოვიდა - გგენიც სადღაც მიემგზავრებოდნენ ეტყობა, და ჩემს გვერდით დასკუპდნენ.” (59,151)

ეს მომენტი, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მთარგმნელი ცდილობს ნაწარმოებმა ისე-თივე გავლენა მოახდინოს თანამედროვე მკითხველზე, როგორც თავის დროზე ორი-გინალმა. ასევე მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ჭელიძის მიერ გამოყენებული უარგონები დდესდღეობით მოძველებულად გვერდნება და ზოგიერთის აღქმაც კი გაძნელებულია. მაგალითად old buddyroos ჭელიძისეულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც “დოსტები”, რომელიც ძველ სასაუბრო ენაში მეგობარს აღნიშნავდა, დდეს კი მისი მნიშვნელობა თითქმის ადარ ადიქმება. ვფიქრობთ, ორივე მთარგმნელის მეთოდი სწორი და გამართლებულია და სავსებით შეესაბამება რეა-ლისტური მეთოდის მოთხოვნას, რომელსაც გ. გაჩეჩილაძე ასე აყალიბებს: “რეა-ლისტური მეთოდი მკითხველის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მიისწავლის თანამედროვეობისთვის გასაგები სტილისკენ: თარგმანის სტილი ისე-თივეა მიმართებაში უნდა იყოს თანამედროვე მკითხველთან, როგორც დედანი იყო თავის მკითხველთან“. (2, 204)

ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ორივე მთარგმნელი ეპოქისთვის დამახასიათებელ პოლდექნის სახეს ქმნის და ვფიქრობთ, ორივე მათგანმა, თავის დროზე, მოახერხა. იმის მსგავსი ეფექტის მოხდენა მკითხველზე, როგორც ეს ორიგინალმა შეძლო.

## თავი III

### 3.1. აუდიო-ვიზუალური თარგმანის შესახებ

აუდიო-ვიზუალური თარგმანი ორ ჯგუფად იყოფა: შიდაენათაშორისი და ენათაშორისი. (36,8). შიდაენათაშორისი აუდიო-ვიზუალური თარგმანი გამოირჩევა იმით, რომ ამ ტიპის თარგმანში წყარო და მიმღები ენა ერთიდაიგივეა. სამი ძირითადი ტიპის აუდიო ვიზუალური თარგმანი არსებობს: ტიტრები სმენა დაქვეითებულთათვის, აუდიო-აღწერილობა უსინათლოთათვის და ტიტრები ოპერისა და თეატრისათვის. რაც შეეხება ენათაშორის აუდიო-ვიზუალური თარგმანს, აქ შედის უცხო ენიდან ნათარგმნი ფილმები და სატელევიზიო პროგრამები. ასეთი თარგმანი 2 სახის შეიძლება იყოს: 1. ვიზუალური-ტიტრების სახით და 2. აუდიო. (27,11)

შიდაენათაშორისი თარგმანი საქართველოში ჯერ-ჯერობით ნაკლებად არის გავრცელებული. ჩვენი პკლევის საგანს, ძირითადად, ენათაშორისი თარგმანი წარმოადგენს და ამიტომ მასზე გავამახვილებთ ყურადღებას.

### 3.1 ენათაშორისი აუდიო-ვიზუალური თარგმანი

ამ ტიპის თარგმანის მიზანია გასაგები გახადოს აუდიო-ვიზუალური პროდუქტი (ფილმები, სატელევიზიო პროგრამები და ა. შ.) იმ მაყურებლისთვის, რომელსაც არ ესმის წყარო ენა და ამგვარად, ხელი შეუწყოს ამ პროდუქტის საზღვარგარეთ გატანასა და მის პოპულარიზაციას.

ენათაშორისი აუდიო-ვიზუალური თარგმანი ორ ჯგუფად იყოფა: 1. ა) გახმოვანება-ტუჩების მოძრაობას მორგებული გახმოვანება, ბ) ხმის დადება და თხრობა 2. სუბ-ტიტრები.

ითვლება, რომ დუბლირება არის მეთოდი, რომელიც უცვლის სახეს წყარო ტექსტს და მიმღები პუბლიკისთვის ნაცნობად აქცევს მას “მოშინაურების”, ანუ მიმღები ტექსტის ენისა და კულტურასთან მიახლოების გზით. ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც უცხოური დიალოგის მორგება ხდება მსახიობის პირსა და

მოძრაობებთან და მაყურებელს უჩნდება გრძნობა, რომ ისინი (მსახიობები) მიმღებ ენაზე ლაპარაკობენ.

მეორე მხრივ, სუბტიტრები სინქრონიზებულ თარგმანს გვთავაზობს ტექსტის სახით, რომელიც, ძირითადად, ფილმს ქვემოთ მიჰყება და შეძლებისადაგვარად ნაკლებად ცვლის მას. მაყურებელი ყოველ წამს აღიქვამს მის უცხოობას. ზოგი სუბტიტრები შემცირებულია ან შეიძლება ორენოვანიც იყოს.

თუმცა ეს ორი ტიპის თარგმანი განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მათ საერთოც აქვთ: ლინგვისტიკის, მეცნიერების, ტექნოლოგიის, ხელოვნების და ესთეტიკის შერწყმა. ყველაფერი ეს პარმონიულად უნდა შეეხამოს ერთმანეთს, რომ საბოლოო პროდუქტი (სუბტიტრები ან დუბლირება) რაც შეიძლება კომფორტულად აღსაქმელი იყოს მაყურებლისათვის. (36,11)

### 3.2. თავდაპირველი ისტორია

თავდაპირველად მოძრავი სურათების (ფილმების) შექმნისას მიაჩნდათ, რომ სურათი იყო უნივერსალური ენა, რომელსაც ბაბილონის გოდოლის უბედურების გაქარწყლება შეეძლო. სავარაუდო პირდაპირობა და მისაწვდომობა, იმიჯი როგორც უნივერსალური სიმბოლო მჭიდროდ იყო დაკავშირებული გამოსახულების პრესტიჟის ზრდასთან და XVI-XVII საუკუნეების მეცნიერულ რევოლუციაში ვიზუალური დასაბუთების მნიშვნელობასთან. ამ დროს მეცნიერები წინა თაობის შეხედულებებს ბრმად აღარ ენდობიან და უჯერებენ მხოლოდ იმას, რასაც საკუთარი თვალით ხედავენ. თუ ნახვა დაჯერებას ნიშნავს, მაშინ თვითონ ხედვა შეიძლება გახდეს ბაბილონის გოდოლამდელი უნივერსალური პროგრესის ენა.

დასაწყისიდანვე ფილმები მოგების, გამდიდრების საერთაშორისო საშუალებას წარმოდგენდნენ და მუნჯი კინოს პერიოდში მათი საერთაშორისო დისტრიბუცია არნახული მასშტაბის იყო. (15,1990,89). ფილმების ბიზნესის საერთაშორისო ზრდის ხელშეწყობისა და იმპორტისათვის თვით ფილმები დიალოგებს არ შეიცავდნენ, რითაც იხსნებოდა ენობრივი ბარიერის პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნჯი ფილმები ხმას მოკლებული მაინც არ იყო. 1895-1927 წლებში ნაჩვენები ფილმების უმეტესობას რაიმე ტიპის აკომპანიმენტი მაინც ერთ-გოდა, იქნებოდა ეს ცოცხალი მუსიკა, ხმოვანი ეფექტები, ეკრანს მიღმა მსახიობების მიერ წარმოთქმული სინქრონიზებული დიალოგები თუ დიქტორის კომენტარი, რომელიც ავსებდა ან განმარტავდა, თუ რა ხდებოდა ეკრანზე. (12, 25–29). ხმები ან დიალოგები ჩაწერილი არ იყო და თვითოვეული მოვლენა ცოცხალ წარმოდგენას წარმოადგენდა, რომელიც სრულდებოდა ადგილზე იმ დროს არსებული დამხმარე საშუალებების მეშვეობით. ეკრანს მიღმა არსებული მსახიობები ან ‘დიქტორის’ (ტექსტის მკითხველის, ამხსნელის) კომენტარების არსებობა უკვე იწვევდა თარგმანის საჭიროებასაც. მოძრავი იმიჯების თანმიმდევრობაში არ იყო დოგიკა და მნახველისთვის ის თავისთავად გასაგები ვერ იქნებოდა, თუ ისინი სინემატოგრაფის ახალ ენაში არ გაერკვეოდნენ. ფილმი თავად იყო ენა, რომელიც განმარტებას (თარგმანს) ითხოვდა. 1902 წლიდან ფილმები უფრო ‘დაგრძელდა’, სიუჟეტიც უფრო გართულდა და კადრების რაოდენობა გაიზარდა. ფილმების ისტორიკოსის, ანდრე გოდრელტის მიხედვით მრავალკადრიანი ფილმები უწყვეტობას მოითხოვდნენ და ეს ნებისმიერი საშუალებით უნდა მიღწეულიყო. (8, 5) ამ უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მხოლოდ ორი გზა არსებობდა: 1. სიუჟეტი დიქტორის ხმით კონტროლი 2. წარწერები მოძრავ სურათებზე (intertitles), რომლებიც 1903 წელს გამოჩნდა. ორივე მეთოდი ენის გამოყენებას უფუძნებოდა და, ფილმის სხვა ქვეყნებში გასატანად, მისი თარგმნის საჭიროება გაჩნდა. ფილმების მწარმოებელი კომპანიების უმრავლესობა წარწერებს რამდენიმე ენაზე ამზადებდა. წარწერების გამოყენება ეფექტური არ ყოფილა, ვინაიდან ან ნაკლებ ინფორმაციას აწვდიდა მაყურებელს, ან ჭარბს და ამით მოულოდნელობის ეფექტს ანეიტრალებდა. ასევე, ზეპირი თხრობაც დიქტორის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული. 1907 წლიდან გრიფიტის და მისი თანამედროვეების მიღწევას წარმოადგენდა იმიჯების იმგვარად დაკავშირება, რომ ეკრანზე მათ თვითონ შესძლებოდათ ამბავის მოყოლა. (15,67)

### **3.4. წარწერებიდან სუბტიტრებამდე**

1927 წლიდან მოყოლებული, როდესაც ხმოვანი ფილმები გაჩნდა, თარგმანის წინაშე ახალმა პრობლემამ იჩინა თავი. შესაძლებელი იყო ფილმის რამდენიმე ენაზე გადაღება ან გახმოვანება, მაგრამ ეს საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვდა და ამიტომ დაიწყეს წარწერების ფილმში გამოყენება. მეცნიერები ცდილობდნენ სუბტიტრების გაუმჯობესებას და წარმატებას 1933 წელს მიაღწიეს, როდესაც უნგრეთში და შვედეთში ქიმიური სუბტიტრები გამოიგონეს. შემდგომში ტექნიკა თანდათანობით დაიხვეწა. (მექანიკური და თერმული, ფოტოქიმიური, ოპტიკური და ლაზერული სუბტიტრები)

აივერსონის მტკიცებით, სუბტიტრების ისტორიაში მნიშვნელოვანი მომენტი იყო მისი ტელევიზიაში გამოჩენა. ოუმცა, თვითონ ჩვენება საკმაოდ წარუმატებელად წარიმართა. ამდენად აღმოჩნდა, რომ კინოთეატრისთვის შექმნილი სუბტიტრები ტელევიზიისთვის შეუფერებელი იყო. მათი წაკითხვა თითქმის შეუძლებელი იყო. ამასთან ერთად მაყურებელი სუბტიტრების წაკითხვას ტელევიზორის ეკრანზე მეტ დროს ანდომებს, ვიდრე კინოთეატრის ეკრანზე და გაჩნდა სპეციალურად ტელევიზიისთვის, სუბტიტრების შექმნის აუცილებლობა. (13, 7)

სუბტიტრების მოგვიანებით ეტაპებს ასევე აივეროსნი აღწერს. მათ შექმნაში რამდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. ტექნიკოსი, რომელმაც წყარო ენა არცკი იცოდა, და დიალოგებში მხოლოდ ლაპარაკის დაწყება-დასრულების დროს ინიშნავდა. შემდგომში ეს ციფრები განსაზღვრული რაოდენობის ნიშნებად იქცეოდა. მთარგმნელს თავისი თარგმანი ნიშნების ამ რაოდენობასთან უნდა მოეყვანა შესაბამისობაში. საბოლოოდ, კი სხვა ტექნიკოსი ამ სუბტიტრებს ფირზე ბეჭდავდა, ან მოგვიანებით, დისკზე, საიდანაც ის ფილმზე გადაჰქონდათ. 1980 წლიდან კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა სუბტიტრების შექმნის მთელი პროცესი (დროის დანიშვნა, თარგმნა და შესწორება) ერთ ადამიანს შეესრულებინა. მას ფილმი ვიდეოკასეტაზე ჰქონდა და მხოლოდ ჩამწერი ესაჭიროებოდა, რომ თავიანთ კომპიუტერთან შეეერთებინათ. დღეს უკვე ესეც

აღარ არის საჭირო, რადგან დღესდღეობით ფილმები DVD-ზე ინახება და მისი პირდაპირ კომპიუტერში მოთავსებაა შესაძლებელი. ( 13, 7-11)

### 3.5. დუბლირების ისტორია

დუბლირების ეპოდუცია სხვადახვა ქვეყანაში განსხვავებულია. იგი აშშ დაიწყო მაგრამ ევროპის ქვეყნებში უფრო გავრცელებულია, სადაც ის 1936 წელს გამოჩნდა.

თავდაპირველად, თარგმნის დროს ერთი პიროვნება (წვეულებრივ ,თვითონ მთარგმნელი) ახმოვანებდა ფილმის ყველა პერსონაჟს. შესაბამისად, გახმოვანება დაბალი ხარისხის იყო და მოკლებული იყო ხმოვან ეფექტებს.. ამავე პერიოდში გერმანიაში, იტალიასა და ესპანეთში ენა პროპაგანდის იარაღი იყო და ამიტომაც გახმოვანება სასურველ იარაღად იქცა.

არსებობენ წყარო ინგლისურენოვანი ქვეყნები, სადაც ფილმების იმპორტი თითქმის არ ხდება და უცხო ფილმებს, ძირითადად, სუბტიტრებით აჩვენებენ. მეორე მხრივ, არის ქვეყნები და ამ ჯგუფში შედის ძირითადად ფრანგული, იტალიური, გერმანული და ესპანურენოვანი ქვეყნები, სადაც ფილმების უმრავლესობა დუბლირებულია და ამის მიზეზი, ძირითადად, ისტორიულია მაგ: საფრანგეთი არის ქვეყანა, რომელიც ძალიან არის დაინტერესებული თავისი ენის სიწმინდით და ცდილობს დაიცვას ის ყოველივე უცხოური მინარევისაგან. ასევე საუკუნეების მანძილზე სტანდარტული ფრანგული პოლიტიკური და კულტურული ცენტრალიზაციის მძლავრ იარაღ წარმოადგენდა და დღესაც ბევრ ფრანგულად მოლაპარაკეს სჯერა მისი უპირატესობისა და, ცდილობენ, ფრანგული ენა ლინგვა ფრანგად დარჩეს საფრენგეთში მაინც. გარდა ამისა, ფრანგები შეჩვეულნი არიან ფრანგულის მოსმენას კინოშიც და ტელევიზიითაც იქიდან გამომდინარე, რომ საკუთარი პროდუქცია დომინირებს მათ ბაზარზე. ყველაფერი ეს კი განაპირობებს დუბლირების არჩევას საფრანგეთის ბაზარზე ფილმის გაშვების დროს.

რაც შეეხება საქართველოს, 1921 წლიდან ის საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. აქაც ენა პროპაგანდის იარაღი იყო და ამიტომ მხოლოდ რუსულად

გახმოვანებული ფილმები შემოდიოდა. სუბტიტრები საერთოდ არ გამოიყენებოდა. 2008 წლის ომის შემდეგ აუცილებელი გახდა მხოლოდ ქართულ ენაზე თარგმნილი პროდუქციის ჩვენება და მხოლოდ 2009 წლის 30 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სუბტიტრების გამოყენების თაობაზე.

### 3.6. სუბტიტრები თუ გახმოვანება?

აუდიო-ვიზუალური თარგმანის ორი ძირითადი საშუალებაა სუბტიტრები და გახმოვანება. თითოეულ მათგანს აქვს თავის ნაკლი და უპირატესობა. მაგალითად სუბტიტრების მომხრევები ხაზს უსმევენ იმ ფაქტს, რომ ასეთი თარგმანი უფრო იაფი და, აქედან გამომდინარე, ხელსაყრელია. ასევე, ამ დროს ორიგინალის დიალოგის მოსმენა შეიძლება, საიდანაც გამომდინარეობს ის შეხედულებაც, რომ სუბტიტრებიანი ფილმების ყურება ხელს უწოდს უცხო ენების შესწავლას. (36,15)

მეორე მხრივ, თარგმანის ამ ტიპს ნაკლიც გააჩნია. სტატიაში “The Poewer of film translation” აგნიესკა სზარკოვსკას მოჰყავს მერას სიტყვები: “სუბტიტრები ერთგვარად ცვლის ფილმს, აუდიოვიზუალური საშუალებიდან ლინგვისტურ საშუალებად გადაჰყავს, რომელიც მაყურებლისგან მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე დუბლირებული ფილმი” და მის ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით. ამასთან ერთად, სუბტიტრების ძირითადი ნაკლი მაიც მისი საგრძნობი შემოკლებაა. მკვლევრებმა დაადგინეს, რომ სუბტიტრებისას ორიგინალის ტექსტის ნახევარზე მეტი იკარგება სივრცის შეზღუდულობის გამო. მთარგმნელი არამარტო თარგმნის, არამედ ირჩევს კიდევ ფილმის რომელი ნაწილი თარგმნოს და, შესაბამისად, რა ამოიღოს. ასევე ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, იდიოლექტები, დიალექტები და რეგისტრის განსხვავებული ფორმები ხშირად იკარგება კიდევ.

შეუძლებელია იმის მტკიცება, თუ რომელი საშუალება სჯობს და უნდა ითქვას, რომ მის არჩევას რამოდენიმე ფაქტორი განაპირობებს: 1. კონკრეტული ქავენის ისტორია და ტრადიციები (ანუ ის, თუ როგორი ტიპის თარგმანს არის შეჩვეული აუდიტორია), 2. დაფინანსების პრობლემა 3. მიმღები და წყარო ენის პოზიცია საერთაშორისო კონტექსტში.

### **3.7. განსხვავება ლიტერატურულ და აუდიო-ვიზუალურ თარგმანს შორის**

ივ გამბიე სტატიაში “ აუდიო-ვიზუალური თარგმანის გამოწვევები” მიიჩნევს, რომ როდესაც საქმე აუდიო-ვიზუალურ თარგმანს ეხება, თარგმანთმცოდნეობაში ცნებები უნდა შეიცვალოს; მაგალითად:

**ტექსტის ცნება:** ვინაიდან “ეკრანის ტექსტი” მულტიმოდალურია, მისი თანმიმდევრულობა ეფუძნება გამოსახულებისა და ხმის ურთიერთქმედებას. საყოველთაოდ მიღებული ტექსტის ცნებისგან განსხვავებით, აქ ტექსტი არის წინადადებების საზოვანი თანმიმდევრობა ან ინტერნეტში ჰიპერტექსტზე ზმნოვანი ერთეულების დამატება.

**ავტორის ცნება:** ლიტერატურათმცოდნეობაში და თარგმანთმცოდნეობაში ავტორი აღიქმება როგორც ერთი პიროვნება. აუდიო-ვიზუალური თარგმანისას კი რამდენიმე ჯგუფია ნაწარმოების შემქმნელი. (სცენარისტი, პროდიუსერი, რეჟისორი, მსახიობები, ხმის რეჟისორი, და ა. შ)

**აზრის (შინაარსის) ცნება:** აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებში შინაარსი იქმნება არა წინადადებების საზოვანი თანმიმდევრობით, ერთი სახეობის ნიშნებით, არამედ სხვადასხვა ნიშნების და ასევე მაყურებლის ურთიერთქმედებით.

ლუიკენი განსხვავებას ლიტერატურულ და აუდიო-ვიზუალურ თარგმანს შორის განიხილავს თავში “აუდიო-ვიზუალური სემიოტიკის ენის გადაყვანა” და ამბობს, რომ სუბტიტრები და დუბლირება, რა თქმა უნდა, აუდიო-ვიზუალური თარგმნის ხერხებს წარმოადგენს, თუმცა მათ გააჩნიათ განსაკუთრებული თვისებები, რაც მათ ჩვეულებრივი ტექსტის თარგმანისგან განასხვავებს. (27,153) წიგნის თარგმნისას წყარო ენის ტექსტი იცვლება მიმდები ენის ტექსტით და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხდებიან. ფილმი კი მულტისემიოტიკური პრედუქტია. აქ შინაარსს ქმნის გამოსახულება, როლის შესრულება, ხმა და ენა. თარგმნისას მხოლოდ მისი ნაწილი იცვლება. როდესაც გახმოვანებასთან გვაქვს საქმე, ვიზუალური კომპონენტი ხელშეუხებელია და მხოლოდ აუდიოკომპონენტი იცვლება. სუბტიტრების დროს კი უცვლელია როგორც ვიზუალური, ასევე აუდიოკომპონენტიც და

თარგმანი მხოლოდ ემატება საწყის პროდუქტს. ასე, რომ საწყისი პროდუქტის ერთმა გადმოტანილმა ელემენტმა უნდა თანაიარსებოს სხვა უცვლელად დარჩენილ ელემენტებთან.( 27, 153)

აუდიოვიზუალური თარგმანის თავისებურება მდგომარეობს, აგრეთვე, მთარგმნელის შეზღუდულობაში. ლიტერატურული ტექსტის თარგმნისას, თუ რაიმეს განმარტებაა საჭირო, მთარგმნელს შეუძლია ჩამოტანილ შენიშვნებში ან პირდაპირ ტექსტში განმარტოს იგი. ამის საშუალება კი აუდიოვიზუალური თარგმნისას არ არის.

პრობლემა იქმნება ასევე, როდესაც წყარო და მიმღები ენის სიტყვები და ფრაზები სიგრძით ერთობ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ამ შემთხვევაში მთარგმნელს უხდება საწყისი ტექსტის კორექტირება, შემოკლება ან გავრცობა,

ეს არის თვისებები, რომელიც აუდიო-ვიზუალური თარგმნის ორივე საშუალებისთვის, როგორც სუბტიტრების, ასევე დუბლირებისათვის, საერთოა, თუმცა ისინი განსხვავდებიან კიდევაც ერთმანეთისგან.

### 3.8. დუბლირება

დუბლირება გახმოვანების ყველაზე გავრცელებული სახეობაა. იგი სრულდება პროფესიონალი მსახიობების მიერ და თითოეულ პერსონაჟს თავისი გამხმოვანებელი ჰყავს. მისი მთავარი მიზანია მიღებულმა პროდუქტმა იგივე ეფექტი მოახდინოს მაყურებელზე, როგორიც საწყის პროდუქტს ჰქონდა. ერთ-ერთი მთავარი განსხვავება დუბლირებასა და სუბტიტრებს შორის სწორედ ის არის, რომ დუბლირებაში ადამიანთა ჯგუფი მონაწილეობს, ხოლო სუბტიტრებს დღესდღეობით მხოლოდ ერთი ადამიანი ქმნის. (36,30)

დუბლირება ლიტერატურული თარგმანისაგან ძალიან განსხვავდება და ერთ-ერთი განსხვავება სწორედ ის არის, რომ ლიტერატურული თარგმანისას თარგმანი საბოლოო პროდუქტია, გახმოვანებისას კი ის მხოლოდ ნახევარფაბრიკატია, რომელიც ადაპტორს გადაეცემა საბოლოო სახის მისაცემად. ადაპტორი თარგმანთან მუშაობს და ცდილობს მისი შინაარსი ისე გადმოსცეს, რომ მოახერხოს სინქრონიზაცია

საწყის ტექსტთან. არსებობს ფონეტიკური, სემანტიკური და დრამატული სინქრონიზაცია. ფონეტიკური სინქრონიზაციის დროს, გახმოვანების ხმოვანი სტრუქტურა ემთხვევა მსახიობთა ტუჩების მოძრაობას. ეს ადგილად მიიღწევა, თუ თარგმანსა და საწყის ტექსტში სიტყვაში მარცლების თანაბარი რაოდენობაა და ასევე, ლაბიალური თანხმოვნების გამოყენებით. რამდენადაც შესაძლებელია, ფონეტიკური სინქრონიზაცია სინტაქსისა და ლექსიკის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. (ეს ნიშნავს, რომ თარგმნისას ორიგინალის რეგისტრი უნდა გამოიყენებოდეს და, გარდა ამისა, არ უნდა გამოიყენებოდეს არა-საჭირო პროცენტუალიზმები)

სემანტიკური სინქრონიზაცია წყარო ტექსტის იდენტური აზრის გამოხატვას გულისხმობს და, ის რა თქმა უნდა, უმნიშვნელოვანესია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მნიშვნელობა ტექსტისთვის აუცილებელია. იმ შემთხვევაში კი, თუ ის უმნიშვნელო ინფორმაციას შეიცავს, (ეს ეხება, მაგალითად, რიცხვით სახელებს, პროფესიებს და ა.შ.) მისი შეცვლაც შეიძლება ფონეტიკური სინქრონიზაციის სასარგებლოდ.

დრამატული სინქრონიზაცია გულისხმობს მიმღებ ენაზე მოსაუბრის რეალისტურობას. რასაც მოსაუბრე წარმოთქვამს და რასაც გმირი აკეთებს, შესაბამისობაში უნდა იყოს ერთმანეთთან და მისი მეტყველების მანერა მაყურებლის მოლოდინს უნდა შეესაბამისებოდეს. მაგალითად: დედოფალი სლენგით არ უნდა მეტყველებდეს და ქუჩის ქალი კი –დახვეწილი ენით.

დასასრულს, შეიძლება ითქვას, რომ სუბტიტრებსა და დუბლირებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, რაც მათ ძალიან განასხვავებს ლიტერატურული თარგმანისგან. გარდა ამისა, ისინი, თავის მხრივ, ერთმანეთისგანაც განსხვავდებიან.

სუბტიტრებისას ტექსტის სიგრძე უფრო მოკლეა, ვიდრე ორიგინალში, მაგრამ თარგმანი რაც შეიძლება ზუსტად უნდა ემთხვეოდეს საწყის ტექსტს, ხოლო დუბლირებისას კი, პირიქით, ტექსტის სიგრძე უცვლელია, მაგრამ ის შეიძლება საწყისი ტექსტის ზუსტ თარგმანს არ წარმოადგენდეს. ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი შინაარსობრივი თარგმანია.

### 3.9. პარალინგვისტიკა

პარაენა გამოხატავს კომუნიკაციის არალინგვისტურ ელემენტს, რომელიც მნიშვნელობას სახეს უცვლის და ემოციის გამოსახატავად გამოიყენება. პარაენა შეიძლება გამოხატული იყოს ცნობიერად და არაცნობიერად. აქ შედის, მაგალითად, ბგერის სიმაღლე და სისავსე, ასევე მეტყველების ინტონაცია. მეცნიერებას რომელიც პარაენას შეისწავლის პარალინგვისტიკა ეწოდება.

ტერმინი “პარალინგვისტიკა” ზოგჯერ სხეულის ენის მიმართაც იხმარება, რომელიც ყოველთვის მეტყველებასთან არ არის დაკავშირებული. (ჟესტ-მიმიკა, მოძრაობის თანმხლები მიხრა-მოხრა და სხვა. ე. წ. კინესტეტიკური პარალინგვიზმები) მეტყველების პარალინგვისტური მახასიათებლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომუნიკაციისას. არ არსებობს პარალინგვისტური ნიშნებისგან თვისუფალი გამონათქვამი ან რაიმე სახის მეტყველება. ვინაიდან მეტყველება მოითხოვს ხმას, რომლის მოდულიორებაც შესაძლებელია. მას უნდა ჰქონდეს რაღაც თვისებები, რომლებიც პარალინგვისტურია. თუმცა დაყოფა ლინგვისტურ და არალინგვისტურ თვისებებად არა მხოლოდ მეტყველებას გულისხმობს, არამედ დამწერლობასა და ნიშნების ენასაც და არ არის შეზღუდული რომელიმე ერთი მოდალობით. ხმასაც, თავის მხრივ, გააჩნია ლინგვისტური და პარალინგვისტური მახასიათებლები.

განასხვავებენ მეტყველების ნიშნებისა და გამონათქვამების შემდეგ ასპექტებს:

**პერსპექტიული ასპექტი:** მეტყველების ნიშნებს, რომელიც აღწევს მსმენელის ყურადღე გააჩნია აკუსტიკური თვისებები, რომელიც მას საშუალებას აძლევს განსაზღვროს მთქმელის ადგილმდებარეობა (მიმართულება, მანძილი). ბგერითი ლოკალიზაცია მსგავსია არასამეტყველი ბგერებისთვისაც. მისი აღქმა უფრო მკეთრადაა გამოხატული, როდესაც მას თავის მოძრაობაც ერთვის.

**ორგანიკული ასპექტი:** სხვადასხვა მოსაუბრის სამეტყველო ორგანოები სხვადასხვა ზომისაა. ბავშვები იზრდებიან და მათი სამეტყველო ორგანოებიც იცვლება; ასევე, ზრდასრულ მამრობითი და მდედრობითი სქესის ადამიანთა სამეტყველო ორგანოების ზომისაა.

ბი ერთმანეთისაგან განსხვავდება. აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია არა მარტო სამეტყველო ორგანოს ზომა, არამედ პროპორციაც, ვინაიდან ეს გავლენას ახდენს ხმის სიმაღლეზე და რამდენადმე განსაზღვრავს სხვადასხვა ბგერის სიხშირესაც. ორგანიკულ ასპექტს სუფთა კომუნიკაციური ეფექტი არ გააჩნია, ვინაიდან ის ინფორმაციას გვაძლევს მხოლოდ ინდივიდუმის შესახებ.

**ექსპერესიული ასპექტი:** ხმის თვისებებსა და იმაზე, თუ როგორ მეტყველებს ადამიანი, ემოციები და მიმართებები ახდენს გავლენას. ჩვეულებრივ, მიმართებებსა და დამოკიდებულებებს მიზანმიმართულად გამოხატავენ, ემოციებს კი არა. ხშირია ემოციების დამალვის ან სიმულირების შემთხვევებიც. ექსპრესიული ვარიაცია წამყვანია პარაენისთვის, რაც გავლენას ახდენს ნათქვამის სიმაღლეზე, ბგერის სიმაღლესა და სხვა პარამეტრებზე.

**ლინგვისტური ასპექტი:** ეს ასპექტი ლინგვისტებს ყველაზე მეტად აინტერესებთ. ფონეტიკური ტრანსკრიპცია გამოთქმის მხოლოდ ლინგვისტურ თვისებებზე გვაძლევს ინფორმაციას. თანამედროვე კვლევები უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ აღიქვამს მეტყველების ამ სიგნალებს მსმენელი.

მეტყველების ზოგიერთი ნიშანი ლინგვისტური ან პრე-ლინგვისტური წარმომაგლობისაა. ამ ტიპის ყველაზე გავრცელებული მოვლენაა ე.წ. სიხშირის კოდი. ეს კოდი სხვადასხვა სახეობებს შორის კომუნიკაციისასაც კი მოქმედებს.

ტექსტური კომუნიკაციისას, მაგალითად ი-მეილებში, ჩეტში და შეტყობინებებში პარა-ლინგვისტური ელემენტები გამოიხატება ემოციების გამომხატველი ხატულების, ფონტის, ფერის შერჩევით. აგრეთვე ზოგ ენაში დიდი ასოების გამოყენებით. პარაენა დამწერლობაში მაინც შეზღუდულია პირისპირ ურთიერთობასთან შედარებით, რაც ზოგჯერ გაუგებრობების საბაბი ხდება.

დ.კრისტალის მიხედვით, საინტერესოა, რომ მეტყველების ძირითადი მახასიათებლების გარდა, როგორიც არის, ვთქვათ, ფონემები და ალოფონები, რომლებიც ქმნიან სიტყვებს და წინადადებებს, კომუნიკაციისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ისეთი ხმოვანი ეფექტებიც, რომლებიც თვისობრივად ძალიან

განსხვავდებიან და, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომუნიკაციისას. დ. კრისტალი ამ ხმოვან ეფექტებს “ხმის ტონს” უწოდებს და ეს ტერმინი აჯამებს სახმო აპარატის რთულ ქმედებას, სადაც ხმის სიმძლავრე, სიმაღლე, ლაპარაკის ტემპი და ბევრი სხვა ვოკალური თვისება განსაზღვრული კომბინაციით გამოიყენება. აღმოჩნდა, რომ პარალინგვისტური თვისებები ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნათქვამის დენოტატიური მნიშვნელობა. უფრო მნიშვნელოვანია, როგორ ითქვა და არა, რა ითქვა. ალბერტ მექრაბიანის მიხედვით, აღმოაჩინა, რომ ინფორმაციის მხოლოდ 7% გადაიცემა ვერბალურად, დანარჩენი 93 % კი არა-ვერბალურად.

მეტყველების არავერბალურ ხმოვან საშუალებას 5 ასპექტი გააჩნია: პროსოდია, ლინგვისტური და არალინგვისტური ვოკალიზაცია, სიჩუმე და საუბრისას ჯერის მონაცემები (მოსაუბრე, მსმენელი).

პროსოდია გულისხმობს თუ როგორ წარმოითქმის ნათქვამი და ისეთი პიროვნული თვისებების აღქმაზეც ახდენს გავლენას როგორიც არის კომპეტენცია და დარწმუნების უნარი. **ლინგვისტური ვოკალიზაცია** ისეთ ბგერებს შეესაბამება როგორიც არის “ჰმმ”, “ჟჟ” რომლებიც სიტყვების მსგავსად გამოიყენება; **არა-ლინგვისტური ხმებია** სიცილი, ტირილი, ყვირილი და ა.შ. **სიჩუმეს და პაუზას** ასევე აქვთ უნარი გამოხატონ ყოფილი ან საუბრის არქონის სურვილი. სიჩუმე შეიძლება მეორე მოსაუბრისთვის საუბრის დაწყების სტიმული გახდეს, ხოლო გაჭიანურებული სიჩუმე კი შეიძლება შეურაცმელი კი იყოს. **საუბრისას რიგის მონაცემებია** შეიძლება დომინანტურობას გამოხატავდეს და მოსაუბრის სტატუსს უსვამდეს ხაზს.

### პარაენის ფუნქციები:

პარაენის ყველაზე ცნობილი ფუნქცია ემოციის გამოხატვაა. მას გააჩნია ასევე გრამატიკული ფუნქციაც. მაგალითად, განსხვავება მტკიცებით და კითხვით წინადადებას შორის შესაძლებელია ინტონაციით გამოიხატოს. ასევე სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობების-დომინანტობისა ან/და დაქვემდებარებული მდგომარეობის გამოსახატავდ; მოსაუბრის პროფესიული მონაცემების

საჩვენებლად. პროფესიების უმრავლესობა, სადაც მეტყველება პროფესიის განუყოფელი ნაწილია, დამახასიათებელი მეტყველებით ხასიათდება.

### პარაენის კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის ზოგადი მიზანია მიზანია ვოკალური ეფექტების ანბანის შექმნა, სადაც ოვითოეულს შეეძლება ნათქვამის მნიშვნელობის (გრამატიკული, სოციალური ან აფექტური) შეცვლა, თუ ერთ ერთეულს სხვა ერთეულით ჩაანაცვლებს. ადამიანის ხმის აპარატში გამოიყოფა ცვალებადი ერთეულები, რომლებიც ხმის ტონს ქმნის.

**ბგერის სიმძლავრე:** ინგლისურში გახანგრძლივებული დაბალი ტონი გამოიყენება ფრჩხილების ფუნქციით. (*My cousin-you know the one who lives in Liverpool-he's just got a new job.)( 9, 171)*

**სიმაღლე:** სიტყვების ან ფრაზების უფრო ძლიერად ან ჩუმად გამოთქმა ვიდრე ჩვეულებრივ. გამოიყენება ნათქვამის ემფაზირებისთვის.

**სისწრაფე:** სიტყვები ან ფრაზები ნორმალურზე უფრო სწრაფად ან ნელა წარმოითქმის.

**რიტმი:** ბგერის სიმძლავრე, სიმაღლე და სისწრაფე ერთად ქმნის რიტმს. როდესაც ნათქვამს გამოკვეთილი მეტრული რითმი აქვს შეიძლება გაღიზიანებას გამოხატავდეს.

**ხორხის ეფექტი:** ჩურჩულით ლაპარაკი, ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი პარალინგვისტური ნიშანია, რომელიც ხორხში ფორმირდება. მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა “შეთქმულებითი” საუბარია.

**ლაბიალიზაციის ეფექტი:** ტუჩების მეტისმეტი მომრგვალება, ე.წ.ლაბიალიზაცია, შეიძლება გამოხატავდეს ზიზდს, ასევე ინტიმურობას მაგ: ბავშვებთან ან ცხოველებთან საუბრისას.

ეს ოა თქმა უნდა პარალინგვისტური მახასიათებლების სრული ჩამონათვალი არ არის, თუმცა კომუნიკაციისას მათ მიერ შესრულებული როლი გვაჩვენებს, რომ პარალინგვისტური ნიშნების, რომელთა წარმოთქმა და ინტერპრეტაცია ენის ზრდასრულ მომხმარებლებს ინტუიტიურად შეგვიძლია, უგულველყოფა არ შეიძლება.

უნდა აღინიშნოს, რომ პარალინგვისტიკის სხვადასხვა ფუნქციების შესწავლა ნელი ტემპით მიმდინარეობს და ჯერ კიდევ ძნელია სიტყვებით იმის გამოხატვა, რასაც უურით აღვიქვამო. ეს სირთულე კი განსაკუთრებით თავს იჩენს თარგმანში. თარგმანთმცოდნეობაში არავერბალური მეტყველების თარგმნის პერსპექტივა განიხილა ფერნანდო პოიატომ. ის ყურადღებას ამახვილებს, პარაენასა და კინესთეტიკაზე და მას განიხილავს ლიტერატურულ თარგმანთან კავშირში. ის ამბობს, რომ “კითხვისას ცოცხლდება პიროვნებების და გარემოს შემადგენელი უამრავი ელემენტი. ეს გულისხმობს, არა მხოლოდ მოლაპარაკის სახეს და სხეულს ან მთლიანად პიროვნებას, თავიანთი ხაზებშორისი ექსპლიცისტური და იმპლიცისტური პარაენითა და კინესთეტიკით, არამედ მკაფიო ქვაზი-პარალინგვისტური ხმებითაც, უძრაობით და სიჩუმით, ერთად შეკრული ერთიანდება ვიზუალურ საშუალებაში, დაბჭყდილ გვერდში, რომელიც მოგვიანებით მულტისენსორულად ძლიერდება მკთხველის მიერ ნიშნების მეტამორფოზით. მაგრამ ნებისმიერი ეს არავერბალური სისტემა უამრავ ცვლილებას განიცდის თარგმანის დროს და მთარგმნელები ძალიან უურადღებით უნდა იყვნენ ყველაფრის მიმართ, რაც ხდება ან არ ხდება თარგმანის დროს. ვინაიდან თარგმანი არამარტო ენათაშორისი არამედ კულტურათაშორისი აქტიცაა. ” (34,1997: 12-13)

თანამედროვე მულტიმედიური ტექნოლოგიების სამყაროში ვიზუალურ მედიას თითქოს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ხმოვან ეფექტებს. თუმცა ხმას მრავალი თვისება გააჩნია გამომსახველობითი გამოცდილების შესაქმნელად: ის გადმოსცემს ინფორმაციას წარმოშობის, ადამიანის პიროვნებისა და უნიკალურობის შესახებ, მის მიერ ენის სტანდარტული ან არასტანდარტული ფორმების გამოყენებას, რეგიონალურ თუ ეროვნულ აქცენტს, ნამდვილ გრძნობებს, მაგალითად

იმის მიხედვით, თუ როგორ კელაპარაკებით ბაგშვებს ან აღვიქვამთ და კრეაგირებთ სარკაზმზე და ა. შ.

თანამედროვე სამყაროში, ტერმინ ‘ტექსტის’ მნიშვნელობა საკმაოდ გაფართოვდა და კომუნიკაციაც არ არის მხოლოდ გერბალური. ფ. პოიატო მეტყველებას სამ კომპონენტიან აუდიო-ვიზუალურ სტრუქტურად წარმოადგენს: ენა, პარაენა და კინესოუტიკა. აქედან მხატვრულ ნაწარმოების შექმნისას მწერალი მხოლოდ ორის გამოყენებით უნდა დაკმაყოფილდეს: კერბალურის და არაკერბალურის. ნაწარმოებში ისეთი პარალინგვისტური ელემენტები, როგორიც არის ხმის ტემბრი, ტონი, ჟესტები სიტყვების საშუალებით გადმოიცემა და მათი აუდიორება და ვიზუალიზაცია განსხვავდება სხვადასხვა მკითხველთან. ძალიან როულია არა-კერბალური ელემენტების თარგმანში გადმოტანა, ვინაიდან განსხვავებულ ენებს სხვადასხვა საშუალებები გააჩნიათ. მაგალითად, ინგლისურ ენაში საკმაოდ მრავალფეროვანია სხვადასხვა ტიპის სიცილის გამომხატველი ლექსიკა; განსხვავება Snickering, sniggering, cackling, chortling. აქედან სამი მათგანი ქართულ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც ხითხითი, თუმცა ისინი მაინც განსხვავებული ტიპის ხმებს გამოხატავენ. (chortling-ხითხითისა და ფრუტუნის ნარევია)

რაც შეეხება ფილმებს, აქ პარალინგვისტური კომპონენტი აუდიო-ვიზუალური პროდუქტის შემადგენელი ნაწილია და მაყურებელი მას უშუალოდ აღიქვამს. თუმცა, როგორც ცნობილია, სხვადასხვა კულტურას განსხვავებული პარაენა აქვს და მისი აღქმა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, შესაძლებელია, განსხვავდებოდეს. პარალინგვისტური ელემენტები დიდ როლს ასრულებენ პერსონაჟის სახის შექმნაში და ასევე იმ ეფექტის მოხდენაზე, რომელიც რეჟისორს პქონდა განზრახული. მთარგმნელებს კი საშუალებას აძლევს დინგვისტური ელემენტებიდან აირჩიოს, თუ რა ნაწილი თარგმნოს და რა არა, ვინაიდან აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებში მაყურებელს მზად მიეწოდება ყველანაირი ინფორმაცია, ლინგვისტური, პარა და ექსტრა-ლინგვისტური და ერთი რომელიმე საშუალების ხარვეზი შესაძლებელია სხვა საშუალებამ გადაფაროს. მაგალითად, რეგიონული დიალექტი, რომელსაც “უთარგმნელის” სტატუსი აქვს თარგმნათმცოდნეობაში.

ცნობილია, რომ ჯ.სუკორის “ჩემი მშვენიერი ლედი” ნაწილობრივ დუბლირებულია. ამ ფილმს ახმოვანებს ორი ადამიანი- მამაკაცი და ქალი როლების შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ ფილმის ყველა ნაწილი არ არის ნათარგმნი და გახმოვანებული. ისმის საუბარი საწყის ენაზე და ჩვენს მიერ ზემოთადწერილი ”მოშინაურების” ეფექტი არ იქმნება. ვფიქრობთ, სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ქართულად დუბლირებულ ვარიანტი თითქმის არ არის გადმოსული ენის ვარიანტულობის ის მარკერები, რომლებიც ორიგინალში გვხვდება და მისი კომპენსირება ხდება ფილმის იმ ნაწილებით, რომელიც არ არის თარგმნილი და მაინც ისმის, მაგალითად ყვავილების გამყიდველი გოგოს ლაპარაკის საშინელი მანერა და მისი აღქმა შეუძლია როგორც ენის მცოდნეს, ისე იმ ადამიანსაც, რომელმაც ინგლისური არ იცის.

### **3.10. ბ.შოუს “პიგმალიონი” და ჯ.სუკორის “ჩემი მშვენიერი ლედი”**

ბ.შოუს ამ პიესის სათაური მომდინარეობს კლასიკური ბერძნული მითიდან, რომელსაც ოვიდიუსის “მეტამორფოზებშიც“ ვხვდებით. ოვიდიუსის მიხედვით, პიგმალიონი მარტოხელა მოქანდაკეა, რომელიც სპილოს ძვლისგან გამოაქანდაკებს იდეალურ ქალს. მითის მიხედვით, მას შემდეგ რაც პიგმალიონმა საკუთარი სხეულით მოვაჭრე პროპოეტიდები იხილა, განაცხადა, რომ მას არ აინტერესებდნენ ქალები, მაგრამ მისი გამოქანდაკებული ქალი ისეთი მშვენიერი და რეალური იყო, რომ მოქანდაკეს თავდავიწყებით შეუყვარდება თავისი ქმნილება. პიგმალიონი მას საჩუქრებსაც კი უძღვნის, საბოლოოდ კი ვენერას, მშვენიერების და სიყვარულის ქალღმერთს ევედრება დახმარებას. ქალღმერთი შეიძრალებს პიგმალიონს და გააცოცხლებს ქანდაკებას, რის შემდეგაც ისინი დაქორწინდებიან და შვილი, პაფოსი, ეყოლებათ.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ მითზე დაფუძნებულმა, ბ. შოუს პიესამ “პიგმალიონი” და თავის მხრივ, ამ პიესის მიხედვით შექმნილმა ჯ. სუკორის ცნობილმა ფილმმა “ჩემი მშვენიერი ლედი”, გინაიდან მათში წარმოდგენილია სხვადასხვა წრის ადამიანთა შორის არსებული რთული სოციალური ურთიერთობები; სატირულადაა

აღწერილი ინგლისის მადალი საზოგადოება, რომელიც, ძირითადად, გამართულად საუბარსა და მანერებზეა დაფუძნებული და ნაჩვენებია, თუ როგორ ადვილად შეუძლია დაბალი სოციალური წრის წარმომადგენელს ამ საზოგადოებაში მოხვედრა, თუკი მათ ჩვევებს შეითვისებს.

როგორც ვიცით, ენის სტრატიფიკაციული გარიანტულობის მარკერები ხშირად პერსონაჟთა მეტყველებაშია გაბნეული და დიდ როლს ასრულებს მათი დახასიათებისა და სახის შექმნაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, თუ რამდენად ახერხებს მთარგმნელი ამ ფორმალურ ნიშანთა გამეორებას, რა ფაქტორები განაპირობებს მის არჩევანს და რამდენად არის შენარჩუნებული კომუნიკაციური ეფექტი. გვაინტერესებს როგორც მხატვრული ნაწარმოების, ასევე ფილმების თარგმანი, მათი სპეციფიკა; რითი ჰგვანან ან განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან და რა ტენდენციები გამოიკვეთება თარგმნის დროს.

როგორც ცნობილია, ნაწარმოებში ერთ-ერთი მთავარი გმირი, ფონეტიკის პროფესორი ჰიგინსი, ნიძლავს დებს, რომ კოპნიზე მოლაპარაკე ყვავილების გამყიდველ გოგონას გამართულად ლაპარაკს შეასწავლის და მას ქალბატონად აქცევს. აღსანიშნავია, რომ “კოპნი”, ძირითადად, ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობის (Est-end) აქცენტია, ანუ მუშათა კლასის აქცენტად ითვლება და არც თუ ისე პრესტიჟულად მიიჩნევა. ბუნებრივია, კოპნის თავისებურებები ახასიათებს, მაგალითად: არანორმატიული ფორმები, განსხვავებული ლექსიკი და ა. შ. ყველაზე დამახასიათებელი კი მაინც მისი წარმოთქმაა. ენის ვარიანტულობის ისეთი სახეობის ტრანსპოზიცია, როგორიცაა ლოკალურ-ტერიტორიული დიალექტი, განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს, რომ არ მოხდეს ორიგინალის სპეციფიკის განეიტრალება ან, პირიქით, უცხო გარემოს ილუზიის შექმნის ნაცვლად არ დაირღვეს ბალანსი და არ დაიხატოს სპეციფიკურად მშობლიური გარემო. ვნახოთ, თუ როგორ ხდება ამ სირთულის დაძლევა ქართულ თარგმანში. უნდა აღინიშნოს, რომ პიესის ქართული თარგმანი განხორციელებულია მ. ქარჩავასა და ი. ტროპოლსკის მიერ, ხოლო ფილმი - ‘საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ’. ვინაიდან პიესა და ფილმი სიუჟეტურად

ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდება, მათ თარგმანს ცალ-ცალკე განვიხილავთ. დავიწყებთ პიესით.

### 3.10.1. კაგშირი გმირის მეტყველებასა და კლასობრივ წარმომავლობას შორის:

The flower girl: Nah then, Freddy: look wh'y giwin dea! (67,15)

ყვავილების გამყიდველი გოგო: ერთი ამას დამიხედეთ! თვალები არ გაბია, ფრედი? რო დადიხარ, წინ იყურე. (61,4)

The flower girl: (picking up her scattered flowers and replacing them in the bascket). Thres menners f'yer! Te-oo banches o voelets trod into the mad. (67,15)

ყვავილების გამყიდველი გოგო: (დაცვივნულ ყვავილებს აჰკრეფს და კალათაში აწყობს) კიდევ იტყვის თავი მაბიაო. ორი კონა გამიჭყლიტა- და ტალახში ამომიზილა. (67, 4)

ყვავილების გამყიდველი გოგონას მეტყველება ქართულ თარგმანში ძირითადად არანორმატიული სიტყვათაშეთანხმებით არის გადმოსული –თვალები არ გაბია? იტყვის თავი მაბიაო.

აქვე ხაზი ესმება იმ ფაქტს, რომ ელიზა-მეუვავილე გოგო, დაბალ წრეს მიეკუთვნება, იმ ფაქტითაც, რომ ის ჯენტლმენს, რომელიც მას დაეჯახება მიმართავს სახელით “ფრედი” და ამბობს, რომ ეს ზრდილობიანი მიმართვის ფორმაა უცნობი მამაკაცისადმი, ხოლო ჯენტლმენის დედა, რომელიც მაღალ წრეს მიეკუთვნება და, შესძამისად, მისთვის უცხოა მიმართვის ასეთი ფორმა, ინტერესდება, თუ საიდან იცის გოგონამ მისი ვაჟის სახელი.

The mother: How do you know that my son's name is Freddy? (67,16)

The flower girl; Ow, eez, yoo son, ise? Wal, fewd dan y' d-oooty bawnz a mother should, eed now bettern to sprawl a pore gel's flan'zn than ran away athaht pying. Will yo-oo py me f' them? (67,16)

დედა – ერთი ეს მითხარით, საიდან იცით, რომ ჩემს ვაჟს ფრედი ჰქვია ? (61,4)

ყვავილების გამყიდველი გოგო- ეგ რა! თქვენი შვილია? დიდი ბედენა გაგიზრდია რაღა, საწყალ ქალს ყვაილები გამაყრევინა და პაიდა მოუსვა, თითქოს საფასურს

გადახდა არ უნდოდეს. ანდა გროშებს, აი, თქვენ ჩამითვლოდეთ მის მაგივრად. (61,4)

ელიზას მეტყველების გადმოსატანად ქართველი მთარგმნელები, მ.ქარჩავა და ო. ტროპოლსკი, სიტყვების დამახინჯებას მიმართავენ: ყვაილები, გამაყრევინა, ჩამითვლოდენ, რათა ქართველ მკითხველს ცოტათი მაინც შეექმნას წარმოდგენა გოგონას მეტყველებასა და საზოგადოებრივ მდგომარეობაზე.

The flower girl (protesting) Who's trying to deceive you? I called him Freddy or Charlie same as you might yourself if you was talking to a stranger and wished to be pleasant.(67,17)

ყვავილების გამყიდველი გოგო: (აღმფოთებული) ვის რად უნდა თქვენი მოტყუება? სულ ერთი არ არის, ფრედის დავუძახებდი თუ ჩარლის? თქვენ ასე არ შვრებით ზრდილობის გულისთვის უცხო კაცს სახელით არ მიმართავთ? (61 ,5)

ქართველი მკითხველიც ადვილად ხვდება, რომ ელიზა დაბალ სოციალურ წრეს მიეკუთვნება როგორც მისი მეტყველებიდან გამომდინარე (სიტყვების დამახინჯება), ასევე მიმართვის ფორმიდანაც, ვინაიდან ქართული ენისათვის უცხოა ზრდილობიან საუბარში უცხო ადამიანისთვის სახელით მიმართვა.

აზრს იმის შესახებ, რომ მეტყველება ადამიანის სოციალურ კლასს უსვამს ხაზს, იმ მაგალითშიც გამოიკვეთება, როდესაც ელიზა უცნობ მამაკაცს მიმართავს – “Captain” და მას წარმოდგენაც არა აქვს იმის შესახებ, რომ ამ მიმართვას არცოუ კარგი იმპლიკაცია მოეპოვება მაღალ საზოგადოებაში.

The flower girl: (taking advantage of the military genlmen's proximity to establish friendly relations with him) If it's worse, it's a sign it's nearly over. So clear up, Captain; and buy a flower off a poor girls. (67,18)

ყვავილების გამყიდველი გოგო: (ცდილობს ისარგებლოს სამხედრო კაცის მეზობლობით და მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს) დარდი ნუ გაქვს “კაპტანო”, თუ მართლა მაგრა დასცხო, მალე გადაიღებს. იყიდეთ ყვაილები, იყიდეთ საწყალი გოგონასაგან.(61,16)

The bystander (to the girl) You be careful: give him a flower for it. There's a bloke here behind taking down every blessed word you are saying. 9All turn to the man who is taking notes)

The flower girl: (springing up terrified) I aint done nothing wrong by speaking to the gerntleman. Ive a right to sell flowers if I keep off thet kerb. (Histerically) I'm a respectable girl: so help me, I never spoke to him except to ask him to buy a flower off me. (67,20)

**მაყურებელი** –(ყვავილების გამყიდველ გოგოს) შენ ცოტა არ იყოს, ფრთხილად იყავი: ფული რომ გამოართვი, ყვავილი მიეცი, თორემ უკან რომ კაცი დგას, შენ უველ სიტყვას იწერს. (ხალხი მიუბრუნდება კაცს, რომელიც რაღაცას ინიშნავს)  
ყვავილების გამყიდველი გოგო (შეშინებული წამოვარდება) ვითომ რა მოხდა, თუ ჯენტლმენს დაველაპარაკე? მე ასეთ ადგილებში ყვავილების გაყიდვის უფლება დიახაც რომ მაქვს. (ისტერიულად) მე წესიერი გოგო ვარ, მიშველეთ, დამეხმარეთ. იმის მეტი რა ვუთხარი, რომ ყვავილი\_იყიდე მეთქი. (67,6)

ქართულ თარგმანში მიმართვის ფორმა “Captain” დამახინჯებულია და იხმარება “კაპტანო”, რაც კადავ ელიზას დაბალ სოციალურ სტატუსს უსვამს ხაზს, თუმცა მასში არავითარი სხვა იმპლიკაცია არ იკითხება და ქართველი მკითხველი შემდგომი კონტექსტიდან იგებს, თუ რატომ შეიძლებოდა ელიზა მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ჰგონებოდათ.

The flower girl: Let him mind his own business and leave a poor girl. (67,27)

**ყვავილების გამყიდველი გოგო:** -მაგას ურჩევნია თავისთვის ეგდოს, სხვის საქმეებში ნუ ეჩრება და მეც თავი დამანებოს.(61,11)

თუმცა ინგლისურ წინადადებაში არ ვხვდებით საუბრის განსაკუთრებულად დამახინჯებას, მთარგმნელებს, ყვავილების გამყიდველი გოგონას სახიდან გამომდინარე, თარგმანში უხეში ერთეულების გამოყენებისათვის მიუმართავთ, ‘თავისთვის ეგდოს, ეჩრება’, რომლებიც, თავისთავად, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ელიზას მხატვრული სახის შექმნაში. კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ხაზს უსვამს მეტყველებასა და სოციალურ სტატუსს შორის კავშირს, არის ის,

რომ პიგინსი, რომელიც ფონეტიკოსია მოედანზე შეკრებილი ყველა ადამიანის წარმომავლობას ხვდება მათი საწარმოთქმო აქცენტის მიხედვით.

სხვადასხვა იმპლიკაციით გხვდებით აგრეთვე მიმართვის ფორმას “Missus”. თავდაპირველად ელიზა გამოიყენებს მას ქ-ნი პირსის მიმართ- ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მიმართავენ ქალს, რომლის სახელიც არ იციან. ამიტომ ქართულ თარგმანში ის უცვლელად არის გადმოტანილი.

Liza: Oh, I couldt lieep here, missus. Its too good for thelikes of me. I should be afraid to touch anything. I aint duchess yet, you know. (67,47)

ელიზა-ოო, აქ ვერ დავიძინებ, მისუს! ეს ზედმეტად კარგია ჩემისთანასთვის: აქ ვერაფერის ხელის ხლებას ვერ გავტედავ. ხომ იცით, რომ მე ჯერ კიდევ არა ვარ ჰერცოგის ასული, მისუს. (61,28)

ელიზას მამა, მისტერ დულიტლიც ამგვარად მიმართავს ქ-ნ პირსს. აქ უკვე იგულისხმება პროფესორ პიგინსის ცოლი ან ქალი და ქართულ თარგმანში გხვდებით სიტყვა დედაკაცს, რომელიც ასაკგადასულ გათხოვილ ქალს ნიშნავს და ასევე გამოკვეთს, რომ მისტერ დულიტლიც დაბალ წრეს მიეცუთვნება, ვინაიდან ასეთი მიმართვის ფორმა ქართულ ენაში, ძირითადად, მდაბიურ და კუთხურ, არალიტერატურულ მეტყველებაში გვხვდება.

Doolittle (desperate) Wheres the clothes she come in ? Did I burn them or did you missus here? (67,57)

დულიტლი (სასოწარკვეთილი) სად არის ის ტანსაცმელი, რომლითაც მოვიდა? მე დავწვი, თუ თქვენმა დედაკაცმა? (61 ,37)

### 3.10.2. არასალიტერატურო ლექსიკის მაგალითები:

ჰენრი პიგინსს დედასთან წვეულებაზე მიჰყავს ელიზა, რათა თავისი ძალისხმევის შედეგი გამოსცადოს. მართალია, მან შესძლო ელიზასთვის გამოთქმები შეესწორებინა, მაგრამ ის, თუ რას გამოთქვამს გოგონა, ჯერ კიდევ დასახვეწია.

Liza (in the same tragic tone) But its my belief they done the old woman in.

Mrs.Higgins:(puzzled) Done her in?

Liza: Ye-e-e-es. Lord love you! Why should she die of influenza? She come thrugh diphtheria right enough the year before. I saw her with my own eyes. Fairly blue with it, she was. They all thought she was dead; but my father he kept ladling gin down her throat til she came to so sudden that she bit the bowl off the spoon. (67,76)

ელიზა (იმავე კატეგორიული ტონით) მაგრამ, მე მგონი, რომ ინფლუენცია მხოლოდ ბებრუცუნებს უგრებს კისერს.

ქნი პიგინსი (შემკრთალი) კისერს უგრებს?

ელიზა: დ-დიახ! თქვენ ღმერთმა დაგიფაროთ. იცით ბიცოლაჩემი როგორ მოკლა ინფლუენციამ? ერთი წლის წინ დიფთერია მოიხადა. ჩემი საკუთარი თვალებითა ვნახე, სულ გალურჯებული იყო, ყველას ეგონა მკვდარია, მაგრამ მამაჩემმა იმდენი სპირტი ასვა და ასვა კოვზით, რომ საწყალი ქალი ერთბაშად გონს მოვიდა და კოვზს კინალამ პირი მოაჭამა. (61,53)

ელიზა იყენებს ფრაზას “Done in” რომელიც არასალიტერატურო რეგისტრს განეკუთვნება და ქნი პიგინსის გაკვირვებას იწვევს. ამ ეფექტის ქართულ თარგმანში გამოსატანად ვხვდებით სიტყვას ’ბებრუცუნები’ და სიკვდილის აღმნიშვნელ უხეშ ევფემიზმს- “კისერს მოუგრებს”.

ის ფაქტი, რომ ჯერ-ჯერობით ელიზამ მხოლოდ გამოთქმების შესწორება შესძლო, ქართულ თარგმანში ცხადი ხდება იმიტომ, რომ ელიზა იყენებს ისეთ ტერმინს როგორიც არის “ინფლუენცია” გრიპის ნაცვლად და ამასთანავე არღვევს სალიტერატურო ენის ნორმებს, როდესაც ხმარობს ისეთ არასალიტერატურო გამოთქმებს, როგორიცაა “თვალებითა ვნახე”.

აღსანიშნავია აგრეთვე ელიზას გასვლის სცენაც.

Freddy (Opening the door for her) Are you walking across the Park. Miss Doolittle. (They shake hands).

Liza: (Perfectly elegant diction) Walki'! Not bloody likely. (Sensation) I am going in a taxi.(She goes out) (67,78)

ფრედი: (კარს უღებს) პარკისკენ მიდიხართ, ქნო დულიტლ? თუ ასეა

ელიზა: (ამბობს დახვეწილი დიქციონ) ფეხით? ბებია გიცხონდეს (სენსაცია) ტაქსით მივდივარ. (61,55)

‘Bloody’ სალანძღავი სიტყვაა, რომელიც, ძირითადად, ნათქვამის გასაძლიერებლად იხმარება და დღესდღეობით მას ის სიმძაფრე აღარ გააჩნია, რაც იმ პერიოდში პქონდა, როდესაც ბ. შოუს “პიგმალიონი” დაიწერა; მაშინ ის წარმოუდგენელ უხამსობად ითვლებოდა და როდესაც ელიზას როლის შემსრულებელმა ეს სცენაზე თქვა, ნამდვილი სენსაცია გამოიწვია.

ქართველი მთარგმნელები გვთვავაზობენ ფრაზას “ბებია უცხონდა”, რომელიც სასაუბრო მეტყველებისთვის დამახასიათებელი საკმაოდ უხეში გამოთქმაა და ქართველი მკითხველიც კარგად აღიქვამს მის უადგილობას. თუმცა ამ მაღალ საზოგადოებაში კლარა, ფრედის და, უცებ აიტაცებს ამ გამოთქმას, როგორც მოდურს, დედისგან განსხვავებით, რომელიც ამ ამბავს ვერანაირად ვერ ეგუება.

Mrs Eyenford Hill: I daresay I am very old-fashioned: but I do hope you wont begin using that expression, Clara. I have get accosomed to hear your talking about men as rotters, and calling everything filthy and beastly. Though, I think its horrible. . . (67,79)

მისის პილი: მე არა მცხვენია ვალიარო, რომ ძველი ყაიდისა ვარ. მაგრამ იმედი მაქვს შენ არ იხმარ ამ გამოთმებს. მე შევეჩვიე შენგან ისეთი სიტყვების გაგონებას, როგორიცაა “გარეწარი”, “ჭუჭყიანი”, “მხეცური”, თუმცა ლედისთვის ესენიც შეუფერებელ სიტყვებად მიმაჩნია, ეგ უკანასკნელი გამოთქმა კი მეტისმეტია. . . (61,55)

კლარა კი მიიჩნევს, რომ ეს “ახალი” გამოთქმები მიმზიდველი და მიამიტურია.

Clara: It's a matter of habit. There's no right or wrong in it. Nobody means anything by it. And it's so quaint, and gives such a smart emphasis to things that are not in themselves very witty. I find the new small talk delightful and quite innocent. (67, 79)

კლარა: ეს ჩვევის საქმეა. სწორი და არასწორი მეტყველება არ არსებობს. ასეთ სიტყვებს განგებ არავინ იგონებს, მაგრამ ისინი მაინც მიმზიდველენი არიან, რადგან ხანდახან მეტად გონებამახვილურად და ხაზგასმით გამოხატავენ ზოგიერთ რამეს, რომელშიც თავისთავად არაფერია გონებამახვილური. ეს ახალი გამოთქმა, ჩემის აზრით, მშვენიერიცაა და მიამიტურიც. (61,55)

და ბოლოს პიგინსის შემოქმედების ტრიუმფი. წვეულებაზე ელიზას პრინცესად მიიჩნევენ.

Hostess: Oh, of course I agree with Nepommuck. She must be a princess at least.(67,95)

**მასპინძელი:** მე რა თქმა უნდა, ვეთანხმები ნეპომუნკს. ელიზა სულ მცირე სეფექალი მაინცაა.(61,65)

Liza: I don't think I can bear much more. The people all stare at me. An old lady has just told me that I speak exactly like Queen Victoria. I am sorry if I have lost your bet. I have done my best; but nothing can make me the same as these people.(67,95)

**ელიზა:** წავიდეთ აქედან. მეტი აღარშემიძლია . ყველა მე მომჩერებია. რომა მოხუცმა ლედიმ მითხრა: ზუსტად ისე ლაპარაკობთ, როგორც დედოფალი გიქტორიაო. ვწუხვარ თუ ნიძლავი წაგაგებინეთ. ცდა არ დამიკლია, მაგრამ ამ ხალხს მაინც ვერაფრით დავემსგავსე. (61,65)

### **3.10.3. უხეში ლექსიკა პროფესორ ჰიგინსის მეტყველებაში;**

ლინგვისტური დაკვირვებები ადასტურებს ფაქტს, რომ რაც უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზეა ადამიანი, მით ნაკლებია მის მეტყველებაში დიალექტიზმები ანუ რეგიონალური სხვაობები. (5, 141). რაც შეეხება თვით სოციალური კლასის განსაზღვრას, სოციოლინგვისტიკაში მისი განსაზღვრის სამი ძირითადი კრიტერიუმი გამოიყოფა: დასაქმების სფერო, განათლება და მატერიალური მდგომარეობა. ლაბოვისა და ტრაჯილის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თავისუფალი მეტყველებისას რაც უფრო დაბალ ფენას მიეკუთვნებოდნენ ადამიანები, მით უფრო არღვევდნენ ენობრივ ნორმებს, ფორმალურ სიტუაციაში კი ქვედა და საშუალო ფენის წარმომადგენლები მეტ კონტროლს უწევდნენ საკუთარ თავს, ვიდრე ზედა საშუალო კლასის წარმომადგენლები, რადგანაც ამ უკანასხელთათვის, მათი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენენ მსმენელზე. (5,141-143) კვიქრობთ, ამდაგვარ შემთხვევას აქვს ადგილი პროფესორ ჰიგინსის შემთხვევაშიც, ის ყველას სწორ მეტყველებას ასწავლის, ენის ექსპერტია, მაგრამ თავად მეტყველებაში ხშირად იყენებს თავისი წრისთვის შეუფერებელ, სალანდავ სიტყვებს. ადსანიშნავია დიალოგი ჰიგინსსა და ქ-ნ პირსს შორის, როდესაც ქ-ნ პირსი მას სთხოვს ელიზას თანდასწრებით მაინც არ გამოიყენოს ასეთი სიტყვები.

Higgins: I swear! (Most emphatically) I never swear. I detest the habbit. What the devil do you mean? (67,29)

Mrs. Pearse. (Stolidly) That's what I mean, sir. You swear a great deal too much. I don't mind your damning and blasting, and what the devil and who the devil and where the devil... (67,51)

ჰიგინსი(აღმფოთებული) მე ვიგინები? (უფრო ხაზგასმით) მე არასოდეს ვიგინები. გინება ჭირის დღესავით მეჯავრება. რა ოხრობას ეძახით ოქვენ გინებას?

ქ-ნი პირსი (შთამაგონებლურად) სწორედ ამ “ოხრობას” ვეძახი-დიახ, სერ თქვენ ძალიან ბევრს იგინებით, ხოლო “სად ეშმაკმი” , “ვინ ეშმაკმა” , “რა ეშმაკმა”, ხომ არის და არის, ამას გარდა . . .(61 ,32)

Mrs. Pearse. (Not to be put off) But there is a certain word I must ask you not to use. The girl used it herself when she began enjoying the bath. It begins the same letter as bath. She knows no better: she learnt it at her mothers knee. But she must not hear it from your lips.

Higgins: (Loftily) I cannot charge myself with having ever uttered it Mrs. Pearse. . . except perhaps in a moment of excitement and justifiable excitement.

Mrs.Pearse: Only this morning , sir, you applied it to your boots, to the butter, and to the brown bread.(67,51)

ქ-ნი პირსი (აგრძელებს ლაპარაკს) არსებობს ერთი სიტყვა, რომლის ხმარებასაც უნდა გადაეჩვიოთ. გოგომაც იხმარა ის სიტყვა, როცა ჩვენი ჯამთასი დაინახა. ის სიტყვა იმავე ასოთი იწყება, რითაც ბროწეული. მას აკვნიდანვე ასეთი ლაპარაკი ესმის და ეპატიება, მაგრამ თქვენთვის კი მიუტევებულია. იმ გოგოსთნ მაინც ნუ ამბობთ.

ჰიგინსი (ამაყად) დავიფიცებ, რომ ეგ სიტყვა, ალბათ არასოდეს წარმომითქმს, ქ-ნო პირს თუ ძალიან და სამართლიანად აღელვებული არ ვყოფილვარ.

ქ-ნი პირსი-აი, ამ დილით სამჯერ იხმარეთ ეგ სიტყვა, როცა ახსენეთ ბატონი, ბაღი და ბუნება. (61 ,32)

ქ-ნი პირსი მიანიშნებს სიტყვაზე “Bloody” რაც საშინლად შეურაცყოფლად ითვლებოდა. როგორც ვთქვით, ეს სიტყვა ქართულ თარგმანში გადმოტანილია როგორც “ბებია გიცხონდა” და ვფიქრობთ, იგი იმიტომ შეურჩევია მთარგმნელს, რომ იხიც იმ ასოზე იწყება, რაზეც “Bloody”. ეს შენარჩუნებულია მინიშნებაშიც, როდესაც ქ-ნი პირსი ამბობს, “იმავე ასოთი იწყება როგორც “ბროწეული” და

თუმცა, შესაძლებელია მკითხველი მაშინვე ვერ მიხვდეს, რა შეიძლება იყოს ეს სიტყვა, იგი ადვილად აღიქვამს, რომ ეს “რაღაც” სალანდლავი უნდა იყოს.

აღსანიშნავია აგრეთვე მიმართვის უხეში ფორმები, რომელსაც პროფ: ჰიგინსი ელიზას მიმართ იყენებს.

The note taker: Yes you squashed cabbage leaf...(67,27)

პაცი წიგნაკით -ქალიშვილო, შენ შენი განათლებით. . . (61,2)

ქართულ თარგმანში იმდენად არ ჩანს მიმართვის შეურაცმყოფელი ტონალობა, ის ჩანაცვლებულია სიტყვა “ქალიშვილით” და მთარგმნელებს გამოყენებული აქვთ “შენ” ნაცვალსახელი, რომლის გამოყენებაც უცნობი ადამიანის მიმართ შეიძლება ერთგვარი აგდებული დამოკიდებულების გამომხატველიც იყოს.

The note taker: (explosively) Woman; cease this detestable boohooing instantly or else seek the shelter of some other place of worship. (67,27)

პაცი წიგნაკით-(გაშმაგებული) ქალო, ან შეწყვიტე ეგ აუტანელი ბუზდუნი ანდა წადი რომელიმე სხვა ეკლესიას შეეფარე.(61,11)

“ქალო” ორივე ენაში მიმართვის უხეში ფორმაა და ადრესანტის გაღიზიანებას და გაბრაზებას უსვამს ხაზს.

Higgins: . . . I shall make a duchess of this dragtailed guttersnipe. . . (67,41)

ჰიგინსი. . . ამ შავტუხა მაწანწალას მე ჰერცოგის ასულად ვაქცევ, გადაწყვეტილი ამბავია. (61,22)

Higgins: Pickering : shall we ask this baggage to sit down , or shall we throw her out of the window? (67,38)

ჰიგინსი- პიკერინგ, ეს საფრთხობელა დავსვათ თუ ფანჯრიდან გადავაგდოთ? (61,19)

“Baggage” ტვირთს ნიშნავს. აქ ჰიგინსი ელიზას როგორც ნივთს ისე მოიხსენიებს, ქართულ თარგმანში კი ვხვდებით “საფრთხობელას” რომელიც ასევე შეურაცმყოფელი და დამამცირებელია.

განვიხილეთ ჯ.სუბორის ფილმის ‘ჩემი მშენიერი ლედის’ ქართულად დუბლირებული ვარიანტიც. ფილმი 1964 წელს გადაღებული და ბროდვეის ცნობილი მიუზიკლის ეკრანიზაციას წარმოადგენს, სადაც იმ დროისთვის ცნობილი

მსახიობები იდებენ მონაწილეობას. სიუჟეტის მიხედვით, ფონეტიკის პროფესორი, სნობი ჰიგინსი, რომლის როლსაც რექს ჰარისონი ასრულებს, თანხმდება პოლკოვნიკ პიკერინგის სანაძლეოს, რომ ყვავილების გამყიდველი გოგო, ოდრი ჰეპრბენი, მაღალი წრის შესაფერის ქალბატონად აქციოს და აღწევს კიდევაც მიზანს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ფილმში ისევე როგორც ბ.შოუს ‘პიგმალიონში’, კოკნი ხშირად იხმარება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ფილმში ბევრგან გვხვდება სოციალურ თემაზე გაკეთებული კომენტარები, თვით მხიარულ სიმღერებშიც კი. საინტერესოა, რომ ფილმში სოციალური დაყოფის ძირითად მიზეზად ენაა მიჩნეული. ამრიგად საინტერესოა, თუ როგორ ხდება ენის სტრატიგიკაციული ვარიანტების გადმოტანა ინგლისურიდან ქართულ თარგმანში, ამ ფილმის ქართულად დუბლირებულ ვარიანტში, რითი ჰგავს ან განსხვავდება მისი თარგმანი ბ. შოუს ‘პიგმალიონის’ ქართული თარგმანისაგან.

### 3.10.1(ა) კავშირი მეტყველებასა და კლასობრივ წარმომავლობას შორის:

Eliza: Look where you're goin',dear.

Look where you're goin'!

ელიზა: ბრძა ხარ? სად იყერები?

რო დადიხარ წინ იყერე (62)

დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ყვავილების გამყიდველი გოგონას მეტყველება ქართულ თარგმანში უხეში მიმართვით “ბრძა ხარ?” არის გადმოცემული. ელიზას არანორმატიული მეტყველება თარგმანში არ ჩანს, თუმცა ეს უხეში მიმართვა მის დაბალ წარმოშობას უსვამს ხაზს.

.Eliza: Two bunches o' violets trod in the mud.

A full day's wages.

ელიზა: ორი კონა ია სულ ტალახში ამომიზილა. (62)

აქ ვხვდებით სიტყვათა არანორმატულ შეთანხმებას “ ია ტალახში ამომიზილა”. ელიზას დაბალ წარმოშობას ხაზს უსვამს ის ფაქტიც, რომ ის უცნობ, მასზე უფროს ქალს ჭკუას არიგებს თუ როგორ უნდა გაეზარდა თავისი ვაჟი.

If you'd done your duty

As a mother should...

... you wouldn't let 'im spoil a poor girl's

Flow'rs and run away without payn'.

წესიერად რომ გაგეზარდათ, ხომ ვერ გატედავდა

ფული რომ არ გადაეხადა და ისე მომწყდარიყო. (62)

თარგმანში გამოყენებულია გამართული, ლიტერატურული მეტყველება, რაც გამონათქვამის სრულ შინაარსთან ერთგვარ კონტრასტშია, რასაც აძლიერებს ზმნა “მომწყდარიყო”.

ამაზე ფრედის დედა, მაღალი წრის ქალბატონი პასუხობს:

Go about your business, my girl.

საქმეს მიხედვ, ძვირფასო.

“ძვირფასო,” თუმცა ზრდილობიანი მიმართვის ფორმას განეკუთვნება, უცნობი და უფრო დაბალი წრის ადამიანის მიმართ გამოყენებული, ერთგვარად შემწყნარებლურ-ირონიულ ელფერს სძენს თარგმანის ამ მონაკვეთს.

პროფესორი პიგინსი, რომელიც ფონეტიკოსია, მოედანზე შეკრებილი ყველა ადამიანის წარმომავლობას ხვდება, მათი საწრმოთქმო აქცენტის მიხედვით.

როდესაც ის ერთ-ერთი იქ მყოფ პირს მიმართავს და ეუბნება, აბა, თქვი რამეო, ეს უკანასკნელი აღშფოთდება:

Bystander: What ya take me for, a fool?

მაყურებელი: რა იყო ასე ვგევარ\_სულელს?

თარგმანში გვხვდება “ვგავარ”- ზმნის ფორმის დამახინჯებული ვარიანტი. რაც ამ პაცის გაუნათლებლობას უსვამს ხაზს და ამ ფაქტს პროფესორი ჰიგინსიც მაშინვე აღნიშნავს.

Prof.Higgins: No one taught him “take “ instead of tike.

პროფ. ჰიგინსი: მისთვის არავის უსწავლებია, რომ “ვგავარ” ეთქვა “ვგევარის” ნაცვლად. (62)

სწობი, შეუწყნარებელი პროფესორი მიიჩნევს, რომ გაუნათლებლობა, არასწორი გამოთქმა და გაუმართავი საუბარი ქმნის “ვერბალურ კლასობრივ განსხვავებას”, სწორედ ისე, როგორც ფული უზრუნველყოფს მაღალი ფენის საზოგადოების ცხოვრების უპირატესობებს. ას ისაც პგონია, რომ ელიზას საზოგადოების ფსკერზე თავისი საკუთარი მეტყველება უფრო მიაჯაჭვავს, ვიდრე საშინელი ჩაცმულობა და ჭუჭყიანი სახე.

### 3.10.2(ა) არასალიტერატურო ლექსიკა

პიესისაგან განსხვავებით, ფილმში უფრო ხშირად ვხვდებით სლენგურ გამოთქმებს. Bloody-სალანძღვი სიტყვაა, რომელიც ბ. შოუს “პიგმალიონის” გამოსვლისას, საშინელ უხამსობად ითვლებოდა. როგორც აღვნიშნეთ, როდესაც ელიზას როლის შემსრულებელმა ეს სიტყვა სცენაზე თქვა, ნამდვილი სენსაცია გამოიწვია. ფილმში კი ეს სიტყვა ძალიან ხშირად გამოიყენება.

მაგალითად, როდესაც ალფრედ დულიტლი ელიზას ფულს სთხოვს, გოგონა პასუხობს:

.Eliza: ...and let you pass ‘em on

To a bloody pubkeeper.

ელიზა: ლუდნაში გასაფლანგად ფულს კერ მოქცემ, გასაგებია?

ეპიზოდი, რომელმაც “პიგმალიონის” დადგმისას სენსაცია გამოიწვია-Not, bloody likely- ფილმში შეცვლილია სცენით, როდესაც ელიზა დოღზე ყვირის:

Eliza: Come on, Dover!

Move your bloomi' a\*\*e!

ელიზა: ჩქარა დოვერ! ტ\*\*\*ი გაანძრიე, შე ბებერო!

ეს სიტყვები, რაც ფილმის გამოსვლისას ბევრად უფრო უხეში და სენსაციური იქნებოდა, ეკრანზე გაუდერებული, ვიდრე უბრალოდ Bloody- რომელსაც ის სიმძაფრე უკვე აღარ გააჩნდა, რომ სენსაცია პვლავ მოეხდინა.

### 3.10.3.(ა) უხეში ლექსიკა პროფესორ პიგინსის მეტყველებაში.

როგორც აღვნიშნეთ, ნაწარმოებში, ისე როგორც ფილმში, პროფესორი პიგინი მეტყველებას ასწავლის, ენის ექსპერტია, მაგრამ საუბრისას ხშირად იყენებს მისი წრისთვის შეუფერებელ, სალანდდავ სიტყვებს.

ფილმშიც აღსანიშნავია ელიზას მიმართ გამოყენებული მიმართვის უხეში ფორმები.

Prof.Higgins: What?That imposter?That humbug?

That annoying ignoramus?

პროფესიგინსი: იმ შარლატანთან? იმ რეგვენთან?

იმ უვიც და ქლესა მაიმუნთან?

თარგმანში ვხვდებით სიტყვას “ მაიმუნი” რაც “სხვის მიმბაძველ, მანჭიას” ნიშნავს გადატანითი მნიშვნელობით და ვინაიდან პროფესორი საშინლად არის გაბრაზებული ელიზაზე, რომელმაც გამოაცხადა, ამიერიდან მეც სწორად მეტყველებას გასწავლიო, ვფიქრობთ, აქ ამ ერთეულის გამოყენება სავსებით მართებულია.

Prof.Higgins: You impudent hussy!

You brazen hussy!

პროფ: ჰიგინსი: რა თავხედი ხართ!

რა აუტანელი ხართ!

Hussy-ქუჩის ქალს, როსკიპს ნიშნავს. ქართულ თარგმანში კი ძალიან შერბილებულ მიმართვის ფორმას ვხვდებით, რაც, ალბათ, მთლიანად ფილმის ფორმატიდან გამომდინარეობს.

ბოლოს კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ აქ განხილულია ფილმის ქართულად დუბლირებული ვერსია. ცნობილია, რომ დუბლირება არის მეთოდი რომელიც საკმაოდ უცვლის სახეს წყარო ტექსტს და მიმღები პუბლიკისთვის ნაცნობად აქცევს მას „მოშინაურების“ გზით. ეს არის მეთოდი, რომლის დროსაც უცხოური დიალოგის მორგება ხდება მსახიობის პირსა და მოძრაობებთან და მაყურებელს უჩნდება გრძნობა, რომ მსახიობები მიმღებ ენაზე ლაპარაკობენ. საინტერესოა, რომ განხილული ფილმის შემთხვევაში ასე არ ხდება. ფილმს ახმოვანებს ორი ადამიანი-მამაკაცი და ქალი, როლების შესაბამისად. ასევე აღსანიშნავია, რომ ფილმის ყველა ნაწილი არ არის ნათარგმნი და გახმოვანებული. მაგალითად სიმღერები. ფილმი კი, როგორც ცნობილია, მიუზიკლია. ისმის საუბარი საწყის ენაზე და „მოშინაურების“ ეფექტი არ იქმნება. გვიქრობთ, სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ქართულად დუბლირებულ ვარიანტში თითქმის არ არის გადმოსული ენის ვარიანტულობის ის მარკერები, რომლებიც ორიგინალში გვხვდება. მისი კომპენსირება ხდება ფილმის იმ ნაწილებით, რომელიც არ არის თარგმნილი და მაიც ისმის, მაგალითად ყვავილების გამყიდველი გოგოს ლაპარაკის საშინელი მანერა და სხვა.

რაც შეეხება პისესას, მასში სხვადასვა სოციალური კლასის მეტყველების გადმოსაცემად და ორიგინალის ეფექტის შესანარჩუნებლად, ქართველი მთარგმნელები სპორადულად იყენებენ მდაბიური მეტყველების ფორმებს და ხალხური სასაუბრო მეტყველებისათვის დამახასიათებელ უხეშ ერთეულებს, რის საშუალებითაც წარმოდგენას გვიქმნიან პერსონაჟის სამეტყველო ჩვევებზე.

მოქმედებს აგრეთვე კომპენსაციის მეთოდიც, როდესაც არ ხერხდება საპუთრივ იმ ერთეულის დამახინჯება, რომელიც ორიგინალში შეიცავს ამ ეფექტს, ის სხვა უფრო დამყოლ ერთეულზე გადაინაცვლებს. ეს კი, ვფიქრობთ, სწორი მთარგმნელობითი ხერხია, ვინაიდან დიალექტული მეტყველების ტრანსპოზიციისას საჭიროა თარგმანის ენაში მოინახოს ზომიერი, ეროვნული კოლორიტით შეუფერავი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ მიგვანიშნებენ პერსონაჟის მეტყველების სუბსტანდარტულ ხასიათზე. მიგვაჩნია, რომ მთარგმნელებმა ამ ამოცანას თავი კარგად გაართვეს და შესანიშნავად გადმოგვცეს პიესის შინაარსიცა და ემოციურ-ესთეტიური ქდერადობაც. ფილმში კი ეს ეფექტი სხვა გამომსახველობითი საშუალებებით არის ჩანაცვლებული.

### 3.11 ცენზურა აუდიო-ვიზუალურ თარგმანში

მედია თარგმანისას, დუბლირებისას ან სუბტიტრების გამოყენებისას, ცენზურა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც გამოტოვებულია ვულგარული, ეროტიული ან უხერხული წინადაღებები ან ალუზიები. ცენზურის ყველაზე საინტერესო ასპექტი ის არის, რომ არა მარტო სადისტრიბუციო კომპანიები აიძულებენ შოუს ან ფილმს შეცვალონ რაიმე ან სთავაზობენ მთარგმნელს რაღაც ნაწილი შეასწოროს თარგმანში, რომ ის უფრო “პოლიტიკურად კორექტული” იქნება, არამედ ხანდახან თვითონ მთარგმნელიც ხდება ცენზორი. ზოგჯერ ის ვერ ხვდება კონოტაციებს, ზოგჯერ კი აღიქვამს, მაგრამ ცდილობს მოახდინოს მოდიფიცირება, რათა “დაიცვას მაყურებელი”. ცენზურის უამრავი საშუალება არსებობს: სცენის ამოდება, ვულგარული ენის სტანდარტულით ჩანაცვლება და თვით სიუჟეტის ცვლილებაც კი. (40,125-134)

ცენზურა განსაკუთრებით თვალსაჩინოა სუბტიტრების გამოყენებისას, ვინაიდან ამ შემთხვევაში საწყისი ტექსტი შენარჩუნებულია და მაყურებელს შეუძლია შეამჩნიოს, რომ თარგმანი არ ემთხვევა ორიგინალს.

ისტორიის მანძილზე ცენზურა არსებობდა კომუნიკაციის ყველა საშუალებაზე. წიგნებიდან დაწყებული, გაზეთებზე რადიოსა და ტელევიზიასა და კინოთვატრებზე. ამისთვის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

1. **პოლიტიკა:** მიიჩნევენ, რომ უფრო ადვილია საზოგადოების მართვა, თუკი მათ სხვა კულტურების შესახებ არაფერი ეცოდინებათ. ასე იყო, მაგალითად, საბჭოთა კავშირის დროს. ასეთ დროს, ხშირად, მთარგმნელობით საშუალებად დუბლირებას ირჩევენ, რადგან ამ დროს საწყისი ტექსტი მიმღები ენის ტექსტით იცვლება და შესაძლებელია მიუღებელი ადგილების “შენიდბვა”.
2. **პოლიტიკური კორექტულობა,** ანუ რა ითვლება ამათუ იმ საზოგადოებაში მისაღებად. ამასთან ერთად, მშობლებასც შეუძლიათ შვილების მიმართ ცენზურის გამოყენება ტელევიზიის ყურებისას V-ჩიპის გამოყენებით ან “TV-Guardian”-ის გამოყენებით რომელიც ფილტრავს უხამსობას ტელევიზიიდან, DVD, სატელიტური ტელევიზიიდან.
3. **რელიგია:** ინდოეთში, მაგალითად ამერიკულ ფილმების სცენებში, სადაც ნაჩვენებია, რომ ხალხი ვისკის სვამს, ვისკი შეცვლილია რძით, რადგან ალკოჰოლის გამოყენებას რელიგია კრძალავს და ეს ფილმებში მათ ჩვენებასაც ეხება.
4. **თვით-ცენზურა:** ზოგჯერ მთარგმნელი თავად ცდილობს სპეციფიკური მომენტების შეცვლას, ვინაიდან მათ შეუფერებლად მიიჩნევს.

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ამგვარი გამოტოვება-მოდიფიკაცია მისაღებია, ამბობს გაბრიელა ლ. სკადურა სტატიაში “სექსი, ტექსტები, TV ცენზურა და სუბტიტრები”, არის ის, როდესაც წყარო ტექსტი რაიმე ისეთ პოზიციები წარმოგვიდგენს, რომელიც დროთა განმავლობაში ნეგატიურად იქცა. ამის მაგალითად მოჰყავს ძველი დოკუმენტური ფილმი, რომელიც ასახავს ბილ ბიქსბის და ფრენკ ზაპას კიბოსთან ბრძოლას. ამ ბრძოლაში ისინი დამარცხდნენ. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი ამ ფაქტის ხსენებას უნდა მოერიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიძლება განზრახულის საპირისპირო შედეგი მიიღოს.

ითვლება, რომ რაიმე სცენის ან რეპლიკის გამოტოვება არასწორია, თუ ეს გამოწვეულია ა) მთარგმნელის არაკომპეტენტურობით; ბ) იმით, რომ მთარგმნელმა

სათანადოდ ვერ შეაფასა მაყურებელი, გ) მთარგმნელი ვერც მიხვდა, რომ რაიმე მიმართება არსებობდა და ის დაიკარგა.

მთარგმნელს ასევე უნდა ახსოვდეს, რომ ტელევიზორის ყურების მიზანი მხოლოდ გართობა კი არა, რადაც ახლის გაგებაც არის და სხვა კულტურის შესახებ ახლის გაგება ნამდვილად საინტერესოა. თანაც, თუ თარგმანიდან ამოვილებთ ყველაფერს, რასაც მეტისმეტად ლოკალურად ან კულტურულად მივიჩნევთ, მაშინ ჩვენ უბრალოდ ვატყუებთ ჩვენს მაყურებელს.

ცენზურის მაგალითს წარმოადგენს სიუჟეტის შეცვლა, რაც, ძირითადად, დუბლირებისას გამოიყენება და უხეში ენის შერბილება. ითვლება, რომ ზეპირად ნათქვამი ნაკლებად უხეშია, ვიდრე დაწერილი და მთარგმნელებმა ეს უნდა გაითვალისწინონ და სუბტიტრებში ეცადონ ნეიტრალური გამოთქმების გამოყენებას. (11,280)

### 3.12. კურტის პენსონის ‘8 მილი’

‘8 მილი’ არის 2002 წლის პიპ-ჰოპ დრამა, რომელიც ნაწილობრივ ავტო-ბიოგრაფიულ ფილმს წარმოადგენს. ახალგაზრდა რეპერი ჯიმი სმით უმცროსი, (მის როლს ცნობილი რეპერი ემინემი ასრულებს), დეტროიტის დარიბულ კვარტალში, 8 მილის ქუჩაზე ცხოვრობს, რომელიც თეთრების კვარტალს შავკანიანებისგან ჰყოფს და ცდილობს თავისი შავკანიანი თანატოლების პატივისცემა მოიპოვოს. ასევე, რეპის საშუალებით ის ცდილობს თავი დაადწიოს ყოველდღიური ცხოვრების საშინელ გაჭირვებას, სიბინძურეს და უიმედობას. ეს ფილმი განსახილველად ავარჩიეთ იმის გამო, რომ ის პიპ-ჰოპ დრამაა და პიპ-ჰოპი კი ახალგაზრდებში პოპულარული მუსიკალური ჟანრია, რომელიც XX საუკუნის 70 წლებში ამერიკის შავკანიანთა კვარტლებში წარმოიშვა და ამიტომ აქ ხშირად ვხვდებით ე.წ ‘შავ’ ინგლისურს,

რომლისთვისაც მთელი რიგი თავისებურებებია დამახასიათებელი და აგრეთვე სლენგურ გამოთქმებს. ეს ყოველივე კი მას კვლევისთვის საინტერესო მასალად აქცევს. ამ ფილმის განხილვას წინ უძღვის თავი ცენზურის შესახებ, ვინაიდან, ‘8 მილი’ არის 2002 წლის პიპ-ჰოპ დრამა და პიპ-ჰოპის ტექსტებში ხშირია სლენგის, უხეში სიტყვების გამოყენება, ძალადობის სცენების დაწვრილებითი აღწერა, რაც ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს ტელემაუწყებლობის და, შესაბამისად, მთარგმნელისთვისაც და ამდენად საინტერესოა იმის გარკვევა, თუ როგორ ართმევენ თავს ქართველი მთარგმნელები ამ გამოწვევას.

რაც შეეხება “შავ” ინგლისურს, მისთვის როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთელი რიგი თავისებურებებია დამახასიათებელი ლექსიკურ, ფონოლოგიურ და გრამატიკულ დონეებზე. “შავ” ინგლისურს, ამ ენის სხვა დანარჩენი განშტოებებისგან განსხვავებული ლექსიკა არ გააჩნია. აქ გვხვდება სიტყვები, რომელთა მნიშვნელობაც და ზოგჯერ ფონეტიკური ფორმაც, დასავლეთ აფრიკული ენებიდან არის შემოსული. მაგ: **cool** 'მშვიდი, თავშეკავებული' cf. Mandingo suma 'slow' (სიტყვასიტყვით « მშვიდი ») ან **bad** 'მართლა კარგი'.

ფონოლოგისთვის, ძირითადად, დამახასიათებელია ბოლოკიდური ხმოვნების შეკვეცა, ასევე ბოლოკიდური I და r ვოკალიზაცია uh. Sister-sisteuh.

რაც შეეხება გრამატიკას, აქ to be ზმნა, ძირითადად, არ გამოიყენება He all right და მომავალი to go-gonna საშუალებით იწარმოება. I'm gonna miss you. ასევე უნდა აღინიშნოს მრავალჯერადი უარყოფის გამოყენების სტაბილურობა: I ain't step on no line. და ა. შ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საინტერესოა თუ როგორ ხდება ამ ტიპის ლექსიკის ქართულ ენაზე თარგმანი, რა მთარგმნელობით ხერხებს მიმართავს მთარგმნელი და რა ფაქტორები განაპირობებს მის არჩევანს.

### 3.12.1.“შავი” ინგლისურისათვის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. Chedder Bob: Lemme see.

მაჩვენე.

გამოთქმის დამახინჯებული ვარიანტი თარგმანში ნეიტრალური “მაჩვენეთია” გადმოსული.

2. . Jimmy: F\*\*\*ki' Janeane an' I jus' broke up, an' shit , an' she took the house an'

The goddamn car-

მე და ჯენინი დავცილდით. ასე მითხრა ორსულად ვარო.

ჩემი მანქანა დავუტოვე.

ამ ნაწყვეტის ორიგინალში ვხვდებით როგორც ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას, ასევე სალანდლავი სიტყვების: F\*\*\*king, s\*\*\*t, goddamn- გამოყენებას. ქართულ თარგმანში კი ეს ყველაფერი ნეიტრალური თარგმანით არის გადმოსული.

3. Chedder Bob: You gonna stay at your mom's?

დედიკოსთან აპირებ დაბრუნებას?

შავი ინგლისურისთვის დამახასიათებელია to be ზმნის ამოგდება. ეს დიალექტური თავისებურება ქართულ თარგმანში მსგავსი ერთეულით ვერ აისახებოდა, კვლავ ენების არაერთგვაროვნებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ქართულ თარგმანში ორიგინალის ეფექტი გადასულია სხვა ერთეულზე, კერძოდ, მოფერებით-კნინობით ფორმაზე “დედიკო”, რომელიც ამ კონტექსტში ერთგვარი დაცინვის ელფერს აძლევს მთელ გამონათქვამს და მოსაუბრებას შორის ფამილარულ დამოკიდებულებასაც უსვამს ხაზს.

4. Jimmy: You're lettin' me take the car?

მათხოვებ?

ორიგინალში გამოყენებულია არასწორი გრამატიკული კონსტრუქცია. არ გვხვდება კითხვის დასმის სტანდარტული ფორმა დამსმარე ზმნის გამოყენებით. ეს ეფექტი თარგმანში განეიტრალებულია.

5. Stephannie: Nope. I'm givin' it to ya- It's your birthday present.

არა, დაბადების დღეზე გაჩუქებ.

Nope- სლენგია და არას ნიშნავს. ეს ეფექტი თარგმანში იკარგება.

6. Future: Yo, that dude mentally ill?

ეს ტიპი აფრენს?

სლენგი მისალმება yo. ასევე -dude და “შავი” ინგლისურისათვის დამახასიათებელი to be ზმის გაქრობა. სუბსტანდარტული მეტყველების ეფექტი ქართულ თარგმანში გამოხატულია სასაუბრო ენისთვის დამახასიათებელი ერთეულებით-სიტყვით “ტიპი” და ზმით “აფრენს”.

7. Jimmy: You ain't goin' nowhere, Mom-

არსადაც არ წახვალ.

“შავი” ინგლისურისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი, მრავალჯერადი უარყოფა, თარგმანში არ მჟღავნდება.

როდესაც არანორმატიული ენობრივი ფორმების ზუსტი კალკირების შესაძლებლობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ის, რაც ინგლისურ ტექსტში ენობრივი ნორმებიდან გადახრაზე მიგვანიშნებს და რაც ინგლისური ენის სტრატიფიკაციული ვარიანტულობის მარკერად მიგვაჩნია, შესაძლოა სრულიად არ ავლენდეს იმავე ეფექტს თარგმანის ენაში და ისევ და ისევ ენათა არაერთგვაროვნების გამო, ზოგჯერ ენის პერიფერიულ შრეებშიც კი. მაგალითად, არასალიტერატურო ენის ერთ-ერთ მარკერად ინგლისურ ენაში ორმაგი უარყოფის ერთ წინადადებაში რეალიზაცია ითვლება. ორმაგი უარყოფა სალიტერატურო ინგლისურ ენაში უარყოფით მნიშვნელობას ანეიტრალებს და საპირისპირო მნიშვნელობასაც კი იძენს. ქართულ ენაში კი ორმაგი უარყოფის შემცველი წინადადება მტკიცებით მნიშვნელობას არა-სოდეს შეიძენდა. ამიტომ, შავი ინგლისურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები ქართულ თარგმანში, ძირითადად, არ აისახება, ან სუბსტანდარტული მეტყველების ეფექტი თარგმანში სხვა ერთეულებზე ინაცვლებს, რითაც დრამატული სინქრონიზაცია მიიღწევა.

### 3.12.2. სლენგისა და უწმაწური სიტყვების გამოყენება:

როგორც უპვე აღვნიშნეთ, თ. ჯეი უხეშ მეტყველებას ორ ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფში შედის ავტომატური პასუხი დიდ გაღიზიანებაზე, მაგალითად: ტკივილზე, გაკვირვებზე, სიხარულსა, თუ სხვა ემოციაზე. მეორე ჯგუფში კი წინასწარ განზრახული უხეში გამოთქმებია გაერთიანებული. ფილმ “8 მილში” ორივე ტიპის ბილწიტყვაობის მაგალითებს ვხვდებით და ვნახოთ, თუ როგორ ხდება მათი ქართულ თარგმანში გადმოტანა.

1. Jimmy: That dude Greg Minor's practically livin' with my mom. Yo.

გრეგ დიუვალი. ჩვენთან ცხოვრობს. დედაჩემის საყვარელია.

Dude- არაფორმალური მიმართვის ფორმაა და “კაცე” ნიშნავს. თარგმანში ეს ეფექტი დაკარგულია.

2. Alex: I heard you were a real dope rapper.

გავიგვი, ნამდვილი რეპერი ყოფილხარ.

Dope- სლენგზე ნიშნავს “საუკეთესოს,” ქართულ თარგმანში ვხვდებით სიტყვას “ნამდვილი,” რომელიც, თუმცა ორიგინალის შინაარსს გადმოგვცემს, სლენგურ ლექსიკას არ მიეკუთვნება.

3. Stephannie: Hey, you need to start chippin' in, Rabbit, if you're livin' here.

თუ აქ ცხოვრებას აპირებ, უნდა გადაიხადო კიდევ.

Chip- სლენგზე ფულს ნიშნავს, თუმცა ეს ეფექტი თარგმანში განეიტრალებულია.

4. Stephannie: I just got served, goddamn it.

We're getting' evicted. Why me?

ფუი შენი. გვასახლებენ.

Goddamn-გადიზიანებას, გაბრაზებას გამოხატავს და თარგმანში ეს ზმნა შესაბამისი უკმაყოფილების გამომხატველი შორისდებულით არის გადმოსული.

5. Janeane: Ya know everybody's callin' myou a loser from the other night.

იცი, რომ იმ დამის შემდეგ ყველა იდიოტს გემახის?

Loser- ხელმოცარულ ადამიანს ნიშნავს და შეურაცმყოფელი მიმართვაა ინგლისურ-ენოვან სამყაროში. ქართულ თარგმანში ის სიტყვით “იდიოტი” არის გადმოსული, რაც შეურაცმყოფელი მიმართვის ფორმაც არის და ერთგვარად გამოხატავს Loser-ის მნიშვნელობას.

გვხვდება ასევე უწმაწური ზმნის ‘f\*\*k’ სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება და სხვადასხვა მეტყველების ნაწილის (ზმნის, ზედსართავი და არსებითი სახელის) ფუნქციით. ეს ერთეული უკიდურეს გაღიზიანებას გამოხატავს, და ამავე დროს, იმ კონტექსტსა და გარემოს ეხამება, სადაც ფილმის გმირები ცხოვრობენ.

1. Jimmy: F\*\*k off, Chedder Bob.

თავი დამანებელი.

F\*\*k off- სლენგია და უხეში გამოთქმაა, რაც “თავი დამანებელი ნიშნავს” და ქართულ თარგმანშიც მის შედარებით ‘შემსუბუქებული’ ვარიანტი შეურჩევია გკიოთხველს.

2. Wink: I heard ya got caught out. Peopl

Sain' some f\*\*ked up s\*\*t, boy.

წუხელ რა დაგემართა? ასე თქვეს, ჩაისვარაო.

ვხვდებით ფრაზულ ზმნას f\*\*ked up –რაც ‘რაღაცის ძალიან ცუდად გაკეთებას, დაზიანებას’ ნიშნავს და s\*\*t-, რომელიც ასევე შეურაცხმყოფელი გამოთქმაა, თარგმანში ეს ეფექტი შესაბამისი მნიშვნელობის და რეგისტრის ზმნითაა გადმოცემული.

3. Wink: Forget it. An' f\*\*k battlin' down at the Shelter, yo. Justa bunch a

Losers who ain't got deals.

ისევ შელტერში დადიხარ? მატყუარები არიან, დაგპირდებიან და არაფერს არ გაგიკეთებენ. მაგას ჯობია სახლში დარჩე.

ორიგინალში პლავ გვხვდება F\*\*k-სიტყვის გამოყენება, რაც, ამ შემთხვევაში, უკიდურესი გადიზიანების გამომხატველია. ასევე ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირება და “შავი” ინგლისურისთვის დამახასიათებელი ain't-ზმნის გამოყენება უარყოფისას. თარგმანში ეს ეფექტი განეიტრალიზებულია.

4. Future: Who the f\*\*k is that?

ვინ არის ეგ ნაბიჭვარი?

F\*\*k- უხეში გამოთქმაა, რომელიც თარგმანში ასევე უხეში სიტყვით არის გადმოსული.

5. Jimmy: I got save money an' get the f\*\*k outta here, yo.

ხო. ფული უნდა მოვაგროვო და აქედან დავახვიოთ.  
ორიგინალის სლენგი თარგმანში შესაბამისი რეგისტრის ზმინთ არის  
გადმოტანილი.

6. Future: Wink says he knows prince? What the f\*\*k does prince gotta do with our music , Jimmy?

Wink's jus' talk. There will be no action, only talking.

ვინკი სისულელეს ბაზრობს ძმაო. კაცი არ არის.

ამ მონაკვეთში გვხვდება ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირება, სიტყვა “f\*\*k”  
აქტუალიზაცია, რაც ქართულ თარგმანში შედარებით მსუბუქი, თუმცა  
კოლოკვიალური ელფერის ზმინს გამოყენებით იქმნება. აქტუალიზდება ასევე  
მიმართვის ფორმა “ძმაო”, რომელიც მოსაუბრებებს შორის ფამილარულ  
დამოკიდებულებას უსვამს ხაზს.

7. Future: F\*\*k last night.

დაიკიდე გუშინდედი ამბავი. კარგი?

თარგმანში F\*\*k- გადმოსულია სლენგური სასაუბრო ზმინთ “დაიკიდე”.

8. Future: F\*\*k it whatever.

რაც გინდა, ის გააკეთეთ.

გაბრაზების გამომხატველი წამოძახილი თარგმანში გადმოსულია ფრაზით, რაც  
ორიგინალის საწყისი ემოციის ერთგვარ ნეიტრალურ თარგმანს წარმოადგენს.

9. Jimmy: F\*\*k Greg.

გრეგის დედაც.

F\*\*k-გინებაა, რომელიც თარგმანში შესაბამისი, თუმცა შერბილებული მნიშვნელო-  
ბის ფრაზით არის გადმოსული.

10. Jimmy: Hey, Sol, ya wonder at what point ya just say “f\*\*k it”. When ya know ya gotta stop  
Livin' up here and start livin' down here.

სოლ, რა მდგომარეობაში უნდა იყოს ადამიანი, რო ყველაფერი დაი-  
კიდოს და საერთოდ დაახვიოს აქედან?

F\*\*\*k it'- სლენგური ზმნით “ დაიკიდო” არის გადმოსული. ასევე ვხვდებით სლენგს “დაახვო”, რაც წასვლას ნიშნავს და კარგად ერგება მთელი მონაკვეთის რეგისტრს.

11. Future: Do whatever the f\*\*\*k ya want, man. I don't give a s\*\*\*t about what you an' prince Gonna do.

იცი, რაც გინდა ის ქენი. შემეშვი. ფეხებზე მკიდია.

ორიგინალში გამოყენებული უწმაწური სიტყვა ჩანაცვლებულია ნეიტრალურით ‘ შემეშვი’ და უხეში გამოთქმა don't give a s\*\*\*t- გადმოსულია შესაბამისი ფრაზით-“ფეხებზე მკიდია”.

12. Stephanie: You ruined it, you f\*\*\*ked it up.

შენ გააფუჭე ყველაფერი, შენ ამირიე ცხოვრება.

F\*\*\*k up- უხეში, შეურაცმყოფელი გამოთმაა და “რაიმეს გაფუჭებას, არევას” ნიშნავს. თარგმანში ნეიტრალური ფრაზით არის გადმოსული.

13. Stephanie: Get the f\*\*\*k out!

წაეთრიე ამ სახლიდან.

ორიგინალის უწმაწური გამოთქმა თარგმანში შემსუბუქებულია, თუმცა კვლავ უხეში ფრაზით არის გადმოსული.

14. Jimmy: Keep your f\*\*\*king hands off my mom, asshole!

დედაჩემს ხელი არ ახლო.

ორიგინალის ტექსტში აქტუალიზებული უხეში გამოთქმები f\*\*\*king, a\*shole-თარგმანში არ აისახება.

15. . Jimmy: You're f\*\*\*king kiddin'me.

ხუმრობ?

უხეში გამოთქმა აქაც ნეიტრალური ზმნით არის გადმოსული.

16. Jimmy: I don't give a f\*\*\*k who it is.

ფეხებზე მკიდია. გინც გინდა იყოს.

ძალიან უხეში გამოთქმა თარგმანში გადმოსულია ნაკლებად უხეში ფრაზით-“ფეხებზე მკიდია”.

17. Sol: You're gonna whoop that niggar's ass.

დაამარცხე ეგ კლოუნი.

Niggar's ass-თარგმანში თავისუფალ თარგმანს ვხვდებით და გვაქვს სიტყვა “კლოუნი”, რომელიც მოსაუბრის დამცინავ, აგდებულ დამოკიდებულებას უსვამს ხაზს და კარგად ერგება კონტექსტს.

მეორე უხეში სიტყვა რომელიც ასევე უკიდურეს გადიზიანებას გამოხატავს და სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება არის “S\*\*t.”

1. Wink: S\*\*t. Yo. We were goin' to my show an' she said we hadda come get you.

What was I supposed to do?

დაიკიდე რაა. ჩემს შოუზე დავპატიჟე. მითხრა ბაჭიაც წავიყვანოთო.  
ხოდა მოვედით. რა უნდა მექნა?

აქ განწყობა გადმოსულია ზმნით “დაიკიდე”.

2. Chedder bob: S\*\*t, is that bitch Janeane?

ეს ჯანინი არ არის?

S\*\*t- შეურაცმელელი გამოთქმაა, რომელიც ამ შემთხვევაში გაკვირვებას გადმოსცემს. ასევე ვხვდებით მიმართვის ფორმას, b\*\*\*ch, რაც ამ რეგისტრსა და კონტექსტში შეუვარებულს ნიშნავს. თარგმანში ეს ნიუანსი ნეიტრალიზდება.

3. . Jimmy: Yeah I should work on some songs for my demo an' s\*\*t.

S\*\*t- ერთ-ერთი მნიშვნელობა სლენგზე არის ‘ხარა-ხურა’, რაც თარგმანში იკარგება და სიმღერით არის გადმოცემული.

4. Jimmy: Why not? You ain't the future a s\*\*t, bitch. You're just David f\*\*kin' Porter.

მომავალი არ გაქვს. შენ ნაბიჭვარი დევიდ პორტერი ხარ.

S\*\*\*t - სლენგზე “საწყალ, საზიზდარ ადამიანს” ნიშნავს. ასევე f\*\*\*king გაღიზიანებას გამოხატავს. მათ ნაცვლად თარგმანში ეს ეფექტი ინაცვლებს სიტყვაზე “ნაბიჭვარი” რომელიც უხეში ფორმაა და გაღიზიანებასაც გამოხატავს.

როგორც მასალამ გვიჩვენა, ქართულ თარგმანში ვხვდებით სტილისტური ირიდაციის ეფექტს. რამდენიმე უხეში ან სლენგი სიტყვების გამოყენებით წარმოდგენა იქმნება საუბრის სტილზე და დანარჩენი უხეში ერთეულები ნეიტრალური შესატყვისებით არის გადმოსული. ამით, მთარგმნელი თაგს არიდებს უწმაწური სიტყვების მეტისმეტ გამოყენებას, რადგანაც ეს ქართული კულტურისათვის, ვფიქრობთ, რომ არ არის დამახასიათებელი. არჩევანი დრამატული სინქრონიზაციის სასარგებლოდ არის გაკეთებული, რაც მიმდებ ენაზე მოსაუბრის რეალისტურობას გულისხმობს და მიგვაჩნია, რომ აუცილებელია რელევანტური კომუნიკაციური ეფექტის მისაღწევად.

### 3.12.3 ენის სიტუაციური გარიანტულობა-მიმართვის ფორმები:

1. Stephanie: You okay, baby-Wan'me ta make ya somethin'?

როგორ ხარ საყვარელო?

დედის მეტყველებაშიც ვხვდებით ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას, რომელიც თარგმანში ნეიტრალდება და ასევე გამოყენებულია მიმართვის საალერსო ფორმა baby- რომელიც ქართულ თარგმანში შესაბამისი მნიშვნელობის მქონე სიტყვით “ საყვარელოთი” ითარგმნა.

2. Future : Yo, son. We goin' out t'night!

მაგას ვამბობდი ძმაო. წავიდეთ ამაღამ კლუბში.

მიმართვის ფორმა Son-გადმოსულია “ძმაო”თი, რაც ერთი თაობის ხალხს შორის მიმართვის უფრო ბუნებრივი ფორმაა.

3. Wink: If ya wan', I'll pull outta tha show. You're my friend, yo.

And I don't wanchya bein' mad at me.

თუ გინდა თავს დავანებებ ყველაფერს. შენ ჩემი ძმა ხარ.

ორიგინალში ვხვდებით ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას, სლენგი მიმართვის ფორმას yo. ხოლო friend – “მმაო”- თია გადმოსული, რაც მეტ სიახლოვეს გულისხმობს და ფამილარულ ელფერს ანიჭებს გამონათქვამს.

4. Jimmy: F\*\*\*k you Janeane. Go home.

ვეხებზე მკიდია, შე ბოზო.

F\*\*\*k you- გადმოსულია ფრაზით რომელიც ორიგინალის უფრო შერბილებულ თარგმანს წარმოადგენს, თუმცა მაინც ვხვდებით მიმართვის ფორმას “ბოზო”, რომელიც უხეში და შეურაცმყოფელია.

5. ჩხუბის სცნენაა :

LC: C'mon, Rabbit, get back up- Get back up bitch.

ადგექი დამპალო.

Bitch- უხეში, დამამცირებელი მიმართვაა და გამაღიზიანებელ ადამიანს ნიშნავს, ქართულ თარგმანში ვხვდებით სიტყვას დამპალო, რაც ასევე საზიზღარ, ცუდ ადამიანს აღნიშნავს და გაბრაზებასა და გაღიზიანებას გამოხატავს.

6. Chedder Bob: We gonna get all the hot bitches now won, Rabbit!

ხო, მალე კონტრაქტს დავდებ და ყველა ქალი ჩვენი იქნება.

Hot bitches- ქალისადმი მიმართვის უხეში ფორმა, ნეიტრალური თარგმანით არის ჩანაცვლებული.

ფილმში არის რეპის სიმღერაში შეჯიბრის სცენები. სადაც ჯიმი და მისი ოპონენტები დროში გათვლილ და გარითმულ სიტყვიერ შეურაცხოფაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

Jimmie: This guy keeps screamin', he's paranoid!

Quick, someone get his ass another steroid!

იცოდეთ, რომ პარანოიკია და თავისი ტ\*\*ი სტეროიდი ჰგონია.

Is that a tank top, a bra?

Look,Snoop Dogg just got a f\*\*kin' boob job!

ეს მაისურია, თუ ახალი ლიფი. მგონი სნუპ-დოგს ახალი  
საყვარელი გამოუჩნდა.

აღსანიშნავია შეჯიბრის ფინალური სცენა, სადაც ფაქტობრივად, ნაჩვენებია თუ  
როგორ გარემოში შეიქმნა ჰიპ-ჰოპი და ვის შეუძლია მისი კარგად შესრულება.

Now everybody from the 313,

Put your mother-f\*\*kin' hands up and follow me,

Everybody from the 313 put your mother-f\*\*kin' hands up,

Look,look,

მომხრეებმა ხელები ასწიეთ და მომყევით.

დეტროიტის საფოსტო კოდია და ამ სიმღერაში იქ მაცხოვრებელ ხალხს ნიშნავს  
და არა მომხრეს, თუმცა რადგანაც, კლუბში შეჯიბრის სცენაა ორ მეტოქეს  
შორის, თარგმანში ლექსიკური ერთგული ორგანულად ჯდება.

This guy aint a mother-f\*\*kin' MC,

I know everything he's got to say against me,

აქ შენი ადგილი არ არის. ეს არ არის ემსი. ყველაფერი ვიცი რასაც ჩემზე  
იტყვის.

I am white, I am a F\*\*kin' bum, I do live in a trailer with my mom,

My boy Future is an uncle Tom.

I do got a **dumb** friend named Cheddar Bob who shoots

Himself in the leg wih his own gun,

I did get jumped by all 6 of you chumps

And Wink did F\*\*k my girl,

I'm still standin' here screamin' "F\*\*K THE FREE WORLD"

And never try and judge me dude

You don't know what the f\*\*k I've been through.

დიახ თეთრი ვარ, დარიბი ვარ და ტრეილერში ვცხოვრობ დედასთან.  
ჩემი მეგობარი ფიუჩერი მაგარი კაცია. დარტყმული ჩედარ ბობიც ჩემი მეგობარია,  
რომელმაც ტყვია ფეხებში მოირტყა. თქვენი ექვსი გამარჯვებული დავამარცხე.  
ვინგმა გოგო ამახია და მაინც აქ ვდგავარ და ჩემს სიტყვას ვამბობ. ფეხებზე  
მკიდია თავისუფალი მსოფლიო. არ გაბედოთ ჩემი განსჯა. თქვენ არ იცით რა  
გამოვიარე.

**Dumb-** სალაპარაკო ენაზე “სულელს” ნიშნავს და თარგმანში იმავე რეგისტრის  
ზედსარ-თავი სახელით არის გადმოსული. გვხვდება ასევე სიტყვა f\*\*k- რომელიც  
თარგმანში ჟარგონული, თუმცა ნაკლებად ექსპლიცისტური ზმნით არის  
გადმოსული-“ამახია”.

შემდეგ კი აღწერილია მოწინააღმდეგის გარემო და მისი ცხოვრების სტილი:

But I know something about you,

You went to Cranbook, that's a private school,

Whats the matter dawg you embarrassed?

This guys a gangster?

His real name's Clearance.

And Clearance lives at home with both parents,

And Clearance's parents have a real good marriage,

This guy don't wanna battle, hes look,

Cuz ain't no such things as halfway shooks,

He's scared to death,

He's scared to look in his f\*\*\*kin yearbook, f\*\*\*k Cranbrook.

მე ვიცი ვინც ხარ. კრანბრუკში სწავლობდი, კერძო სკოლაში-რა დაგემართა? შეგრცხა? ეს ბიჭები განგსტერები არიან?

მისი ნამდვილი სახელი კლერენსია და თბილ სახლში ცხოვრობს დედ-მამასთან, ბედნიერი ოჯახია. ამ ბიჭს შეეშინდა, კანკალებს, იმიტო რო ქუჩაში არ უცხოვრია. ქუჩაში არ უცხოვრია. მაგრად შეეშინდა. ნახეთ მისი სკოლის დღიური. კრანბრუკის დედაც.

Dawg- ჰიპ-ჰოპის სლენგზე ' ახლო მეგობარს' ნიშნავს თუმცა თარგმანში ეს არ აისახება. ასევე გვხდება შეპეპილი წინადაღებები და გამოთქმის დამახინჯება, რაც ნაწილობრივ თარგმანშიც აისახება გაუმართავი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ბოლოკიდური თანხმოვნების მოკლებით “იმიტო” და ა. შ.

F\*\*\*k Cranbrook- კრაბრუკის დედაც. თარგმანში გინების შემოკლებულ ვარიანტს ვხვდებით. საერთოდ, ორიგინალში მალიან ხშირი უწმაწური სიტყვები გამოყენება, რაც ქართულ თარგმანში ბევრად უფრო იშვიათად გვხდება და ვფიქრობთ, რომ სწორი მთარგმნელობითი ხერხია, ვინაიდან ირიდაციის უფექტზე დაურდნობით, ეს სიტყვები მთელს კონტექსტს აძლევენ ტონს და არ არის მიზანშეწონილი მათი ყოველი სიტყვის შემდეგ გამოყენება.

ამის შემდეგ ჯიმი იმარჯვებს, ვინაიდან მისი მოწინააღმდეგე ისეთ გარემოშია გაზრდილი, რომ არ შეიძლება ჰიპ-ჰოპის ესმოდეს თავისი ნიჭიერების მიუხედავად. სცენებში, სადაც მოქმედი პირები სიმდერაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, სიმდერის ორიგინალური, ინგლისური ვერსია ისმის და მას ფონად მიყვება ქართული თარგმანი. მიუხედავად ამისა ვფიქრობთ, რომ მსმენელი ადეკვატურად აღიქვამს მის რეგისტრს და შინაარსს და არ უჩნდება შეგრძნება, რომ თარგმანში რაიმე შერბილებულია, ანუ ძირითადი უფექტი შენარჩუნებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ ფილმს წიგნთან შედარებით უპირატესობა გააჩნია, კერძოდ ის, რომ მულტიმდიური საშუალებაა და ინფორმაციის გადაცემა ხდება არამარტო სიტყვების არამედ გამოსახულების და ასევე აუდიო საშუალებებით, რომელიც ამ ფილმში საკმაოდ გამოკვეთილია. კამერა იმგვარად აჩვენებს დეტროიტის კვარტლებს, რომ კინოკრიტიკოს ჯ. ბერნანდინელის აზრით, ტურიზმის განვითარებას ნამდვილად არ შეუწყობს ხელს. ქალაქის სცენები დაბომბილ ქალაქს წააგავს, მოქმედების უმრავლესობა შენობაში ხდება, ფილმში მზე თითქმის არ ანათებს და არავინ იღიმის, ხალხი ამ ფილმში არსებობისათვის იბრძვის. ეს ყოველივე ერთად ისეთ სურათს ქმნის, რომ, ვფიქრობთ, ესეც უადვილებს მთარგმნელს ისე შეარჩიოს მთარგმნელობითი ხერხები, რომ პროდუქტის თავდაპირველი ეფექტი შეინარჩუნოს და, ამავე დროს, ოდნავ შეარბილოს ის უხამსი და უხეში ენა რაც ამ ფილმია გამოყენებული. მაგალითად სიტყვა F\*\*k-მხოლოდ ჩვენს განსახილველად შერჩეულ მაგალითებშიც კი სხვადასხვა კონტექსტში 27 არის გამოყენებული, რაც თარგმანში ამ სიხშირით რა თქმა უნდა არ აისახება. ასევე ხშირად და სხვადასხვა კონტექსტში ხდება სლენგი სიტყვა S\*\*t-ის გამოყენება. ისიც, ისევე როგორც, ზემოთხსენებული სიტყვა, ემოციის ფუნქციით გამოიყენებისას, ძირითადად, ნეიტრალური თარგმანით არის ჩანაცვლებული, ზოგჯერ ხდება მათი სლენგით გადმოტანა და როდესაც იგივე ერთეულით ჩანაცვლება ვერ ხერხდება რაც საწყის ტექსტშია მოცემული ეფექტი სხვა, თარგმანისათვის უფრო დამყოლ ერთეულზე ინაცვლებს. მთლიანად, პროდუქტის შექმნისას მთარგმნელი სტილისტური ირიდაციის ეფექტს იყენებს, რაც მულტიმედიური ნაწარმის თარგმნისას, ვფიქრობ, ძალიან ეფექტურია და რადგანაც კომუნიკაციური ეფექტი მიიღწევა ისე, რომ არ ხდება უხეში და უხამსი სიტყვების ზედმეტად გამოყენება, რაც ქართული ენისთვის, ვფიქრობთ ორგანული არ არის, და, ამასთანავე, სატელევიზიო ცენტრიც არ ირღვვევა.

### 3.13. მულტფილმის თარგმანი

ქართულად გახმოვანებულ მულტფილმში “მადაგასკარი”, მოქმედი გმირებიც ხოველები არიან. როგორც ცნობილია, ბავშვები ძირითადად გახმოვანებას

ანიჭებენ უპირატესობას. ალბათ, იმიტომ რომ მათთვის ეს გართობის ერთ-ერთი სახეობაა და არ სურთ სუბ-ტიტრების კითხვაზე ძალისხმევის დახარჯვა, თვით ისეთი ქვეყნებიც კი, რომლებიც აუდიო-ვიზუალური ნაწარმის თარგმნისას, ჩვეულებრივ, სუბტიტრებს ანიჭებენ უპირატესობას-მაგალითად: შვედეთი, ისლანდია და საბერძნეთი- ფილმებს სუბტიტრებით თარგმნიან, ხოლო მულტფილმებს კი გახმოვანებით. რაც შეეხება საქართველოს, უბრალო დაკვირვებიდანაც კი ცხადია, რომ მულტფილმების თარგმნისას აქ აშკარად გახმოვანებას ანიჭებენ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები სუბტიტრებით ყოველდღე გადის ტელევიზიით, მულტფილმები მხოლოდ გახმოვანებული სახით გვხვდება სატელევიზიო ეკრანზეც და კინოთეატრებშიც.

“მადაგასკარის” ქართულად გახმოვანებული ვერსია ორი კრიტერიუმის მიხედვით შევარჩიეთ განსახილველად: 1. მისი ქართულად დუბლირებული ვერსიის ნახვა ინტერნეტით არის შესაძლებელი (ანუ ადვილად მისაწვდომია) და 2. მულტფილმის გმირები საინტერესო მასალას წარმოადგენენ კვლევისათვის. როგორც მულტიმედიური საშუალება, მულტფილმი, ჩვეულებრივი ტექსტისაგან განსხვავებით, იყენებს ლინგვისტურ (დიალექტი, სლენგი, ალუზიები) და პარალინგვისტურ საშუალებებს (ხმის ტემბრი, სხვადასხვა სახის ხმაური და ა. შ). აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ეს მულტფილმი საქართველოში ცნობილი კომედიური ჟანრის მსახიობების მიერ არის გახმოვანებული. მათი ხმა მიმღები აუდიტორიისათვის ნაცნობია. ეს მომენტი კიდევ უფრო აძლიერებს “მოშინაურების” ზემოთაღწერილ ეფექტს და გვევლინება შესანიშნავ საშუალებად პერსონაჟთა სახის შესაქმნელად. რაც შეეხება თარგმანში გამოყენებულ მეთოდებსა და ხერხებს, ნიუმარკი მათ შემდეგნაირად განასხვავებს, “მთარგმნელობითი მეთოდი მთელ ტექსტს მოიცავს, მაშინ როცა მთარგმნელობითი ხერხი წინადადების და უფრო მცირე ენობრივი ერთეულების ანალიზს გულისხმობს” (33,81) თარგმანის მეთოდების ნიუმარკისეული კლასიფიკაციის მიხედვით, მულტფილმ “მადაგასკარის” თარგმნისას ადაპტაციის მეთოდი გამოიყენება, რომელიც თარგმანის ყველაზე თავისუფალ სახეობას წარმოადგენს, როდესაც სიუჟეტის ხაზი, თემა და პერსონაჟები შენარჩუნებულია, მაგრამ საწყისი

კულტურის გარდაქმნა ხდება მიმღებ კულტურად. ეს მეთოდი, ძირითადად, გამოიყენება პიესების (კომედიური) და პოეზიის თარგმნისას. პვლევისას, შედარებისა და ანალიზის მეთოდებზე დაყრდნობით, ერთმანეთს ვადარებო მულტფილმის ინგლისურ სცენარსა და ქართულად დუბლირებულ ფილმს, რათა დავადგინოთ, თუ რა ხერხებს მიმართავს მთარგმნელი თარგმნისას და როგორ იქმნებოდა პერსონაჟთა სახეები, ასევე, რა განაპირობებს მის არჩევანს და რამდენად არის მიღწეული კომუნიკაციური ეფექტი.

### ”მადაგასკარი“ (ფაბულა)

ამ მულტფილმში “არცთუ ისე ველური” ცხოველების ჯგუფი (ზებრა-მარტი, ლომი-ალექსი, ბეჭემოთი- გლორია და ჟირაფი-მელმენი) კულტურულ შოკს განიცდის, როდესაც ისინი, მოულოდნელად, ნიუ-ორკიდან ველურ ჯუნგლებში აღმოჩნდებიან. აქ ვხვდებით ზოოპარკის ბინადრებს. კერძოდ, ლომ ალექსი, რომელიც ნიუ-ორკის ცენტრალურ პარკში, ზოოპარკის მთავარი ღირშესანიშნაობის როლით ფრიად კმაყოფილია და მის მეგობრებს: ზებრა მარტის, ბეჭემოტ გლორიას და ჟირაფ მელმენს. მართალია, ეს ცხოველები ბედს არ უჩივიან, მაგრამ ზოოპარკს გარეთ ცხოვრებაც აინტერესებთ და როდესაც ზოოპარკიდან პინგვინები გაიპარებიან, მარტი მათ გაჰყვება. ალექსი, გლორია და მელმენი მის საძებრად და გადასარჩენად გაემართებიან, მაგრამ ამ დროს ზოოპარკის ადმინისტრაცია გადაწყვეტს, რომ ცხოველები ველურ ბუნებაში დაბრუნოს. ასე აღმოჩნდებიან მეგობრები მადაგასკარის ნაპირებთან, სადაც ისინი მალევე აღმოაჩენენ, რომ ველურ გარემოში ცხოვრება მათვის არც თუ ისე შესაფერისი ყოფილა.

როგორც პვლევამ გვაჩვენა, მულტფილმის თარგმანის დროს, მთარგმნელები შემდეგ ხერხებს იყენებენ: კონკრეტული ქართული კილოკავის გამოყენება, ჟარგონულ-სლენგური ლექსიკა, პარალინგვისტური არსენალი.

### 3.13.1.

#### ზებრა--დე-პიერო ( მარტი):

ამ პერსონაჟის მეტყველების თარგმნის დროს აქტიურად გამოიყენება ქართლური კილოკავის ენობრივი ფორმები, ასვე მდიდარია ამ გმირის პარალინგვისტური მახასიათებლები:

1 Alex! Do not interrupt me when I'm daydreaming!

”ალიკა! რამდენჯერ უნდა გითხრა, როცა ვოცნებობ მეთქი მაგ დროსა

ხელი არ შემიშალო, გაიგე?”

როგორც ვხედავთ, ქართულ თარგმანში ვხვდებით ქართლის კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ მიცემითი ბრუნვისათვის “ა”-ს დართვას, ზებრას პერსონაჟი ამ კუთხური კილოკავით მეტყველებს, რასაც ორიგინალში, ცხადია, არ ვხვდებით. გარდა ამისა, ლომის სახელის ინგლისური ფორმა ‘ალექს’ ქართულ თარგმანში ამ კილოკავისათვის დამახასიათებელ ფორმას ‘ალიკა’ იღებს.

2. Okay, just don't talk with your mouth full.

პირი არ დახურო, თორე დაგკლამ იცოდე.

ქართულ თარგმანში გვხვდება ზმნის დამახინჯებული ფორმა “დაგკლამ” და ზოგადი რეგისტრიც უხეშია, ვინაიდან კლავენ საქონელს და არა ადამიანს. თუმცა მულტფილმის პერსონაჟები ცხოველები არიან, ისინი ადამიანებივით საუბრობენ და მოქმედებენ. ამიტომ ამ ზმნის გამოყენება, მოცემულ კონტექსტში, უხეშ ფორმად აღიქმება და თან იუმორისტულ ეფექტს ქმნის

3. Awww.. Hey.. Thanks man. It was behind the tooth! You're all right.

ვაააჲ, რა ჯიგარი ხარ, თანა ვითომა გაგეჩირა, როგორ მოიფიქრე?

‘Man’ ამერიკულ სასაუბრო ინგლისურში მამაკაცისადმი მიმართვის გავრცელებული ფორმაა. ქართულ თარგმანში გადმოტანილია მისი უარგონული ფორმა “ჯიგარო” და ქართლური კილოკავისათვის დამახასიათებელი ფორმები: ვითომა, თანა.

### **უარგონიზმები:**

7. Oh no! I'm not listening.

“კაი ბიჭო! არ მესმის, ვაფშე, არაფერი!”

ვხვდებით მიმართვის ფორმას “ბიჭო” და უარგონს “ვაფშე”, რომელიც რუსული ენიდან შემოსული სიტყვაა “ვინაშე” და ნიშნავს “საერთოდ”.

8. It's the Man.

”ამას მე დავკერავ”.

ორგიგინალში არის “The Man”, რაც ამერიკულ სლენგზე “პოლიციელს” ნიშნავს. თარგმანში კი ეს ეფექტი სხვა ერთეულზეა გადანაცვლებული და ვხვდებით უარგონულ ზმნას “დავკერავ” რაც “საქმის გაკეთებას” გულისხმობს. ეს შინაარსობრივად ერთგვარად განსხვავდება საწყისი ტექსტისაგან თუმცა მთლიან, კონტექსტში ეს თარგმანი კარგად ჯდება.

9. Hey! Don't be calling me cuckoo in the head!

“იტყუება! ზებრა, ვარ ფუფლო არა ვარ!”

“Cuckoo in the head!” გიჟს ნიშნავს. ქართულ თარგმანში კი ვხვდებით უარგონულ “ფუფლოს”-ადამიანს “ვისაც აზარტულ თამაშებში წაგებული თანხის გადახდა არ შეუძლია ან არ იხდის.” რაც მიმღებ აუდიტორიაზეა გათვლილი, რადგან ქართულ რეალობაში გავრცელებულ ფაქტზეა აქცენტი.

10. Come on, Alex. Do you honestly think I intended all of this to happen?

You want me to say that I'm sorry?

“კაი, რა გააწუხე გული. შენ თვითონ არ ამეკიდე?

რა გინდა ბოდიში მოგიხადო?”

“კაი”, სასაუბრო ენაში იგივეა რაც “კარგი”. ზმნა “შეაწუხე”ს დამახინჯებული ფორმა და უარგონული ზმნა “ამეკიდე” გვხვდება, რაც ნიშნავს, რომ “არ უნდოდა და ძალით წაყევი.” მთლიანობაში კი თარგმანი ორიგინალის თავისუფალ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

11. He's got style!

“რა მაგარი როჟაა!”

ნეიტრალური გამოთქმა თარგმანში ქარგონით “როჟაა”(ტიპი, ადამიანი) არის გადმოსული.

12. On the fun side of the island. Having a good old time!

”მე წავალ გავიგულავებ ჩემ გემოზე”.

To have a good time- “კარგი დროის გატარებას” ნიშნავს, რაც თარგმანში, თურქული წარმოშობის, ქარგონული ზმნით “გულაობით” არის ჩანაცვლებული.

13.Yo Al... Melman and Gloria are over there having a good time.

There's room on the fun side for one more.

“ალიკა! იცი რა კარგ პონტში ვართ იქა ყველანი.

წამოდი ბიჭო! შენთვისაც არი იქა ადგილი”.

“Yo”-სლენგია და გამოიყენება როგორც მიმართვის სასაუბრო ფორმა ახალგაზრდებს შორის, რომლებიც კარგად იცნობენ ერთმანეთს. მიმდებ ენაზე ეს ეფექტი სხვა ერთეულზე ინაცვლებს და ვხვდებით ქარგონულ გამოთქმას –“პონტში ყოფნას,” რაც “კარგ სიტუაციაში ყოფნას” ნიშნავს.

14. Could you just give it a chance? Think about it. It really isn't the fun side without you.

“იქნებ წამოსულიყავი? აბა დაფიქრდი?

ბოლომდე რო ავიწყვიტოთ ერთი ლომი გვაკლდება ზუსტად”.

To have fun-“გართობა” ქართულ თარგმანში სლენგური გამოთქმით არის გადმოსული, რაც “სრულ თავისუფლებას, თავაშვებულ მხიარულებას” ნიშნავს და ნათქვამს უფრო ექსპრესიულს ხდის.

15. Wakey, wakey Mr. Alex!

Wake up, Alex!

ალეკო! ეეე, ნუ გაახურე ადექი რა!

Wakey-wake გაღვიძების მოვერებითი ფორმაა. თარგმანში კი გვაქვს სლენგი ზმნა”გაახურე” რაც საქმის გაჭირვებას ნიშნავს.

16. Calm down, Melman. No other zoo can afford my medical care!

“დაწყნარდი უორა! შენ თუ არ მოუფრთხილდი შენ ნერვებს,  
მე სულ ფეხებზე მკიდია.”

თარგმანში გვაქვს უხეში გამოთქმა- “სულ ფეხებზე მკიდია,” რომელიც საწყის  
ტექსტში არ გვხდება.

### 17. You just have to let up that inner lion!

“როგორ უნდა გავაღვიძო შენში ცხოველური ინსტიქტები.

აბა, დაწექი ზურგზე ჯიგოდათრგუნე შენში ზოოპარკის მასხარაო.”

გარდა ორიგინალში მოცემული ტექსტისა, თარგმანში დამატებით ტექსტსაც ვხვდებით, რაც, სავარაუდოდ, იუმორისტული განწყობის შექმნას ემსახურება და გვხდება ასევე, მიმართვის ფორმა “ჯიგო”, რაც “ჯიგაროს” შემოკლებული ვარიანტია და კარგად ეწყვილება ქართლურ კილოს.

### 18. Now you're talking!

“ეგრე, რა, შე ოხერო!”

საწყის ენაში გამოყენებული გამოთქმა ემთხვევა თარგმანში გამოუყენებულ  
გამოთქმას.

## ენის სიტუაციური ვარიანტულობის გამოხატვა თარგმანში:

ენას შეუძლია გამოხატოს მოლაპარაკისა და ადრესატის სოციალურ-ლინგვისტური პარამეტრები, როგორ რიც არის ასაკი, სტატუსი, განათლება, რეგიონალური წარმომავლობა, რასა, რელიგია და ა.შ. ის ასევე ენა გამოხატავს სიტუაციურ ასპექტსაც, ემოციურობას, საუბარში მონაწილეობა რაოდენობას და სიტუაციის ბუნებას ან მიზანს. ვინაიდან ენა ადამიანებს შორის სოციალური ურთიერთობების ცენტრალური ინდიკატორია, მისი საშუალებით ასევე ხდება, ძალაუფლებისა და სოლიდარობის დემონსტრირება. ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სხვადასხვა ფაქტორების გაშუქებისა არის იმის ანალიზი, თუ როგორ მიმართავენ ადამიანები ერთმანეთს.

ძალიან მნიშვნელოვანია თარგმანშიც აისახოს ის სამეტყველო რეფლექსები, რომელშიც ადამიანთა პირადი ურთიერთობების ხასიათი ჩანს. განსაკუთრებით როულია ფამილარულ-მოვერებითი ან უხეში ფორმებისათვის ანალოგების შერჩევა და ამ დროს მთავარია არ გაუფასურდეს ის ობერტონი, რომელიც მათ ორიგინალში

ახასიათებთ. (4, 210) საინტერესოა თუ როგორ ხდება მიმართვის ფორმების გრანს-პოზიცია მულტფილმის თარგმნისას:

12. Thanks a lot, officer.

“გავიგე. მაღლობა ჯიგარო.”

საწყის ტექსტში არსებული მიმართვა officer თარგმანში ჩანაცვლებულია უარგონული “ჯიგაროთი”, რაც ორგინალისგან სრულიად განსხვავებულ სამეტყველო სიტუაციას ქმნის.

13. Yeah! Talk to me, buddy!

”მე ვარ ბიჭო!”

Buddy! მერიკულ სასაუბრო ენაში მეგობარს ნიშნავს. თარგანში კი გვაქვს “ბიჭო” რომელიც ასევე ფამილიარული მიმართვის ფორმაა, თუმცა, აქაც, რეგისტრის თანხვედრა ცხადია.

14. Beg your pardon?

“თორე რა?”

საწყისი ტექსტის კონტექსტისათვის მაღალფარდოვანი გამონათქვამის ნაცვლად მიმღებ ენაში სალაპარაკო გამოთქმას ვხვდებით, “თორე რა”, რაც ორგინალის იუმორისტულ ეფექტს აქარწყლებს.

15. Excuse me! You're biting my butt!

”უკაცრავად! თქვენი კბილები ხომ არ ჩამერჭო?”

Butt-ამერიკული სლენგია და ქართულად “უკანალს” ნიშნავს. ქართულ თარგმანში კი ამის საპირისპიროდ, ოფიციალურ-ზრდილობიან მიმართვას ვხვდებით. ეფექტს აძლიერებს სიტყვის “თქვენი” გამოყენებაც, რაც, ჩვეულებრივ, ქართლურ კილოკაგსა და სასაუბრო რეგისტრზე მილაპარაკე ზებრისგან სრულიად მოულოდნელია, მის შიშს და დაბნეულობას უსვამს ხაზს და კომიკურ ეფექტს ქმნის. ამ შემთხვევაში რეგისტრის ცვლილება საწყისი ტექსტის კომუნიკაციური ეფექტის შენარჩუნებას ემსახურება.

როგორც განხილული მასალა გვიჩვენებს, ზებრას სახის შესაქმნელად თარგმანში უხვად გამოიყენება სლენგურ-უარგონული, ქართლური კილოკავური ფორმები. ვხვდებით თავისუფალი ინტერპრეტაციის მაგალითებსაც, რაც თარგმანისთვის შერჩეული ადაპტაციის მეთოდის გამოყენებისას სრულიად ბუნებრივად აღიქმება. ქართლური კილოკავის გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზებრას გმირის შესაქმნელად. ბუნებრივია, ეს მომენტი საწყის ტექსტში არ დასტურდება და უკელა ზემოთდასახელებული ცვლილება თარგმანში დედნისათვის დამახასიათებელი იუმორისტული ეფექტის შექმნას ემსახურება. ლინგვისტური საშუალებების გარდა, ამ პერსონაჟის სრულყოფისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს აუდიო-ეფექტებიც.

### 3.13.2 ლომი-ალექსი (ალიკა)

ლომის მეტყველებაში კუთხური კილო არ გამოიყენება და ასევე იშვიათად ხდება სლენგის გამოყენება, რაც მის მეტყველებას ანიჭებს, სხვა გმირებთან შედარებით დახვეწილ ელფერს.

#### 1. What is it, Melman?

“რა გინდა კაცო?”

თარგმანში საკუთარი სახელს კოლოკვიალური მიმართვის ფორმა “კაცო” ანაცვლებს, რაც გმირების ერთგვარ ფამილარულობას უსვამს ხაზს და თან ამ კონტექსტში შემთხვევაში, ლომის გადიზიანებასაც გამოხატავს. ამ ვარაუდს ამძაფრებს კონტექსტში გამოყენებული პარალინგვისტური ნიშნები (ხმის ტონი, ინტონაცია). საანალიზოდ სწორედ ასეთი მომენტები შევარჩიეთ.

#### .2 You got a ah.. you got a little smut. right there on yer...

“დინგი მოიწმინდე და მერე იბლატავე”

ამ კონტექსტში ალექსი-ალიკა უხვევს მისთვის დამახასიათებელი მეტყველების სტილსგან და უარგონზე მეტყველებს. თარგმანში ვხვდებით ზმნას “ბლატაობა” რაც “ამპარტავნულად, ძველ-ბიჭურად ლაპარაკს” ნიშნავს.

### 3. Lady, what is wrong with you?

“რა მოგივიდა ბებო?”

თარგმანში Lady- “ბებოთია” შეცვლილი, რომელიც კონტექსტს უფრო მეტად შეესაბამება ფამილარული ელფერით.

### 4. Don't you ever do this again. Do you hear me?

არაფერიც არ იცი, ვირიშვილო შენა!

სიბრაზის ემოცია, რომელიც საწყის ენაში მტკიცებით წინადადებაზე დართული კითხვით გამოიხატება, თარგმანში უხეში მიმართვით არის გადმოცემული.

### .5 Oh no! No no! Not the box!

“არა, არა! ოდონდ ეს არა. ჩემი აქ ჩასმა არ შეიძლება! რა პონტია!”

როდესაც ლომს და სხვა ცხოველებს დაიჭერენ, ცხოველთა დამცველი ორგანიზაცია მოითხოვს, რომ ისინი ბუნებრივ გარემოს დაუბრუნონ. ამიტომ მათ უუთებში ჩასვამენ და გემით გაამგზავრებენ. ლომი მისთვის უცნობ გარემოში გამოიღვიძებს, რაც მის საოცარ დაბნეულობასა და შიშს იწვევს. სწორედ ამ ემოციურობის გადმოსაცემად ქართულ თარგმანში, დედნისაგან განსხვავებით, ისევ სლენგისთვის მიუმართავთ.

### 6. Alex hungry. Alex eat.

ალიკას შია. ალიკას ფია უნდა

დამშეული ცხოველთა მეფის ემოციების გადმოსაცემად, რომელიც თავს გვალარ აკონტროლებს, წყარო ენაში გვხვდება ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელი ქვემდებარისა და შემასმენლის შეუთანხმებლობა პირსა და რიცხვში. თარგმანში კი “ჭამა” ზმნის მაგივრად არსებითი სახელი “ფია” არის გამოყენებული, რაც ასევე პატარების მეტყველებისათვისაა დამახასიათებელი. საბოლოოდ, აქაც ნარჩუნდება დედნის რეგისტრი და კომუნიკაციური ეფექტი: ორივე შემთხვევაში ალექსი-ალიკა თავს მესამე პირით მოიხსენიებს და ბავშვის მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს იყენებს.

როგორც მასალამ გვიჩვენა, ლომის მეტყველებაში ენის სტანდარტული ნორმებიდან გადახრას ძირითადად ემოციური ფონი განაპირობებს. სხვა შემთხვევაში, ლომის სახის შესაქმნელად თარგმანში არ ვხვდებით სლენგის და კუთხური კილოს გამოყენებას. საწყის ტექსტში გამოყენებული ქვემდებარესა და შემასმენელს შორის რიცხვში შეუთანხმებლობა, რაც ბავშვის მეტყველების გამოსახატავად გამოიყენება, თარგმანში პატარების “ლექსიკონისათვის” დამახასიათებელი კნინობითი არსებითი სახელის “ფია” გამოყენებით გადმოიცა.

### 3.13..3. ბეჭედოთი გლორია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მულტფილმი საქართველოში ცნობილი კომედიური მსახიობების მიერ არის გახმოვანებული. კერძოდ, გლორიას ახმოვანებს მამაკაცი, რომელიც სხვადასხვა იუმორისტულ სკეტჩებში ქალის როლს ასრულებს ხოლმე და უნიკალური, პუბლიკისათვის კარგად ცნობილი ხმითა და ლექსიკით ხასიათდება, რაც გლორიას გახმოვანებისასაც იჩენს თავს. ამასთან ერთად, ის, რომ გლორიას მამაკაცი ახმოვანებს, ქალის ხმასთან მიმსგავსებული ხმით, უკვე გარკვეულ იუმორისტულ განწყობას ქმნის.

1. What did Marty say to you? I asked you to talk to him!

“სერიოზულად რო დალაპარაკებოდი ხო ადარ გაიპარებოდა, ბენტერა შენა”.

თარგმანში ვხვდებით სალაპარაკო ენისთვის დამახასიათებელ ბოლოკიდურა ბგერების ჩამოშორებას კავშირ “რომ”-სა და ნაწილაკ “ხომ”-ისთვის და ასევე მიმართვის ფორმას “ბენტერა” რომელიც სასაუბრო მეტყველებაში “ჩერჩეტს”, “შტერს” ნიშნავს და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ლომმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა.

2 Is that Melman? Are you okay?

“როგორა ხარ, შე საწყალო შენა?”

“საწყალი”- შებრალების ღირსი მიმართვის ფორმად გამოყენება დამახასიათებელი ფრაზაა მსახიობისთვის, რომელიც მას ახმოვანებს და ახალი

პერსონაჟის პორტრეტის შესაქმნელად ეფექტურად იყენებს მას. მასგავს შემთხვევასთან გავქვს საქმე შემდეგ მაგალითშიც:

3. Oh, you poor little baby, did that big mean lion scare you?

“გამოეთრიე აქეთ. უი, როგორ შეგაშინა ამ თავგასიებულმა, შვილო.”

“თავგასიებული”- ერთგვარად შეურაცმყოფელი ეპითეტია. თარგმანში ეს ერთეული ლომის მიმართ გამოიყენება, რომელმაც ბავშვი შეაშინა და კარგად ესადაგება კონტექტს, თუმცა არ ემთხვევა საწყის ტექსტს.

4 Melman!There are prescriptions,that have to be filled.

“ჟორა, დაწყნარდი, ნუ პანიკობ. ამხელა საქონელი მართლა.”

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თავისუფალი თარგმანთან და აქტუალიზდება მიმართვის ფორმა “საქონელი”, რომელიც, ბუნებრივია, ამ კონტექსტში შეურაცმყოფელია და ორიგინალში არ არის გამოყენებული. ორიგინალში კი საუბარია შესავსებ რეცეპტის ფორმებზე..

5. Don't make me come up there, I'd get to woopin'on both of you all!

“ეხლა დაწყნარდით, თორე რაღაცას ჩაგთხლიშავთ ორივეს!”

ქართულ თარგმანში გამოყენებული ზმნა “ჩაგათხლიშო” რაც “ჩარტყმის” უხეში ფორმაა.

უნდა აღინიშნოს, რომ გლორიას პორტრეტი საწყისი ტექსტსა და თარგმანში ძლიერ განსხვავებულია.. ორიგინალში გლორია არასდროს იყენებს სლენგს და უხეშ ლექსიკას, მაშინ როცა მისი ქართველი ორგულის მეტყველებაში ვხვდებით სლენგის, უხეში ლექსიკური ერთეულების სისტირეს, ბოლოკიდური თანხმოვნების რედუცირებას, რაც, როგორც ცნობილია, სასაუბრო მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ორიგინალის ნაზი და ქალური გლორიასგან განსხვავებით, ქართველი გლორია უხეში და სასაცილოა, რასაც აუდიო ეფექტების (კერძოდ, ხმის ტემპის, ტონის, მელოდიკის) მიზნობრივად ზუსტი გამოყენებაც.

### 3.13.4. ჟირაფი-მელმენი (ჟორა)

ჟირაფი- ჟორა (მელმენი)

მულტფილმის ერთ-ერთი პერსონაჟია პედანტი ჟირაფი, რომლის მეტყველებაც დინჯი და ერთფეროვანია. მისი სახის შექმნისას დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე აკუსტიკურ ეფექტებსაც.

1. Not for me. I'm callin' in sick.What?

“ეგ მე არ მეხება. ბიულეტინზე ვარ”.

2. Zoo transfer! Oh, no. I can't be transferred, I have an appointment with doctor Goldberg at 5.

“სხვა ზოოპარკში! არა!

ეგ როგორ შეიძლება! მე მკურნალობის კურსი მაქვს დანიშნული”.

ამ შემთხვევაშიც თავისუფალ თარგმანს ვხვდებით, რაც ალბათ კვლავ მიმდები საზოგადოების ფაქტორის გათვალისწინებით არის გამოწყვეტილი, ვინაიდან “ექიმი გოლდბერგი” ქართველი მაყურებლისთვის არაფრისმთქმელი იქნებოდა, ის უფრო ზოგადი “მკურნალობის კურსით” არის ჩანაცვლებული.

**ჟარგონიზმები ჟირაფის მეტყველებაში:**

ჟირაფი არის პერსონაჟი, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს თავის ჯანმრთელობას. საწყის ტექსტში ის გამართული ინგლისურით მეტყველებს, თარგმანში კი, თუმცა სხვა პერსონაჟებზე ნაკლებად, მაგრამ მაინც ვხვდებით სლინგურ და კოლოკვიალურ გამოთქმებს.

3. Where exactly is here?

“რო ვიცოდეთ, დაგლიჯავს.”

ქართულ თარგმანში გვაქვს “დაგლიჯავს” ორიგინალში ეს არ დასტურდება.

4. Can we go to the fun side now?

”დელ-პიუროს თავისუფლების იდეას ხო არ მივაწვეთ”.

როდესაც თავისუფლების ქანდაკება დაიწვა, რომელსაც ლომი აშენებდა და შინ დაბრუნების იმედი გადაეწურათ, საწყის ტექსტში ჟირაფი ზებრას მხარეზე

გადასვლას სთავაზობს ლომს, მიმღებ ენაში თავისუფალ თარგმანს ვხვდებით და გვაქვს უარგონული ფრაზა –“იდეას მივაწვეთ”, რაც “ბოლომდე გაყოლას” ნიშნავს.

### 3.13. 5. პინგვინები

#### ჟარგონიზმები:

1. Do you ever see any penguins running free around New York city?

“სადმე გინახავს რო შეა ქალაქში პინგვინები ტასაობდნენ?”

“ტასაობა” სლენგია და სეირნობას, ხეტიალს ნიშნავს. ორიგინალში სლენგს არ გხვდებით. საწყისი ტექსტის ნეიტრალური გამოთქმა თარგმანში მარკირებული ერთეულით არის გადმოსული.

2. They are on the slow lifeboat to China .

“მაგარი არიფები არიან. ხომ გეუბნებოდით.”

თავისუფალი თარგმანია და, წინა კონტექსტიდან გამომდინარე, გამოყენებულია სიტყვა “არიფი”- “ხალხში გამოუსვლელი, გამოუცდელი” ადამიანი. ორიგინალის ტექსტი გულისხმობს, რომ ნავი იყო ნელი და ამიტომ არ მოუდწევიათ ცხოველებს ამ ადგილამდე, თარგმანში კი აქცენტი პერსონაჟების არაკომპეტენტურობასა და გამოუცდელობაზეა გაკეთებული, თან გვხვდება რეგისტრის ცვლილებაც.

3. Of course not. We don't belong here, it's just not natural.

“სად ნახავდი. ჩვენ აქ რა გვინდა, ზანგები კი არა ვართ”.

გამოთქმა “ზანგები კი არა ვართ” ერთგვარად რასისტულად ჟღერს. აქაც თავისუფალ ინტერარეტაციის ვხვდებით, რაც სავარაუდოდ, მიმღებ ტექსტში იუმორის ეფექტის შექმნას ემსახურება.

**ენის სიტუაციური გარიანტულობის გამოხატულება თარგმანში :**

4. პინგვინების მეტყველებაში ხშირად გვხვდება მიმართვის ფორმა “უფროსო”.

Yes, sir.

“ხოოო, უფროსო”.

It's no good, Skipper, I can't make it out.

რადაცნაირი კოდია უფროსო, არ იშიფრება.

Skipper - “პატარა გემის კაპიტანს” ნიშნავს და ქართულ თარგმანში სიტყვა “უფროსო” ჩაენაცვლა, რაც მოსაუბრის სტატუსს უსვამს ხაზს.

5. Gotcha, didn't I? Just kiddin' doll, the people are fine.

”დაიჯერე არა? ნუ გეშინია ფისო, ცოცხლები არიან”.

Doll-ერთგვარად მოძველებული სლენგი და “ლამაზი ქალის” მიმართ გამოიყენება, რაც ქართულ თარგმანში შესაბამისი “ფისოთია” ჩანაცვლებული.

6. We're gonna face extreme peril. Private probably won't survive.

”ეს ძალიან სარისკო ოპერაციაა. ჩმორიკა შეიძლება ცოცხალი ვერ გადარჩეს”.

ორიგინალში გვაქვს სიტყვა ‘Private’, რაც დაბალი რანგის ჯარისკაცს აღნიშნავს. ქართულ თარგმანში კი ვხვდებით სიტყვას “ჩმორიკა”, რომელიც რუსული კნინობითი სუფიქსით არის გაფორმებული, რაც ერთგვარ დამამცირებელ ელ-ფერს ატარებს რადგან ეს ჟარგონული მიმართვის ფორმა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს უუფლებო და დაბალ მდგომარეობას.

7. There's too many of them, Skipper! It's been a real pleasure serving with you, boys.

“რამდენი ხართ თქვენი! მე ვამაყობ თქვენით, ძმებო!”

თარგმანში ვხვდებით უხეშ მიმართვას და ასევე “Boys”- შეცვლილია “ძმებოთი”, რაც მოსაუბრეთა სიახლოეს უსვამს ხაზს.

**ჯუნგლების ცხოველები:**

**მეფე მანგუსტი:**

თავიდან როდესაც ზოოპარკის ცხოველები ჯუნგლებში მოხვდებიან, დაინახავენ, რომ პატარა ცხოველებს ზეიმი აქვთ. ისმის მუსიკა და წრის შუაში დგას მანგუსტი, რომელიც მღერის და თავს ცხოველთა მეფეს უწოდებს.

I like to move it move it!

You like to move it move it!

She likes to move it move it!

We like to...

Move it!

“აბა მიდის თუხთუხები. ერთი, მეორე, ქალებიც ცეკვავენ”.

ქართულ თარგმანში ვხდებით სიტყვას, “თუხთუხები”, რაც ჟარგონზე გართობასა და ცეკვა თამაშს ნიშნავს.

მოულოდნელად ისმის ყვირილი:

2. The Foosa! The Foosa! The Foosa are attacking!

“ხალოხომოოო! ყიზილბაშები .. თავს უშველეეეთ”.

Foosa- მადაგასკარის ყველაზე დიდი მტაცებლის სახელია. თარგმანში ის ქართული რეალიით არის ჩანაცვლებული და მთარგმენლებს სიტყვა ” ყიზილბაშები” აურჩევია, რომლებიც საუგუნეთა მანძილზე საქართველოს ესხმოდნენ თავს და აღიქმებოდნენ, როგორც საშიში და მტარვალი დამპყრობლები, მაგრამ ამასთანავე, ვინაიდაინ ეს წარსულში ხდებოდა და თანამედროვეობასთან არაფერი კავშირი არ აქვს, ეს რეპლიკაც, ერთგვარად, იუმორისტულადაც აღიქმება.

3. Shame on you, Maurice! Don't you see that you've insulted the freak?

“გააჩუმე ენა რეებს იძახი. ნახე რა კრეტინი გამომეტყველება აქვს.

რო ეწყინოს რამე მერე?”

Freak- ინგლისურ ენაზე უცნაურს ნიშნავს, თარგმანში კი გამოყენებულია სიტყვა “კრეტინი”, რაც იუმორისტულ ეფექტს აძლიერებს.

4. So my genious plan is this. We will make the New York Giants

our friends. And keep them close. Then with Mr. Alex protecting us, we will be safe

“მოკლედ მაგარი რაღაცა მოვიფიქრე. აი, ასეთი. ეს თავგასიებული პირუტყვები უნდა გავიხადოთ მეგობრებად. როგორც ვნახეთ, ყიზილბაშებს მათი ეშინიათ.

ჩვენ დავუძმაკაცდებით თავგასიებულებს, დავასახლებოთ ჩვენთან ახლოს და მათი შიშით ჩვენ ყიზილბაშები ფეხებს ვედარ მოგვჭამენ.”

უხეში ჟარგონული გამოთქმა- “ფეხებს ვედარ მოგვჭამენ”- “ვერაფერს დაგვაკლებენ” ამძიმებს ორიგინალის ნეიტრალური ნათქვამს, რომელიც თარგმანში უხეში ფორმით არის გადმოსული.

5. Maurice, you did not raise your hand.

გაჟებაც, სიტყვა ითხოვე, სანამ ალაპარაკდებოდი?

ამ მონაკვეთში აქტუალიზდება მიმართვის ფორმა—“ვაჟკაც”, რომელიც ნეიტრალურ კონტექსტში მამრობითი სქესის გულად, შეუდრეკელ ადამიანს ნიშნავს, ამ კონტექსტში მას ირონიული ელფერი დაჰკრავს.

უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანში თვით პერსონაჟების სახელებიც სახეცვლილია. მაგალითად: ლომს ალექსის ნაცვლად ალიკას ეძახიან, რომელიც ამ სახელის გაქართულებულ ვარიანტს წარმოადგენს და თან ფამილარული მიმართვის ფორმაცაა. ზებრა, რომელსაც ორიგინალში მარტი ჰქვია, დელ-პიეროდ ქცეულა და თან იუვენტუსის ფანია. მარტი ქართული რეალობისთვის უცხო და არაფრისმთქმელი სახელია, მაშინ როცა ფეხბურთში სულ მცირედ გათვითცნობიერებული მნახველისთვისაც კი დელ-პიერო უკვე ერთგვარად მისაღები და ნაცნობი ხდება. ასევე, ჟირაფი მელმენი ქართულ უორად გვევლინება, მხოლოდ ბეჭედი გლორიას სახელი არ არის შეცვლილი.

გარდა ამისა, თარგმანში ვხვდებით მთელ რიგ ალუზიებს, რომელიც ორიგინალში საერთოდ არ გვხვდება.

Make it up as you go along! Ad lib,improvise, on the fire! Boom,boom,boom..

“წარმოიდგინე, რომ ემინემი ხარ.”

ქართულში თავისუფალ თარგმანს ვხვდებით. მოტანილია ცნობილი მომდერლის ემინემის სახელი, რომელიც ორიგინალში ნახსენებიც არ არის, მაგრამ თვითონ გმირსა და მის რჩევას ეს ალუზია უფრო გასაგებსა და დასამახსოვრებელს ხდის. იგივე ეფექტი აქვს ალუზიას სწუპის და ჯენიფერ ლოპესის შესახებ.

I could do fresh.Works for me.

“მე სწუპი ვიქნები.”

Let's go Gloria!Up and at 'em!Were open!

“ფაქტიურად, შენ იქნები ჯენიფერ ლოპესი, ადექი!”

“მოშინაურების” ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს ალუზიები, სადაც უცხო ქვეყნის და კულტურის რეალიები ქართულით არის ჩანაცვლებული. ასეთი ადგილები კი მულტფილმში ძალიან ბევრია.

Gloria: Well I hear they have wide open spaces in Connecticut.

“ისე, როგორც ვიცი, ვაკის პარკშიც ყოფილა თურმე ველური ბუნება”.

Melman: Connecticut?Yeah, what you got to do

is you gotta go over Grand Central.

շորա: “Եօ, Թռոքարկություն Ռո Հաեզալ, 214 թարմպանի և Հաջափառ և 20 Վայում ու ոյտ եար.”

Connecticut-վայում է Արքուտ արուս Իանալությունու և գամուցենք յալու և Սայադու յաղագությունու ըալու գաղագությունու ըալու գաղագությունու և մուրուաշտությունու “մարմպան”.

Melman: Oh no! What are we gonna do? We gotta, we gotta call somebody!

“Րա յեֆա զյնատ? Րա յեֆա զյնատ? Րա զյնատ, Րա զյնատ և Ագիրյուլս գամուցեախու.”

Monkey: I heard Tom Wolfe is speaking at Lincoln Center.

Թամունու: “Մյ մշոն Արևամենիու Ֆոն Սայարությունու մունինց ունիցած.”

Old Lady: You're a bad kitty!

“Սորուսու Իամուռյուլու?”

Alex: A King! Loved by my people! Let's just be simple! And you ruined everything!

”Մյ զոյազու ծազմանենաւու սայարությունու գմուրո. Րա Ռյութունց մյոնդա? Մյմարչանց յանձնուածու 2% զյսթուածու. Մյ յու Րա գամույտու, Մյ ճամկալու Մյնա!”

Gloria: Stop it! Look, We're just gonna find the people get checked in and have this mess straightened out!

“Տյու Ծյուուած նյուրայուլութ. Ջյու յեֆա զոյութու գամբյունա և ճաշույս սուրուածու գացակայտուեցն իզենս Կոռպարկմու”.

Սածուլութ յեֆա ուղիաս, Րոմ Մյուլիուլմուս տարգմենուսաս աժապիւացուս մյուռու գամուցենց և ամութումաց, յարույլ տարգմանմու եմուրած յեզդուտ Ծյութուս տացույցալ ոնթյուրպրյութուածուս. մուրգմենյութու Այրսոնայուտ Սաենս Մյեսայմենյուլած քարծած ոյյենց և սլյենց, մաշոնաց յո, Րուջեսաց մատու գամուցենց Ֆյարու Ծյութմու ար ճասթյուրութ. յորյ մերոց, յեֆա ճանոնունուս ուսոց, Րոմ լումուս Այրսոնայու մեռլութ մլույրու ալյուզունու քրուս ոյյենց և սլյենց և յեյշ մոմարություն յուրմենց. յեզդուտ ասյայ, յարուլյուրու յուլուս գամուցենց աս Կյեծրաս մյույզելյութամու, Րաց որոցինալմու ասյայ ար ճանոնունենց. Կյեծրուս Սաենս Մյեյմենամու յու ճուգ րուլուս ասրյուլյուն. Մյոմինյա ացրեւայ ալյունուցուս Իանալությունու և Մյմուեցությունու, Րոմլյուն.

ასევე დიდ როლს ასრულებს პერსონაჟთა სახის შექმნაში, აძლიერებს “მოშინაურების” ეფექტს და ერთგვარ იუმორისტულ ფონსაც ქმნის. ამ შეელაფერთან ერთად, უნდა აღინიშნოს ხმოვანი ეფექტების როლიც, რომელიც უმნიშვნელოვანესია გმირთა სახის შექმნისა და მთლიანად მულტფილმის ეფექტურობისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანის დროს შექმნილი პერსონაჟთა სახეები სასაცილო და ადვილად დასამახსოვრებელია, ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ორიგინალის გმირებისაგან. განსხვავებული პროსოდიული თვისებები გასხვავებულ გმირებს ქმნის. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გლორიას მამაკაცი, საქართველოში ცნობილი კომედიური მსახიობი, ახმოვანებს და საწყისი ტექსტის ქალური და ნაზი გლორია თარგმანში უხეში და სასაცილო პერსონაჟით იცვლება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უარგონის და ქართლური კილოს მეტისმეტი გამოყენება ამ მულტფილმს უფროსი აუდიტორიისათვის განკუთვნილად აქცევს. რადგან ბავშვებისათვის განკუთვნილ პროდუქციაში ყოველივე ზემოთაღნიშნულის ჭარბად გამოყენება, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი არ არის, ვინადან ბავშვებზე ამან შეიძლება არასასურველი გავლენა მოახდინოს. ბუნებრივია, ბავშვებს მისაბამი გმირი სჭირდებათ და თუ პროდუქტი პატარა მაყურებლისთვის არის განკუთვნილი, სიფრთხილეა საჭირო, რომ ის სწორად იქნას მიწოდებული და აღქმული.

### 3.14. სუბტიტრები

აივერსონის და კეროლის მიხედვით სუბტიტრებზე მომუშავე ადამიანი ჩვეულებრივ, კინოსცენართან მუშაობს, რომელსაც მას საწყის ენაზე მიაწოდებენ. შეიძლება სცენარს თან ერთვოდეს დიალექტური სიტყვების, უარგონების, ხუმრობების განმარტებები. თუმცა სცენარში დიალოგების გადამოწმება აუცილებელია, რადგან ზოგჯერ ის ფილმს არ ემთხვევა. (21,70-80)

ჩვეულებრივ, საჩვენებელი სიაც არის ხელმისაწვდომი, სადაც წყარო ქვეყნის ტექნიკოსის მიერ სუბტიტრების დაწყებისა და დამთავრების დროა მითითებული და

მაშინ მთარგმნელმა სცენარი უნდა თარგმნოს და სუბტიტრების დროს და სიგრძეს მიაქციოს ყურადღება. თუ ასეთი რამ არ არსებობს, მაშინ მთარგმნელმა სუბტიტრების დაწყების და დამთავრების დრო თვითონ უნდა მოინიშნოს. ამ დროს მთარგმნელი სპეციალურ პროგრამას, პოლისკრიპტს, იყენებს, რაც საქმეს საგრძნობლად აიოლებს. სუბტიტრების ყველა სისტემა, დღესდღეობით, დროის კოდს იყენებს, რომელიც 8 ციფრიან მიმართვას ამზადებს თითოეული კადრისთვის. (21, 141). დროის კოდის დახმარებით მთარგმნელი აწარმოებს დაკვირვებას და აკეთებს სუბტიტრებს.

სუბტიტრები, ძირითადად, ეკრანის ქვემოთ არის განლაგებული. ის არ შეიძლება იყოს 1-2 ხაზზე მეტი და თითოეულ ხაზზე 35 ნიშანზე მეტი არ უნდა იყოს. ამასთანავე, ტიტრები ეკრანზე იმდენხანს უნდა ჩანდეს, რომ მაყურებელმა წაკითხვა მოასწოროს, მაგრამ არც ისე დიდხანს, რომ მეორეჯერ დაიწყოს გადაკითხვა, რადგან ეს საბოლოოდ, მის გადიზიანებას იწვევს.

ფ. კარამიტროგლუ მიიჩნევს, რომ მაყურებელს, საშუალოდ, 150-180 სიტყვის წაკითხვა შეუძლია წუთში, რაც დაახლოებით 2.5-3 სიტყვაა წამში და რადგან ორხაზიანი ტიტრები 14-16 სიტყვას შეიცავს, ისინი 6 წამის განმავლობაში უნდა ჩანდეს ეკრანზე. აქ ის დროც შედის, რაც თვალს ნაწერის აღსაქმელად სჭირდება. ერთხაზიანი ტიტრები კი 3. 5 წამს უნდა ჩანდეს ეკრანზე, ხოლო ერთ-სიტყვიანი- 1. 5 წამი. ამაზე ადრე მაყურებელი მის აღქმას უბრალოდ ვერ მოასწრებს. აღსანიშნავია ასევე, რომ აუცილებელია სუბტიტრების ცვლის ერთი ტემპის შენარჩუნება, ვინაიდან მაყურებელი სწრაფად ეჩვევა კითხვის ტემპს და არ უნდა მოხდეს ტემპის შენელება ან, პირიქით, დაჩქარება. (23, 23)

ასევე მნიშვნელოვანია სუბტიტრების კადრთან სინქრონიზაციაც. ტიტრი საუბრის დასაწყისს უნდა ემთხვეოდეს, თუმცა ასევე კარამიტროგლუ მიიჩნევს, რომ ის საუბრის დაწყებიდან წამის დაყოვნებით უნდა გამოჩდეს. ეს ის დროა რაც ტვინს ესაჭიროება საუბრის დასაწყისის აღსაქმელად და მზერის ეკრანს ქვემოთ მისამართად ტიტრების მოლოდინში. თუმცა ტიტრები საუბრის დამთავრების შემდეგაც შეიძლება დარჩეს ეკრანზე, მხოლოდ ეს დრო 2 წამს არ უნდა

აღემატებოდეს, თორემ მაყურებელი აღიქვამს, როგორც შეუსაბამობას საუბარსა და ტიტრებს შორის.

სუბტიტრების შექმნისას უნდა გათვალისწინებული იქნეს ასევე სპეციალური პუნქტუაციის წესებიც, რაც მაყურებელს სუბტიტრების კითხვისას ეხმარება. ყველაზე მნიშვნელოვანია ტირის და მრავალწერტილის გამოყენება. ტირე სუბტიტრების წინ დიალოგის დაწყებას აღნიშნავს, მრავალწერტილი თუ ადგილის გამოუტოვებლად დიალოგის შეაშია, იგი ყოფილი გამოხატავს, ხოლო თუ მის შემდეგ ადგილია დატოვებული, ეს მიუთითებს, რომ მოსაუბრეს ლაპარაკი შეაწყვეტინეს. არსებობს სხვა წესებიც, რომლებზეც აქ აღარ შევჩერდებით.

ყოველივე ზემოთმულიდან გამომდინარე, სუბტიტრები, ჩვეულებრივ, უფრო მოკლეა, ვიდრე საწყისი დიალოგი. მთარგმნელს უწევს არჩევანის გაკეთება ტექსტის რომელი ნაწილი ამოიღოს, და რა დატოვოს. ამისთვის ის გამოტოვებას ან პერიფრაზს მიმართავს.

სუბტიტრებში ასევე სასურველია უფრო მარტივი ლექსიკისა და სინტაქსის გამოყენება.

### 3.15. სუბტიტრებით თარგმნილი ფილმები “ედ გუდი” და “ვეინის სამყარო”

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სუბტიტრების გამოყენება წარმოადგენს თარგმანის ე. წ. “გაუცხოების” სახეობას, როდესაც თარგმნილი ტექსტი დედნის ფუნქციას არ ითვისებს და ფილმის უცხოობას ესმევა საზო. ფილმების თარგმნის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით, სუბტიტრები ყველაზე ნაკლებად ერევა ორიგინალის ტექსტში და თარგმანის ყველაზე ნაკლებ გაშუალებულ მეთოდს წარმოადგენს, თუმცა სუბტიტრების გამოყენება სალაპარაკო ენის წერით საშუალებაზე გადასვლას გულისხმობს. როგორც მერა მიიჩნევს, ”სუბტიტრები ფილმს აუდიოვიზუალური საშუალებიდან უფრო ლიტერატურულ საშუალებად აქცევენ, რაც მაყურებლისგან უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე დუბლირებული ფილმი” (29,79) ასევე აღსანიშნავია, რომ თუმცა ფილმის დუბლირებული

ვერსიისგან განსხვავებით სუბტიტრები ტუჩების სინქრონიზაციას არ მოითხოვს, რადაც თანხვედრა წყარო ენის სამეტყველო დიალოგს, ვიზუალურ იმიჯსა და სუბტიტრებს შორის უნდა არსებობდეს. თარგმანის ამ მეთოდის მთავარ სიძნელესაც სწორედ ის ფაქტი წარმოადგენს, რომ სამეტყველო ენა წერით საშუალებაზე ბევრად სწრაფია, მთარგმნელი სივრცეშიც შეზღუდულია და ამიტომ დიალოგის მთლიანი თარგმანი შემოკლების გარეშე შეუძლებელი ხდება.

ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ამ ყოველივეს გათვალისწინებით, თუ როგორ ხდება ენის სუბსტანდარტული ფორმების გადატანა ინგლისურიდან ქართულ თარგმანში და როგორ იქმნება პერსონაჟის იმიჯი აუდიოვიზუალური თარგმანის ამ სახეობაში, რა ფაქტორები განაპირობებენ მთარგმნელის არჩევანს და როგორ განსხვავდება თარგმანის ეს კონკრეტული სახეობა აუდიოვიზუალური თარგმანის მეორე სახეობის-დუბლირებისა და ასევე ლიტერატურული თარგმანისაგან, ენის სუბსტანდარტული ფორმების, როგორც პერსონაჟის იმიჯის შემქნელი კომპონენტის, ტრანსპოზიციის გათვალისწინებით.

განვიხილავთ თიმ ბარტონის ფილმს “ედ ვუდი, რომელიც” გადაღებული 1994 წელს, მთავარ როლში ჯონი დეპი. ფილმი ავტობიოგრაფიულია და ედ ვუდის ცხოვრებაზე მოგვითხოვთ, რომელსაც ყველაზე ცუდი რეჟისორის ტიტული მიანიჭეს. ეს ფილმი ავირჩიეთ თიმ ბარტონის უცნაური პერსონაჟებიდან გამომდინარე. თვითონ ფილმი შავ-თეთრია და ესეც ერთგვარ განწყობას ქმნის და მას პოლივუდის კლასიკური ფილმებისა და ასევე საშინელებათა ფილმის ელფერს ანიჭებს.

### 3.15.1 ედ ვუდი

ფილმის ერთ-ერთი პერსონაჟი ბანი ბრეკინრიჯი, რომელსაც ბილ მიურეი ასრულებს, ქალად გადაქცევაზე ოცნებობს. ის ედის მეგობარია. ამას მხოლოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ამ პერსონაჟის მეტყველებაში დროდადრო გვხვდება სლენგის გამოყენება. მაგალითად, როდესაც ედის ერთ-ერთ ფილმზე რეცენზიას კითხულობენ ის ამბობს:

Bunny :- [Exhales] - Oh, what does that old queen know? She didn't even show.

ბანი: რა იცის მაგ ბებერმა პიდარასტმა? სპუქტაკლი არც კი უნახავს.  
Old queen- შეურაცმყოფელი სლენგია და “პომოსექსუალს” ნიშნავს. ქართულ  
თარგმანში გამოყენებულა სიტყვაში “პიდარასტი”, დენოტაციური და კონოტაციური  
მნიშვნელობაც შენარჩუნებულია. ეს, თუ გავითვლაისწინებთ, რომ ამ შემთხვევაში  
ქალზეა საუბარი, კიდევ უფრო შეურაცხმყოფლად ედერს.

Bunny- Screw you, Miss Crowley.

ბანი: წადი შენი, მის კროული..

“Screw”- შეურაცხმყოფელი გამოთქმაა და თარგმანში გადმოტანილია ფრაზით  
“წადი შენი” რაც დიალოგის ხასიათს შეესაბამება და რეგისტრსაც სრულად  
ემთხვევა.

ედი ფილმის გადაღებას ცდილობს და ამიტომ სურს, პროდიუსერი დაიყოლიოს.

Mr: Weiss: Those repressed Okies, they go for that twisted, perverted stuff.

ბატ ვაისი: ოკლაჰომელები გიუდებიან გარყვნილებაზე.

ორიგინალში ვხვდებით Okies- რაც ოკლაჰომის მცხოვრებლების ერთგვარ  
შემოკლებულ -კნინობით ფორმას წარმოადგენს, თარგმანში უბრალოდ ოკლაჰომე-  
ლებით არის გადმოსული. რაც შეეხება სიტყვებს twisted, perverted, ორივე მათგანი  
მოცემულ კონტექსტში სექსუალურ გადახრას მიანიჭნებს და ქართულად ერთი  
სიტყვით “გარყვნილებით” არის გადმოსული, რაც ვფიქრობ სუბტიტრების  
სპეციფიკას კარგად ერგება.

Eddie: Is there a script?

Mr Weiss: - F\*\*\*k no. But, there's a poster.

ედი: სცენარი უპვე არის?

ბატ.ვაისი: არა! სამაგიეროდ აფიშა გვაქვს.

ორიგინალში ემოციურ უარყოფას ვხვდებით F\*\*\*k no, ქართულად ეს სიტყვა-სიტ-  
ყვით ნათარგმნი არ არის, თუმცა ემოციის გამოსახატავად ტიტრში ძახილის  
ნიშანია გამოყენებული.

Mr. Weiss: You're a fruit?

ბატ.ვაისი: ცისფერი ხარ?

“Fruit”- სლენგზე შეიძლება “პომოსექსუალს” ნიშნავდეს და თარგმანშიც ეკვივალენტურ სიტყვას გხვდებით.

Edie: What is the one thing, if you put it in a movie, it'll be successful?

Mr:Weiss- Tits.

Edie- No, better than that. A star.

ედი: რა განაპირობებს ფილმის წარმატებას?

ბატ. ვაისი: ძუძუები.

ედი: არა. უკეთესი. ვარსკვლავი.

“Tits”- უხეში გამოთქმაა და მკერდს ნიშნავს, თარგმანში ნეიტრალური სიტყვით არის გადმოსული მაგრამ საცმაოდ უხეშად და შეურაცმყოფელად ქღერს მოცემულ კონტექსტში.

Mr.Weiss: Kid, you must have me confused with David Selznick.

Mr.Weiss: I don't make major motion pictures; I make crap.

ბატ.ვაისი: ედ, დევიდ სელზნიკში გეშლები. მე შედევრებს არ ვიღებ. ჩემი ფილმები ნაგავია.

“Kid” სასაუბრო ენაში გავრცელებული მიმართვის ფორმაა და ახალგაზრდა ადამიანების მიმართ გამოიყენება. ქართულ თარგმანში მისი აქტუალიზაციით ურთიერთობის ფარილარობას ესმება ხაზი..

რაც შეეხება სიტყვას “Crap”, იგი თარგმანშიც შესაბამისი არსებითი სახელით-“ნაგვით” არის გადმოსული, რასაც ეკვივალენტური უხეში ქღერადობაც ახლავს.

როდესაც ედის ფილმი ჩავარდება ბატვაისი საშინლად გადაიზიანდება და ამას შემდეგნაირად გამოხატავს.

Mr. Weiss: ... you schmuck! It ain't gonna play in L.A.!

Edie: -Why not?

Mr.Weiss: -Nobody wants to see this piece of shit!

ბატ.ვაისი: შე ნაძირალა! არავის უნდა მაგ სისულელის ნახვა!

“Schmuck”- ამერიკულ ინგლისურში არაფორმალური სიტყვაა და ‘სულელს’ ნიშნავს. ქართულ თარგმანში მათრაგმნელებს შეურჩევიათ სიტყვა ‘ნაძირალა’ რაც კვიქრობთ მოცემულ კონტექსტს სრულად არ შეესაბამება.

Piece of s\*\*t- უხეში გამოთქმაა და სლენგზე შეიძლება “ნაგავს”, “უსარგებლო ნივთებს” აღნიშნავდეს. თარგმანში გვაქვს “სისულელე”-რაც მოცემულ კონტექსტში კარგად გამოხატავს ორიგინალის შინაარსს, თუმცა არ ემთხვევა რეგისტრს.

ფილმის ყველზე კოლორიტულ პერსონაჟი, ერთ დროს ცნობილი დრაკულას როლის შემსრულებელი ბელა ლუგოში, ყველსაგან მივიწყებული და ნარკოტიკების ბურანშია ჩაძირული. როდესაც ედი პროდიუსერებს ეუბნება, რომ მის ფილმში ცნობილი ვარსკვლავი, ბელა ლუგოში, ითამაშებს, ყველა გაოცემული კითხულობს “ეგ კიდე ცოცხალიაო?”. ლუგოში უნგრელია და დამახასიათებელი აქცენტითაც საუბრობს, რაც თუმცა თარგმანში არ აისახება, მაყურებელს ორიგინალის დიალოგში ესმის.

Lugoshi: Oh, there's my bus. S\*\*it, where is my transfer?

ლუგოში: ჩემი ავტობუსი მოვიდა. სად არის ჩემი ბარათი?

S\*\*t- შეურაცმყოფელი ტონის წამოძახილია და გაბრაზების გამოსახატად გამოიყენება. თარგმანში ეს არ აისახება და ემოციის გაგება მხოლოდ ორიგინალში პერსონაჟის ხმის ტემბრის ვარიაციით არის შესაძლებელი.

Lugoshi: I think she's a honey. Look at those jugs.

ლუგოში: ჩემი აზრით მშვენიერი ქალია. შეხედე მის მკერდს.

“Honey”- მიმართვის ფორმაა რომელიც იმ ადამიანის მიმართ გამოიყენება, ვინც ძალიან მოგწონს. თარგმანში ეს ნიუანსი ნეიტრალური ფრაზით ,“მშვენიერი ქალი” არის გადმოსული. “Jugs” სლენგზე ქალის მკერდს ნიშნავს, სუბტიტრებში კი გვაქვს ამ კონტექსტში ნეიტრალური თარგმანი ენაცვლება.

ერთ კონკრეტულ სცენაში ლუგოშს ავტოგრაფს სთხოვენ და ეუბნებიან, ის ფილმი მომწონს ყველაზე ძალიან, სადაც კარლოვის (ბელას კონკურენტი) თანამზრახველს თამაშობთო. ლუგოში უაღრესად გაღიზიანებულია.

Lugoshi: Karloff? Sidekick? F\*\*\*k you!

ლუგოში: კარლოვი? თანამზრახველი? წადი შენი .

That limey cocksucker can rot in hell fior all I care!

თუნდაც ჯოჯოხეთში დაიწვას ეგ პედერასტი! ფეხებზე მკიდია!

Eddie-What happened?

ედი: რა მოხდა?

Lugoshi:-How dare that asshole bring up Karloff?

ლუგოში: როგორ გაბედა ამ იდიოტმა კარლოვის ხსენება?

F\*\*\*k you- საშინელ გაღიზიანებას გამოხატავს და შესაბამისი ფრაზით არის გადმოსული. S\*\*\*t- შესაბამისი ნეიტრალური სიტყვით არის გადმოსული და კონტექსტის შესაბამისად ძლიერ უხეშად ჟღერს. Limey- მოძველებული სლენგია და ბრიტანელს ნიშნავს, რაც თარგმანში იკარგება, ხოლო შემდეგი სიტყვა შესაბამისი თარგმანი მოყვება და ასევე უხეში ფრაზით სრულდება.

ამ მონაკვეთში ისეთ უცენზურო გამონათქვამებს იყენებს ლუგოში, რომ მისი მთლიანად ნეიტრალური თარგმანით გადმოტანა ალბათ ვერ მოხერხდებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბელა ლუგოში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი გმირია ფილმისა. მისი როლის შესრულებისთვის მარტინ ლანდაუმ ოსკარიც კი მიიღო. პერსონაჟის სახე იქმნება არა მხოლოდ მისი დამახასიათებელი მეტყველებით, არამედ ვიზუალური ეფექტებითაც: კერძოდ, გრიმით, რომლითაც ის დრაკულას განასახიერებს, მისი დანახვისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ლუგოშის პერსონაჟიც დრაკულასავით წინა საუკუნეების გადმონაშთია, რომლისაც უკვე აღარავის სჯერა, მუსიკით რომელიც ფილმის ატმოსფეროს ქმნის, ერთგვარ უცნაურსა და მისტიურს. ფილმი მხატვრული ნაწარმოებისაგან ამ ყოველივეთი განსხვავდება. აქ მაყურებელს არ უხდება ტექსტში ამოკითხული სამყაროს ვიზუალიზაცია, არამედ ეს პირდაპირ მზა სახით მიეწოდება. ვფიქრობთ, ეს ერთგვარ თავისუფლებას ანიჭებს ფილმის მთარგმნელს, ვინაიდან აქ მას შეუძლია გმირის მეტყველება შეარბილოს ან ალაგ-ალაგ ნეიტრალური თარგმანით

ჩანაცვლოს და ამით არ გაანეიტრალოს ორიგინალის ეფექტი, ვინაიდან მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც მკითხველმა თვითონ უნდა შექმნას ავტორის მიერ დახატული სამყარო, ვფიქრობთ, თარგმანის მაქსიმალური სიზუსტე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე აუდიო-ვიზუალური თარგმანისას. აქაც, დუბლირებასთან შედარებით, ვფიქრობთ, სუბტიტრებს ის უპირატესობა გააჩნიათ, რომ საწყისი ტექსტის მოსმენაა შესაძლებელი და ესეც ერთგვარად ეხმარება მთარგმნელს, რომ თარგმანის ეფექტი არ გაუფერულდეს. “ედ ვუდ”-ში ლუგოში ერთგვარი აქცენტით საუბრობს და ფილმში მის წარმომავლობასაც აღნიშნავენ. ეს ეფექტი თარგმანში დაიკარგებოდა, მაგრამ სუბტიტრები იძლევა საშუალებას მაყურებელმა უშუალოდ აღიქვას მსახიობის ხმის ტექნიკი და შესაბამისად აქცენტიც.

მეორე ფილმი რომელსაც განვიხილავთ, არის პენელოპე სფერის “ვეინის სამყარო” (1992 წელი). ფილმი ეფუძნება “შაბათის დამის შოუს” მიერ ადგილობრივი ტელე-ვიზიის პაროდიას. “ვეინის სამყარო” დაიწყო მისი წამყვანის ვეინის (მაიკ მეიერი) სარდაფში. ვეინი ზრდასრული ახალგზრდაა, რომელიც კვლავ თავის მშობლებთან ცხოვრობს. მისი მეწევილე არის გარტ ალგარი (დანა კარვი), რომელიც საშინლად სასაცილოდ გამოიყურება და შვიდი წლის ბავშვივით აზროვნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფილმში მთავარი სიუჟეტი კი არ არის, არამედ აქცენტიზირებულია დიალოგები და ხუმრობები. სწორედ ამ თვისებების გამო ავირჩიეთ ეს ფილმი განსახილველად, გვაინტერესებდა დაგადგინოთ, თუ როგორ ხდება გმირების დამახასიათებელი მეტყველების, მათი იუმორის გადმოტანა თარგმანში და სუბტიტრები უადვილებს თუ არა მთარგმნელს პერსონაჟის სახის შექმნას. გარდა ამისა, საინტერესოა, თუ რა მთარგმნელობით საშუალებები გამოიყენება ამ პროცესში და რა განაპირობებს მის არჩევანს.

### 3.15.2 ჟარგონიზმები:

1. Wayne: OK, Garth, sit there. He's gonna

put that thing on your melon, OK?

ვეინი: რონი თავის გამოგონებას

შენ გოგრაზე გამოცდის.

ორიგინალში გვაქვს melon, რაც სლენგზე “თავს” ნიშნავს და ქართულ თარგმანში ის “გოგრათია” ჩანაცვლებული, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს.

2.Wayne: So tell me, Ron. Exactly how does the Suck Kut work?

ვეინი: რონ, მაინც რა პრინციპით მუშაობს?

Ron: Well, as you can see,

it sucks as it cuts.

რონი: როგორც ხედავთ

თმას იწოვს.

Wayne: It certainly does suck.

ვეინი: გეთანხმები. ნამდვილად “იწოვს”

ხელსაწყოს რომელსაც წარადგენენ “Suck Kut” ჰქვია. ”Suck” როგორც ვიცით, “შეწოვას” ნიშნავს, “cut” კი “შეჭრას” და როდესაც ვეინი კითხულობს, თუ როგორ მუშობს ხელსაწყო, პასუხი არის sucks as it cuts. ამ მონაკვეთის თარგმნის დროს კალამბური მთარგმნელს სიტყვის ბრჭყალებული ჩასმით გამოუხატავს.

ვეინი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა მისი გადაცემით თავის რჩენა შეიძლებოდეს და ამის თვითონაც არ ჯერა.

3.Wayne: Sh'yeah, and monkeys might

fly out of my butt.

ვეინი: შეიძლება ასეც მოხდეს.

პო, და კიდე უკანალიდან

მაიმუნები გამომიფრინდნენ.

ამერიკულ სლენგზე butt-უკანალს ნიშნავს და ქართულ თარგმანში ნეიტრალური შესატყვისით არის გადმოსული. გამონათქვამი “შეუძლებელ რამეს” ნიშნავს და თვითონ ეს გამოთქმა ისე თავისებურად ჟღერს, რომ ეს უცნაურობის ეფექტი ნეიტრალური თარგმანითაც არ იკარგება.

4.Gart: What if he honks in the car?

Wayne: - I'm giving you a no-honk guarantee.

გარტი: მანქანაში გული რომ აერიოს?

ვეინი: გარანტიას გაძლევ, რომ არ აერევა.

ორიგინალში კვლავ ვხვდებით სლენგის გამოყენებას, რომელიც ქართულში ნეიტრალური გამოთქმით არის გადმოსული.

5. Garth: Excuse me. I fell.

გარტი: მაპატიეთ.

გადმოვვარდი.

გარტს ლამაზ გოგოზე მიანიშნებენ და ის სკამიდან ვარდება ამ “სილამაზის” დანახვაზე. რადგან ქართულ სასაუბრო ენაში ზმნა “დავეცი” გამოიყენება, ძლიერი მოწონების გამოსახატავად, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მისი გამოყენება უფრო უპრიანი იქნებოდა, ვინაიდან ერთგვარი კალამბურით გადმოსცემდა ორიგინალის იუმორს.

6.Noah Vanderhoff: I think it's two chimps

on a davenport in a basement.

I'm not sponsoring this.

6. ვანდერფოი: ორი უჭკუო ტიპი  
სარდაფში ზის და მაიმუნობს.  
ამას არ დავასპონსორებ.

“Chimps”-მაიმუნს ნიშნავს და თარგმანში გვაქვს ‘უჭკუო ტიპი’, რაც მათ საქმიანობის ხასიათს ასევე კარგად გამოხატავს და თან ნათქვამს სასაუბრო ტონის ელფერს ანიჭებს.

ბენჯამენი, სატელევიზიო აღმასრულებელი, ცდილობს ნოე ვანდერფოი დაარწმუნოს, დაფინანსოს ვაინის შოუ და ეუბნება, რომ ბავშვებს მოეწონებათო, რაზეც ბ. ვანდერფოი პასუხობს:

7. N.Vanderhoff: Kids know d\*\*k.

I watch 'em in my arcades.

6. ვანდერფოი: ბავშვებმა ჩემი ფეხები იციან!

D\*\*k- ამერიკულ სლენგზე მეტად უხეში გამოთქმაა და თარგმანში სემანტიკურად ეკვივალენტური, თუმცა შედარებით ნაკლებად უხაში უხეში ფრაზით არის გამოხატული.

ვეინს და გარტს ვეინის სარდაფიდან მიპყავთ შოუ. გარტს მოდელის კლაუდია შიფერის ფოტო უჭირავს ხელში და მასზე შემდეგნაირ კომენტარს აკეთებს:

8.Garth:Tent pole! She's a babe.

- She's magically babelicious.

გარტი: კარვის ბოძი!

მაგარი ვინმეა.

წარმოუდგენლად გემრიელია.

“Babe”- სასაუბრო ენაზე “მიმზიდველ ახალგაზრდა ქალს” აღნიშნავს. თარგმანში ფრაზით არის გადმოსული, ხოლო babelicious- რაც babe+delicious შეერთებით მიღებული სიტყვაა თარგმანში გადმოცემულია ფრაზით ‘გემრიელია’.

9. Garth: She tested very high  
on the strokability scale.

გარტი: მოფერადობის შკალით  
უმაღლეს შეფასებას იმსახურებს.  
ინგლისურის გავლენით, ქართულ ტექსტშიც ვხვდებით გაარსებითებულ ზმნას “მოფერადობა”, რაც ქართული ენისთვის უცხოა და მთელ ამ მონაკვეთს ფამილა-რულობის ელფერს ანიჭებს.

10.Wayne: Our first lawyer screwed our affairs so badly.

ვეინი: წინა იურისტმა უველა საქმე გაგვიფუჭა.

‘Screwed’ სლენგია და არევ-დარევას ნიშნავს. მიმღებ ტექსტში მისი ნეიტრალური თარგმანი გვხვდება.

11. Benjamin: Your vocals are incredible.

ბენჯამინი: კარგი ხმა გაქვს

Benjamin: You have a very interesting look.

Oh, I'm not trying to pick up on you.

ბენჯამინი: გარეგნობითაც მიმზიდველი ხარ.

არ გეგონოს, რომ “შებმას” ვცდილობ.

Pick up on smb ქართულ თარგამნშიც შესაბამისი მნიშვნელობისა და რეგისტრის ზმნით არის გადმოსული.

12. Garth: Wayne, what do you do if every time  
you see this one incredible woman,  
you think you're gonna hurl?

გარტი: ვეინ, როგორ მოიქცეოდი  
ლამაზი ქალის დანახვაზე,  
რომ ეცემოდე?

Wayne: I say hurl. If you blow chunks  
and she comes back, she's yours.

ვეინი: ვეცემოდე?  
თუ გაუდიმებ და შენკენ წამოვა, ესე იგი შენია.

Wayne: If you spew and she bolts, it was never meant to be.

ვეინი: თუ დაიმორცხვებ და გაიქცევა- ესე იგი ერთად ყოფნა არ გიწერიათ.

ამ მონაკვეთში გამოყენებულია ‘შავი’ ინგლისურისათვის დამახასიათებელი მომავლის წარმოების საშუალება და ზმნა hurl-რაც “გულის არევას” ნიშნავს. ქართულ თარგმანში ვხვდებით ასევე გადმოტანილ ზმნას- “ეცემოდე”-“ძალიან მოგწონდეს”. ვინაიდან ორიგინალში გამოყენებული ფორმაც ძლიერი ემოციებისგან ცუდად გახდომას გულისხმობს, ვფიქრობთ, თარგმანში გამოყენებული ფორმა კარგად არის შერჩეული.

‘Spew’ ასევე “გულის არევას” ნიშნავს. თარგმანში ხვდებით ზმნას “დაიმორცხვებ”, რომელიც არცთუ სრულად აღწერს საწყისი ტექსტის შინაარსს. აქვე ყურადღებას იპყრობს ლექსიკური ერთეული bolt-“წასვლა”, რაც ნეიტრალური თარგმანით არის გადმოსული.

13. Wayne: You know, Cassandra...  
from this height...  
you could really  
hawk a lugie on someone.

ვეინი: იცი რა, კასანდრა, ასეთი სიმაღლიდან  
გისაც გინდა იმას დააფურთხებ.

‘Hawk’ ამერიკულ სლენგზე ამოხველებას ნიშნავს. თარგმანში შესაბამისი ნეიტრალური ზმით არის გადმოსული, რაც ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სავსებით გამართლებულია, ვინაიდან თვით სიტყვის მნიშვნელობა საკმაოდ უხეშია და სლენგის გამოყენებას არ საჭიროებს.

14. Garth: You really pissed me off tonight.

გარტი: დღეს მართლა ძალიან გამაბრაზე.

Wayne: Garth, you've never been mad

at anything in your life.

ვეინი: გარტ, შენ ხომ ცხოვრებაში

არაფერზე გაბრაზებულხარ?

საწყის ტექსტი ვხვდებით უხეში სემანტიკის მქონე ზმნებს-“piss sb off” და “be mad at sb” რაც მიმღებ ტექსტი ნეიტრალური ეკვივალენტებით არის ჩანაცვლებული.

15. Wayne: - Maybe he's pokin' ya.

Cassandra: - What?

You think that's the way I get a gig?

Wayne: Well, first he screws me, then you.

It's Dutch door action.

ვეინი: ხომ არ გაბავს?

ჯასანდრა: ჰა! შენი აზრით,

ასე ვაღწევ წარმატებას?

ვეინი: ჯერ მე მიხმარა, ახლა შენ გიხმარს. ერთი კარის პრინციპია.

Poke-ამერიკულ სლენგზე უხეში გამოთქმაა და “ სასიყვარულო ურთიერთობას” აღნიშნავს, ქართულ თარგმანში გვქვს მსგავსი მნიშვნელობის მქონე სლენგი ზმნა “გაბამს”.

Screws- იგივე მნიშვნელობის მქონე უხეში გამოთქმაა, რომელიც თარგმანშიც შესაბამისი მნიშვნელობისა და რეგისტრის მქონე ზმნით არის გადმოსული.

16. Officer: Damn shame how they screwed up your show. Nice little programme.

ოფიცერი კოპარსკი: რა სამწუხაროა. როგორ მოსპეს შენი შოუ.  
ამ კონტექსტშიც თარგმანში გამოყენებულია შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ზმნა.

17. Cassandra: You screwed my career!

კასანდრა: კარიერა გამიფუჭე!

“To screw sth up”- არევ-დარევა, გაფუჭება და თარგმანში შესაბამისი მნიშვნელობის მქონე ზმნით არის გადმოსული.

18. Wayne: Garth, it's us. No one'll hassle us.

Cassandra needs the encouragement.

კეინი: გარტ, ეს ხომ ჩვენ ვართ

და თანაც ხელსაც ვერავინ შეგვიშლის.

“Hassle”-“შეწუხებას”, “ზეწოლას” ნიშნავს და თარგმანში განმარტებითი ფრაზით არის გადმოსული.

19. Garth: Does Princess Di still live here?

She is such a babe.

გარტი: პრინცესა დი ისევ აქ ცხოვრობს?

რა ლამაზი ქალია.

Babe-სასაუბრო ენაში მიმზიდველ ახალგაზრდა ქალს აღნიშნავს და თარგმანში ის განმარტებითი ფრაზით არის გამოხატული.

20. Cassandra: Most guys are jerks.

You're a good person.

კასანდრა: უმეტესობა ბიჭები, უტვინოა.

შენ კარგი ხარ.

“Jerk”-სლენგზე “სულელს” ნიშნავს თარგმანში მისი ნეიტრალური შესატყვისია გამოყენებული.

21. Wayne: Cassandra, you look hot.

კეინი: კასანდრა, სექსუალურად გამოიყერები.

“Hot”- სასაუბრო ენაში სექსუალურს ნიშნავს და თარგმანში ქართული, თუმცა ნეიტრალური, ეკვივალენტით არის გადმოსული. აქ აიუმორის ეფექტს სიტუაცია ქმნის, ვინაიდან ვეინი ამ კომპლიმენტს ამბობს მაშინ, როდესაც კასანდრა მას თავის მამას აცნობს.

22. Bob: You punk. You crazy punk.

ბობი: შე ნაგავო!

არანორმალური ნაგავი!

სიტყვა “Punk” ქართულ თარგმანში უადრესად შეურაცმყოფელად ჟდერს, რაც ვფიქრობთ, მოცემულ სიტუაციას ზუსტად შეესაბამება.

### 3.15.2. ტრანსლიტერაციის მაგალითები:

1.Officer Kosharski: Hey, Campbell. Uno momento, fellas.

ოფიცერი კოშარსკი: უნო მომენტო, ბიჭებო!

ორიგინალში ისმის, რომ ოფიცერი იტალიურად მიმართავს ვეინს და მის მეგობრებს. სუბტიტრებში ტრანსლიტერაციაა გამოყენებული რაც, ვფიქრობთ, იუმორისტული ეფექტის შესაქმნელად გამოუყენებია მთარგმნელს, ვინაიდან ოფიცერი სულაც არ არის იტალიელი და ვფიქრობთ, მიმართვის ეს ფორმა ორიგინალშიც იუმორისტული ეფექტის შესაქმნელად არის გამოყენებული. ლექსიკური ერთეული Fellas თარგმანში ფამილარული მიმართვითაა (“ბიჭებო”) გადმოტანილი.

2.Wayne: Cassandra.

She's a fox.

In France, she'd be called la renard.

Hunted, with only her cunning  
to protect her.

ვეინი: კასანდრა

ნამდვილი მელაა!

საფრანგეთში რომ ცხოვრობდეს  
“რენარს” დაარქმევდნენ და  
მონადირეებისაგან თავის  
დასაცავად მისი გამჭრიახობის

ამარადა დარჩებოდა.

Fox- სასაუბრო ენაზე მიმზიდველი ქალის აღსანიშნავად გამოიყენება. მიმღებ ენაში ეს მნიშვნელობა არ იკითხება, ვინაიდან გამოყენებულ ზოომორფიზმს ქართულ ენაში სულ სხვა კონოტაცია გააჩნია., ეშმაკი ადამიანისა. ფრანგული la renard ტრანსლიტერაციითაა გადმოსული და მისი უცხოობისთვის, რომ გაესვა ხაზი, მთარგმნელს ის ბრჭყალებში ჩაუსვამს.

3. Garth: In Latin, she'd be called Babia Majora.

გარტი: ესპანურად “ბაბია მებორას” დაუმახვილეული.

Garth: If she were a president, she'd be Baberaham Lincoln.

გარტი: პრეზიდენტი რომ ყოფილიყო - “ ბებრეპერ ლინკოლნს”

გარტის ნათქვამში ლათინური ელემენტი რატომდაც ესპანურით არის შეცვლილი და პვლავ ტრანსლიტერაციითა გადმოდის, უცხოობისთვის ხაზგასმის მიზნით. ამასთან ერთად, ნაწყვეტის დასასრულს, არის ალუზია აშშ პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნთან, რაც სწორედ ტრანსლიტერაციის გამოყენების გამო იკარგება და, ასევე, არ იგრძნობა იუმორიც, რაც წყარო ენაში Babe და Abraham შერწყმით მიიღწვა.

4. Wayne: Hey, Tiny, who's playing tonight?

გეინი: დღეს ვინ უკრავს?

Tiny: Jolly Green Giants, Shitty Beatles.

ტაინი: ჯოლი ჯინ ჯაიენტსი და შიტი ბითლზი.

Wayne: The Shitty Beatles?

Are they any good?

გეინი: შიტი ბითლზი?

გამოსდით რამე?

Tiny: - They suck.

ტაინი: არაფრად ვარგიან.

Wayne:- Then it's not just a clever name?

გეინი: ესე იგი სახელს ამართლებენ.

კლუბის მცველს Tiny- პაწაწინა პქვია რაც, თავისთავად, უკვე სასაცილოა, რადგან ის მაღალი, დაკუნთული კაცია, მაგრამ, როგორც სახელი, მთარგმნელს არ

უთარგმნია და ეს ეფექტი აქ დაკარგულია. იუმორის ეფექტიც იკარგება, როდესაც ჯგუფის სახელებიც ტრანსლიტერაციით არის გადმოსული.

Shitty- უხეში თქმაა და “ცუდს”, “უსიამოვნოს” ნიშნავს. ასე რომ მათ სახელში უკვე იგულისხმება, რომ ცუდი შემსრულებლები არიან. ზმნა s\*\*k- რაც ასევე “ცუდს” ნიშნავს ამერიკულ სლენგზე ქართულ თარგმანში აღწერილობითი ფრაზით არის გადმოსული. მთლიანობაში ამ ეპიზოდის იუმორისტული ეფექტი გაფერმკთალებულია ტრანსლიტერაციის გამოყენების გამო.

5.Wayne: Of course. I love your band.

You guys wail.

You kick ass. Double live gonzo!

ვეინი: ჰო, რა თქმა უნდა!

შენი ჯგუფი მეც მომწონს! ძალიან მაგრები ხართ! “დაბლ ლაიგ გონზო”ს ათასჯერ სჯობიხართ.

Wail- სლენგი ზმნაა და ნიშნავს ”იყო ძალიან კარგი”. თარგმანში გადმოდის შესაბამისი ფრაზით. Kick ass- უხეში და შეურცმყოფელი გამოთქმაა და ვინმეს დამარცხებას აღნიშნავს. მიმღებ ტექსტში ფრაზის ნეიტრალური ინტერპრეტაცია გამოიყენება.

6.Vendor: Be careful .

გამყიდველი: ფრთხილად!

ჰეი! ვერ ხედავ რა წერია?

No Stairway. Denied!

“სოეარვეიზი” აკრძალულია.

აბრა ტრანსლიტერაციით არის გადმოსული, რაც ამ მონაკვეთის შინაარსს თარგმანში სრულიად გაუგებარს ხდის.

7.Garth: - Nice to meet you, Miss Horny.

გარტი: სასიამოვნოა მის ჰორნი.

გარტი ძალიან ლამაზ ქალს იცნობს სამრეცხაოში, რომელსაც ჰანი ჰორნი ჰქვია. თვითონ სახელშიც იუმორია ჩადებული ვინაიდან Honey-თაფლს, ხოლო Horny-სექსუალურს ნიშნავს. ვინაიდან მიმღებ ტექსტში სახელები არ არის ნათარგმნი, ეს ალუზიაც იკარგება.

### 3.15.3. ენის სიტუაციური ვარიანტულობის გადმოტანა თარგმანში:

1..Del: Listen, Sonny Jim, sleeping like this will add years to your life.

დელი: მისმინე, შვილო, ჯიმი! ასეთ პოზაში ძილი ათი წლით აახალგაზრდავებს.

Sonny-მოძველებული მიმართვის ფორმაა და, ძირითადად, ხნიერი კაცის მიერ ახალგაზრდისთვის მიმართვის დროს გამოიყენება. მიმღებ ტექსტში მის ქართულ ეკვივალენტს ვხვდებით.

2.Del: My old lady put that together.

დელი: ეს ჩემმა მოხუცმა გამიკეთა.

My old lady- ცოლისადმი მოვერებით მიმართვას გულისხმობს და მიმღებ ტექსტში გადმოსულია ფრაზით ‘ჩემი მოხუცი’, რაც ქართული ენისათვის დამახასიათებელი მიმართვის ფორმა არ არის და ამ კონტექსტში მოსაუბრის ექსცენტრიულობას უსვამს ხაზს.

ვეინი უცნაურ გამოთქმებს იყენებს. ძალიან ფორმალურ საუბარში, სადაც მას კონცერტის ჩასატარებლად ნებართვას სთხოვენ, ის უკარად ამბობს:

Wayne: Baking powder?

occupancy permit?

ვეინი: უკაცრავად?

საჭმელი სოდაო?

ეს ერთდროულად მის დაბნეულობას უსვამს ხაზს, ექსცენტრიულობას და მოცემულ სიტუაციაში იუმორისტულ ეფექტსაც ქმნის. ქართულში მსგავსი ეფექტი არ იქმნება სემანტიკური ცვლილებების გამო.

Garth: We don't want to end the movie like this, do we?

გარტი: ჩვენ ასე ხომ არ დავასრულებთ ფილმს?

რადგანაც ეს ფილმი “შაბათის დამის შოუს” პაროდიას წარმოადგენს, მისი პერსონაჟების შექმნაში ყველაზე დიდ როლს ასრულებს გმირებისთვის დამახასიათებელი მეტყველება: სლენგი, იუმორი, ალუზიები და კალამბურები. რაც შეეხება სლენგის

გამოყენებას ქართულ თარგმანში, იგი შესაბამისი მეტყველების ნაწილებით ან ფრაზებით არის გადმოსული, დროდადრო გვხვდება ნეიტრალური თარგმანიც, თუმცა ამას ეფექტის განეიტრალება არ მოსდევს; მთარგმნელი, ინგლისური ენის გავლენით, თარგმანში გაარსებითებულ ზმნასაც იყენებს (“მოფერადობის შკალით”), რაც ფამილარულ-იუმორისტულ ეფექტს ქმნის მოცემულ კონტექსტში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გმირები მეტყველებაში კალამბურებსაც იყენებენ და იმის საჩვენებლად, რომ მოცემული სიტყვა კალამბურია, თარგმანში ბრჭყალები გამოიყენება. მაგალითად, გავიხსენოთ ვეინის სიტყვები, როდესაც ის ხელსაწყოს “Suck Kut” მუშაობის შესახებ ამბობს- ნამდვილად “იწოვს”.

აქვე უნდა ითქვას, რომ წყარო ტექსტში არსებული ალუზიები ხშირად მიმღები აუდიტორიისათვის გაუგებარი რჩება და ამიტომ იუმორის დიდი ნაწილი იკარგება ტრანსლიტერაციის გამოყენების გამო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფილმში იუმორს წამყვანი როლი ენიჭება, გფიქრობთ, მისი განეიტრალება სერიოზული ნაკლია ასეთი თარგმანისათვის.

ამ კონკრეტული აუდიო-ვიზუალური ნაწარმოების თარგმნისას სუბტიტრები გამოიყენება და უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ფილმს აკლდა სინქრონიზაცია, რაც, ლიტერატურული ნაწარმოებისაგან განსხვავებით, აუდიო-ვიზუალური თარგმანის ამ სახეობაში ძალიან მნიშვნელოვანია, ტიტრები და კადრი ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც ფილმის აღქმას რამდენადმე უშლიდა ხელს.

## დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა მსგავსება ან განსხვავება არსებობს მხატვრულ და აუდიო-ვიზუალურ თარგმანს შორის, როგორ ხდება მხატვრულ ნაწარმოებების პერსონაჟთა და ასევე ფილმების გმირებს მეტყველებაში განვითარების ენის სტრატიგიკაციული და სიტუაციური მარკერების ტრანსპოზიცია ქართულ თარგმანში, რა სახის პრაგმატიკულ-ფუნქციონალურ მოდიფიკაციებს მიმართავს მთარგმნელი, რა ფაქტორები განაპირობებენ მის არჩევანს თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში და რამდენად არის შენარჩუნებული კომუნიკაციური ეფექტი. რადგანაც ამ მიზნების მისაღწევად სხვადასხვა დროის მონაკვეთში შესრულებულ მხატვრული ნაწარმოებების თარგმანები განვიხილავთ, საინტერესოა იმაზე დაკვირვებაც, თუ რა ტენდენციები გამოიკვეთება ქართულ თარგმანში.

ჩვენს მიერ შერჩეული მხატვრული მასალის ანალიზის საფუძველზე ვასკვნით, რომ ადრეული ქართული თარგმანებისათვის დამახასიათებელი იყო ორიგინალის სკრაბეზული მომენტებისათვის გვერდს ავლა და აგრეთვე უარგონის ნაკლები გამოყენება. ეს ტენდენცია კარგად ჩანს ვ. ჭელიძის თარგმანებში. სწორედ ამიტომ მთარგმნელს უხდებოდა სხვადასხვა მთარგმნელობითი ხერხების გამოყენება, რათა ორიგინალისთვის დამახასიათებელი ენის სტრატიგიკაციული ვარიანტულობის სხვადასხვა მარკერები როგორმე ისე გადმოეტანა მიმდებ ენაში, რომ მიმდები ენის ლიტერატურული ტრადიციები არ დაერღვია. მაგალითად, ვ. ჭელიძე ხშირად მომართავს სტილისტური ირიდაციის მეთოდს. შემდგომ პერიოდში კი, კერძოდ, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, ეპოქის ცვლილებას სოციალური ურთიერთობების ცვლილებაც მოჰყვა, ამან გამოიწვია ცვლილებები ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის ლიტერატურაშიც. განსხვავებულმა ეპოქამ განსხვავებული გმირები მოიტანა, რომელთა რეალისტურად ასაღწერად ლიტერატურულ ნაწარმოებში უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა მხოლოდ ლიტერატურული, დახვეწილი ენისა და ფორმების გამოყენება და რეალობის სრულად გადმოსაცემად უკვე ქართველი

მწერლების ნაწარმოებებშიც გამოჩნდა ჟარგონი. ამისდა შესაბამისად, თანამედროვე ქართულ თარგმანებშიც ასევე შეიმჩნევა მათი ჭარბი გამოყენება.

რაც შეეხება სიტუაციური ვარიანტულობის ტრანსპოზიას თარგმანში, ძირითადად ჩვენს მიერ განხილულ ყველა თარგმანში არის გათვალისწინებული და შენარჩუნებული ის ობერტონები, რაც მათ ორიგინალში ახასიათებდათ. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც პ. ჭელიძეს უთარგმნელად გადმოაქვს მიმართვის ფორმები ‘Mack’ და “Jack” და ამ შემთხვევაში მათი სწორედ აღქმა შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისინი ჩვეულებრივ ადამიანის სახელებად აღიქმება მკითხველის მიერ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც შეპირისპირებული ენების სტრუქტურული არაერთგვაროვნების გამო, შეუძლებელი ხდება დედნისეული ენობრივი პორტრეტის რომელიმე ელემენტის ანალოგიზაცია, მთარგმნელები სხვადასხვა ხერხებს მიმართავენ. კერძოდ, ეფექტის გადაადგილებას და ტექსტის კომპრენსიას. დ. ფანჯიკიძე მიიჩნევს, რომ თარგმანის ენა თარგმანის ამბივალენტური ბუნების გამო უფრო მკაცრად უნდა მოქცეულიყო სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება, თუმცა თანამედროვე თარგმანებში ეს ტენდენცია აღარ დასტურდება. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში თარგმანში “გაუცხოების” (foreignization) ტენდენცია შეიმჩნევა, მეტი ყურადღება ექცევა “უცხოურობის” შთაბეჭდილების შენარჩუნებას თარგმანის ტექსტში, რაც შეიძლება კონვენციური ტრადიციებისთვის დამდუპველად შეიძლება მოგვეჩნოს, მაგრამ ასევე აღიქმება როგორც შესანიშნავი საშუალება ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების გასამდიდრებლად. საერთოდ კი ნებისმიერ თარგმანში იგრძნობა მთარგმნელის მსოფლმხედველობა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, კარგ მთარგმნელს უნდა შეეძლოს ჩასწერების ავტორის ინტენციას, გაითვალისწინოს თარგმანის მიზანი, ადრესატის ფაქტორი და საწყის ტექსტზე დაყრდნობით შექმნას რაც შეიძლება ზუსტი, ორიგინალთან მიახლოვებული კომუნიკაციური ეფექტის მქონე ტექსტი. ამ ყოველივეს განხორციელება კი, ვფიქრობთ, ყველაზე უკეთ მაინც თარგმანისადმი პრაგმატიკული მიღვომით არის შესაძლებელი.

აუდიო-ვიზუალურ თარგმანის განხილვისას აღმოჩნდა, რომ ძირითადი განსხვავება მხატვრულ და ამ სახეობის თარგმანს შორის არის ის, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში თარგმანი საბოლოო პროცესშია, ხოლო აუდიო-ვიზუალური თარგმნისას კი არა. გარდა ამისა, ისინი განსხვავდებიან ტექსტის, ავტორისა და შინაარსის ცნებისადმი კონცეპტუალური მიდგომით. წიგნის თარგმნისას წყარო ენის ტექსტი იცვლება მიმდები ენის ტექსტით და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან. ფილმი კი მულტისემიოტიკური პრუდუქტია. აქ შინაარსს ქმნის გამოსახულება, როლის შესრულება, ხმა და ენა. თარგმნისას მხოლოდ მისი ნაწილი იცვლება. როდესაც გახმოვანებასთან გვაქვს საქმე, ვიზუალური კომპონენტი ხელშეუხებელია და მხოლოდ აუდიოკომპონენტის მოდულაციაა შესაძლებელი. სუბტიტრების დროს უცვლელია როგორც ვიზუალური, ასევე აუდიო კომპონენტიც და თარგმანი მხოლოდ ზედ ედება საწყის პროცესში. ასე, რომ აქ საწყისი პროცესშის ერთმა გადმოტანილმა ელემენტმა უნდა თანაირსებოს სხვა, უცვლელად დარჩენილ ელემენტებთან.

განხილული აუდიო-ვიზუალური ნაწარმოებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ შერჩეული აუდიო-ვიზუალური თარგმანის სახეობა განაპირობებს მთარგმნელის არჩევანს, თუ როგორ გადმოიტანოს ენის სტრატიფიკაციული ვარიანტები თარგმანში ისე, რომ შეინარჩუნოს კომუნიკაციის უფექტი, არ გააუფერულოს გმირი და თან მიმდები ენის სტრუქტურა და ტრადიციებიც გაითვალისწინოს. მაგალითად ფილმის “ჩემი მშვენიერი ლედი” თარგმნისას მხოლოდ ნაწილობრივი დუბლირებაა გამოყენებული; ფილმს ახმოვანებს ორი ადამიანი-მამაკაცი და ქალი, როლების შესაბამისად. გარდა ამისა, ფილმის ყველა ნაწილი არ არის სრულად ნათარგმნი და გახმოვანებული, ისმის საუბარი საწყის ენაზე და ”მოშინაურების” უფექტი არ იქმნება. ვფიქრობთ, სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ქართულად დუბლირებულ ვარიანტში თითქმის არ არის გადმოსული ენის ვარიანტულობის ის მარკერები, რომლებიც ორიგინალში გვხვდება. სამაგიეროდ, მის კომპენსირება ხდება ფილმის იმ ნაწილებით, რომლებიც არ არის თარგმნილი და მაყურებელს შეუძლია მოუსმინოს მათ; მაგალითად, გაიგოს ყვავილების გამყიდველი გოგოს ლაპარაკის საშინელი მანერა და სხვა.

ამისაგან განსხვავებით, “8 მილი”, რომელიც პიპ-ჰოპ დრამას წარმოადგენს და სავსეა უწმაწური და უხეში გამოქმებით, ასევე დუბლირებულია ქართულად, თუმცა აქ სრულ დუბლირებასთან გვაქვს საქმე. მთარგმნელი იყენებს იმ უპირატესობას, რაც მულტიმედიურ პროდუქტს გააჩნია წიგნთან შედარებით, სადაც ინფორმაციის გადაცემა ხდება არა მარტო სიტყვების, არამედ იმიჯის, აუდიო საშუალებებით, რაც ამ ფილმში საკმაოდ გამოკვეთილად აღიქმება. ეს ფაქტიც უადგილებს მთარგმნელს ისე შეარჩიოს მთარგმნელობითი ხერხები, რომ პროდუქტის თავდაპირველი ეფექტი შეინარჩუნოს და, ამავე დროს, ოდნავ შეარბილოს ის უხამსი და უხეში ენა რაც ამ ფილმშია გამოყენებული.

“ედ ვუდი” რომელიც სუბტიტრებითაა თარგმნილი, ცხადყოფს, რომ ამ დროს მაყურებელს არ უხდება ტექსტი ამოკითხული სამყაროს ვიზუალიზაცია, არამედ ეს პირდაპირ მზა სახით მიეწოდება. ვფიქრობთ, ეს ერთგვარ თავისუფლებას ანიჭებს ფილმის მთარგმნელს, ვინაიდან აქ მას შეუძლია გმირის მეტყველება შეარბილოს და ალაგ-ალაგ ნეიტრალური თარგმანით ჩაანაცვლოს და ამით არ გაანეიტრალოს ორიგინალის ეფექტი, ვინაიდან მხატვრულ ლიტერატურაში, სადაც მკითხველმა თვითონ უნდა შექმნას ავტორის მიერ დახატული სამყარო, ვფიქრობთ, თარგმანის მაქსიმალური სიზუსტე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აუდიო-ვიზუალური თარგმანისას. იყენებს სუბტიტრების იმ უპირატესობასაც, რაც მათ დუბლირებასთან შედარებით გააჩნიათ. თარგმანის ამ სახეობის გამოყენებისას საწყისი ტექსტი ისმის და ესეც ერთგვარად ეხმარება მთარგმნელს, რომ შესაფერის კომუნიკაციურ ეფექტს მიაღწიოს. “ედ ვუდ”-ში ლუგოში ერთგვარი აქცენტით საუბრობს და ფილმში მის ეროვნებასაც აღნიშნავენ, ლუგოში უნგრელია. ეს ეფექტი თარგმანში დაიკარგებოდა, მაგრამ სუბტიტრები იძლევა საშუალებას მაყურებელმა უშუალოდ აღიქვას მსახიობის ხმის ტემბრი და შესაბამისად აქცენტიც. “ვეინის სამყაროში” კი, რომელიც ასევე სუბტიტრებიან თარგმანს წარმოადგენს ამ უპირატესობის გამოყენება არ ხერხდება. ამ ფილმში პერსონაჟების შექმნაში ყველაზე დიდ როლს ასრულებს გმირებისთვის დამახასიათებელი მეტყველება: სლენგის გამოყენება, იუმორი, ალუზიები და კალამბურები. რაც შეეხება სლენგის გამოყენებას, იგი ქართულ თარგმანშიც შესაბამისი მეტყველების ნაწილებით ან ფრაზებით არის გადმოსული, “oh, I'm not trying to pick up on you”-“ არ გე-

გონის, რომ “შებმას” ვცდილობ.” ხანდახან გვხვდება ნეიტრალური თარგმანიც თუმცა ამით ეფექტის განეიტრალება არ ხდება, “You can really hawk a lugie on someone”-“ასეთი სიმაღლიდან, ვისაც გინდა იმას დააფურთხებ”. მთარგმნელი ინგლისური ენის გავლენით თარგმანში გაარსებით სახელებულ ზმნასაც იყენებს რაც ფამილარულ-იუმორისტულ ეფექტს ქმნის მოცემულ კონტექსტში. “She tested very high on the strokeability scale”-“მოფერადობის სკალით, უმაღლეს შეფასებას იმსახურებს”. მეორემხრივ, უნდა ითქვას, რომ რიგ შემთხვევებში, წყარო ტექსტში არსებული ალუზიები მიმღები აუდიტორიისათვის გაუგებარი რჩება და იუმორის დიდი ნაწილი იკარგება ტრანსლიტერაციის გამოყენების გამო. რადგან ფილმში იუმორს წამყვანი როლი ენიჭება, ვფიქრობთ, მისი განეიტრალება სერიოზული ნაკლია თარგმანისათვის.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ სუბტიტრების გამოიყენებისას ფილმს “ვეინის სამყარო” აკლდა სინქრონიზაცია, რაც ლიტერატურული ნაწარმოებისაგან განსხვავებით აუდიო-ვიზუალური თარგმანის ამ სახეობაში ძალიან მნიშვნელოვანია, ტიტრები და კადრი ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც ფილმის აღქმას რამდენადმე უშლიდა ხელს.

ბოლოს უნდა შევჩერდეთ მულტფილმის თარგმანზე. “მადაგასკარის” თარგმნისას გვხვდება სლენგის და ქართლური კილოს გამოყენება, არის თავისუფალი ინტერპრეტაციის შემთხვევებიც. ეს პროდუქტი დუბლირებულ ნაწარმოებს წარმოადგენს და მასში გმირების შექმნის პროცესში ძალიან დიდ როლს ხმოვანი ეფექტები ასრულებს. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ თარგმანში გამოყენებული საშუალებები დასამახსოვრებელ და ეფექტურ ანიმაციურ სახეებს ქმნის, ეს გმირები განსხვავდებიან ორიგინალის გმირებისაგან. ჟარგონის და კილოს მეტისმეტი გამოყენება ამ მულტფილმს უფრო ზრდასრული აუდიტორიისათვის განკუთვნილად აქცევს. ბავშვებისათვის გათვალისწინებულ პროდუქციაში კი მათი გამოყენება, ვფიქრობთ, არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ამან შეიძლება არასასურველი გავლენა მოახდინოს ბავშვთა ქცევაზე. ბავშვებს მისაბამი გმირი სჭირდებათ და ამიტომ აუცილებელია, რომ ის სწორად იქნას მიწოდებული პატარა მაყურებელისთვის. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში აღრესატის ფაქტორი საკმარისად არ არის გათვალისწინებული.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური გარიანტების თარგმანში ტრანსპოზიციისას ქართველი მთარგმნელები ერთსა და იმავე მთარგმნელობით საშუალებებს გამოიყენებდნენ მხატვრულ და აუდიო-ვიზუალურ თარგმანში. ესენია: ჟარგონის ჟარგონით გადმოტანა, მისი გადმოტანა სასაუბრო ენობრივი ერთეულებით, ჟარგონის ტრანსპოზიცია აღწერილობითი ფრაზით, მისი ნეიტრალური სიტყვებით გადმოტანა, ტრანსლიტერაცია და სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. ყველა შემთხვევაში მთარგმნელები იყენებდნენ სტილისტური ირიდაციის ეფექტს.

მხატვრულ და აუდიო-ვიზუალურ თარგმანს შორის ძირითადი განსხვავებად მიგვაჩნია ასევე ის ფაქტი, რომ მხატვრულ და აუდიო-ვიზუალურ ტექსტებს შორის არსებული განსხვავებები სხვადასხვა შესაძლებლობებს სთავაზობს მთარგმნელს. უფრო მეტიც, პერსონაჟთა სახეების შექმნისას, ენის სტრატიფიკაციული და სიტუაციური გარიანტების თარგმანში გადმოტანისას, ეს განაპირობებს მის არჩევანს, თუ რომელი მთარგმნელობითი ხერხები გამოიყენოს, რომ ადრესატის ფაქტორის გათვალისწინებით მიაღწიოს საწყისი ტექსტის ეპიგალენტურ კომუნიკაციურ ეფექტს.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თ. კიკნაძე. ბ, შადური. შენგელაია.ნ. “თეორიული ენათმეცნიერების პურსი” თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2003.
2. გაჩეხილაძე. გ “მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა. თბილისი. ამომცემლობა “განათლება” 1959.
3. გიგინეიშვილი, ი თოფურია, ვ, ქავთარაძე.ი. “ქართული დიალექტოლოგია”(დიალექტთა განხილვა, ტექსტები, ლექსიკონი)- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა-1961.
4. საყვარელიძე. ნ. “თარგმანის თეორიის საკითხები”-თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა . თბილისი 2001 .
5. ფანჯიძე, დ. “თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეპივალენტურობის პრობლემა”. ამომცემლობა “განათლება” 1995.
6. ჯაფარიძე,თ. “სოციოლინგვისტიკის შესავალი”. ”მერიდიანი”2005. 141-144.
7. Bassnett, Susan and Andre Lafevere, eds 1990. Translation, history and culture: London-New-York:printer
8. Cronin , M “Translation goes to movies” Taylor & Francis e-Library, 2008.
9. . Crysrtal.D. “ The English tone of voice: essays in intonation, prosody and paralanguage.” Edward Arnold 1975.
10. Gambier,Yves, « Challenges in reasearch of audio-visual translation » From *Translation Research Projects 2*, eds. Anthony Pym and Alexander Perekrestenko, Tarragona: Intercultural Studies Group, 2009. pp. 17-25. ISBN: 978-84-613-1620-5.
11. Gambier, Yves(1994): “Audio-visual Communication: Typological Detour,” in *Teaching Translation and Interpreting 2, Papers from the Second Language International Conference,*

*Elsinore, June 4-6, 1993*, Dollerup, C. and A. Lindegaard (eds), Amsterdam/Philadelphia: John Benjamins, 275-283.

12. Gaudreault, A. (1985) ‘Bruitages, musique et commentaires aux débuts du cinéma’, *Protée*, 13, 2, 25–29.
13. Gilbert. C. F.Fong, Kenneth. K.L. AU. “Dubbing and subtitling in a world context.” The Chinese university of hong-kong .2009. 7-11
14. Gramley Stephan, and Patzold, Kurt-Michal ” A Survey of Modern English” 2004.Routledge second edition. P.9-19; 195-207.
15. Gunning, T. (1990a) D.W. Griffith and the Origins of American Narrative Film, Champaign: University of Illinois Press.(1990b) ‘Non-Continuity, Continuity, Discontinuity: A Theory of Genres in Early Films’ , 86–94, in Elsaesser, T. (ed.) *Early Cinema: Space – Frame –Narrative*, London: British Film Institute.
16. Harris, Brian,1988.”Bi-text: A new concept in translation theory”. *Language monthly an international journal of translation*.54. 8-10.
17. Hatim, Basil, 1998 “Text politeness: A semiotic regime for a more interactive pragmatics”.*Hickey* 1998.72-102
18. Hellgren, E. « Translation of allusions in the animated cartoons ; Simpsons ; 2007
19. Holmes,James,1972/1988.”The name and nature of translation studies”.*Holmes* 1988.67-80
- 20 .Ivarsson, Jan. “Subtitling Through the Ages. A Technical History of Subtitles in Europe.” *Language International* April 2002: 6 –10.
21. Ivarsson, Jan, and Mary Carroll. *Subtitling*. Simrishamn: TransEdit, 1998
22. Jay ..T. “Why we curse; A Neuro-Psyco-Social Theory of Speech” John Benjamins Publishing company.2000

23. Karamitroglou .Fotios, (a) “Towards a methodology for the investigation of norms in audio-visual translation. Editions Rodopi. B. V.Amsterdam-Atlanta 2000.
24. Karamitroglou, Fotios. (b)“A Proposed Set of Subtitling Standards in Europe.” Translation Journal 2. 2. (1998). 11 Dec 2005
25. Koller, W. 1979. Einführung in the ubersetzungswissenschaft. Heidelberg: Quelle und Meyer.
26. Leppihalme, Ritva. (1997) *Culture Bumps. An empirical approach to the translation of allusions*. Clevedon: Multilingual Matters.
27. Luyken, Georg-Michael et al. Overcoming Language Barriers in Television. Dubbing and subtitling for the European Audience. Manchester: The European Institute for the Media, 1991
28. Malmkjaer, Kirsten. 1999.”Translation and linguistics:What does the futuer hold?
29. Mera, Miguel. Read my lips: Re-evaluating subtitling and dubbing in Europe. September 1998. Royal College of Music. 16 Dec 2005
- 30..Morini, M “Outlining a new linguistic theory of translation”John Benjamins Publishing company. 2008
31. M. Morini “Special issue: Translation of Dialects in Multimedia; Jerry Lee Lewis or Claudio Villa? Textual pragmatics and the translation of python humor”, 2009
32. .Munday, J.”Introducing translation studies: Theories and applications.” Routledge.Taylor and Francis Group.2001.14
33. Newmark, P. (1988b). *Approaches to Translation*. Hertfordshire: Prentice Hall.
34. Poyatos ,F. “Non-verbal communication and translation: New persperctives and challenges in literature, interpretation and the media,”. 1997-John Benjamins B.V
35. Poyatos. F. “Textual translation and live translation:the total experience of noneverbial in Litearture, theatre, cinema.” 2008—John Benjamins B. V
36. Reich,P. “The film and the book in translation”2006

37. Reiβ Katharina and Hans. J. Vermeer 1984/1991. Grundlegung einer allgemeinen Translationstheorie

38 Reiβ Katharina. 1969. "Textbestimmung und bersetzsmethode". Ruperto-Carola. Zeitschrift die Vereinigung Der freunde der Studentschaft der iversitt Heidelberg 69 bingen: Max Niemeyer.

39. Routti, Laura. " Norms and Storms: Pentti Saarikoski's Translation of J. D. Salinger's The Catcher in the Rye" –The Electronic Journal of the Department of English at the University of Helsinki. **ISSN 1457-9960**. Volume1, 2001 Translation Studies

40. Scandura. Gabriela L. "Sex, Lies and TV: Censorship and Subtitling" Meta : journal des traducteurs / Meta: Translators' Journal, vol. 49, n° 1, 2004, p. 125-134.

41. Szarkowska. Agnieszka." The Power of film translation" Translation Journal.vol 9. No 2. 2005.

42. Venuti, Lawrence, 1995. Translator invisibility: A history of translation: London: Routledge

43. Weintraub, Jessica "From AOK to Oz The Historical Dictionary of American Slang "; *Humanities*, March/April 2004, Volume 25/Number 2)

44. Влахов. С. Флорин. С « Непереводимое в переводе». «Высшая школа» 1986 Стр126.

45. Швецер А. Д. « Социальная дифференциация английского языка в США» М. наукаю 1983& Стр.135-156; 167-184.

### ლექსიკონები:

46. ბრეგვაძე, ლ. "ქართული ეპიტონის ლექსიკონი" . ბავრ სულაკაურის გამომცემლობა.2005.

47. გრიშაშვილი.о "ქალაქური ლექსიკონი", "სამშობლო"1999

48 სახოკია, თ. "ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი". "მერანი" 1979.

49."ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი". ქართული ენციკლოპედია. 1986.

50. 1999 Britannica.com and Encyclopédia Britannica, Inc.
51. NTC's Dictionary of American Slang and Colloquial expressions. Richard A.Spears . Ph.D .third edition.
52. Oxford Advanced Learner's Dictionary, 2004.oxford university press. Sixth edition edited by Sally Wehmeir.
53. The new Partridge Dictionary of Slang and unconventional English.2005

### **საილუსტრაციო მასალა:**

- 54“ედ გუდი” რუსთავი 2 არქივი
55. “ვეინის სამყარო” და “ვეინის სამყარო2” რუსთავი 2 არქივი
56. კიბლინგი, რ. “აი, როგორ და რატომ.”გამომცემლობა “მერანი”, თბ.1988 (თარგმნების 6.საყვარელიძემ და თ. ჯაფარიძემ).
57. ლონდონი, ჯ. “მარტინ იდენი”. თარგმნა გ. ჭელიძემ. ამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”. თბილისი 1973.
- 58 სელინჯერი, ჯ. “კლდის პირზე ჭვავის ყანაში.” თარგმანი გ. ჭუმბურიძისა. გამომცემლობა “დიოგენე”
59. სელინჯერი, ჯ. “თამაში ჭვავის ყანაში”. თარგმანი გ. ჭელიძისა. “ნაკადული” თბილისი 1969.
60. სტაინბეკი, ჯ. “ამბავი თაგვთა და კაცთა”.თარგმანი გ. გეგეჭკორის. “საუნჯე”1984.
61. შოუ. ბ “პიგმალიონი”. ინგლისურიდან თარგმნა მოსე ქარჩავამ და იაკობ ტროპოლსკიმ. საქართველოს თეატრალური საზოგადოება. “ხელოვნება” თბილისი 1956.
62. .“ჩემი მშვენიერი ლედი” საზოგადოებრივი მაუწყებლობის არქივი
- 63 . ჯანიკაშვილი, ბ “ოცნებით კაიროში”. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2004.

64. Kipling, R. "Just so Stories" Progress Publishers, Moscow, 1972.
65. Salinger ,J "The Catcher in the Rye". «Антологиа» Санкт-Петербург» 2004
66. Steinbeck, J "Of Men and Mice". Penguin Paperbacks; Reissue edition.1993
- 67 .Show , B. "Pygmalion" Penguin classics. First published in 1916. Reprinted with a new introduction in Penguin classics in 2000.
- 68 .London, J Martin Eden,

ინტერნეტ მისამართები:

[http://www.script-o-rama.com/movie\\_scripts/m/my-fair-lady-script-transcript.html](http://www.script-o-rama.com/movie_scripts/m/my-fair-lady-script-transcript.html) [12.12.2010]

[http://www.script-o-rama.com/movie\\_scripts/m/madagascar-script-transcript.html](http://www.script-o-rama.com/movie_scripts/m/madagascar-script-transcript.html) [14.03.2011]

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=743298](http://www.myvideo.ge/?video_id=743298) [14.03.2011]

<http://www.dailyscript.com/scripts/8MILE.pdf> [16.06-2011]

[http://www.script-o-rama.com/movie\\_scripts/e/ed-wood-script-transcript-burton.html](http://www.script-o-rama.com/movie_scripts/e/ed-wood-script-transcript-burton.html) [25.09.2011]

[http://www.script-o-rama.com/movie\\_scripts/w/waynes-world-2-script-transcript.html](http://www.script-o-rama.com/movie_scripts/w/waynes-world-2-script-transcript.html)

[29.11.2011]

<http://scripts-onscreen.com/movie/waynes-world-script-links/> [29.11.2011]

[http://onlinezone.ge/news/8\\_mile\\_8\\_mili\\_2002\\_kartulad/2009-11-30-2034](http://onlinezone.ge/news/8_mile_8_mili_2002_kartulad/2009-11-30-2034) [16.06.2011]

<http://www.reelreviews.net/movies/e/8mile.html> [18.06.2011]

[http://www.bbc.co.uk/films/2002/10/14/ed\\_wood\\_1994\\_dvd\\_review.shtml](http://www.bbc.co.uk/films/2002/10/14/ed_wood_1994_dvd_review.shtml) [26.09.2011]


<http://www.bokorlang.com/journal/32film.htm> [14.11.2009]

- <http://accurapid.com/journal/22subtitles.htm> (29.02.2012)
- <http://www.snpp.com/other/papers/eh.paper.pdf> [16.03.2011]
- [http://isg.urv.es/publicity/isg/publications/trp\\_2\\_2009/chapters/gambier.pdf](http://isg.urv.es/publicity/isg/publications/trp_2_2009/chapters/gambier.pdf) [12.04.2012]
- <http://benjamins.com/series/target/20-1/art/03mor.pdf> [3.02.2012]
- [http://www.intralinea.org/specials/article/Jerry\\_Lee\\_Lewis\\_or\\_Claudio\\_Villa](http://www.intralinea.org/specials/article/Jerry_Lee_Lewis_or_Claudio_Villa) [14.03.2012]
- [http://isg.urv.es/library/books/cronin\\_movies.pdf](http://isg.urv.es/library/books/cronin_movies.pdf) [ 7.02.2012]
- is.muni.cz/th/64544/ff\_m/Diplomova\_prace.doc [3.11.2011]
- <http://id.erudit.org/iderudit/009028ar> [12.02.2012]
- <http://www.azlyrics.com/lyrics/eminem/8mile.html> [18.06.2011]
- <http://www.eng.fju.edu.tw/Englishliterature>Show/Pygmalion.html> [12.02.2006]
- <http://www.steibeck.sju.edu/work/of%20Miceand%20Men.jsp>. [4.03.2006]
- <http://www.bookrags.co./sudingguide-ofmicemen/> [5.03.2006]
- <http://www.steinbeck.org.> [4.03.2006]
- [http://mnytud.arts.klte.hu/szleng/egyeb/sldef\\_eb.htm](http://mnytud.arts.klte.hu/szleng/egyeb/sldef_eb.htm) [ 4.03.2006]
- http://London.sonoma.edu/Writings/MartinEden/. [15.05.2006]
- <http://www.sjsu.edu/faculty/pattern/salinger.html> [12.06.2006]
- http://blogs.helsinki.fi/hes-eng/volumes/volume-1-special-issue-on-translation-studies/norms-and-storms-pentti-saarikoskis-translation-of-j-d-salingers-the-catcher-in-the-rye-laura-routti/ [5.06.2006]
- <http://translationjournal.net/journal/32film.htm> [15.01.2010]
- <http://www.transedit.se/history.htm> [15.02.2012]

- [www.luspio.it/.../c080d33b-cca1-4e8c-aa15-2f1a88e524e7.docx](http://www.luspio.it/.../c080d33b-cca1-4e8c-aa15-2f1a88e524e7.docx) [22.08.2006]
- [www.neh.gov/news/humanities2004-03/slang.html](http://www.neh.gov/news/humanities2004-03/slang.html) [17.03.2006]
- [http://books.google.ge/books?id=2yD5keK6urkC&pg=PA10&lpg=PA10&dq=literary+and+audio-vizual+translation&source=bl&ots=bK\\_jyqxUHm&sig=1ptuBKZTC72PgNklOPS6KzAFbyw&hl=ka&sa=X&ei=JUtPT9v2HaOH4gSwrKz2DQ&ved=0CDAQ6AEwAzgK#v=onepage&q=literary%20and%20audio-vizual%20translation&f=false](http://books.google.ge/books?id=2yD5keK6urkC&pg=PA10&lpg=PA10&dq=literary+and+audio-vizual+translation&source=bl&ots=bK_jyqxUHm&sig=1ptuBKZTC72PgNklOPS6KzAFbyw&hl=ka&sa=X&ei=JUtPT9v2HaOH4gSwrKz2DQ&ved=0CDAQ6AEwAzgK#v=onepage&q=literary%20and%20audio-vizual%20translation&f=false) [11.02.2012]
- <http://books.google.ge/books?id=eBjVv4kTMDoC&pg=PA12&lpg=PA12&dq=Ivarsson,+Jan.+and+C arrol+subtitling+later+stages&source=bl&ots=xa7JG2uody&sig=dalvTYDh-LnB8QM6XRdUI1Xv310&hl=ka&sa=X&ei=-dBhT7faMa3P4QTB7aGCCA&ved=0CDUQ6AEwAw#v=onepage&q=Ivarsson%2C%20Jan.%20and%20Carrol%20subtitling%20later%20stages&f=false> [10.01.2012]
- <http://www.bib.uab.es/pub/linksandletters/11337397n6p73.pdf> [7.02.2006]
- <http://en.wikipedia.org/wiki/Paralanguage> [22.11.2011]
- [http://www.davidcrystal.com/DC\\_articles/Linguistics39.pdf](http://www.davidcrystal.com/DC_articles/Linguistics39.pdf) [24.11.2011]
- [http://books.google.ge/books?id=YsgvTeKuLGcC&pg=PA174&lpg=PA174&dq=paralanguage+in+films+and+literature&source=bl&ots=oglNI-Dc6F&sig=aIcN8Hwm\\_g\\_ZFWgnaPU8fA0OgUY&hl=ka&sa=X&ei=iYFVT7T0McqF4gTV6oGxDQ&ved=0CEgQ6AEwCA#v=onepage&q=paralanguage%20in%20films%20and%20literature&f=false](http://books.google.ge/books?id=YsgvTeKuLGcC&pg=PA174&lpg=PA174&dq=paralanguage+in+films+and+literature&source=bl&ots=oglNI-Dc6F&sig=aIcN8Hwm_g_ZFWgnaPU8fA0OgUY&hl=ka&sa=X&ei=iYFVT7T0McqF4gTV6oGxDQ&ved=0CEgQ6AEwCA#v=onepage&q=paralanguage%20in%20films%20and%20literature&f=false) [21.11.2011]
- <http://books.google.ge/books?id=8CE41VRoki4C&pg=PA17&lpg=PA17&dq=nonverbal+communication+and+translaton&source=bl&ots=YZLepOEeJJ&sig=bf8rbfWy-2YXhitp9JcyZgXOy14&hl=ka&sa=X&ei=dIRVT9H-NY3U4QTlpdzMDQ&ved=0CF4Q6AEwCQ#v=onepage&q=nonverbal%20communication%20and%20translaton&f=false> [21.11.2011]
- <http://www.dcs.gla.ac.uk/~vincia/papers/igi-chapter.pdf> [ 12.01.2012]

დანართი

უარგონის გამოყენების სიხშირე ქართულ მხატვრულ თარგმანში



1.ჯ. სტეინბეკი “ ამბავი თაგვთა და კაცთა” თარგმანი ვ. გეგეჭკორისა.

2.ჯ.სელინჯერი “თამაში ჭვავის ყანაში” თარგმანი ვ. ჭელიძისა.

3.ჯ. სელინჯერი “კლდის პირზე ჭვავის ყანაში. . .” თარგმანი გ.ჭუმბურიძისა.

## დანართი

ენის სტრატიგიკაციული და სიტუაციური ვარიანტების ინგლისურიდან ქართულ თარგმანში გადმოტანისას გამოყენებული მთარგმნელობითი ხერხები:

მთარგმნელობითი საშუალებები	I	II	III	IV	V
უარგონის უარგონით ტრანსპოზიცია	0	40,48%	0	3,57%	38,45%
უარგონის ჩანაცვლება სასუბრო ენობრივი ერთეულებით	42,86%	28,57%	46,15%	62,5%	35,38%
უარგონის ტრანსპოზიცია აღწერილობითი ფრაზით	7,14%	7,14%	0	1,78%	1,54%
უარგონის ნეიტრლური სიტყვებით გადმოტანა	7,14%	4,76%	53,85%	21,43%	9,23%
უხეში( ვულგა- რული) სიტყვების აქტივიზაცია	35,75%	14,28%	0	1,78%	7,7%
ტრანსლიტერაციით გადმოტანა	7,14%	0	0	5,36%	3,07%
სიტყვა-სიტყვითი თარგმანი	0	4,76%	0	3,57%	4,62%

I-ბ.შოუ “პიგმალიონი” . თარგმანი მ.ქარჩავა; ი.ტროპოლსკი.1956.

II-ჯ.სტეინბეგი “ამბავი თაგვთა და კაცთა” თარგმანი ვ. გეგენავორი.1984..

III-ჯ.ლონდონი ‘მარტინ იდენი’. თარგმანი ვ.ჭელიძე.1973.

IV-ჯ.სელინჯერი “თამაში ჭვავის ყანაში” თარგმანი ვ. ჭელიძე.1969.

V-ჯ.სელინჯერი “კლდის პირზე ჭვავის ყანაში. . .” თარგმანი გ.ჭუმბურიძე. 2006

დანართი

მთრგმნელობითი საშუალებები	I	II	III	IV	V
ჟარგონის ჟარგონით ტრანსპოზიცია	0	32%	38%	11%	13%
ჟარგონის ჩანაცვლება სასუბრო ენობრივი ერთეულებით	36%	2%	12%	0	13%
ჟარგონის ტრანსპოზიცია აღწერილობითი ფრაზით	0	0	0	0	5%
ჟარგონის ნეიტრლური სიტყვებით გადმოტანა	10%	43%	5%	56%	39%
უხეში( ვულგარული) სიტყვების აქტივიზაცია	36%	23%	26%	44%	5%
ტრანსლიტერაციით გადმოტანა	0	0	0	0	23%
სიტყვა-სიტყვითი თარგმანი	18%	0	0	0	2%
კილოს გამოყენება	0	0	19%	0	0

- I. ჯ.სუკორის “ჩემი მშვენიერი ლედი”-კინოსტუდია ქართული გახმოვანება
- II. კჰენსონის “8 მილი”-რუსთავი 2 არქივი
- III .მულტფილმი “მადაგასკარი”
- IV .თ. ბარტონის “ედ ვუდი”-რუსთავი 2 არქივი
- V პ .სფერის “ვეინის სამყარო”1 და”ვეინის სამყარო2”



